N31 (582) 4/VIII-10/VIII-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული
მიხეილ ჯავახიშვილი
შვიდტომეული
ტომი II

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
მიხეილ ჯავახიშვილი
ტომი III

ექსკლუზივი
მსხვერპლის წერილი

ვინ არის კაცი, რომელმაც კუნძულზე 20 ბავშვი გადაარჩინა

ნორვეგიის ტრაგედიის დეტალები — ქართველი ემიგრანტისგან

რაში გაუმართლა მარიამ როინიშვილის მეუღლეს

„გიორგის ბევრი სიდიდრე ჰყავს“

ვანო ჯავახიშვილის საპურორტო რომანი

სტალინის სიკვდილის საიდუმლოება და ლამაზმანი, რომელმაც „პენსნეიანი კაცი“ გაწირა

რა სიურპრიზი მოუწყო კახა მიქიაშვილს „ტელეიმედმა“

„ჯვრისწერის მეორე დღეს სამსახურიდან გამათავისუფლეს“

ISSN 1987 - 5029

თემა — პლასტიკური ქირურგიის შედეგი

პლასტიკური ქირურგიის
კლინიკა „კარაპს მედლაინი“

მკერდის პლასტიკის თანამედროვე შესაძლებლობები და კიდევ ბევრი სხვა რამ...

კლინიკა „მედლაინის“ პრიორიტეტული მიმართულებაა ესთეტიკური და რეკონსტრუქციულ-პლასტიკური ქირურგია, რომელსაც სათავეში უდგანან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პლასტიკური ქირურგი **ალექსანდრე კალანტაროვი** და პლასტიკური ქირურგი **კოტე მათითაშვილი**. კლინიკაში ტარდება ნებისმიერი სახის ესთეტიკური ოპერაცია ცხვირის პლასტიკიდან დაწყებული მუცლის პლასტიკითა და მკერდის ნებისმიერი ოპერაციით დამთავრებული. აგრეთვე: ლიპოსაქცია-ლიპოსკულპტურა, სხეულის ნებისმიერი მიდამოს დეტალური პლასტიკა, სახის ენდოსკოპიური დაჭიმვა განაკვეთების გარეშე “KARL STORZ”-ის ფირმის ულტრათანამედროვე აპარატურის გამოყენებით, ტუჩების პლასტიკა, ქუთუთოების პლასტიკა, სხეულის კონტურული პლასტიკა, ბოტოქსი, ბიოთავსებადი გელის ინექციები, ცხვირის ფორმის კორექცია – რინოპლასტიკა, პაციენტის სურვილისამებრ ნებისმიერი შედეგის მიღებით, წინასწარი ვიზუალური შერჩევით, ცხვირით სუნთქვის აღდგენა და ცხვირის ფორმის ერთდროული კორექცია – სრული გაუტკივარებით, დიდი ზომის ტამპონების და ნახვევების გარეშე, ოპერაციის შემდგომი პერიოდის მაქსიმალური გამარტივებით.

ამჯერად შევჩერდებით მკერდის პლასტიკაზე და გავცემთ იმ შეკითხვებზე პასუხს, რაც პაციენტთა უმრავლესობას აინტერესებს. **მკერდის პლასტიკა ტარდება ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის: მოშვებული და დაკიდებული, დიდი ან პატარა ზომის მკერდი, მკერდის ასიმეტრიის, ასევე სარძევე ჯირკვლის დაავადების გამო გადატანილი ოპერაციის ან მკერდის მოკვეთის შემდგომ.**

შესაძლებელია მკერდის აწევა და მოდელირება, დვრილისა და არეოლის პლასტიკა, ასევე მკერდის გადიდება და დაპატარავება. რაც შეეხება იმპლანტებს, ჩვენ ვიყენებთ მსოფლიო პრაქტიკაში კარგად გამოცდილ და დანერგილ სხვადასხვა ზომის, ფორმისა და მოცულობის სილიკონის იმპლანტებს, ყველაფერი დამოკიდებულია პაციენტის სურვილსა და მკერდის არსებულ მდგომარეობაზე. ზოგიერთ ქალბატონს მოსწონს დიდი მოცულობის მკერდი, ზოგიერთს კი სურვილი აქვს დაიბრუნოს მისი ადრინდელი ფორმა. ძალზე ხშირად ორსულობისა და ძუძუთი კვების შემდგომ მკერდი იცვლება, კარგავს მოცულობას, ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია კომბინირებულად გაკეთდეს მკერდის აწევა და მოცულობის შევსება პროთეზის ან საკუთრივ მკერდის ქსოვილის გამოყენებით. პროთეზირების შემდგომ სარძევე ჯირკვალს არანაირი დამატებითი რისკი არ უჩნდება რაიმე დაავადების პროვოცირებისათვის. პროთეზირების გამოყენებით შესაძლებელია მოკვეთილი მკერდის აღდგენა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამ მიზნით გამოიყენება ადამიანის საკუთარი სისხლმომარაგებადი ქსოვილი. სწორედ ამიტომ დღეისათვის პრობლემას არ წარმოადგენს ნაოპერაციები ან მოკვეთილი მკერდის ფორმის აღდგენის საკითხი. ჩვენს კლინიკაში ამ თემაზე აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ონკო-მამოლოგ გია ციხისელთან, სარძევე ჯირკვალზე პირველადი ჩარევის დროს წყდება საკითხი ერთ ეტაპად მკერდის აღდგენის შესაძლებლობაზე.

რაც შეეხება დიდი ზომის მკერდს, ასევე შესაძლებელია მკერდის ზომების სასურველ მოცულობამდე შემცირება და მოდელირება. ხშირია აგრეთვე მკერდის ასიმეტრია, როდესაც ერთი მკერდი განსხვავდება მეორისაგან. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში გამოვლენილია დიდი ზომის დვრილი და არეოლა. საბედნიეროდ, ამ ტიპის დეფორმაციები ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი შემთხვევები, საკმაოდ ეფექტურად ექვემდებარება ქირურგიულ კორექციას. ოპერაციები კეთდება სრული გაუტკივარების ქვეშ, უმეტეს შემთხვევაში პაციენტი ჩვენს კლინიკაში რჩება 1 დღე, ოპერაციის შემდგომ ის უმოკლეს პერიოდში უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

თუ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა, მას შეუძლია მიმართოს კლინიკის საინფორმაციო სამსახურს ან გაიაროს კონსულტაცია ქირურგებთან.

877 22 99 22

22 44 17

ჯავჯავაძის გამზ. 5

www.plasticsurgerygeo.com

Clinic of Aesthetic, Reconstructive and Plastic Surgery "Carapis Medline" Ltd. CARAPS MED Line

ბიბლუსი
Books
1 აგვისტოდან
„ბიბლუსის“
ყველა მაღაზიაში
დიდი
საზაფხულო
ფასდაკლება
50% -მდე
მისამართები:
თბილისი:
აღმაშენებლის № 121
იოსებიძის № 49
ბახტრიონის № 12
რობაქიძის № 7
რუსთაველის № 40/1
თბილისი სენტრალი, ვსართული
გლდანი 1მ/კ 1 კვ № 50
ოზურგეთი: 9აპრილის პარკი
რუსთავი: მეგობრობის № 12
სამტრედია: სააკაძის № 6
სენაკი: რუსთაველის № 239
ფოთი: ფარნავაზ მეფის № 15
ბათუმი: მემედ აბაშიძის № 62
ბოლნისი: სულხან-საბას №106
ზესტაფონი: აღმაშენებლის № 87
საჩხერე: თავისუფლების 1 № 17
ქუთაისი: ლ.ნუცუბიძის № 1
თამარ მეფის № 34
ზუგდიდი: რუსთაველის № 87
დუშეთი: რუსთაველის № 11
ხაშური: კოსტავას ქუჩაზე არსებულ სკვერში
რუსთაველის № 69
ქალაქიდან გადიხარ?
გაიყოლე წიგნები!
წაიკითხე, გაერთე,
უსეთესად იქნები!
წიგნები
1 ლარიდან!
ტელ: 2 307-402
www.biblusi.ge

MON PLATIN – მკვდარი ზღვის კოსმეტიკა სამკურნალო თვისებებით

Mon Platin-ის ბრენდის კოსმეტიკამ არც ისე დიდი ხანია მოიკიდა ფეხი საქართველოს ბაზარზე. მისდამი ინტერესის მთავარი მიზეზი მისი სამკურნალო თვისებები და დამზადების ტექნოლოგიაა. „მონ პლატინის“ აქვს რამდენიმე ხაზი: DSM – სხეულის, სახისა და თმის მოვლისთვის განკუთვნილი ესთეტიკური კოსმეტიკა, ასევე – შავი ხიზილალის ექსტრაქტზე დამზადებული პრემიუმ ხაზის კოსმეტიკა, თმის მოვლის პროფესიონალური ხაზი და „სალმარისის“ შამპუნები. სულ ბრენდი 200-ზე მეტი დასახელების პროდუქციას აერთიანებს, რომელთა უმეტესობაც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ „სალმარისის“ ხაზის შამპუნების სამკურნალო თვისებებზე. მათ უნარი შესწევთ, შეაჩერონ თმის ცვენა, აღადგინონ დაზიანებული თმა და მოხსნან თავის კანთან დაკავშირებული პრობლემები. „სალმარისს“ აქვს როგორც თმის ცვენის, ისე ქერტლის საწინააღმდეგო სამკურნალო და ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა ტიპის შამპუნები. მომავალში ეს ხაზი ქართველ მომხმარებელს შესთავაზებს მკვდარი ზღვის მინერალებზე დამზადებულ ტალახის სამკურნალო შამპუნს, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გარდა ამისა, გვინდა შემოგთავაზოთ ბრენდის პროდუქციაში არსებული პრობლემური და დაავადებული კანისთვის განკუთვნილი სამკურნალო და აღმდგენი კოსმეტიკური ნაწარმი, რომელიც ეფექტურია ფსორიაზის, პიგმენტური ლაქებისა და სხვადასხვა ტიპის გამონაყარის დროს.

ტალახის ნიღბები და სამკურნალო მარილები მოსახლეობის ყველა სოციალურ სეგმენტზეა გათვლილი.

„მონ პლატინი“ უნიკალურია იმით, რომ მისი ყველა პროდუქტი დამზადებულია ცივი გამოწურვის მეთოდით და შენარჩუნებული აქვს ყველა საუკეთესო თვისება.

დარწმუნებულნი ვართ, ქართველი მომხმარებელი კმაყოფილი დარჩება ჩვენი პროდუქციით, რომელიც მათ პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

ისრაელის
კოსმეტიკური
ჯგუფი
მის: თბილისი;
თევდორე
მღვდლის №15.
ბინა 17
ტელ: 222-69-90

www.icg.com.ge
www.nbcosmetic.com

ლაზოლექსი®

კანის ინფექციების სამკურნალო საშუალება

1 ანტივირუსული 2 ანტისოკოვანი 3 ანტიბაქტერიული

- სწრაფად აჭრობს ქავილის, წვის და ტკივილის შეგრძნებას
- აძლიერებს კერატინიზაციის პროცესს აჩქარებს ეპითელიზაციას
- საგრძნობლად ამცირებს რეციდივების სიხშირეს და მათ ხასიათს

IVERIAPHARMA

ივერიაფარმა

Nature - Technology - Health

HPH წარმოებულია Hartington Pharma Ltd (UK) თანამშრომლებით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს. მოყვანილი მკურნალობის ვადები მოცემულია საშუალოდ. ინდივიდუალურ შემთხვევაში ვადა უნდა განსახღვროს კლინიკური მაჩვენებლების დინამიკის მიხედვით.

№31 (582)
4 - 10 აგვისტო, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
ეზო

ქვეყანა

უკბილო დემოკრატია ანუ „ნორვეგიელი“ ქართველის ნაამბობი

„როცა ჩვენს წრეში პოლიციელის ფორმაში ჩაცმული ადამიანი შემოვარდა და სროლა აგვიტეხა, ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. ზოგი მოცელილივით ძირს დაეცა, ზოგი დაჭრილი იყო და წამოდგომა არ შეეძლო“...

12

სახე

სიყვარულის აუხსნელად შექმნილი ოჯახი

„გარეგნობით სულ მომწონდა, შინაგანად ასმაგად ლამაზი აღმოჩნდა. პირველ დღესვე თავისი უშუალობით, თავმდაბლობით, უბრალოებით გამოაცა“.

24

■ **მინიატიურები** 5
მიდი, მიშა, მიაწექი! ჯიგარი ხარ!!!

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **ფაქტი და კომენტარი** 8

■ **კულისები** 10

■ **საზოგადოება** 12
უკბილო დემოკრატია ანუ „ნორვეგიელი“ ქართველის ნაამბობი

■ **თემიდა** 14
რამდენ მილიონს დათმობენ ებრაელი ბიზნესმენები თავისუფლების სანაცვლოდ?

■ **რაკურსი** 17
გაბრაზებულები და გამოშტერებულები

■ **არდადეგები** 18
ვანო ჯავახიშვილის კრიმინალური წარსული

■ **გემოვნება** 20
„ქეთო ყარაულაშვილივით ჩაცმულს სცენაზე არავინ დაგაყენებს“

■ **ვარსკვლავები** 22

■ **წყვილი** 24
სიყვარულის აუხსნელად შექმნილი ოჯახი

■ **ამპლუა** 26
„სიღნაღმა ჩვენს დაოჯახებაში დიდი როლი ითამაშა“

ცხოვრება

პატარა უფლისწულის ვარდი

„იმ მომენტისთვის, როცა ანტუანს შეხვდა, კონსუელოს უკვე ორჯერ მოესწრო დაქვრივება. ამასთან, მოარული ხმებით, მეორე ქმარს თვითმკვლელობისკენ თავადვე უბიძგა...“

36

ეზოკვილები

მოლალატე მეგობარი



„ბათუმელი ბიჭი გაიცნო „ოდნოში“ და შეხვდა კიდეც. იმას შეხვედრაზე ძმაკაცი მიუყვანია და მეც დამირეკეს, გამოდიო. წავედი... სწორედ იმ დღიდან დაიწყო ყველა უბედურება“.

64

■ თემა 28
პლასტიკური ქირურგიის შედეგი
■ ნამდვილი ამბავი 31
■ სამართალი 32
პატიმარს გაუპატიურებით ემუქრებიან
■ სასოწარკვეთილი დიასახლისები 34
■ LOVE STORY 36
პატარა უფლისწულის ვარდი
■ საქმე 38
„როცა ვხედავ, რომ ჩემი დის ნაშრომი ფასდება, მიხარია“...
■ ისტორიის ლაბირინთები 40
სტალინის სიკვდილის საიდუმლოება
■ ავტო 43
■ ანტიდეპრესანტი 44
■ ტაძარი 44
ვინ იგემებს უფლის სერობის გემოს?
■ ერუდიტი 46
მოდური მწვანე ვაშლი და ჯანმრთელობისთვის საშიში შავი კაბა
■ ჯანმრთელობა 48
■ საკითხავი ქალებისათვის 50
■ წვეთი პოეზია 52
■ რჩეული 53
„იმედად ის მრჩება, რომ ჩემს ასეთნაირად დაღუპვას ქართველები არ დაივიწყებენ“
■ ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (დასაწყისი)
■ რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)
■ გზავნილები 64
მოღალატე მეგობარი
■ ყველა ერთისათვის 68
■ მობილი-ზაცია 70
■ სამოსი 74
■ ეს სამყაროა 76
■ გასართობი 78
■ ასტროლოგია 80
■ სკანვორდი 81
■ საფირმო კროსვორდი 82

სამყარო

სტალინის სიკვდილის საიდუმლოება

მოწამვლის ვერსია სტალინის ქალიშვილმა — სვეტლანა ალილუევამაც გაიზიარა: ის მოგვიანებით იხსენებდა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, როცა მამის სარეცელთან მივიდა, შეამჩნია, რომ სტალინს რაღაცის თქმა სურდა...

40

ბიბლუსი

— ლოგინში დიდხანს ვიტრიალე... ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა, მაგრამ სროლის ხმამ მალე გამომაღვიძა...
— ეს რომელ საათზე მოხდა?
— დაახლოებით 4-ის ნახევარზე...

56

ტაიმ-აუტი

„ხანში შესული“ ბიკინი

დღეს ყველაზე პოპულარული საცურაო კოსტიუმი — ბიკინი უკვე 65 წლისაა. მისი პირველი მოდელი პარიზელმა ლუი რეარმა შექმნა. როგორც ცნობილია, მან ჟაკ ხაიმის მიერ რამდენიმე თვით ადრე შექმნილი საცურაო კოსტიუმის — „ატომი“ მოდელი დახვეწა...

74

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

მილი, მიშა, მიაწექი! ჯიგარი ხარ!!!

შესავლის ნაცვლად აი, მინდოდა, ასე მიმემართა ჩვენი პრეზიდენტისთვის, როდესაც მან ბათუმში პირველი ID ბარათების გადაცემის ცერემონიაზე კიდევ ერთხელ დაგვისურათხატა, რომ ჩვენ „მართლა ყველაზე მაგარი“ ქვეყანა ვართ, მაგრამ მაცალა რო?! „ჯიგრული გაგების სუბიექტები ჩვენთან აღარასოდეს დაბრუნდებიან!“ — ბრძანა და დამტოვა „გაღიმებული“...

მიშა, მიშა, მე კიდე რა ჯიგარი მეგონე...

„ჩვენმა თაობამ გააკეთა ის, რაც ვერავინ გააკეთა მსოფლიოში“ — ანუ ჯიგრული გაგება მოვსპეთო და უხარია...

ეეეჰ, „დაიწო ჯიგარი“, რა...

არადა, შესაძლოა, ბევრ თქვენგანს გახსოვთ დიალოგი, რომელიც საქართველოს პირველ ქალბატონსა და მავან ქართველ „ტელედივას“ შორის შედგა ამ უკანასკნელის ტოქშოუში:

„— როდესაც მე და მიშა ნიუ-იურკში ვცხოვრობდით (*„როცა მამამ პეტერბურგში წაგიღო...“ — ავტ.*), იქ კატა გვყავდა, რომელსაც „ჯიგარო“ (*!!! — ავტ.*) ერქვა.

— „ჯიგარო“ რატომ?

— მე მაშინ ქართული არ ვიცოდი და როდესაც მიშას თბილისიდან ურეკავდნენ, ყველაზე ხშირად ამ სიტყვას ხმარობდა, ყველას ასე მიმართავდა სიყვარულით: „ჯიგარო, ჯიგარო“... მეც მომეწონა, დამამახსოვრდა და ჩვენს საყვარელ კატას დავარქვი. პასპორტიც ჰქონდა იმ კატას, სადაც ეწერა: „ჯიგარო სააკაშვილი“ (*!!!!! — ავტ.*)“

აი, მართლა ჯიგარი ქალბატონი ბრძანდებით, ქალბატონო სანდრა, ოღონდ ერთი რამეც არ დაგვიმალოთ, რაااა: იმ კატამ თქვენს მეუღლეს მერე რამე დაუშავა?

რა ვიცი... იქნებ დაპორჭყნა (ძااااალიან მაგარი სიტყვაა ესეც — „დაპორჭყნა“)?! ან იქნებ უალაგო ალაგას ფსამდა?.. აბა, ლუდს სვამდა ქუჩაში, გასტრონომის წინ, უბნის ლოთებთან ერთად?.. ყოველ შემთხვევაში, როგორც გუშინ (როდესაც პრეზიდენტის მიერ „ჯიგრობის“ აკრძალვა გავაპროტესტე) ერთმა „ნაცუმრავლესობის“ მხარდამჭერმა ამიხსნა, — „ჯიგრული მენტალიტეტი“, რომელიც „ქურდულის გადმონაშთი“ ყოფილა, სწორედ ამისგან შედგება: ეზოში რომ სხედან და დომინოს თამაშობენ; მეზობელი მეზობელს ან ძმაკაცი ძმაკაცს რომ ხელწერილის გარეშე 100 ლარს უპროცენტოდ ასესხებს (თუ აჩუქა — საერთოდ დასაჭერია); ჰო, „ძმაკაცზე“ გამახსენდა — ეს სიტყვა და ცნებაც „საბჭოთა გადმონაშთია“ და ხელს გვიშლის მაპ-ის მიღებაში; ხომ გაიგე, პრეზიდენტმა რა თქვაო? — „ჩვენს მთავრობას ებრძვიან და ცდილობენ, ქვეყანა დააბრუნონ ჯიგრულ, ნაგვიან, კრიმინალურ, კორუფციულ ყოფაში“!!!

შე დალოცვილო და კაიდედმამიშვილო (აუჰ, ეს სიტყვებიც ხომ არ აიკრძალა?!), ის შენი კატა თუ „ჯიგარი, ნაგვიანი, კრიმინალი და კორუფციონერი“ იყო, პასპორტს რას უღებდი და გვარს რაღას აძლევდი, ვერ დაახრჩვე, როცა მოგიყვანეს, იმ დღესვე?!

მოიცათ! ვაااა!!! აი! ამწუთას შეგიძლიათ გადაამოწმოთ, დადასტურდება, ალბათ, ოფიციალურადაც: ახლა სამშაბათია, პირველის თხუთმეტი წუთი და მიწისძვრა მოხდა თბილისში!!! ეგეც მე! მეუბნებოდა ერთი კდემამოსილი ქალბატონი ამას წინათ (დარეკა რედაქციაში და „ბატონი პროვოკატორი მინდოდაო“ — ასე იკითხა): „ვინც ჩვენი პრეზიდენტის ღვაწლს ვერ ხედავს, ფეხქვეშ მიწა უნდა ეცლებოდეს!“ მართალი ხართ, ქალბატონო, პრეზიდენტი ჯიგარია-მეთქი და იმანაც — დიახაც, ჯიგარიაო!

ეეეჰ, „კდემამოსილო ქალბატონო“, თქვენც „გადმონაშთი“ ყოფილხართ და წუთის წინ რომ მიწა იძრა, ერთი ჯიგრიანად არ შეგაყანყალათ?!

ჰო, მართლა, სანამ მე აქ ვღლაბუცობ, ვერიკო ქობალიას „ზავედენიამ“ ვიღაც „შინაურ სასტავს“ მაგრად უჯიგრა და სატელევიზიო ანძა ჯიგრულ ფასში — 110 ათას ლარად მიართვა. ახლა ის ჯიგრები, როცა უნდათ და ვისაც უნდათ, გამორთავენ და დარჩებით მართლა „real TV“-სა და ჟურნალ-გაზეთების ამარა... კარგია, მკითხველი მომემატება — ჯიგრები ხართ, ჯიგრები!..

P.S. ცოტა უხერხული კია, რომ ჩვენს დიდებულ, პატრიოტ, განათლებულ და ჯიგარ(!) ოპოზიციაზე დღეს ვერაფერს ვამბობ, მაგრამ რა ვქნა? აღარ მეყო ადგილი — აგერ, პრეზიდენტის ქონებრივი დეკლარაცია გამოქვეყნდა და არაფერი ვთქვა?

მოკლედ მოგახსენებთ: სააკაშვილის საბანკო ანგარიშები წინა წელთან შედარებით, 140 ათასი ლარით არის გაზრდილი (ნუ იცინით, ეს — ოფიციალურად), მაშინ, როდესაც შემოსავალი დაახლოებით ამ თანხის მესამედი ჰქონდა. ანუ — საიდან მაყუთი (ამ სიტყვაზეც „სანქციაა“)?!. საიდან და ვიღაცამ „უჯიგრა“, — აჰა, მიშა, შენ, 110 ათასი ლარი, იმიტომ, რომ ჯიგარი ხარო! ესეც ადგა და შეიტანა დეკლარაციაში — ხომ არ დამალავდა?!

კარგი, დავამთავროთ, მაგრამ ერთი რამე მაინტერესებს — იმას, კატას, ჯიგარო სააკაშვილს, კნუტები დარჩა?..

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

არყის ბოთლის ფორმის კუბო რუსებისთვის...

განელი ოსტატი, ერიკ აჯეტა ანანგი, რომელიც მსოფლიოს ორიგინალური ფორმის კუბოებით აოცებს, რუსებს არყის ფორმის კუბოებს უმზადებს. გას ტომში მიიჩნევენ, რომ გამორჩეული ფორმის ჩასასვენებელი გარდაცვლილისადმი პატივისცემის გამომხატველია. ანანგმა საზოგადოებას უკვე წარუდგინა თვითმფრინავის, კიბორჩხალის, ქათმის, ჩანთის, წიგნისა და სხვა ორიგინალური ფორმის სასახლეები. ოსტატი რუსეთში მსოფლიო დამკრძალავი კულტურის მუზეუმის მიწვევით ჩავიდა, რომელიც ნოვისიბირსკში მდებარეობს. ანანგს „განას ეგზოტიკური კუბოების“ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, მუზეუმისთვის თევზისა და „კოკა-კოლის“ ბოთლის ფორმის კუბოები უნდა დაემზადებინა, მაგრამ ბოლო მომენტში გეგმები შეიცვალა: მუზეუმის ხელმძღვანელმა და განელმა ოსტატმა რუსი ხალხისთვის არყის ბოთლის ფორმის განსასვენებელი უფრო შესაფერისად მიიჩნიეს. ■

ზღვის კატა — ფსიქოლოგიური ტრავმის დასამარცხებლად

იაპონელები დამანგრეველი მიწისძვრისა და ცუნამისგან მიღებულ ფსიქოლოგიურ ტრავმას ორიგინალური მეთოდით ებრძვიან. ფირმამ — Daiwa House მიმზიდველი ცხოველის — ზღვის კატის რობოტი-ანალოგი შექმნა, რომელიც ტრავმირებულ მოსახლეობას უარყოფითი ემოციებისგან განტვირთვაში დაეხმარება. ორი ფუმფულა ფისუნია, რომელსაც თვალების ნაზად ხამხამი და მოძრაობა შეუძლია, უსახლკაროდ დარჩენილთა თავშესაფრის ბინადრებს საჩუქრად გადაეცათ. „ტრაგედიაგადატანილი ხალხისთვის შინაური ცხოველები გამაღიზიანებელი იქნებოდა, ამიტომაც არჩევანი ზღვის კატებზე შევაჩერეთ. ისინი თეთრი ფერისაა და სიმბოლურად, მშვიდობას განასახიერებენ“, — განაცხადა საწარმოს მენეჯერმა ტაკუ კატუნმა. ცხოველი-თერაპევტების ფასი 1.600-2.000 დოლარია და მათი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ვისაც მანუგეშებელი ცხოველის შესაძენად თანხა არ ჰყოფნის, შეუძლია, ის თვეში 155 დოლარად იქირაოს. ■

ოსებმა რუსებს „წიხლი უკრეს“?!

„სამხრეთ ოსეთი არ აპირებს, რუსეთის ნაწილი გახდეს“, — ასეთი კომენტარი გააკეთა ვლადიმირ პუტინის განცხადებაზე რუსეთში ცხინვალის ე.წ. ელჩმა დმიტრი მედოევმა. როგორც უკვე ცნობილია, პუტინმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით საჯარო განცხადება გააკეთა. „თქვენთვის რუსეთის პოზიცია ცნობილია; როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საომარი აქცია განახორციელა, რუსეთის ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთს დაუჭირა მხარი. ჩვენ ახლაც მხარს დავუჭერთ ოს ხალხს, თუ ის ცხინვალის რუსეთთან შეერთებას გადაწყვეტს“, — აღნიშნა პუტინმა. მედოევმა არ გამორიცხა, რომ რუსეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა მომავალში სამოკავშირეო სახელმწიფო შექმნან, მაგრამ აღნიშნა, რომ რუსეთის შემადგენლობაში ცხინვალის შესვლა არც კი განიხილება. „სამხრეთ ოსეთი არ აპირებს თავისი თავისუფლება რაღაც პოლიტიკურ დინებებზე გაცვალოს. ჩვენმა ხალხმა თავისუფლების სასარგებლოდ საკუთარი არჩევანი რეფერენდუმზე გამოხატა და არავითარი გეგმა რუსეთის სუბიექტად ქცევისა არ არსებობს“, — განაცხადა მედოევმა. ■

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲬᲣᲬᲣᲠᲐᲥᲘᲐ?!

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონს, რომელიც შვებულებას იტალიაში ატარებს, ერთ-ერთ კაფეში მომსახურებაზე უარი უთხრეს. ქალაქ მერკატალე ვალდარნოში კამერონმა ოფიციანტს ყავის მოტანა სთხოვა, მაგრამ გოგონამ მას განუცხადა: „ძალიან დაკავებული ვარ და თუ შეიძლება, ყავა თვითონ დაისხით!“ მოგვიანებით მიმტანმა ფრანჩესკა არიანიმ ახსნა, რომ კამერონი უბრალოდ ვერ იცნო, მაგრამ ამასთანავე, დაიჩივლა, რომ პრემიერ-მინისტრმა „ჩაი“ არ დაუტოვა. ■

ᲡᲐᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲝ ᲢᲐᲥᲡᲘᲗ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ

სექტემბრიდან სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის ფასი 1 ლარს მიაღწევს. კომპანია „თბილლაინში“ სამარშრუტო ტაქსების მძღოლები დაიბარეს, სადაც სექტემბრის პირველი ნახევრიდან დაგეგმილი გაძვირების შესახებ აცნობეს. როგორც № 85 სამარშრუტო ტაქსის მძღოლები იტყობინებიან, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სექტემბრის

პირველი ნახევრიდან მგზავრობა 1 ლარი გახდება. მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე დაბარებული იყო ყველა სამარშრუტო ხაზის მძღოლი. მძღოლებმა აღნიშნული გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მაგრამ კომპანიის მესვეურები მათ სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრნენ. „ხალხის აგრესიის მოგერიება ჩვენ გვიხდება, ამიტომ შეხვედრაზე ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავედით, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ თუ მუშაობა არ გვინდა, ათასობით ადამიანი იმუშავებს ჩვენს ადგილზე, ამიტომ იძულებული გავხდით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას დავთანხმებოდით“, — აღნიშნეს № 85-ის მძღოლებმა. ■

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲐᲜᲫᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲤᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აუქციონში გამარჯვებულად კომპანია „გოლდენ კომი“ დაასახელა. სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი „გოლდენ კომის“ რეგისტრაციის ადგილის ან სხვა მონაცემების შესახებ. „ახალმა ინვესტორმა „ალფა-კომს“ პროფილი უნდა შეუნარჩუნოს. „ალფა-კომის“ მართვის უფლება 110.000 ლარად გაიყიდა. აუქციონის პირობების მიხედვით, ახალი ინვესტორი „ალფა-კომში“ უახლოესი 4 წლის მანძილზე 12 მლნ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს, გადააიარაღებს ანძის ტექნიკურ ბაზას და დანერგავს ახალი ტიპის სატელეკომუნიკაციო სერვისებს. „აუქციონის შედეგად, თბილისის სატელევიზიო ანძა არ გაყიდულა. შპს „ალფა-კომი“, რომლის ერთ-ერთი აქტივიც თბილისის სატელევიზიო ანძაა, კომპანია „გოლდენ კომს“ მხოლოდ 4 წლით გადაეცა მართვაში“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. ■

ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ ᲑᲣᲠᲗᲨᲘ

საფრანგეთის ქალაქ რუბეში უჩვეულო სასტუმრო გაიხსნა, სადაც ტურისტებს ნომრების ნაცვლად, გამჭვირვალე ბურთებში დაძინებას სთავაზობენ. ეს იდეა მეწარმე რუდოლფ პალადინოს ეკუთვნის. ბურთი სპეციალური მკვრივი მასალისგან არის დამზადებული, რისი წყალობითაც ერთ ადგილზე ყოველგვარი საყრდენის გარეშე ჩერდება. სტუმარს შეუძლია, 130 ევროდ თავი კომფორტულადაც იგრძნოს და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ცქერითაც დატკბეს. უჩვეულო სასტუმროში ღამის გასატარებლად ტურისტები უკვე ამსტერდამიდან, პარიზიდან და ბელგიის სხვადასხვა ქალაქიდან ჩადიან. ■

რუბრიკა მოამზადა
ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

„ბოლო დროს ქვეყანაში უცნაური რაღაცები ხდება და ეს ძალიან მაშფოთებს“

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მომხდარი მოვლენებიდან, საზოგადოების ყურადღების ცენტრში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი ერთდროულად მოექცა. მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ თბილისელთა უმრავლესობას გაუსაძლისი სიცხე, მწერებისა და ქვეწარმავალების მომრავლება ისევე აწუხებს, როგორც სამარშრუტო ტაქსების გაძვირება...

ხათუნა ბახტურიძე

გოჩა ფვეიძრიშვილი, *45 წლის, მუშა:*

— სამარშრუტო ტაქსების გაძვირებაც ძალიან მაწუხებს და ქვეწარმავლების მომრავლებაც. ჩემი პატარა შვილიშვილები ეზოში ხშირად თამაშობენ და მეშინია, რაიმე ხიფათს არ გადაეყარონ. რამდენიმე დღის წინ მეზობლის ბავშვმა ეზოში ანკარა დაინახა. მართალია, ეს გველი შხამიანი არ არის, მაგრამ ბავშვს შიშისგან გული წაუვიდა...

ვანო გარსევანიშვილი, *40 წლის, მუშა:*

— ყველაფერზე მეტად, კალიების შემოსევა მაწუხებს. საღამოს მე და ჩემი ოჯახის წევრები ცოცხებით შეიარაღებულები დავრბივართ. ეს ოხრები ისეთი დიდები არიან, ბუზის საკლავით ვერ ვხოცავთ. თუ კარგად შეკრული ცოცხი დამიზნებით არ ჩასცხე, ვერაფერს დააკლებ. ათასი პრობლემის გადამკიდე, ადრე შინ მაინც ვისვენებდი ადამიანურად, ახლა კი რა გამოდის? სიცხისგან შეწუხებული, მწერებს დავდევ მოსაკლავად.

მარიამ ლეფსვერაძე, *59 წლის, ფილოლოგი:*

— ბოლო დროს ქვეყანაში უცნაური რაღაცები ხდება და ეს ძალიან მაშფოთებს. ასაკოვანი ვარ, ბევრი რამ მინახავს და გამიგონია, მაგრამ ქალაქში მწერებისა და ქვეწარმავლების ასეთი შემოსევა მართლაც რომ მაკვირვებს. სოფელში ვარ გაზრდილი, იქ კი კალიებისგან განადგურებული მოსავალიც მინახავს და ეზოში შემოსული ქვეწარმავალიც, მაგრამ დიდ ქალაქებში ასეთი რამ გამორიცხული იყო.

გურამ ალთუნაშვილი, *47 წლის, მეწარმე:*

— კალიების შემოსევას ვინ ჩივის, მე ის უფრო მაშინებს, უცნაური მწერები რომ გამოჩნდნენ. ზოგი ბუზს ჰგავს, მაგრამ ბუზი აშკარად არ არის, ზოგიერთი კი ვერც ერთ მწერს ვერ მივამსგავსე. ნეტავ რა უნდა იყოს მათი გამოჩენის მიზეზი?! სიცხეს ვერ დავაბრალებთ იმიტომ, რომ ასეთი მწველი მზე ადრეც ყოფილა, მაგრამ უცნაური მწერები არ გამოჩენილან.

ნუნუ ეგანო�iძე, *35 წლის, ექიმი:*

— ჩემი აზრით, ამ კვირის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა „აიდი“ ბარათების შემოღება იყო. ერთი შეხედვით, ელექტრონული პირადობის მოწმობა კარგია, აშკარად კომფორტული და მოსახერხებელი იქნება. როგორც გავიგე, „აიდი“ ბარათი მხოლოდ პირადობის მოწმობის ფუნქციას არ შეასრულებს, არამედ მასზე დატანილი იქნება ყველა პირადი ანგარიში, სამედიცინო მომსახურების დაზღვევის ბარათები და მუნიციპალური ტრანსპორტის ანგარიშები. ახალი ბარათების საშუალებით სხვადასხვა პროცედურის გასავლელად ოფისებში მისვლა აღარ მოგვიწევს. მაგრამ არსებობს სხვა პრობლემა: გავრცელდა ინფორმაცია, რომ ელექტრონული პირადობის მოწმობებიც, ბიომეტრიული პასპორტებიცა და პლასტიკური ბარათებიც შეიცავს ადამიანის ქმედების გაკონტროლების ფუნქციას და ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას. მე ისიც გავიგე, რომ ამ ბარათებზე ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ უარი თქვეს.

როსტომ ბალავაძე, *44 წლის, ხელოსანი:*

— არ შეიძლება, ადამიანს ყოველდღიურად შეუზღუდო ღირსეული ცხოვრების საშუალება, მერე ტელევიზიით გამოხვიდე და საკუთარი თავი აქო. სააკაშვილის ყველა საჯარო გამოსვლაში ჩანს, რომ საკუთარი ნამოქმედარით კმაყოფილია. ხომ შეიძლება, მე და ჩემნაირებსაც გვკითხოს ვინმემ, რა მოგვწონს და რა — არა?! პრეზიდენტი კმაყოფილია, რომ „აიდი“ ბარათები შემოიღო, მე — არა. მერჩივნა, ამ პროექტისთვის დახარჯული ფულით სხვა, სოციალური პროგრამა დაეფინანსებინა.

მაკა გულიაშვილი, *26 წლის, ეკონომისტი:*

— ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალი და პრობლემა — მწველი მზეა. ასეთ დროს გაგრილებისა და განტვირთვის ერთადერთი საშუალება — ზღვაზე წასვლაა, მაგრამ ამჯერად იქ წასვლას ვერ ვბედავ: ამბობენ, რომ იაპონიაში ატომური ელექტროსადგურის დაზიანების დროს რადიაციამ გამოჟონა და წელს ზღვა და მზე განსაკუთრებულად სახიფათოა. ძალიან მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური აზრის მოსმენა, მაგრამ ვისაც ვკითხე, დაზუსტებულ პასუხს ვერავინ მაძლევს.

დალი მანსურაშვილი, *42 წლის, დიასახლისი:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური ჩემთვის, სამარშრუტო ტაქსების გაძვირებაა. მოგეხსენებათ, რიგით მოქალაქეებს როგორი ხელფასები გვაქვს. ისედაც ძლივს გაგვჭონდა თავი. მგზავრობის გაძვირება ჩემისთანა ხალხისთვის კატასტროფის ტოლფასია.

თეიგო ლაფერაშვილი, *24 წლის, სტუდენტი:*

— მწერების შემოსევა ძალიან მაფიქრებს. ნეტავ რა ხდება ჩვენს თავს?! იაპონიაში ატომური ელექტროსადგურიდან გამოჟონილმა რადიაციამ დედამიწაზე რაიმე სერიოზული ცვლილება ხომ არ გამოიწვია? ამბობენ, რომ ტარაკნები გადაშენდნენ. ალბათ ეს რაღაცას ნიშნავს — არა მგონია, ბუნებაში უმიზეზოდ ხდებოდეს რამე. ამ ყველაფერს ეს გაუსაძლისი სიცხეც დაემატა. მგონი, ადამიანები ჩვენი ცოდვებისა და შეცდომებისთვის ვისჯებით, ისე დაუნდობლად ვჭეხეთ ხეტყე, ისე თავხედურად დავარღვიეთ ბუნებრივი წესრიგი...

თამარ ლურსმანაშვილი, *37 წლის, მოლარე:*

— ძალიან შემაშფოთა ელექტრონული პირადობის მოწმობებთან დაკავშირებულმა მითქმა-მოთქმამ. კარგი იქნება, თუ ამ ბარათის აღება ნებაყოფლობითი იქნება. ■

ამერიკა დეფოლტს, მსოფლიო კი კრიზისს გადაურჩა

და მაინც, შემოდგომისთვის ფასების ზრდას უნდა ველოდოთ...

ხათუნა ბახტურიძე

აშშ-ის ეკონომიკაში წამოჭრილი სერიოზული პრობლემები გავლენას ახდენს მსოფლიოს ეკონომიკაზე. ამიტომაც, ბოლო დღეებში მასმედიის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული პრეზიდენტ ობამასა და კონგრესის უმრავლესობაში მყოფი ოპოზიციური — რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა დიალოგი, რომლის შედეგზეც დამოკიდებული იყო ჩავარდებოდა თუ არა ამერიკის ეკონომიკა დეფოლტის მდგომარეობაში. საბოლოოდ, შეთანხმება მოხდა: ბარაკ ობამამ და კონგრესმა სახელმწიფო ვალის გაზრდაზე მოილაპარაკეს და ქვეყანა ტექნიკურ დეფოლტს გადაარჩინეს. მათ ვალის ზღვრული ნიშნული 3 ტრილიონი დოლარით გაზარდეს. ამერიკულ მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შტატების პრეზიდენტი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევის სანაცვლოდ, კონგრესთან დათმობაზე წავიდა. ობამა „რესპუბლიკელების“ მიერ შეთავაზებულ, საბიუჯეტო ხარჯების შემცირების ხისტ გეგმას დათანხმდა. დოკუმენტის თანახმად, მომდევნო 10 წლის განმავლობაში საბიუჯეტო ხარჯები 3,75 ტრილიონი დოლარით უნდა შემცირდეს, ხოლო გადასახადებისგან დამატებით

1 ტრილიონი დოლარი უნდა მოიზიდონ. ამერიკის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ადგილობრივი მედიისა და პოლიტიკოსების ნაწილმა მწვავედ გააკრიტიკა, მოსახლეობის უკმაყოფილო ნაწილმა კი თეთრი სახლის წინ საპროტესტო აქცია გამართა. ამ საკითხებთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, ***ირაკლი ლეძვინაძე*** *გვესაუბრება.*

— ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, რამდენად რეალური გამოსავალი იყო, დეფოლტის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევა?

— ეს შეთანხმება იყო აუცილებელი. ქვეყნის დეფოლტი დამანგრეველად იმოქმედებდა არა მარტო აშშ-ის, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. დაძაბულობა პოლიტიკური თემით იყო განპირობებული. რეალურად, ვალდებულებების გასასტუმრებლად რესურსების მოძიების პრობლემა აშშ-ს არ ჰქონდა. დეფოლტი არ სჭირდებოდა არც „რესპუბლიკელებს“ და არც „დემოკრატებს“, არც საერთაშორისო ორგანიზაციებს და არც წამყვან ქვეყნებს. შესაბამისად, ეს შეთანხმებაც შედგა, რომელიც გულისხმობს ვალის ზედა ზღვრის აწევას დაგეგმილი 14,3 ტრილიონი დოლარიდან 16,4-16,6 ტრილიონამდე და პირველ ეტაპზე ბიუჯეტის დეფიციტის 917 მლრდ დოლარით შემცირებას.

დარწმუნებული ვარ, საქართველოსთან დაკავშირებულ პროექტებს საფრთხე არ ემუქრება...

— რადგან ამერიკამ სახელმწიფოს ხარჯი 10 წლის განმავლობაში 1 ტრილიონი დოლარით შეამცირა, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოსთან დაკავშირებულ პროექტებსაც გადახედოს?

— დარწმუნებული ვარ, საქართველოსთან დაკავშირებულ პროექტებს საფრთხე არ ემუქრება, რადგან ჩვენი ქვეყანა აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია კავკასიაში და მეორეც — საქართველოსთან დაკავშირებული პროექტების ღირებულება მიზერულია აშშ-ის ბიუჯეტთან მიმართებაში.

— ვიდრე „რესპუბლიკელები“ და „დემოკრატები“ პოლიტიკური ოპონირებით იყვნენ დაკავებული და სახელმწიფო ვალის გაზრდაზე მსჯელობდნენ, ოქროს ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. როგორ ფიქრობთ — ის ამ ნიშნულზე დარჩება თუ კვლავ დაიკლებს?

— ოქროს ფასის ზრდა განაპირობა გაურკვევლობამ, რომელიც დაკავშირებული იყო აშშ-ის მოსალოდნელ დეფოლტთან. ამ ვითარებამ გაზარდა მოთხოვნა ოქროზე, როგორც დაბანდებისთვის ყველაზე საიმედო აქტივზე. თუმცა ეს იყო ერთ-ერთი კომპონენტი, რადგან საერთაშორისო ანალიტიკოსების პროგნოზით, ოქროზე ფასის ზრდა კიდევ გაგრძელდება: მასზე მოთხოვნა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მიწოდება. მოთხოვნის ზრდას კი განაპირობებს ჩინეთისა და ინდოეთის მხრიდან ოქროს შესყიდვის მაღალი მაჩვენებელი, ეს ქვეყნები საკუთარ რეზერვებს ოქროში ინახავენ. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზრებზე ჯერ კიდევ გრძელდება არასტაბილური მდგომარეობა, რაც უკავშირდება მოსალოდნელ კრიზისებს და დაძაბულობას სხვადასხვა ქვეყანაში. ასეთ პირობებში კი მოთხოვნა ოქროზე ყოველთვის იზრდება.

— შესაძლებელია თუ არა, რომ ამ ყველაფრის გამო მსოფლიოში პროდუქტების ფასი გაიზარდოს?

— საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, მსოფლიოში სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდა ოქტომბრიდან მოხდება; ეს ეხება მარცვლეულს, ხორცისა და რძის პროდუქტებს, ზეთს და ა.შ. საქართველოს სასურსათო დამოკიდებულება საერთაშორისო ბაზრებზე მაღალია, ამიტომ გავლენა, ბუნებრივია, ექნება. ■

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ეთერშია ბათუმი — 150 ქვეყნისთვის

სამშაბათს, 2 აგვისტოს ბათუმში „ემტივის“ ეგიდით გრანდიოზული შოუ გაიმართა: მეგავარსკვლავი ენრიკე იგლესიასი, ჯგუფები — „სტეფანე და სამი G“, „ელდრაინი“, მომღერალი სოფო ნიჟარაძე 10-ათასკაციანი „დარბაზისა“ და მრავალმილიონიანია ტელეაუდიტორიის წინაშე წარდგნენ. ამ კონცერტის მომზადებისა და მისი დეტალებიც შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, მის ერთ-ერთ ორგანიზატორს, „ისტერნ პრომოუშენის“ წარმომადგენელს, კახა კანდელაკს დავუკავშირდით.

ნათია ჟვანია

— ბატონო კახა, რატომ გადაწყდა, რომ „ემტივის“ სახელით საქართველოში მაინცდამაინც ენრიკე იგლესიასი უნდა ჩამოსულიყო?

— ეს გადაწყვეტილება „ემტივის“ წარმომადგენლებმა მიიღეს. ისინი 2 აგვისტოს გამართული კონცერტის ორგანიზატორები არიან და თავადვე გადაწყვიტეს, თუ ვის უნდა ემღერა; სპონსორებიც თავად მოიძიეს. ჩვენი ორგანიზაცია უბრალოდ, „ემტივის“ ერთ-ერთი ადგილობრივი განყოფილებაა და მას კონცერტის ორგანიზებაში ვეხმარებით.

— თქვენ ალბათ პრეტენზია არ გაგჩენიათ, რადგან ენრიკე სახელგანთქმული მომღერალია...

— ამათ ისეთი ძლიერი აპარატურა აქვთ, ნებისმიერი მომღერალი მაგარი გამოჩნდებოდა. თუმცა ენრიკე რომ მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია, ფაქტია, და შესაბამისად, მის ჩამოსვლას საქართველოშიც დიდი დაინტერესება მოჰყვა. ბათუმი გაივსო ტურისტებითა და ქართველი დამსვენებლებით. ენრიკე პოპმომღერალია, პოპი კი, დამეთანხმებით, პოპულარული ჟანრია.

— ამ კონცერტისთვის განკუთვნილ ჰონორარს მომღერლებს თქვენ გადაუხდით თუ „ემტივი“?

— რასაკვირველია, „ემტივი“ გადაუხდის.

— ხომ არ იცით, დაახლოებით რა თანხაზეა ლაპარაკი?

— ვერ გეტყვით, რადგან ასეთ შემთხვევებში, თანხა განსაზღვრული არ არის. მაგალითად, სტინგმა საქართველოში გაცილებით მცირე ჰონორარი აიღო, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში იღებს; ჯო კოკერმა კი იმაზე მეტი — ვიდრე საფრანგეთში... ასე რომ, წინასწარ ვერ ვიტყვით, ვისი ჰონორარი რამდენი იქნება. გააჩნია, საიდან ჩამოგვყავს მომღერალი, რამდენ დღეს დარჩება ქვეყანაში და ა.შ.

— ის ქართველი მომღერლები, რომლებიც ენრიკეს შემდეგ გამოვიდნენ სცენაზე, რა ნიშნით შეარჩიეთ?

„ემტივის“ წარმომადგენლებმა ქართველი მომღერლების კლიპები ნახეს და იმის მიხედვით შეარჩიეს

— არც მათ შერჩევაში მიგვიღია მონაწილეობა. „ემტივის“ წარმომადგენლებმა ქართველი მომღერლების კლიპები ნახეს და იმის მიხედვით შეარჩიეს, თუ ვინ იმღერებდა 2 აგვისტოს „ემტივის“ სცენაზე.

— „სტეფანესა და სამი G“-ს კლიპი „ემტივის“ არხზე რომ მოხვდა, ყველამ ვიცით და გასაკვირი არ არის, თუ ამ კლიპის შემდეგ არჩევანი ამ ჯგუფზე შეაჩერეს. მაგრამ ჯგუფი „ელდრაინისა“ და სოფო ნიჟარაძის კლიპები ამ არხზე არავის უნახავს...

— ალბათ სხვაგან ნახეს... ნამდვილად არ ვიცი, როგორ შეირჩნენ ეს მომღერლები.

— ერთი სიტყვით, საორგანიზაციო საქმეებში თქვენ არ ერევით. ეგებ ამიხსნათ, ამ კონცერტში რა ფუნქცია ჰქონდა „ისტერნ პრომოუშენს“?

— ძალიან ბევრი საქმე გვქონდა. 80-ფურცლიანი კონტრაქტი გვაქვს და ყველაფერს ვერ ჩამოგითვლით — პოლიცია, დაცვა, სასტუმრო, აპარატურის აწყობა და ა.შ.

— **როგორც ვიცი, 200 ევროპელი მუშა სპეციალურად აპარატურის ასაწყობად ჩამოვიდა...**

— 150 მუშა ჩამოვიდა, ისიც — ბოლო დღეებში. მანამდე ამ ყველაფერს მომზადება ხომ უნდოდა?! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2 მილიარდ-დოლარიანი აპარატურაა...

— **ენრიკემ ქართული კერძები დააგემოვნა?**

— რასაკვირველია. მიუხედავად იმისა, რომ „ემტივის“ დელეგაციას თავისი მზარეული ჩამოჰყვა, სტუმ-

რებს ქართული კერძებითაც გავუმასპინძლდით. ერთი სიტყვით, პროექტი მართლაც ძალიან დიდი და გრანდიოზულია; ამ კონცერტის კადრები 150 ქვეყანაში გადაიცემა. ძალიან მაგარი „პრომოუშენი“ მომზადდა, რომლის ხილვის შემდეგაც, დარწმუნებული ვარ, ბათუმს არაერთი უცხოელი ტურისტი ესტუმრება. ჰოლანდიიდან ჩამოსული ქართველები ამბობენ, — თითქმის ყველა არხზე საქართველოს რეკლამა გადისო. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან კარგია. მართალია, ენრიკეს კონცერტი ძვირად ღირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ტურისტებს მოვიზიდავთ და თანხას ასმაგად „ამოვიღებთ“.

— **მსგავსი კონცერტები ალბათ კიდევ იგეგმება.**

— რასაკვირველია. „ემტივი“ საქართველოში სულ 3 კონცერტს გამართავს, ოღონდ — წელიწადში ერთხელ. შემდეგ ორ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სხვა არტისტებს ჩამოიყვანენ.

— **წარმატებებს გისურვებთ...**

— გმადლობთ.

ბოლოს შეგახსენებთ ენრიკე იგლესიასის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტებს.

„ფარულად“ დაწყებული კარიერა,

გაყრა სახელოვან მამასთან და საარალული ციფრი – 7

ესპანელი მომღერალი ენრიკე იგლესიასი 1975 წლის 8 მაისს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში დაიბადა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ის მომღერალ ხულიო იგლესიასისა და ჟურნალისტ იზაბელ პრეისლერის მესამე შვილია. ენრიკეს მშობლები 1978 წელს გაიყარნენ, მომდევნო წელს კი ხულიო მაიამიში გადავიდა საცხოვრებლად და მუსიკალური კარიერაც იქ გააგრძელა. 1985 წელს მასთან საცხოვრებლად ენრიკე და მისი და-ძმაც გადავიდნენ. პატარა მომღერალს ძიძა ზრდიდა. ენრიკემ პირველად სიმღერები სწორედ მისგან ნასესხები ფულით ჩაწერა, რადგან არ სურდა, მამა დახმარებოდა; არც ის უნდოდა, მისი წარმატების საწინდარი მხოლოდ პოპულარული გვარი ყოფილიყო, ამიტომ თავდაპირველად, ენრიკე მარტინესის ფსევდონიმით გამოდიოდა სცენაზე. მოგვიანებით მომღერალი ტორონტოში გაემგზავრა, სადაც თავისი პირველი ალბომი ჩაწერა და მალე „გრემის“ ჯილდოც მიიღო.

როგორც ჩანს, მამა-შვილს არცთუ ისე სახარბიელო ურთიერთობა ჰქონდა: როგორც ცნობილია, 1998 წელს ენრიკე ნომინირებული იყო AMERICAN MUSIC AWARD-ზე ნომინაციაში — „საუკეთესო ლათინურამერიკელი მომღერალი“; ამავე კატეგორიაში ნომინირებული გახლდათ ხულიო იგლესიასიც, რომელმაც განაცხადა, რომ თუ მისი შვილი ამ ჯილდოს მიიღებდა, ის დარბაზს დემონსტრაციულად დატოვებდა. სწორედ ამის გამო, ენრიკემ ჯილდოზე უარი თქვა. ამას ისიც დაერთო, რომ 2003 წელს ენრიკემ გამოუშვა თავისი მეშვიდე ალბომი სახელწოდებით „7“. იმავე წელს, მამამისმაც გამოუშვა თავისი რიგით სამოცდამეჩვიდმეტე ალბომი სახელწოდებით „77“. კრიტიკოსებმა ენრიკეს ალბომი უარყოფითად შეაფასეს, ხულიოს ალბომმა კი მას გაცილებით დიდი პოპულარობა მოუტანა.

როგორც ცნობილია, ენრიკემ კინოშიც მოსინჯა ძალები. ის ჯონი დეპთან, ანტონიო ბანდერასთან და სელმა ჰაიეკთან ერთად თამაშობს ფილმში „ერთხელ მექსიკაში“...

რაც შეეხება მომღერლის პირად ცხოვრებას, მას რომანი არაერთ ცნობილ ქალთან ჰქონია, მათ შორის არიან: სოფია ვერგარა, ალექსანდრა ჩერონი, სამანტა ტორესი, ალისია მაჩადო და ჯენიფერ ლავ ჰიუიტი. ეს უკანასკნელი მის ერთ-ერთ პოპულარულ კლიპში „HERO“ მონაწილეობდა. ბოლო 6 წლის განმავლობაში მომღერალი რუს ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას ხვდებოდა. მათ არაერთხელ თქვეს, რომ დაქორწინებას აპირებდნენ; მერე ამბობდნენ, — უკვე დავქორწინდით და გავიყარეთ კიდეცო, მაგრამ ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. პაპარაცების თქმით, კურნიკოვა ორსულადაც კია... საქართველოში ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე იგლესიასმა განაცხადა, — ჩოგბურთელს სამუდამოდ დავშორდიო...

 თალიზი
თმის გადანერგვის კლინიკა

ფაშაკენტის ქ. 27 ტელ: 214-15-15
www.talizi.ge

უკბილო დემოკრატია ანუ „ნორვეგიელი“ ქართველის ნაამბობი

და უტოიაზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლის წერილი

„პირველად, როცა საქართველოდან ნორვეგიაში, კონკრეტულად კი ქალაქ ოსლოში ჩამოვედი, რამდენიმე თვე თავი სამოთხეში მეგონა, მაგრამ შემდეგ, მათ ზღვარს გადასულ, მართლაც რომ „უკიდეგანო“ დემოკრატიაზე ვბრაზობდი კიდეც. ოსლოში პოლიციის ფორმაში გამოწყობილი ადამიანი პირველად რამდენიმე კვირის შემდეგ ვნახე, რადგან მათთვის ბოროტმოქმედი და ძალადობა იმდენად უცხო ტერმინი იყო, როგორც ჩვენთვის სიმშვიდე და უსაფრთხოება შევარდნაძის ხელისუფლების წლებში,“ — მიყვება 33 წლის ლიკა ბამსახურიძე, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქში მეშვიდე წელია ცხოვრობს. მას კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დავუკავშირდი და იქაური ცხოვრების პირობებისა და ადათ-წესების შესახებ მოყოლა ვთხოვე.

ლიკამ იმ პოლონელი მოზარდის ჩანაწერიც მოგვაწოდა, რომელიც კუნძულ უტოიაზე მომხდარ ტრაგედიას თავად შეესწრო და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს...

ლალი პაპასკირი

— უკვე წლებია, ნორვეგიაში ვცხოვრობ. თბილისში უმაღლესის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად, გაცვლითი პროგრამით, ოსლოში წამოვედი. ჯერ სპეციალურად ემიგრანტებისთვის გახსნილი ექვსთვიანი კურსები გავიარე. მისი დასრულების შემდეგ კი — სწავლა ოსლოს უნივერსიტეტის კულტურის ფაკულტეტზე გავარძელე. პარალელურად, ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში ჩემი სპეციალობით ვმუშაობდი, ოღონდ უშტატოდ და უხელფასოდ. წელიწად-ნახევრის განმავლობაში ექსკურსიამძღოლის თანაშემწე ვიყავი. ინგლისურად და რუსულად კარგად ვლაპარაკობ და მას უცხოელებთან ურთიერთობაში ვეხმარებოდი.

— მისი თარჯიმანი იყავით?

— დიახ, ოღონდ ამ ყველაფერს უფულოდ ვაკეთებდი, ჰონორარს არ მიხდიდა, მაგრამ ჩემს ყველა ვიზიტს ის აფინანსებდა და რაც მთავარია, გამოცდილებასაც ვიღებდი. მაშინ დავათვალიერე საოცარი ციხესიმაგრე აკერჰუსი, სადაც 1940 წელს გესტაპო შევიდა და 5 წლის განმავლობაში იქ იყო დაბინავებული. გერმანელთა ნივთები დღემდე დაცულია და ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს. არაერთხელ მინახავს ფანატიკოსი გერმანელები, რომლებიც იმ ოთახებში შესვლისას რატომღაც ხმამაღლა ტიროდნენ... იმ ორგანიზაციაში მუშაობისას ვნახე ვიკინგთა ხომალდების მუზეუმი, „გუკსტადისა“ და „ოსებერირგის“ ხომალდები, რომლებიც ოსლოს უნივერსიტეტის კულტურის მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განძია. ყოველ წელს მილიონობით დამთვალიერებელი ჰყავს და ჩემზეც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა... საერთოდ, ნორვეგიას საკმაოდ დიდი და საინტერესო კულტურა აქვს. ადგილობრივებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი ქვეყანა და მისი ისტორიაც კარგად იციან. იქ ჩასულმა ემიგრანტმა, რაც მეტი იცის ნორვეგიაზე, თავის დამკვიდრების მეტი შანსი აქვს. ამ თვისებით ისინი ქართველებს მაგონებენ, თუმცა ჩვენებისგან განსხვავებით, უფრო ცივი და კანონის მიმართ ზედმეტად ლოიალურად განწყობილი ერია... ერთი სიტყვით, 2 წლის განმავლობაში უფულოდ მუშაობამ საკმაოდ დიდი სტიმული მომცა და სამსახურის დაწყებაში დამეხმარა. ახლა, როგორც ნორვეგიელები იტყვიან, სოციალურად ძალიან აქტიურად ვცხოვრობ და საკმაოდ ნორმალური შემოსავალიც მაქვს.

— ახლაც ექსკურსიამძღოლად მუშაობთ?

— დიახ. რახან ნორვეგიაში ბევრი ტურისტი ჩამოდის, გიდობა ძალზე სარფიანი საქმეა — გარდა იმისა, რომ ამაში გასამრჯელოს იღებ, კულტურული ძეგლების დათვალიერების შესაძლობელობაც გაქვს... აქამდე მეგონა, რომ გამიმართლა და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაში ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა მივხვდი, ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია... ქვეყანაში სოციალიზმია აშენებული. ისეთი კანონები აქვთ, გაგეცინებათ. კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსს გადავავლე თვალი და თავი რომელიღაც ზღაპრულ ქვეყანაში მეგონა, რომელსაც კეთილშობილი პრინცი მართავს... მაგალითისთვის გეტყვით, რომ 1889 წლიდან, ბავშვების ფიზიკური დასჯა, როგორც სკოლებში, ისე ოჯახებში, აკრძალულია და ადმინისტრაციული ჯარიმით ისჯება. მათი თქმით, სხვისი გავლენის ქვეშ მოზარდის მოქცევა, მის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას უშლის ხელს. ერთადერთი, რაზეც დღემდე ვერ შეთანხმდნენ და უკმაყოფილებაა, ენის საკითხია. ნორვეგიელების უმეტესობა დანიურად და შვედურად საუბრობს. უმეტესობა შვედურ ტელევიზიებს უყურებს, რაც ერთი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს... ძირითადად, ორი სალიტერატურო ენა აქვთ: — ძველი ნორვეგიული — ლანსმოლი, იგივე ბუკმოლი (რომელსაც პრინციპულად ინარჩუნებენ) და ახალნორვეგიული — ნიუნორკსა. ძველნორვეგიული, იგივე ისლანდიურია. ორივე ლიტერატურული ენაა და საგანმანათლებლო პროცესი, ქვეყნის პოლიტიკა და ადმინისტრირება, პრესის მუშაობა ორივე ენაზე მიმდინარეობს.

— ლიკა, როგორ აისახა ნორვეგიელებზე ჯერ ოსლოსა და შემდეგ კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტერაქტი?

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, უამრავ ტურისტთან და ადგილობრივთან მაქვს ურთიერთობა. ჩვენთან არაერთი ტურისტული კომპანია თანამშრომლობს და იმ დღეებში ყველა პარალიზებული იყო. ამ ტრაგედიის შემდეგ, ხალხი პანიკაში ჩავარდა და ფსიქოლოგიურ ცენტრებს მიაწყდა. ოსლოში ის ავტობუსი, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო, ორი დღის განმავლობაში ჩვენს ოფისთან ახლოს იდგა. რამდენჯერმე

თავი უცებ ჯოჯოხეთში მეგონა...

ჩავუარე კიდეც, უბრალოდ, რახან ერთ ადგილას იდგა, თვალში მომხვდა.

— არც სამართალდამცველებს მიუქცევიათ ყურადღება?

— იცით, ისეთ ადგილას იდგა, რომ ხელს არავის უშლიდა, ანუ მოძრაობის წესები არ იყო დარღვეული და რატომ უნდა მისულიყვნენ?.. აქაური კანონით, თუკი საეჭვო არაფერია, ტრანსპორტის გაჩხრეკის კი არა, მძღოლისთვის საბუთების მოთხოვნის უფლებაც კი არა აქვთ. ეს მოქალაქის უფლებების დარღვევად მიიჩნევა, მას შეუძლია უჩივლოს და მიყენებული „სტრესის ასანაზღაურებლად," მატერიალური კომპენსაცია მოითხოვოს... ანუ აქაურ კანონმდებლობაში, უამრავი, მაპატიეთ და, სიბრიყვემდე მისული დემოკრატიული ნიუანსია, რომელიც მოქალაქეებზეა მორგებული... ერთი სიტყვით, აფეთქების ხმამ ჩვენი ოფისი შეაზანზარა და მინები ჩაამსხვრია. ჩემი თანამშრომლები პანიკაში ჩაცვივდნენ და ცუდად გახდნენ. მე თბილისის ომი გამოვლილი მაქვს და ასეთი უბედურება უცხო არ ყოფილა ჩემთვის, მაგრამ იმ რამდენიმეწლიანი „სამოთხის" შემდეგ, რაც აქ ვცხოვრობ, თავი უცებ ჯოჯოხეთში მეგონა. იატაკზე დავემხე და მანამდე ვლოცულობდი, ვიდრე შორტებიანი და რეზინისჯოხებიანი პოლიციელები მოვიდნენ და ცოცხალ-მკვდარი წამომაყენეს, მაგრამ იმ სიტუაციაში ასეთი ძალოვანი უწყების წარმომადგენლების ხილვამ ვერ დამამშვიდა.

— სამართალდამცველები იარაღს არ ატარებენ?

— არა, კანონში წერია, რომ ეს ადგილობრივებისა და უცხოელების განწყობილებაზე ცუდად იმოქმედებს... კუნძულზე მომხდარი ტრაგედიიდან მეორე დღეს ქუჩაში რომ გამოვედი, მივხვდი, რომ ერთ დღეში ყველაფერი შეიცვალა. ბავშვების დაღუპვის ამბავს ყველა ძალიან განიცდიდა. სასწრაფოდ გახსნილ დამატებით ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრებს უამრავმა ადამიანმა მიაშურა, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ, ბევრს, უფრო მეტად ემიგრანტებს, ეს ყველაფერი გადაავიწყდათ და ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმს დაუბრუნდნენ, მუშაობდნენ, ერთობოდნენ და მხიარულობდნენ, რაც ნორვეგიელების გაღიზიანებას იწვევდა...

— რა ვერსიებზე საუბრობენ ადგილობრივები? რა გახდა ბრეივიკის მიერ ამ საშინელების ჩადენის მიზეზი?

— არსებობს სხვადასხვა ვერსია. ამბობენ, რომ ამ ადამიანს ძალიან ცუდი წარსული ჰქონდა, მამინაცვალთან იზრდებოდა და ამან ფსიქიკა დაუმახინჯა. თავისი გაუხარელი ბავშვობის აგრესია მან მოზარდების მიმართ გამოხატა... ნორვეგიელების ერთი ნაწილისგან იმასაც მოისმენთ, რომ ტერორისტის გაღიზიანების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ იმიგრანტების მოჭარბებული რაოდენობა იყო. ნორვეგიელებს უცხოელები ყელში ჰყავდათ ამოსული და ბრეივიკმა ეს უბედურება ადგილობრივების „გამოსაცოცხლებლად" გაკეთა.

— როგორ, „გამოსაცოცხლებლად"? რამდენიმე ათეული ბავშვია დახოცილი...

— დიახ, სამწუხაროდ ასეა, მაგრამ მე აქ გავრცელებულ ვერსიებს გეუბნებით... კიდევ ერთი ფაქტორი: ნორვეგიელები ვერ იტანენ აზიელებს, განსაკუთრებით კი — შავკანიანებსა და მუსლიმანებს. იცით, როცა აფრიკელი ტურისტები, რომელიმე კულტურული ღონისძიების შემდეგ სასადილოდ რესტორანში შემყავდა, მომსახურე პერსონალი მათ დაუფარავი აგრესიით ეექცეოდა. არადა, იქ ძალიან მაღალი დონის სერვისია და ასეთი რამე მიუღებელია. ამიტომაც, საქმე რომ არ გაგვფუჭებოდა, ერთ-ერთ რესტორანთან კონტრაქტი გავაფორმე და ყოველთვის იქ მიმყავს. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ისეთებიც არიან, ვინც ბრეივიკის საქციელის გამართლებას ცდილობდნენ, ბევრს გულწრფელად შეეცოდა: რახან ასეთი უბედურება ჩაიდინა, ალბათ მართლაც ძალიან ცუდად იყოო, — და იმითაც კი დაინტერესდნენ, ციხეში გაშვების შემდეგ, მასთან ფსიქოლოგი იმუშავებდა თუ არა. ის კაცი 31 წლის არის; 21-წლიანი (ნორვეგიული კანონმდებლობით, ეს სასჯელის უმაღლესი ზომაა) პატიმრობის მოხდის შემდეგ, 52 წლის იქნება და თუ მის გამოსწორებზე არ ვიფიქრეთ, კიდევ ბევრი ბოროტების ჩადენას შეძლებსო... ამას ჩემი თანამშრომელი ისეთი თანაგრძნობით ამბობდა, კინაღამ ვუთხარი, იქნებ ხელისუფლებას სთხოვოთ, რომ ერთი დღით დახვრეტა დაუშვას-მეთქი?..

— ლიკა, ნორვეგიაში რამდენად დიდია ქართული დიასპორა?

— არც ისე ბევრი ქართველი ცხოვრობს, მხოლოდ რამდენიმეს ვიცნობ. საერთოდ, ოსლო ემიგრანტების ქალაქია, 30-%-ზე მეტი უცხოელია, მაგრამ უფრო მეტად — დანიელები და შვედები...

— როგორც მივხვდი, ადგილობრივები იმიგრანტების მიმართ არც ისე კარგად არიან განწყობილნი...

— დიახ, მართალია, ტურიზმით ცხოვრობენ, მაგრამ იმიგრანტები არ უყვართ... ნორვეგიელები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თავიანთი ქვეყნის პატრიოტები არიან და ვერ იტანენ, როცა მათ ქვეყანას, ქალაქს ცუდად ეპყრობიან. ერთი არასასიამოვნო ამბავი მინდა გავიხსენო — პარკში სეირნობისას ქართველების საუბარი შემომესმა. ის იყო, მათთან მისვლა და გამოლაპარაკება დავაპირე, რომ ერთ-ერთმა წვენის ქაღალდი სანაგვე ურნას დაუმიზნა, მაგრამ რახან გზის მეორე მხარეს იყო, საკმაოდ მოშორებით იდგა, ვერ ჩააგდო. ამაზე ხმამაღლა ახარხარდნენ. გამვლელები შეჩერდნენ, ყველა უყურებდა, რას იზამდნენ, მაგრამ ეს აინუნშიაც არ ჩაუგდიათ... ამ დროს ერთი ქალბატონი მივიდა, წვენის კოლოფი აიღო, სანაგვეში მშვიდად ჩააგდო და უთხრა, — როგორც ვხვდები, შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენს ხელისუფლებას იმიგრანტების შემოსვლასთან დაკავშირებით კანონმდებლობის გადახედვა მოუწევსო... ვფიქრობ, ტერაქტი ამ ნაბიჯის გადადგმას დააჩქარებს.

— ამ ტრაგედიის შემდეგ, საზოგადოებას პოლიციის მიმართ უკმაყოფილება არ გამოუთქვამს?

— არა, აქაურების ფსიქოლოგია სხვანაირად არის მოწყობილი. ხელისუფლებაც და საზოგადოებაც ერთხმად უხდიდნენ მადლობას, „ფანტასტიკურად შესრულებული სამუშაოსთვის". არადა, დაჭრილები ჰყვებიან, რომ მას შემდეგ, რაც ტერორისტმა თავისი „მოვალეობა შეასრულა", ორი საათი თავისუფალი



იმ გერმანელმა სამსჯდრომ, პოლიციის მოსვლამდე 20-ზე მეტი ბავშვი გადაარჩინა

იყო, თან სამოყვარულო ვიდეოკამერაც ჰქონია და რაღაც ჩანაწერიც გააკეთა თურმე. უტოიაზე პატარა პოლონელი მეგობარი, ნერკიუ ვოლი იმყოფებოდა, რომელსაც „ფეისბუკით“ ვესაუბრე და ვთხოვე, იქ განცდილი ტკივილიანი წუთები მოკლედ მოეყოლა. აი მისი წერილიც: „როცა ჩვენს წრეში პოლიციელის ფორმაში ჩაცმული ადამიანი შემოვარდა და სროლა აგვიტეხა, ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. ზოგი მოცელილივით ძირს დაეცა, ზოგი დაჭრილი იყო და წამოდგომა არ შეეძლო, დანარჩენებს შიშმა ხელ-ფეხი შეგვიბორკა... მათ შორის მეც ვიყავი. ვიჯექი და ჩემს მშობლებთან, და-ძმასთან და საყვარელ ადამიანებთან მესიჯებს ვგზავნიდი და ყველას ვეუბნებოდი, რომ ძალიან მიყვარდა. მერე დედას მივწერე, რომ ცოცხალი ვარ და პოლიციელებს ველოდები საშველად, ოღონდ გეხვწები, თავი ხელში აიყვანე და პასუხი არ მომწერო, მესიჯის ხმაზე შეიძლება მკვლელი მიხვდეს, რომ ცოცხალი ვარ და ტყვიის ჯერი გადამატაროს-მეთქი, როგორც ეს არაერთხელ გააკეთა, — როგორც კი დაჭრილი წამოიკვნესებდა, მაშინვე ტყვიას დაახლიდა... მან დამალულებიც იპოვა და მათაც ესროლა. ვისაც შეეძლო, წყალში ხტებოდა. როცა ის მათ გაეკიდა, დრო ვიხელთე და მეც წყლისკენ გავიქეცი, ოღონდ — სხვა მიმართულებით. ამ დროს სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი შევნიშნე, რომელიც გასაბერ ნავში ჩასაფრებული იჯდა. შემეშინდა, ვიფიქრე, მისი თანამონაწილე ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ მან ხელი მომაშველა და თავის ნავში ჩამსვა. მერე კი გამეცნო, — ყოფილი სამხედრო, მარსელ გლეფე ვარ, იმ დროისთვის სხვა კუნძულზე ვიყავი და სროლის ხმაზე წამოვედიო... მუხლთან სისველე ვიგრძენი და სისხლი შევნიშნე, ჯერ ვიფიქრე, რომელიმე დაჭრილის ან გარდაცვლილის სისხლი მომეცხო, მაგრამ მერე ტკივილიც ვიგრძენი.. გლეფემ მითხრა, დაჭრილი ხარო და მაშველების ნავამდე სულ რამდენიმე წუთში მიმიყვანა. იქიდან კი სუნდვოლენის სასტუმროში წამიყვანეს და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მფარველმა ანგელოზმა გადამარჩინა“... ჩემი მეგობრისგან გავიგე, რომ იმ გერმანელმა სამხედრომ, პოლიციის მოსვლამდე 20-ზე მეტი ბავშვი გადაარჩინა. დავინტერესდი ამ ადამიანით და ნერკიუს მისი ფოტოს გამოგზავნა ვთხოვე, რომელსაც თქვენც გიგზავნით.

— **ლიკა, საქართველოში დაბრუნებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— არა, ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. პროექტის დასრულების შემდეგ, შეიძლება, მართლაც ჩამოვიდე. ■

რამდენ მილიონს დათმობენ ებრაელი ბიზნესმენები თავისუფლების სანაცვლოდ?

ებრაელი ბიზნესმენების საქმის ირგვლივ ხმაური არ წყდება. მათი სკანდალური დაკავება 2010 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში მოხდა. ზეევ ფრენკელი და რონი ფუქსი სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის მიცემაში ამხილეს და თბილისის საქალაქო სასამართლომ ფრენკელს 6 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება, დამატებით, სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 100.000 ლარის გადახდაც დააკისრა; ხოლო რონი ფუქსს, 7-წლიანი პატიმრობა და დამატებით, 500.000 ლარის გადახდა მიესაჯა. დაკავებულთა ადვოკატმა — არჩილ კბილაშვილმა ბიზნესმენების უდანაშაულობის დამტკიცება და მათი გამართლება თბილისის სააპელაციო სასამართლოში სცადა. სააპელაციო პალატამაც დაასრულა აღნიშნული საქმის განხილვა და განაჩენი უცვლელი დატოვა.

თეა ხურცილავა

როგორც ცნობილია, 1991 წელს ებრაელ ბიზნესმენებს მაშინდელმა მთავრობამ საქართველოში ნავთობისა და გაზის გადამუშავების ექსკლუზიური უფლება მისცა, მაგრამ 1996 წელს ეს უფლება ჩამოართვა, რადგან ნავთობისა და გაზის კორპორაცია შეიქმნა. ამის შემდეგ ფირმა „ტრამექსმა“ დაკარგული უფლებების აღდგენა ლონდონში, საარბიტრაჟო სასამართლოში სცადა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 100 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა.

გამოძიების მტკიცებით, ბიზნესმენებს ამ თანხის მიღება სურდათ და, 7 მილიონის სანაცვლოდ, თანხის დროულად მიღებაში დახმარებას ფინანსთა მინისტრის მოადგილეს სთხოვდნენ.

ბრალდებულები კატეგორიულად უარყოფენ ბრალს და ირწმუნებიან, რომ ხელისუფლებამ მათ პროვოკაცია მოუწყო. დანაშაულის პროვოცირებაში ფინანსთა მაშინდელ მინისტრ კახა ბაინდურაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ადანაშაულებენ.

ადვოკატი არჩილ კბილაშვილი მიიჩნევს, რომ არც სააპელაციო სასამართლოს უცდია რეალობის დადგენა. „გვინდოდა, დაგვეკითხა პრემიერ-მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, მისი მოადგილე, ადვოკატები და თურქი პროფესორი. ამ ადამიანებს საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვთ. რონი ფუქსი პრემიერ-მინისტრის მოწვევით ჩამოვიდა საქართველოში. სპეცოპერაციაში მონაწილე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პროკურატურის დავალება შეასრულა. სამწუხაროდ, ჩვენი შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა. მნიშვნელოვანი იყო თურქი პროფესორის დაკითხვა, რადგან საქმეში მტკიცებულებად დევს თურქეთში ფარულად გადაღებული კადრები. ვაცხადებთ, რომ თურქეთში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ქართველებს არ შეეძლოთ იქაურ სახელმწიფოსთან შეთანხმების გარეშე. თურქი პროფესორის დასკვნა წარვუდგინეთ სასამართლოს. იქ გარკვევით წერია, რომ ქვეყნებს შორის შეთანხმების არარსებობის პირობებში ასეთი მოქმედების ჩატარება, თურქეთის კანონით, დანაშაულია. კანონის დარღვევით მოპოვებულ დოკუმენტს იურიდიული ძალა არ გააჩნია. მაგრამ, მოსამართლემ ამას ყურადღება არ მიაქცია, — *ამბობს ადვოკატი* ***არჩილ კბილაშვილი****; იგი ამტკიცებს, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებით, ხელისუფლებას დაკისრებული მილიონების გადახდის თავიდან აცილება სურდა,* — სახელმწიფოს 100 მილიონი რომ არ გადაეხადა, ამიტომ შეიმუშავა დანაშაულის პროვოცირების გეგმა. თუ გამოაშკარავდებოდა, რომ გამარჯვებულმა ინვესტორებმა საქართველოში კორუფციული დანაშაული ჩაიდინეს და მათი დაპატიმრება მოხდებოდა, მაშინ შესაძლებელი იყო, თავისუფლების სანაცვლოდ, მათ უარი ეთქვათ მოგებულ 100 მლნ-ზე. ყველაფერი წინასწარ დაიგეგმა, ამ მიზნის მისაღწევად, ძალოვანი სტრუქტურის ოპერატიული თანამშრომელი — ავთანდილ ხარაიძე, პროფესიით იურისტი, ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მას არანაირი ეკონომიკური განათლება არა აქვს. ჩვენებაში ხარაიძემ თქვა, რომ ეს მისი პირველი სამსახური იყო და მინისტრის მოადგილედ დაინიშნა იმიტომ, რომ ფინანსთა მინისტრი — ბაინდურაშვილი მისი ბავშვობის მე-

ხელისუფლებას დღეს 100 მილიონი მთლიანად გადასახდელი რჩება

გობარია. საყურადღებოა ერთი გარემოება: ხარაიძე თანამდებობაზე ბიზნესმენების დაკავებიდან 6 დღით ადრე ინიშნება. ქართულ მხარეს სატელეფონო საუბარი ჰქონდა გამარჯვებულ რონი ფუქსთან და მან გარკვევით თქვა, რომ მოლაპარაკებას მხოლოდ მთავრობის წარმომადგენელთან გამართავდა. ფუქსი გამარჯვებული ინვესტორია. ამ საუბრიდან 3 დღის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს დებულებაში ცვლილება შევიდა და 5 მოადგილის ნაცვლად, სამინისტროში მეექვსე მოადგილის თანამდებობა გაჩნდა. კიდევ 3 დღის შემდეგ, ამ თანამდებობაზე ოპერატიული მუშაკი — ხარაიძე დაინიშნა. მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვამბობთ, რომ ეს ყველაფერი წინასწარ დაიგეგმა. კიდევ უფრო მეტი რწმენის გასაჩენად, ნიკა გილაურმა 2010 წლის 12 ოქტომბერს წერილი მისწერა ბიზნესმენებს და კმაყოფილება გამოთქვა, რომ მათ და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. ამავე წერილით, ნიკა გილაურმა ბიზნესმენები საქართველოში მოიწვია და დაჰპირდა, რომ საარბიტრაჟო დავის მორიგებით დასრულებაზე შესაბამის ხელშეკრულებას ხელს მოაწერდნენ. მოიწვიეს ფრენკელი და ფუქსი საქართველოში. შეხვდა მინისტრის მოადგილე; მის კაბინეტში გადაღებულია 6 შეხვედრა, სადაც მათ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. გამოძიებამ 7 ჩანაწერი წარმოადგინა (მეშვიდე სტამბოლშია ჩაწერილი), მაგრამ მთავარი შეხვედრის ჩანაწერი საქმეში არ არსებობს. საუბარია 2010 წლის 1-ელი სექტემბრის შეხვედრაზე, როდესაც ფრენკელი ჩამოვიდა ისრაელიდან და პირველად შეხვდა მინისტრის მოადგილეს. ხარაიძე წინა დღის დანიშნული იყო. ის ამბობს, რომ იმ დღეს ფრენკელმა ფუქსის სახელით მას ქრთამად 7 მილიონი შესთავაზა იმისათვის, რომ მათთვის განკუთვნილი თანხა სწრაფად მიეღოთ. ამ დღეს შედგა მოჩვენებითი შეთანხმება, მინისტრის მოადგილემ 72 მილიონი შესთავაზა, დარჩენილ 28 მილიონზე მათ უარი თქვეს. ამ 72 მლნ-იდან 7 მილიონი უკან უნდა დაებრუნებინათ ებრაელებს მას შემდეგ, რაც ამ თანხას მიიღებდნენ. მართალია, ბრალდების მტკიცებით, ეს 7 მლნ არის ქრთამი, მაგრამ დაკავებულები ამბობენ, რომ ეს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა იყო — იგი ითხოვდა, 7 მილიონი მათ ინვესტიციაში ჩაედოთ. ეს იმისთვის იყო გამიზნული, რომ სახელმწიფოს ამხელა თანხის გადახდა გაემართლებინა; გარკვეულ პიარ-აქციას ჩაატარებდნენ და იტყოდნენ, — მართალია, სახელმწიფომ ეს თანხა გადაიხადა, მაგრამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ინვესტიციის სახით, ისევ ქვეყანაში დაბრუნდაო. გამოძიების მტკიცებით, ფინანსთა მინისტრმა მოლაპარაკებების წარმოება ხარაიძეს დაავალა და ამ მოლაპარაკების პროცესში ის დააწინაურეს. დანიშვნიდან მეორე დღეს კი მას ქრთამი შესთავაზეს. არადა, ვხედავთ, საგარეო ურთიერთობებს კურირებს იურისტი ხარაიძე, რომელიც მხოლოდ ქართულად და რუსულად ლაპარაკობს, თან, ფინანსთა სამინისტროს კადრისთვის შეუფერებელ ცოდნას ამჟღავნებს: არ იცის, რას ნიშნავს ფულის მიმოქცევა, საბანკო გარანტია და ა.შ. როცა ასეთი რამ აშკარავდება, ეჭვის საფუძველი არსებობს. ფაქტია, დაგეგმილი პროვოკაცია განხორციელდა. ბოლომდე არ გაუმართლათ. ეს 100 მილიონი ორ ადამიანს ეკუთვნის. მართალია, მოსაწვევი ორივეს გაეგზავნა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბიზნესმენი ჩამოვიდა; მეორეც (*ბერძენი ბიზნესმენი, იოანის კარდასოპულოსი იგულისხმება. — ავტ.*) რომ დაეკავებინათ, ეს საკითხი ალბათ იოლად გადაწყდებოდა: შესაძლოა, დაპატიმრებულებს თავისუფლების სანაცვლოდ, თანხაზე უარი ეთქვათ. ხელისუფლებას დღეს 100 მილიონი მთლიანად გადასახდელი რჩება“, — *განაცხადა ადვოკატმა.*

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამ სკანდალის გამო, ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. 2010 წლის ოქტომბერში, ოფიციალურად დაგეგმილი, პრემიერ-მინისტრის ვიზიტები ისრაელში ისე გაუქმდა, რომ განმარტებაც არ გაუკეთებიათ ქართული მხარისთვის. მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის გაუქმების მიზეზად, ისრაელის პარლამენტის პრესსპიკერმა ბიზნესმენების დაკავება დასახელა. საკითხი კვლავ გადაუჭრელია. ყველა ღონეს მიმართა დაკავებულის ადვოკატმა და პრეზიდენტს დაკავებულთა შვილების სახელით, მათი შეწყალებაც სთხოვა, მაგრამ ამ განცხადებაზე პასუხი დღემდე არ ჩანს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არბიტრაჟის მიღებული გადაწყვეტილება ივნისიდან უკვე დაექვემდებარა აღსრულებას და 100 მილიონის გადახდა სახელწიფოს სასწრაფოდ მართებს. ეს ფაქტი დააჩქარებს თუ არა დაკავებულთა ციხიდან გათავისუფლებას და აპირებენ თუ არა თანხის დათმობას თავისუფლების სანაცვლოდ, ამ საკითხის გარკვევა ადვოკატთან ვცადე.

არჩილ კგილაშვილი:

— დაკავებამდე თანხმდებოდნენ 65 მილიონის მიღებას. ახლა, როცა პატიმრობაში არიან, შესაძლოა, კიდევ მეტი დათმონ, მაგრამ მთელ თანხას ვერ დათმობს ფუქსი. თანხის ნახევარი მის პარტნიორს, ბერძენ ბიზნესმენს — იოანის კარდასოპულოსს ეკუთვნის. ვადების გადაცდენის შემთხვევაში, სახელმწიფოს, პროცენტის სახით, თვეში 350 ათასი დოლარის დამატება მოუწევს. ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა ეძებოს შეთანხმების გზები. ფაქტია, თანხა გადასახდელია. როგორც ვიცი, რომში 1-ელ ივნისს ისრაელის პრეზიდენტი კვლავ ესაუბრა ამ თემაზე საქართველოს პრეზიდენტს. საქმის განხილვა გრძელდება. როგორც ვიცი, საუბარი გადასახდელი თანხის შემცირებაზე მიმდინარეობს, მაგრამ — არა განულებაზე. ისრაელის საელჩომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს მიმართ უკმაყოფილება არაერთხელ გამოთქვა. ისინი თავიანთი უდანაშაულო მოქალაქეების დაცვას ბოლომდე გააგრძელებენ. ■

ებრაელ ბიზნესმენთა დაკავება

გაბრაზებულები და გამოშტერებულები

„პოლიტიკოსების კუბო დავდგი, მაგათი ჯიში და ჯილაგი ამოწყდეს... წავალ ჩემს ლესიჭინეში, გამოვიკეტები ბაბუაჩემის აშენებულ ტაძარში და ვილოცებ, ჩემთვის. ამათი მე აღარაფერი მწამს“, — ასეთი მწარე სიტყვები მითხრა მსახიობმა გურამ ფირცხალავამ. თუ რას ერჩის პოლიტიკოსებს და რატომ არის ასეთი გაბრაზებული — ამას მასთან საუბრისას შევიტყობთ.

ხათუნა გახტურიძე

— მთავრობა საკუთარ ხალხს ებრძვის: გადასახადებში სულს ხდის, საჭმელს უძვირებს, ჯაშუშობას აბრალებს!.. კიდევ რომელი ერთი ვთქვა?! ახლა ეკლესიასაც მიადგა. მე მგონი, საკაშვილს კათოლიკოსობა უნდა. უწმინდესს საერთოდ აღარაფრად აგდებს. სომხების კათალიკოსის, გარეგინის თხოვნა თუ მოთხოვნა ისე შეასრულა, რომ ჩვენი უწმინდესი საქმის კურსშიც არ ჩააყენა. ძალიან დამწყდა გული... კომუნისტებიც კი არ ავიწროებდნენ ქართულ ეკლესიას ისე, როგორც დღევანდელი ხელისუფლება. შეგახსენებთ, რომ ქართველებს სწორედ სტალინმა დაგვიბრუნა ავტოკეფალია, რომელიც 200 წელი არ გვქონდა.

— მეც შეგახსენებთ, რომ კომუნისტები ტაძრებს ანგრევდნენ, მღვდლებს აპატიმრებდნენ, მორწმუნეებს ეკლესიაში შესვლას უკრძალავდნენ...

— ამას ლენინი აკეთებდა; სტალინი მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, მაშინვე შეიცვალა სიტუაცია. ნამდვილად არ მახსოვს, ჩემთვის ვინმეს ეკლესიაში შესვლა დაეშალოს. აღდგომას კვერცხებსაც ვღებავდით და ტაძარშიც დავდიოდით; მოვინათლე კიდეც, მაგრამ მამაჩემისთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული იყო. კომუნისტების ისე არ ეშინოდა ხალხს, როგორც დღეს სააკაშვილის ეშინია. ნახეთ, როგორ შერჩა ხელისუფლებას 26 მაისი? არც ერთი თავმოყვარე საზოგადოება არ აპატიებდა ასეთ ბარბაროსობას ხელისუფლებას. ოპოზიციონერები შორიდან გვიყურებდნენ, — აბა, თუ დაარბევენ ნონას და ნინოსო? მერე თქვეს, — ხომ ვამბობდით, რომ დაარბევდნენო!. ეჰ, რა „ჭკვიანები“ აღმოჩნდნენ!.. თუ იცოდნენ მაგ დალოცვილებმა, გამოსულიყვნენ და დამდგარიყვნენ ჩვენ გვერდით — იქნებ ბევრნი რომ ვყოფილიყავით, არც დავერბიეთ?

— თუ ნინოს და ნონას იდეებს არ იზიარებდნენ, მაშინაც უნდა დამდგარიყვნენ? სხვათა შორის, ოპოზიციას ახლაც ახსოვს, 7 ნოემბრის აქციების დროს, ნინო ბურჯანაძემ მის მისაღებში მოშიმშილე „ახალ მემარჯვენეებს“ პლედები რომ არ მისცა. ბევრს კიდევ, უფრო ცუდად დაამახსოვრდა უკვე ოპოზიციაში გადასული ბურჯანაძის კრემლში ვიზიტი და რუსულ აღლუმში მონაწილეობა...

— წარმოგიდგენიათ, რა გაბრაზებულები ყოფილან „მემარჯვენეები“?! სხვათა შორის, 7 ნოემბრის გამო მეც ნაწყენი და გაბრაზებული ვიყავი ნინოზე, მაგრამ რომ წამოსულიყო ხელისუფლებიდან, სად წასულიყო? მთელი ოპოზიცია მიშას ჰყავდა ნაყიდი. 7 ნოემბერს ნინო რომ არ ყოფილიყო ხელისუფლებაში, პარლამენტის კარს არავინ გაუღებდა მომიტინგეებს და მსხვერპლი მაშინაც იქნებოდა. აბა, 26 მაისს თუ შეიფარა ვინმემ სპეცრაზმელების მიერ ნაცემ-ნაბეგვი ხალხი?! ზეწოლის მიუხედავად, ბურჯანაძე რაღაც-რაღაცებს მაინც აკეთებდა. რაც შეეხება კრემლში ვიზიტს: მოსკოვში რუსების კი არა, ქართველი გმირების პატივის მისაგებად ჩავიდა. მე სამამულო ომში ორი ბიძა დამეკარგა. რა, ისინი გმირები არ იყვნენ?! მათ სულებს გაცილებით დიდ პატივს ვცემ, ვიდრე ცხინვალიდან გამოქცეულ ცოცხალ გენერლებს და ცხინვალში დაჩოქილ პოლიციელებს.

— რატომ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია გაყიდულია?

— გაყიდულია, აბა, რა არის?! მე ეგენი კაცები მეგონნენ, პატივს ვცემდი. რა გამოვიდა?! ერთმანეთის დანდობა და პატივისცემა არ იციან. სიცოცხლე აღარ მინდა, მაგათ ურთიერთბრალდებებს რომ ვუსმენ. ამ „მემარჯვენეებმა“ სულ გადამრიეს: ამდენი ხანი იბრძოლეს სააკაშვილის წინააღმდეგ და ბოლოს ერთ მილიონ ლარზე გაიყიდნენ.

— „მემარჯვენეებს“ მილიონი ლარი არ აულიათ, ეს თანხა იმ პოლიტიკური პარტიის ანგარიშზე გადაირიცხება, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში 5%-იან ბარიერს გადალახავს...

— სასაცილოა პირდაპირ... ვინ მოაგებინებს მაგათ არჩევნებს?! 5 კაცს გადაუგდებენ მანდატებს და სულ ეგ იქნება. სამაგიეროდ, სტომაქს კარგად ამოივსებენ ხელისუფლების დაკრულზე მოცეკვავე ოპოზიციონერები. საშინელება ხდება საქართველოში, თვალსა და ხელს შუა იღუპება ჩემი ქვეყანა.

— ფიქრობთ, რომ გამოსავალი არ არის?

— გამოსავალი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუ ხალხი ერთად დადგება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ჯერ ერთობის სურვილს ვერ ვხედავ. ხალხი მარტო შეშინებული კი არა, გამოშტერებულიცაა. 26 მაისის ბარბაროსობას ვინ ჩივის, ჩვენ ისიც კი ჩავყლაპეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მაფიოზა გარეგინს მეტი პატივი სცა, ვიდრე ჩვენს უწმინდესს. ადრე თუ გვიან, სააკაშვილის ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი ჩემს ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდება.

— რას გულისხმობთ?

— გარეგინის ნების დაუყოვნებლივ აღსრულება ხვალ და ზეგ ქართველებსა და სომხებს შორის აუცილებლად გააღვივებს შუღლს. სომხების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თბილისელი სომხები ჩვენი ძმები არიან, მაგრამ... მოდი, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ისტორიაც კარგად გავიხსენოთ... ნახავთ, სომხები ძალიან მალე გრემსა და ჯვარსაც მოგვთხოვენ... მე მგონი, ეს ამბავი რუსების „შემოგდებულია“. უნდათ, რომ სომხები და ქართველები ერთმანეთს დაგვაპირისპირონ და სამცხე-ჯავახეთი წაგვართვან.

— მგონი, ძალიან გაბრაზებული და იმედგაცრუებული ხართ...

— იმედგაცრუება ქართველისთვის დამღუპველია, იმედს არასდროს გადავიწურავ, აი, გაბრაზებული კი ნამდვილად ვარ... იმედი მაქვს, მალე ყველაფერი მოგვარდება და საქართველოს დამაქცევლებს პასუხი მოეთხოვებათ; მათ შთამომავლობას კი წინაპრების სახელის ხსნებისაც კი შერცხვება. ■

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

პ ი ც ა

გვ. რაოდ.: 124 გვ.
ყდა: ბალიშა

ფასი: 17.99

ახალი!

ამ წიგნში თქვენ იხილავთ პიცის **50**-ზე მეტ იოლად მოსამზადებელ, ეკონომიურ, და, რაც მთავარია, უგემრიელეს რეცეპტებს, სადაც დეტალურად არის განხილული პიცის მომზადების ყველა ეტაპი. ეს ორიგინალური ფორმის წიგნი საუკეთესო საჩუქარია ყველა დიასახლისისათვის!

ბაჭიების ძილისპირული

ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 69 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: ბალიშა

ძილის წინ თქვენი პატარები ამ ცელქი ბაჭიების თავგადასავალს რომ მოისმენენ, სიზმარშიც მათთან ერთად განაგრძობენ თამაშსა და გართობას.

დიდი მხატვრები და მათი შედევრები

ქართულ და ინგლისურ ენებზე!

სიახლე!

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 12 გვ., მუყაო
ფორმატი: 25X45
ყდა: მაგარი

ამ წიგნით თქვენი შვილები **6 დიდ მხატვარს** გაეცნობიან და შეძლებენ პაზლებით ააწყონ მათი გენიალური ნახატები.



თხუპნია ცუგა

ფასი: 19.99

გვ. რაოდ: 16 გვ.
ფორმატი: 20X26
ყდა: მაგარი

წაუკითხეთ პატარებს ეს საყვარელი, მოძრავი ნახატებით გაფორმებული წიგნი, რომლითაც ისინი შეიტყობენ, როგორ გამოაცხო თხუპნია ლეკვმა თავის მეგობარ გოჭუნასთან ერთად ტალახის ღვეზელი.

სალამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბები

სიახლე!

ფასი: 22.99

გვ. რაოდ.: 372 გვ.
ფორმატი: 18.5X21
ყდა: მაგარი

ეს შესანიშნავად ილუსტრირებული, სალამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბების კრებული თქვენი პატარის საყვარელი წიგნი გახდება.

მოხერხებული ღრუტუნა

ქართულ და ინგლისურ ენებზე!

ფასი: 9.99

გვ. რაოდ.: 12 გვ.
ფორმატი:15X19
ყდა: ბალიშა

ამ მშვენიერ, პაზლებიან წიგნში პატარები წაიკითხავენ ზღაპარს გონიერ ღრუტუნაზე, რომელმაც მოხერხებულად დაიხსნა თავი მგლისაგან და გადაარჩინა თავისი პატარა გოჭებიც.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

სახე

ვანო ჯავახიშვილის კრიმინალური წარსული

„სისხლის ჯვალს გამოჰყვა და ასე მოგვაგნო“

წელს აგვისტოში დასვენებას 20 დღით გეგმავს. უნდა, რომ ახალი სეზონიდან მუშაობას ახალი ენერგიით შეუდგეს. როგორია მისი საზაფხულო გეგმები, როგორ და სად ისვენებდა ბავშვობაში, ვანო ჯავახიშვილი თავად გვიამბობს. აქვე წაიკითხავთ მის „აღიარებით ჩვენებას“, რომლითაც ვანოს „კრიმინალურ წარსულს“ ნათელი მოეფინება.

თამუნა კვინიკაძე

— შაბათ-კვირასაც ხომ ვისვენებ, მაგრამ მაგას დასვენებას არ ვეძახი. ამ დღეებს ორშაბათიც რომ მოჰყვება, ეს უკვე სულ სხვაა (*იცინის*).

— **ბავშვობაში სად ისვენებდი?**

— მაშინ აფხაზეთი ჩვენი იყო და დასასვენებლად გუდაუთაში დავდიოდით. ბათუმსა და საერთოდ, აჭარის რეგიონში ბავშვობაში არასდროს დამისვენია. ზაფხულს უმეტესად ბებიებთან ვატარებდი. დედაჩემი მუშაობდა, ამიტომ ხან მცხეთაში ვიყავი, ხან — კახეთში.

— **იქ როგორ ერთობოდი?**

— სოფელში „საკატაოებს“ ვაკეთებდით. ჩვეულებრივი ხის ფიცრებისგან ვაწყობდით, საბურავებს ვუყენებდით. დაღმართზე ძალიან დიდი სისწრაფით ვეშვებოდით.

— **მერე, მუხლები გადატყავებული არ გქონდა?**

— აბა, რა! თბილისში ყოველთვის დასახიჩრებული ვბრუნდებოდი. ეგ არაფერია, უნდა გენახა, ხელები რას მიგავდა: ნედლი კაკალი მიყვარს და ნაჭუჭისგან თითები სულ გაშავებული მქონდა. სკოლაში რომ მივდიოდი, მრცხვენოდა და ხელებს ჯიბეში ვმალავდი.

— **ისე ლაპარაკობ, მეზობლის ბაღიდან ხილიც გექნება მოპარული...**

— მარტო ხილი? სიმინდსაც ვიპარავდი, მერე კოცონს ვანთებდით და ვწვავდით.

— **სოფელში დასასვენებლად მეგობრები არ მიგყავდა?**

— როგორ არა. მაშინ ბაბუაჩემი ცოცხალი იყო. მთელი დღე ნერვებს ვუშლიდით — სამი თავისი შვილიშვილი, 3 კიდევ ჩვენი მეგობარი. სულ ბიჭები ვიყავით (*იცინის*). რაღაც გამახსენდა, გიამბო?

— **აბა, აქ რისთვის ვარ მოსული?**

— ერთხელ ჩვენს ეზოში მეზობლის ქათამი გადმოვიდა. უცნაურად დადიოდა, გამომწვევი მიხრა-მოხრა ჰქონდა. მე საერთოდ ფრინველებს ახლოს არ ვეკარები. დიდი წვალების შემდეგ, ბიჭებმა როგორც იქნა, დაიჭირეს და დაკლეს. სასმელი გვქონდა და ჩავუსხედით. ცოტა ხანში სამეზობლოში ერთი ამბავი ატყდა: „ქათამი დამეკარგა! ქათამი დამეკარგა!“ — აყვირდა პატრონი. მერე სისხლის კვალს გამოჰყვნენ და გვიპოვეს. შეგვდგნენ და რა შეგვდგნენ?!.

თბილისში ყოველთვის დასახიჩრებული ვბრუნდებოდი

— **როგორი კრიმინალური წარსული გქონია!**

— ასეთი შავბნელი წარსული მაქვს და რა ვქნა?! ეს ყველაფერი მცხეთაში მოხდა. ჩემს სოფელს სასხორი ჰქვია, არაჩვეულებრივი სოფელია. იქ ჩასვლა ძალიან მიყვარს, იუმორის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ხალხი ცხოვრობს. ჩვენს გადაცემებში იქ გაგონილი ბევრი გამონათქვამი გამოგვიყენებია.

— **ვანო, საკურორტო რომანების თემასაც შევეხოთ.**

— ცხოვრებაში მხოლოდ ერთი საკურორტო რომანი მქონდა და ქორწინებით დასრულდა: ჩემი მეუღლე ქობულეთში გავიცანი. იქ მე და ვასო ფხაკაძე ვისვენებდით.

მერე ოთო ლომთაძე ჩამოვიდა და მისმა სიმამრმა რესტორანში დაგვპატიჟა. თაკო იმ რესტორანში გავიცანი. გვერდით მაგიდასთან იჯდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ურთიერთობას გაცნობისთანავე საკურორტო რომანის სახე მიეცა. უბრალოდ, დავმეგობრდით. თბილისში რომ დავბრუნდით, ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით — თითქმის ყოველდღე. თაკო სტუდენტი იყო, რუსთავში ცხოვრობდა. ზოგჯერ ჩავდიოდი და მე ჩამომყავდა. ჩვენი მეგობრობა თანდათან სიყვარულში გადაიზარდა.

— **მთა, ლაშქრობა, კარავი — ეს ყველაფერი რამდენად გიზიდავს?**

— მთაში დასვენება მიყვარს, ფეხით ხეტიალი — ნაკლებად. საერთოდ, პენსიონერული დასვენება მომწონს.

— **ეს გადაღლის ბრალია თუ რაიმე სხვა მიზეზი აქვს?**

— არა, ასეთი ვარ. ბევრი სიარული არ მიყვარს. შარშან ოჯახთან ერთად ქობულეთში ვიყავი. ბინა ცენტრში ვიქირავეთ, ვიფიქრე, ბავშვი კარგად გაერთობა-მეთქი. ისეთი ხმაური და გუგუნი იყო, 3 დღე ძლივს გავჩერდი. მალე მივხვდი, ის სამყარო არ იყო, სადაც დასვენება შემეძლო.

— **კლუბური ცხოვრება არ გიტაცებს?**

— ნაკლებად. ღამის კლუბებში ბევრჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ იქ ჩემი ცეკვით თავი არასდროს გამომიჩენია. საკმაოდ უინტერესო მოძრაობები მაქვს, „უინტელექტოც“. საერთოდ, მუსიკის მოყვარული ადამიანი ვარ. ყველანაირ მუსიკას ვუსმენ, მაგრამ იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ჯაზფესტივალზე მოდის გამო რომ დადის.

— **საზღვარგარეთის კურორტებზე არასდროს დაგისვენია?**

— ბოლოს თურქეთში ვიყავი. ჩემი მეგობრები ახლახან ამერიკაში იყვნენ. ამ ქვეყანაში მოგზაურობის დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ ალბათ კარგა ხანს ეს ოცნება ოცნებად დამრჩება. ფრენის მეშინია: 12 საათი უნდა ვიფრინო — ეს ჩემთვის წარმოუდგენელია.

— **აბა, ვერსად წასულხარ.**

— არა, საბერძნეთში ვიყავი, იქ მეგობართან ვცხოვრობდი, თან კონცერტები გვქონდა.

— **საბერძნეთამდე როგორ ჩახვედი?**

— ბიჭებმა იციან, რომ ფრენის მეშინია და მომატყუეს, — არაფერია, 2 საათში ჩავალთო. ვიზებიც მათ გააკეთეს, ბილეთების საკითხიც მოაგვარეს. თურმე რა ხდება: თბილისიდან უნდა ჩაფრინდე სტამბოლში, სტამბოლიდან — ათენში და ათენიდან — სალონიკში. 3-ჯერ აფრენა და დაჯდომა მოგვიხდა. ჩემთვის ეს ყველაზე დიდი კოშმარია. ეს რომ გავიგე, გავძალიანდი, მაგრამ მაინც წამათრიეს. იმედი მქონდა, უკან პირდაპირი რეისით დავბრუნდებოდით, მაგრამ იგივე კოშმარი გადავიტანე. მეგონა, სულ თვითმფრინავში უნდა ვიჯდე, ავფრინდე და დავფრინდე-მეთქი.

— **ამერიკის გარდა, რომელ ქვეყანაში იმოგზაურებდი?**

— საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში. ისე როგორ უნდა მოვკვდე, ეიფელის კოშკს თვალი არ შევავლო?!

— **ფრენის შიში უნდა დაძლიო.**

— ახლა საფრანგეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება მაქვს, ეიფელის კოშკი ცოტა ხნით თბილისში უნდა ჩამოვატანინო. ადგილიც შევარჩიე — სააკაძის მოედანზე უნდა დავდგა. რას იტყვი?

— **კარგი იდეაა.**

— მერიისა და ეიფელის შენობები ერთმანეთს მოუხდება.

— **უცხო ქვეყნის სამზარეულოზე რა აზრის ხარ?**

— ჩინური სამზარეულო კარგად ვერ შევისწავლე. სუში მომწონს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქართულს ვერც ერთი ქვეყნის სამზარეულო ვერ შეედრება. ლოკოკინას, ბაყაყს, ჭიებს, რომ მომკლა, ვერ შევჭამ. საერთოდ, ხორციანი კერძები მიყვარს. ამიტომაც ვარ ახლა წონაში მომატებული. რომ დავისვენებ, დიეტასაც დავიცავ, ეთერში ტანწერწეტა უნდა დავბრუნდე.

— **უცხო ქვეყანაში უფულოდ დარჩენილხარ?**

— არა, ამ მხრივ ძალიან მოწესრიგებული ადამიანი ვარ. არ შემიძლია, სადმე უფულოდ წავიდე. უკან დასაბრუნებელი თანხა აუცილებლად უნდა მქონდეს.

— **კარგად ცურავ?**

— საკმაოდ. ცურვაზე არ მივლია, თვითონ ვისწავლე. საერთოდ, თვითნასწავლი ადამიანი ვარ, მხოლოდ ჭადრაკზე დავდიოდი.

— **პლაჟზე რომ გადიხარ...**

— (*მაწყვეტინებს*) ო! უნდა ნახო, რა ხდება! დათვლილი მაქვს — 25 წუთის მანძილზე 67 სურათი გადავიღე.

დელფინი ამოხტა წყლიდან და მთხოვა, – ერთი სურათი თუ შეიძლება, ჩემთანაც გადაიღეო

— **რა იყო, ცოცხალი რიგი იდგა?**

— ქობულეთის პარკში მოვხვდი და... დელფინი ამოხტა წყლიდან და მთხოვა, — ერთი სურათი თუ შეიძლება, ჩემთანაც გადაიღეო. ფოტოს გადაღებაზე უარის თქმა როგორ შეიძლება?! პირიქით, ეს სასიამოვნოც კია. არ ვიტყვი, რომ დამღლელია.

— **წელს დასვენებას ზღვაზე გეგმავ?**

— აუცილებლად. ბიჭებს გადაწყვეტილი გვაქვს, ამ ერთი თვის მანძილზე ერთმანეთი საერთოდ არ ვნახოთ. მთელი წელი ერთმანეთს ვუყურებთ და უკვე ველარ ვიტანთ, მაგრამ გული მიგრძნობს, ასე არ მოხდება: პატარა ჯგუფები იქმნება ხოლმე, უცოლოები ცალკე მიდიან, ცოლიანები — ცალკე. მე და ალეკო მალხაზიშვილი თურქეთში წასვლას ვაპირებთ. ვნახოთ, რამდენად მოვახერხებთ.

— **ბედნიერ დასვენებას გისურვებ!**

— შენც კარგად დაისვენე!

■

„ქეთო ყარაულაშვილივით ჩაცმულს სცენაზე არავინ დაგაყენებს“

მომღერალი ნინი შერმადინი აქტიურ სამზადისშია და ზაფხულის განმავლობაში დასვენებასთან ერთად, შემოქმედებით სიახლეებზეც ზრუნავს. ამჟამად საქართველოს მასშტაბით ჩაატარა სოლო კონცერტები, სამომავლოდ კი საბერძნეთის სცენაზე გადაინაცვლებს. საზაფხულო გარდერობი გეგმის მიხედვით განაახლა და გარდა ზემოთ ხსენებულისა, საუბრისას ქართული შოუბიზნესის პრობლემებსაც შეეხო.

თამთა დადეშელი

ამ ბოლო დროს ძალიან მომწონს მეზღვაურის ფორმა

— ნინი, სანამ საზაფხულო იმიჯზე ვისაუბრებთ, მოგვიყევით, რა სიახლეებია თქვენს კარიერაში?

— ახალი სიმღერა ჩავწერე, რომელიც ქალბატონმა ნანა ბალახაშვილმა მაჩუქა; ტექსტის ავტორი ნანა ცინცაძე გახლავთ. ლამაზი სიმღერაა, მომწონს და ვფიქრობ, უნდა გაჰიტდეს. ბალადის სტილშია, სიყვარულზეა და მისი პრემიერა კლიპთან ერთად, სატელევიზიო გადაცემაში შედგება. კლიპის ავტორი ზურა მენთეშაშვილია, მზადება უკვე დავიწყეთ. გარდა ამისა, „მის თინეიჯერის“ კასტინგში ვმონაწილეობდი, როგორც ჟიურის წევრი. კონკურსის ეროვნული დირექტორი ეკატერინე მგალობლიშვილი გახლავთ, ჟიურის თავმჯდომარე კი — კრისტი ყიფშიძე. 14-დან 19 წლამდე გოგონები ავირჩიეთ „მის საქართველოსთვის“, რომელიც ანაკლიაში 30 ივლისს გაიმართა. პარალელურად, მთელი საქართველოს მასშტაბით, სოლო კონცერტების ტურნეს ვმართავ. ამ პროექტს გუბერნატორები და გამგებლები უჭერენ მხარს, რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

— კონცერტები რომელ რეგიონებში ჩაატარეთ?

— თითქმის ყველგან — სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში, ზემო სვანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, გურიაში, ბოლოს კი აჭარაში.

— სიმღერებს მხოლოდ თქვენი რეპერტუარიდან ასრულებთ თუ ცნობილ ჰიტებსაც მღერით?

— ძირითადად, ჩემს იმ სიმღერებს ვასრულებ, რომლებიც ხალხმა უკვე კარგად იცის და რაზეც ერთობა, შიგადაშიგ კი უცხოურ ჰიტებსაც „ვაპარებ“ ხოლმე.

— აგვისტოსთვის რა გეგმები გაქვთ?

— დასვენებას ვაპირებ, ოღონდ ზუსტად არ ვიცი — სად. ალბათ ცოტა ხნით საბერძნეთში წავალ. გარკვეული გეგმები მაქვს, რაზეც ჯერჯერობით არ ვლაპარაკობ; როცა ჩამოვალ, სიურპრიზი იქნება. აუცილებლად ვესტუმრები გალამაზებულ და განახლებულ ბათუმს.

— საბერძნეთშიც ხომ არ გაქვთ დაგეგმილი კონცერტი?

— დიახ, რამდენიმე კონცერტის ჩატარებასაც ვაპირებ.

— საზაფხულო გარდერობი უკვე განაახლეთ?

— ნელ-ნელა ვაახლებ. ზაფხულში ყოველთვის ფერადი ტანსაცმელი მაცვია, ძირითადად, წითელი, „ჭუჭყიანი“ ვარდისფერი, ჟოლოსფერი — რაც ნარუჯს უხდება, ასევე — ფირუზისფერი, მწვანე — თვალების შესაფერისად. ამ ბოლო დროს ძალიან მომწონს მეზღვაურის ფორმა — ზოლიანი „ზედები“ და სარაფნები. ასეთი მოკლე პიჯაკი და შარვალიც ახლახან კარგად შევუხამე ერთმანეთს. მეზღვაურის ქუდიც მაქვს და ასე ვემზადები ბათუმისთვის. გემით სეირნობაც ძალიან მიყვარს.

— ყოველდღიურად როგორ იცვამ?

— ჩვეულებრივად. კლასიკურადაც, სპორტულადაც — გააჩნია, როგორი განწყობილება მაქვს. ყველაფერს ვიცვამ — მოკლე ან გრძელ კაბას, ჯინსის შორტს ან შარვალს; ყველაფერი შემიძლია მოვირგო და დღის განმავლობაში ნებისმიერ სამოსში კომფორტულად ვიგრძნო თავი. უპირატესობას მაინც კლასიკურ სტილს ვანიჭებ. ამ ბოლო დროს კი რეტრო უფრო მომწონს. დიდ ყურადღებას ვაქცევ ფეხსაცმელს. როდესაც გარეთ გავდივარ, მუდმივად მაღალქუსლიანი მაცვია, დახურული, კლასიკური ან — ღია საზაფხულო ფეხსაცმელი. დაბალძირიანით ალბათ არც ერთ ნაცნობს არ ვუნახავვარ.

— როცა სადმე რეგიონში, მთიან რაიონში მიდიხართ, იქაც ასეთი ფეხსაცმელი გაცვიათ?

— გაგეცინებათ და — დიახ. სამცხე-ჯავახეთში კონცერტის შემდეგ, ასპინძის გამგებელმა გადაწყვიტა, ვარძიის დასათვალიერებლად წავეყვანეთ. პირველად ვიყავი და იმდენად მინდოდა ვარძიის ნახვა, რომ 12-სანტიმეტრიანი „შპილკა“ ქუსლიანი ფეხსაცმლით მოვიარე მთელი ვარძია, თავისი გვირაბებიან-კიბიანად. კიდევ კარგი, ფოტოები მაქვს გადაღებული, თორემ არავინ მიჯერებდა, მთელი საზოგადოება შოკში იყო ჩავარდნილი (*იცინის*).

— აქსესუარებიდან რას იყენებთ?

— სათვალეს, ოღონდ უფუნქციოდ — არა: თუ მზე არ მაწუხებს, ღამე სათვალით არ დავდივარ. იმიჯის გამო არ მიკეთია. ზაფხულში არც ქუდებსა და შარფებზე ვამბობ უარს. ჩანთაც ბევრი მაქვს, სხვადასხვა ფერისა და ზომის. ძვირფასი სამკაულები და ფერადი ბიჟუტერია ნარუჯს ძალიან უხდება. თითქმის ყველაფერი მაქვს, აქსესუარებით მდიდარი ვარ. ყველაფერს იმის მიხედვით ვიყენებ, თუ სად მივდივარ და რას ვიცვამ.

— სად ყიდულობთ ტანსაც-

მელს?

— სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოშიც, მაგრამ ძირითადად, საბერძნეთში ვყიდულობ, რადგან იქ ფართო არჩევანია. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ქამრებს და საკმაოდ ბევრიც მაქვს.

— ტანსაცმლის ფასები და ხარისხი საბერძნეთში აქაურისგან ბევრად განსხვავდება?

— დიახ, ძალიან განსხვავდება. ბევრად იაფად შეიძლება კარგი სამოსის ყიდვა — ბრენდებისაც კი. თუმცა მე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ; ჩემთვის ხარისხია მთავარი. მირჩევნია, ცოტა მეტი გადავიხადო, ხარისხიანი იყოს და ერთი ვიყიდო, ვიდრე ბევრი, მაგრამ უხარისხო მქონდეს. რაც შეეხება ქართველ დიზაინერებს: ავთანდილის რამდენიმე კაბა მაქვს, რომელიც „იურმალისთვის“ შემიკერა; ხშირად ნანა მელქაძესთან ვიკერავ ტანსაცმელს, რომელიც ჩემი შვილის ნათლიაა, ასევე — თიკო მაღალაშვილთან.

— უცხოელი დიზაინერებიდან რომელია თქვენი ფავორიტი?

— ბევრია... არმანი, კავალის ძალიან კარგი საკონცერტო კაბები აქვს, გალიანო, დოლჩე და გაბანა (განსაკუთრებით — სპორტულ-კლასიკური სტილი ერთად), შანელი კი უკვდავი და დაუვიწყარია, ჩემი აზრით.

— საკონცერტო ჩაცმულობას რის მიხედვით არჩევთ?

— სიმღერის, კონცერტის, ადგილმდებარეობისა და საზოგადოების მიხედვით. თუ კონცერტი ღია ცის ქვეშ, საშუალო სიდიდის სცენაზე იმართება, კოქტეილის კაბით ვერ წარვდგები; სტადიონზე თუა, სხვა სტილი უნდა შევარჩიო, პიანო ბარში — სხვა; თეატრში, ოპერაში კიდევ — უფრო განსაკუთრებულად უნდა გამოვიყურებოდე და ა.შ. სცენას ხომ თავისი კულტურა აქვს. მომღერალი და მაყურებელი ერთნაირად ჩაცმული არ უნდა იყვნენ, რაღაცით უნდა განსხვავდებოდნენ, რადგან ყველაფერი „პერფორმანსია“ და ხალხი წარმოდგენის სანახავად მოდის — ახალი იმიჯით რომ გიხილოს, ახალი სიმღერა მოისმინოს და ა.შ.

— რამდენად განსხვავდება ბერძენი და ქართველი მომღერლების სასცენო ჩაცმულობა? რა მოთხოვნებია იქ?

— როგორც დღე და ღამე, ისე განსხვავდება. საქართველოში ბიჭი ვერ გამოვა სცენაზე გახვრეტილი ყურით, ვერ შეიღებავს თმას, ვერ ჩაიცვამს ამოჭრილ მაისურს, დახეულ ჯინსს ან — წელს ზემოთ შიშველი, დიდი ჯაჭვით გულზე, „ბრასლეტებით“, ფეხშიშველი, რადგან აუცილებლად სხვა იარლიყს მიაწებებენ, უმსგავსო და ამორალურიაო, — იტყვიან. იქ კი აბსოლუტურად სხვა მოთხოვნილებაა, არ ერიდებიან ძალიან თამამი ნაბიჯების გადადგმას. საერთოდ, ევროპის შოუბიზნესშია ასე. ქეთო ყარაულაშვილივით, ყელამდე შეკრული, კოჭებამდე კაბით ნამდვილად არ დაგაყენებენ სცენაზე. რაც შეეხება გოგონების ჩაცმულობას, მაგალითად, ქართველი მომღერალი — თამთა, რომელიც საბერძნეთის მადონაა, სცენაზე „ბოდეთი“ გამოდის და მთელი საბერძნეთი ეთაყვანება, პატივს სცემს. ძალიან მაგარი და ლამაზი გოგოა და მეამაყება. 60 წლის მომღერალი ქალებიც კი საოცარ ფორმაში არიან — ნავარჯიშები, ტანზე ერთი ცელულიტი არა აქვთ, ცეკვავენ და საოცრებებს აკეთებენ. აქ ისეთი მოძრაობები რომ გააკეთო, სხვანაირად აღიქვამენ. ბავშვობიდან მოყოლებული, არასდროს მცმია სცენაზე კოჭებამდე კაბა და როლინგი, მაგრამ „ევროვიზიაზე“ რომ ბოტფორდებითა და მოკლე კაბით გავედი, სალაპარაკო გახდა — ვაი, ეს რა დამართვია შერმადინსო?!. მინი და დეკოლტე ყოველთვის მეცვა, ახლა რატომ გაუკვირდათ, არ ვიცი. იმის მაგივრად, რომ განვვითარდეთ და კომპლექსები მოვიხსნათ, მგონი, უფრო მეტად ვკომპლექსდებით ქართველები. სანამ სხვა ქვეყანა არ დააფასებს ჩვენს მომღერლებს, მანამდე ვერ ხვდებიან, რომ საქართველოში შეიძლება, ნიჭიერი ადამიანი იყოს. ბერძნების ის მომწონს, რომ ჯერ საკუთარს აფასებენ, მერე — სხვისას და შენც გაიძულებენ, რომ მას პატივი სცე, იმავე პატივით რომ მოგექცნენ. ჩვენ ჩვენი არ მოგვწონს და სხვისაზე ვგიჟდებით; გვირჩევნია, სხვას მივბაძოთ, ვიდრე საკუთარი გვქონდეს.

— და სხვას მილიონები გადავუხადოთ...

— მე ნამდვილად არავის საქმეში არ ვერევი, მაგრამ ჯობია, ჩვენი შოუბიზნესის განვითარებას მოვახმაროთ ფული და ამაზე ვიზრუნოთ — პიარის, პრომოუშენის სკოლები, ისეთი სასწავლებლები გვქონდეს, როგორიცაა ბერკლი, ფეინ სტუდიო და ა.შ. — სადაც სასცენო ხელოვნება ისწავლება; სიმღერასთან ერთად, ცეკვას ასწავლიან, რომ სცენაზე „გული არ ამოგივარდეს“ და არ დაიხრჩო. რატომ მოგვწონს ბიონსე, შაკირა, ქრისტინა აგილერა და სხვები? იმიტომ, რომ მათ ეს ყველაფერი ნასწავლი და გავლილი აქვთ, მუდმივად ვარჯიშობენ, დღესა და ღამეს ასწორებენ იმისათვის, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავებად ჩამოყალიბდნენ. ბევრს შრომობენ. ჩვენ კი 2 საათი ვარჯიში არ გვინდა; გვირჩევნია, დრო ვატაროთ, კლუბებში ვიაროთ და ა.შ. ქართველებზე ნიჭიერი ხალხი არ არსებობს, მაგრამ სიზარმაცე განვითარებაში გვიშლის ხელს. იმას ვჯერდებით, რაც ღმერთმა გვიბოძა. თუ გინდა, დიდ წარმატებას მიაღწიო, თავდაუზოგავად უნდა იშრომო.

— როგორც ვიცი, აქტიურად ვარჯიშობთ?

— დიახ, დიეტაზეც ვარ და ყველანაირად ვცდილობ, განვვითარდე. სხვადასხვა სახის სავარჯიშო შევიძინე — ამერიკული, იტალიური სკოლების, მადონას მასტერკლასები, რასაც ვუყურებ ხოლმე და ახლო მომავალში შესაძლოა, რაიმე ახალი შევთავაზო მსმენელს და დავანახვო, რა შეგვიძლია ქართველ მომღერლებს.

— საინტერესოა. წარმატებებს გისურვებთ. პირად ცხოვრებაშიც ხომ არ არის რაიმე სიახლე?

— არა, მთლიანად ჩემს სამომავლო გეგმებსა და შვილზე ვარ გადართული, მასზე მნიშვნელოვანი და მთავარი მე არავინ მყავს და არც მეყოლება. იგი ახლა დედაჩემთან ერთად სურამში ისვენებს. მირჩევნია, ჯერ ის დასახული მიზნები ავისრულო, რაზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი, მერე კი ყველაფერი თავისთავად მოვა. თაყვანისმცემლების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი, მაგრამ შეყვარებული არ მყავს, ჯერ ჩემი კარიერა მაინტერესებს.

■

თაყვანისმცემლების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი

„ბელზაკის ასაკის" ჰოლივუდელი ლამაზმანები

დასაწყისი იხ. „გზა" №30

სარა ჯესიკა პარკერი (დაიბადა 1965 წლის 25 მარტს) – 46 წლის

სარა ჯესიკა პარკერს ლამაზი ქალების რიგს ძნელად თუ მიაკუთვნებ. საქმე ის როდია, რომ ვარსკვლავმა 40 წელს გადააბიჯა... იგი სილამაზით არც 25 წლის ასაკში ბრწყინავდა, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ სარა ჯესიკა პარკერი ძალზე მომხიბვლელია და მას უამრავი ქალი ჰბაძავს.

სარა ჯესიკა პარკერს მიაჩნია, რომ დაბერება რთული პროცესია და სხვა ქალების მსგავსად ისიც ამ გარდაუვალი პროცესის მსხვერპლია, რომლის შესაჩერებლად მსოფლიო ბაზარზე გამოსულ Anti-Age-ს ყველა სიახლეს იყენებს. ამასთან დარწმუნებულია, რომ სილამაზე, სახეზე გაჩენილი ნაოჭების მიუხედავად, ადამიანის შინაგანი სამყაროდან მოდის.

40 წელს გადაცილებული ყველა ქალის მსგავსად, სახის კანის დატენიანება მისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. ძილის წინ, ღამის კრემთან ერთად, ტუჩის დამატენიანებელ საცხსაც ისვამს, ხოლო დღისით მზისგან დამცავ კრემებს იყენებს: „ეს ჩემთვის აღმოჩენაა და ახლა მზისგან დამცავი კრემის გარეშე ვეღარ ვცხოვრობ. ბევრ წყალს ვსვამ და დამატენიანებელ კრემებს ვხმარობ. სახის ნიღბები მიყვარს, მაგრამ ისინი პრაქტიკული უნდა იყოს. მთავარია შედეგი და არა რომანტიკა".

ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად ყოველდღე ვარჯიშობს, კვირაში ორჯერ იოგას ვარჯიშებზე დადის და ტანვარჯიშსაც არ ივიწყებს. მოსაწყენი ვარჯიშები არ უყვარს და მუდამ ცდილობს, ფიზიკური დატვირთვა მრავალფეროვანი გახადოს.

ჯრისტინ დევისი (დაიბადა 1965 წლის 23 თებერვალს) – 46 წლის

მსახიობი კრისტინ დევისი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად ტურიზმს, იოგას, პილატესს ან აერობიკას მიმართავს, გააჩნია, როგორ ხასიათზეა... იგი სამხრეთში დაიბადა და მზის სხივების მავნე ზემოქმედების შესახებ ყველაფერი შესანიშნავად იცის, ამიტომ ქუჩაში დამცავი კრემის გარეშე არ გადის, დიეტას კი არ ცნობს. მსახიობს მიაჩნია, რომ გემრიელ საკვებზე უარის თქმას ისეთი ზიანი მოაქვს, რომელსაც ყველაზე ვიწრო და შემოტმასნილი ჯინსიც კი ვერ აანაზღაურებს! სწორედ ამიტომ, კრისტინ დევისი გემრიელ კერძებზე უარს არ ამბობს და ეს ფორმის შენარჩუნებაში ხელს სულაც არ უშლის. მსახიობი ირწმუნება, რომ მის სხეულს პლასტიკური ქირურგის დანა არ შეხებია, მაგრამ არც მათ ამტყუნებს, ვინც პლასტიკური ქირურგის დახმარებას მიმართავს.



„ოპერაციის გაკეთებას ვერ გავბედავ, ამის შემდეგ ხომ ჩემს თავს აღარ ვემსგავსები... ვისაც სურს, რომ კარგად გამოიყურებოდეს, წონაში 3-4 კგ უნდა დაიკლოს და ახალი ვარცხნილობა გაიკეთოს", — ამბობს 46 წლის ულამაზესი ვარსკვლავი.

დემი მური (დაიბადა 1962 წლის 11 ნოემბერს) – 48 წლის

ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ახალგაზრდა ვარსკვლავის, ეშტონ კატჩერის მეუღლე უკვე 48 წლის არის! ასაკის მიუხედავად, დემი ნებისმიერ ახალგაზრდა ლამაზმანს დაჩრდილავს. მისი რეჟიმი პირად მწვრთნელთან ერთად ვარჯიშისა და სპორტული კლუბის წევრობისგან შედგება. დემი მური სიმძიმეებს სწევს, ვარჯიშობს, არც პლასტიკური ქირურგიის სიკეთეზე ამბობს უარს და ეს ყველაფერი წელიწადში რამდენიმე მილიონი დოლარი უჯდება. დემი ბევრ წყალს სვამს, მწვანილს, ბოსტნეულს და ზღვის პროდუქტებს მიირთმევს და ცდილობს, ნებისმიერ სტრესს აარიდოს თავი. წურბლებით მკურნალობა ავსტრიაში მოგზაურობის შემდეგ შეიყვარა, სადაც ჰოლივუდისთვის უჩვეულო მკურნალობის კურსს პირველად გაეცნო. „ავსტრიაში მკურნალობის კურსი ჩავიტარე, რომლის შემადგენელი ნაწილი წურბლებით მკურნალობა იყო. ჩვეულებრივი ჭაობის წურბლები არ გე-



გონოთ, ეს სპეციალური სამედიცინო წურბლებია! თავდაპირველად ერთი წურბლით დავიწყეთ, რომელიც მუცელზე დამასვეს. ვუყურებდი, ჩემი სისხლით როგორ იბერებოდა და როდესაც გაძღა, უბრალოდ ჩამოვარდა“.

შერონ სტოუნი (დაიბადა 1958 წლის 10 მარტს) – 53 წლის

იგი ჩვენს რეიტინგში შემავალი მეორე ვარსკვლავია, რომელმაც 50 წელს გადააბიჯა. ასაკის მიუხედავად, შერონ სტოუნს ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები მამაკაცების ნახევარი მაინც ეთაყვანება!

„კარგი ღვინის მსგავსად, ასაკის მატებასთან ერთად უკეთესი ვხდები“, — ამბობს მსახიობი, რომელსაც მიაჩნია, რომ ქალისთვის უმნიშვნელოვანესია, „კეთილგანწყობილი, გრაციოზული და სანდომიანი იყოს; კოსმეტიკით კი ამის მიღწევა შეუძლებელია“. შერონ სტოუნს ფორმის შენარჩუნებაში ფიტნესი ეხმარება. ყოველდღიური რძისა და თაფლის აბაზანები მის კანს სირბილესა და მოქნილობას უნარჩუნებს. „ჩემთვის სააბაზანო ოთახი წმინდა ადგილია. აბაზანის მიღება ჭეშმარიტი მედიტაციაა“.

შერონ სტოუნი ალკოჰოლს არ იღებს, არ ეწევა, უპირატესობას დანაწევრებულ კვებას ანიჭებს; მხოლოდ მინის ბოთლებში ჩამოსხმულ წყალსა და წვენს მიირთმევს, რადგან მიაჩნია, რომ მათში უფრო მეტი ვიტამინია და მხოლოდ ლუდზე ვერ ამბობს უარს... მით უმეტეს, რომ ეს პროდუქტი კანისა და თმისთვის სასარგებლოც კია, რადგან ბევრ A ვიტამინს შეიცავს.

ჰოლი ბერი (დაიბადა 1966 წლის 14 აგვისტოს) – 43 წლის

19 წლის წინ ჰოლი ბერი დიაბეტით დაავადდა, ამიტომ რაფინირებულ შაქარს არ მიირთმევს და ხილსა და ბოსტნეულში შემავალ ბუნებრივ შაქარს ანიჭებს უპირატესობას. შემწვარ საკვებს თავს არიდებს, ურჩევნია სადილი თავად დაამზადოს და კერძების კალორიულობა ამგვარად აკონტროლოს. საღამოს 7 საათის შემდეგ კი ყველანაირ საკვებზე უარს ამბობს. „იმაზე უარესი არაფერია, ვიდრე სავსე კუჭით დაძინება“.

ჰოლი ბერი წიგნის „ფიტნესპროგრამა „5 ფაქტორი“ ავტორთან და პერსონალურ მწვრთნელ ჰარლი პასტერნაკთან ერთად ვარჯიშობს, რომლის სისტემა ჰოლივუდში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ხუთფაქტორიანი პროგრამა კვირაში ხუთჯერ 25-წუთიანი ვარჯიშისა (რომლის შესასრულებლად მხოლოდ ჰანტელები და სპორტული სკამია საჭირო) და დღეში ხუთჯერადი ჯანსაღი კვებისგან შედგება. ცელულიტისგან განსაკურნებლად ჰოლი ყავის ნალექს ერთ კოვზ თაფლს და ამდენივე ზეითუნის ზეთს უმატებს, პრობლემურ ადგილებს ცხელი წყლით ილბობს, ღრუბლით მასაჟს იკეთებს, მომზადებულ მასას იზელს და 30 წუთის განმავლობაში ცელოფანით იფუთავს. რა გასაკვირია, რომ ამგვარი პროცედურების შემდეგ 43 წლის ვარსკვლავის ულამაზეს ფეხებს ცელულიტი ვერაფერს აკლებს.

■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

სიყვარულის აუხსნელად შექმნილი ოჯახი

იმისთვის, რომ შევყვარებოდი, გამიზნული ნაბიჯები არ გადამიდგამს

„მშობლებს ეკლესიიდან დავურეკეთ და ჩვენი ქორწინება მივულოცეთ"

მათი სიყვარულის ამბავი ერთი წლის წინ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ცნობილი ადამიანია, ისე მოახერხეს, მათ რომანზე თბილისში არავის უჭორავია. 14 ივლისს გოგოს დაბადების დღე იყო. ბიჭმა ორიგინალური საჩუქარი გაუკეთა: ეკლესიაში წაიყვანა და ჯვარი დაიწერეს. ჯვრისწერას მხოლოდ მეჯვარეები ესწრებოდნენ. ეს ამბავი მათი მეგობრებისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. მსახიობი კახა მიქაშვილი და „ქრონიკის" კულტურის ბლოკის წამყვანი, სალომე არშბა ჯვრისწერის მეორე დღესვე თურქეთში გაემგზავრნენ. კახას თბილისში დაბრუნებისთანავე დავუკავშირდი.

თამუნა კვინიკაძე

— გაბედნიერებას გილოცავთ! თქვენი ქორწინება ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

— მადლობა მოლოცვისთვის! მართალია, ჩვენი ურთიერთობის შესახებ ბევრმა ნაცნობმაც კი არაფერი იცოდა. პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი, გრძნობების აფიშირება არც მე მიყვარს და არც — სალომეს. მე ინტერვიუებს მაინც გაძლევთ, სალომე კი ამაზეც უარს ამბობს. ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს. ახლა აქ ამიტომ არ არის.

— თქვენი სიყვარული როდის დაიწყო?

— სალომე შარშან აგვისტოს დასაწყისში გავიცანი. ჩემმა მეგობარმა, ლილიკო ნემსაძემ დამირეკა და მითხრა, ბათუმში ფესტივალი ტარდება და წამყვანი უნდა იყოო. მის წინადადებას დავთანხმდი. აჭარაში რომ ჩავედი, იქ ჩემი მეგობარი, ნიკა წულუკიძე დამხვდა და მითხრა, თბილისიდან სალომე არშბა და კიდევ რამდენიმე მეგობარი უნდა ჩამოვიდნენ და ბინა ერთად ავიღოთო. სალომეს, როგორც ტელეწამყვანს, ვიცნობდი. ბათუმში ერთად ყოფნამ სულ 3 დღით მოგვიწია. იქ დაწყებული ფლირტი 2 კვირაში სიყვარულში გადაიზარდა, მაგრამ ამ გრძნობის შესახებ არავისთან ვლაპარაკობდით, ტელევიზიაშიც თითქმის არავინ იცოდა. იქ ერთმანეთს ვერც ვხვდებოდით. ჩაის დასალევად ისეთ ადგილებს ვარჩევდით, სადაც ხალხმრავლობა არ იყო. ხასიათით ერთმანეთს ძალიან კარგად შევეწყვეთ. ერთი ცნობილი ჟურნალისტი ჩვენი მეგობარია. მან რამდენჯერმე გვთხოვა, მის გადაცემაში მივსულიყავით, მაგრამ უარი ვუთხარით და გაგვიგო.

— სალომემ რით მოგხიბლა?

— გარეგნობით სულ მომწონდა, შინაგანად ასმაგად ლამაზი აღმოჩნდა. პირველ დღესვე თავისი უშუალობით, თავმდაბლობით, უბრალოებით გამაოცა. მასში ის თვისებები აღმოვაჩინე, რასაც ადამიანში ყოველთვის ვეძებდი და ვაფასებდი. სალომე უზომოდ თბილი და კეთილი ადამიანია. მე რითი მოვხიბლე? გულწრფელი ვიყავი და ვარ. არ მითამაშია. იმისთვის, რომ შევყვარებოდი, გამიზნული ნაბიჯები არ გადამიდგამს. უბრალოდ, ვცდილობდი, ჩემი მისდამი დამოკიდებულება ეგრძნო. ბათუმში ერთად სულ 2 დღე ვიყავით, მერე წამოვედი, მაგრამ სხვა რაღაც მოვიმიზეზე და იმ დღესვე უკან დავბრუნდი.

— მიზეზი სალომე იყო?

— (*იცინის*) რა თქმა უნდა. მერე ბათუმიდან ერთად დავბრუნდით. როგორც ჩანს, ჩვენი ერთად ყოფნა უფლის ნება იყო. ურთიერთობა თავისთავად აეწყო. 1 თვის წინ 31 წლის გავხდი. როცა მეკითხებოდნენ, ცოლი რატომ არ მოგყავსო? — დიდად არ მსიამოვნებდა. დაქორწინებას ახლო მომავალში მართლა არ ვაპირებდი, მაგრამ შემხვდა ეს ადამიანი და ახლა ძალიან ბედნიერები ვართ.

— ჯვარიც მოულოდნელად დაიწერეთ...

— სალომე 14 ივლისს არის დაბადებული. დაბადების დღეს საჩუქარი გავუკეთე — სწორედ ამ დღეს დავიწერეთ ჯვარი. წინადღეს ვუთხარით მეჯვარეებს. ისინი ბავშვობის მეგობრები არიან. დილით ეთერი მქონდა. ტელევიზიიდან 10 საათზე გამოვედი, სალომეს გავუარე, ეკლესიაში წავედით და ჯვარი დავიწერეთ. სალომეს დასაც გზიდან დავურეკეთ. მხოლოდ ერთი მეგობარი გვახლდა, რომელიც ფოტოებს გვიღებდა. ჩემმა და სალომეს მოძღვრებმა დაგვწერეს ჯვარი. მეორე დღესვე თურქეთში წავედით და გუშინ დავბრუნდით.

— მეგობრები არ გაგიბრაზდნენ?

— არა, იცოდნენ, რომ ჩვენ ამ დღეს პომპეზურად არ აღვნიშნავდით. მშობლებსაც ეკლესიიდან დავურეკეთ და ჩვენი დაქორწინება მივულოცეთ. ქორწილის გადახდასაც არ ვაპირებთ.

— სალომეს სიყვარული როგორ აუხსენი?

— სიყვარული არ ამიხსნია. არც ვიცი, ეს როგორ უნდა გავაკეთო. ჩემი მოქმედებით, ყურადღებით,

ერთ-ერთი სცენის თამაშის დროს გავხედე და ვუთხარი: „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!“

ჟესტით გრძნობდა, რომ მიყვარს.

— **სიურპრიზებსაც არ უწყობდი?**

— როგორ არა, სულ ვცდილობდი და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ცოცხალი ვიქნები. ღმერთის წყალობით, დიდხანს ვიქნებით ერთად.

— **სპექტაკლებზე ეპატიჟებოდი?**

— ყველა სპექტაკლზე დადიოდა. „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“ — მისი საყვარელი სპექტაკლია. როცა ამ სპექტაკლის სანახავად პირველად მოვიდა, იცოდა, რომ მას ვუძღვნიდი. ერთ-ერთი სცენის თამაშის დროს გავხედე და ვუთხარი: „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!“

— **სალომეს ოჯახის წევრები როდის გაიცანი?**

— მშობლები რამდენიმე დღის წინ გავაცანით ერთმანეთს. პირად ცხოვრებაზე ღიად ოჯახშიც არ ვლაპარაკობ. ზოგჯერ სიახლეს პრესიდან ან ტელევიზიიდან იგებენ.

— **სალომეს მამას შვილის ხელი არ სთხოვე?**

— სალომესთან სახლში კვირას ვიყავი. არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს. ოთხშაბათს ჯვარი დავიწერეთ. ოფიციალურად ხელი არ მითხოვია, მაგრამ ასე გამოვიდა. ვუთხარი, თუ ნებას დაგვრთავთ, ჯვრისწერას ვაპირებთ-მეთქი. იმ წუთში ზუსტი თარიღი ჩვენც არ ვიცოდით, ეს დილით გადავწყვიტეთ. სალომემ მითხრა, ჩემი დაბადების დღე შემაყვარეო.

— **საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 5 წლის შვილი გყავს. ანასტასიამ სალომე უკვე გაიცნო?**

— მანამდე გავაცანი, სანამ ჯვარს დავიწერდით. სალომე, მისი დისშვილი, მე და ანასტასია ხშირად ვსეირნობდით. ერთმანეთთან ძალიან თბილი დამოკიდებულება აქვთ. ვიცი, რომ სალომეს ისევე უყვარს, როგორც — მე. საცხოვრებლად ბინა ვიქირავეთ.

— **ორივე თქვენს საქმეს დაუბრუნდებით?**

— სალომე „ქრონიკაში“ დარჩება. სამწუხაროდ, მე „ტელეიმედიდან“ გამომიშვეს.

— **რატომ?**

— არ ვიცი. ჯვრისწერის მეორე დღეს დამირეკეს და მითხრეს, გთავისუფლებული ხარო.

— **მხოლოდ შენ გამოგიშვეს?**

— მე, მარიამ ჯოლოგუასა და ჯაბა კილაძეს დაგვირეკეს. ასეთი „საჩუქარი“ გამიკეთეს. არა უშავს, მადლობელი ვარ, რომ ამდენ ხანს ვიმუშავე.

— **მიზეზი არ ჰკითხე?**

— განმიმარტეს, რომ არხზე ცვლილებებია.

— **სალომე გოგიაშვილი დატოვეს?**

— მგონი, „იმედის“ დილის გადაცემაში დატოვეს. ის მეორე გადაცემაზეც ხომ მუშაობს. დილის გადაცემა გაგრძელდება, მაგრამ პროდიუსერმა (*თეა შანიძე. — ავტ.*) გადაწყვიტა, რომ ჩვენ აღარ ვჭირდებით. არადა, ეს საქმე მიყვარდა, ჩემთვის კარგი სამსახური იყო. იმედია, სხვა სამსახური გამოჩნდება. ზეგ ბათუმში მივდივარ, ფესტივალი ტარდება, რომელსაც „ერის ხმა“ ჰქვია და უნივერსიტეტი ატარებს.

— **ბედნიერებას გისურვებთ!**

— დიდი მადლობა! ■

„სიღნაღმა ჩვენს დაოჯახებაში დიდი როლი ითამაშა“

მარიამ როინიშვილი მეუღლესთან — გიორგი მახარაძესთან და პატარა ელენესთან ერთად, ბებია-ბაბუის სახლში ცხოვრობს. რადგან ელენე პატარაა, თვითონ კი სტუდენტი, მის გაზრდაში დედა და ბებია ეხმარებიან. როგორია მისი უახლოესი გეგმები, როდის მიხვდა, რომ გიორგის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო და როგორ გრძნობს თავს მისი მეუღლე სიდედრების გარემოცვაში, თავად მარიამი მოგვიყვება.



იმედი მაქვს, ასეთი განებივრება მის მომავალზე ცუდად არ აისახება

ნინო ჯავახიშვილი

— კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერის ფაკულტეტი დავამთავრე, საოპერო ვოკალის განხრით და ამავე ფაკულტეტზე, მაგისტრატურაში ჩავაბარე. ასე რომ, 2 წელი კიდევ გავაგრძელებ სწავლას. ელენე საკმაოდ პატარაა და ძალიან გამიჭირდა გამოცდებისთვის მომზადება. ჩემები რომ არ დამხმარებოდნენ (თამრიკოსა და ბებიაჩემ ლიზიკოს ვგულისხმობ), ალბათ დღეს სტუდენტი არ ვიქნებოდი. ელენე თვეების რომ იყო, მაშინ უფრო ძნელი იყო ჩემთვის სწავლა, რადგან ბუნებრივ კვებაზე მყავდა. ახლა უკვე დიდი გოგოა.

— როგორი ხასიათი აქვს ელენეს?

— ძალიან მხიარული ბავშვია, მაგრამ — თავისებურიც. ჩვილობიდანვე გამოავლინა თავისი ხასიათი და თავიდანვე ელენეს ხუშტურებზე დავდიოდით. პირველი შვილიშვილია, პირველი შვილთაშვილია, პირველი შვილია და ყველა თავს ევლება. ალბათ ცოტა გავათამამეთ კიდეც. იმედი მაქვს, ასეთი განებივრება მის მომავალზე ცუდად არ აისახება.

— შენ და შენს ძმასაც ასე განებივრებდნენ ბავშვობაში?

— მეც ყველასთვის — დედასთვის, ბებიასთვის, დეიდებისთვის პირველი ვიყავი. მანებივრებდნენ და თავს მევლებოდნენ, მაგრამ სულ მალე ჩემი ძმა გაჩნდა (ჩვენ შორის ერთი წელია სხვაობა, ორივე 9 დეკემბერს ვართ დაბადებული) და ყურადღება და სიყვარული უკვე ორივეზე განაწილდა. თან, გასაგები მიზეზების გამო, ჭოხონელიძეებისთვის ბიჭის დაბადება განსაკუთრებით სასიხარულო იყო. არ მახსოვს, მე და კოკოს ზედმეტი პრეტენზიები გვქონოდა: მაშინაც ხომ იყვნენ ისეთი ბავშვები, რომლებიც ფეხების ბაკუნით ითხოვდნენ, რაც უნდოდათ. როდესაც მეტყოდნენ, რომ ეს არ შეიძლებოდა და მიხსნიდნენ, რატომ არ შეიძლებოდა, მესმოდა. ზედმეტად გათავხედებული ბავშვები არ ვყოფილვართ.

— ესე იგი, მშობლები მკაცრად გზრდიდნენ?

— გია — ნაკლებად, თამრიკო უფრო მკაცრი და მომთხოვნი იყო, განსაკუთრებით, სწავლის საკითხში. ჩვენს თითოეულ ნაბიჯს კრიტიკულად აფასებდა, რჩევებს გვაძლევდა, ამა თუ იმ საქციელის დასაბუთებას გვთხოვდა. ამით აზროვნებას და კარგისა და ცუდის გარჩევას გვასწავლიდა. თუმცა ალბათ ყველა უშვებს რაღაც შეცდომას შვილების აღზრდისას; შეიძლება, იმიტომ, რომ მათთვის კარგი უნდა, მაგრამ საბოლოოდ, ცუდს უკეთებს. პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, კეთილგონიერება და შრომისმოყვარეობა — მთავარი პრინციპებია, რომლითაც შვილი უნდა აღზარდო. მე ასე მგონია. სამწუხაროდ, მყავს ისეთი ნაცნობები, ვისაც ამის მოთხოვნილებაც კი აღარ აქვთ, რადგან არავის ჩაუნერგავს მათთვის — გქონდეს და გიყვარდეს შენი საქმეო. ჩემს შვილს პირველ რიგში შრომისმოყვარეობას და სამშობლოს სიყვარულს ჩავუნერგავდი. ალბათ ყველა ქართველი ასე უნდა ზრდიდეს შვილს.

— თაობებს შორის დიდი სხვაობაა, თქვი. შენივე თაობის მომღერლებიდან გამოირჩევი, თუნდაც მუსიკალური გემოვნებით. ეს ტრადიციული ოჯახისა და აღზრდის შედეგია?

— პირველ რიგში, ალბათ დედას დამსახურებაა. ის რომ არ ყოფილიყო ან სხვანაირად რომ აღვეზარდე, არ ვიცი, როგორი ვიქნებოდი ან როგორი გემოვნება ჩამომიყალიბდებოდა...

— რამდენად გახსნილი ურთიერთობა გქონდა მასთან? მაგალითად, თუ გაუმხილე, შეყვარებული რომ იყავი?

— რომც არ მეთქვა, მაინც ხვდებოდა, შეყვარებული რომ ვიყავი, მაგრამ დეტალებს არ ვუყვებოდი. პირადულზე გულგახსნილი დედასთანაც კი არ ვარ. სხვა თემებზე — პროფესიაზე, მომავალზე უფრო გვილაპარაკია.

— ნაადრევად დაოჯახდი — 20 წლისას უკვე ელენე გყავდა. ამ ამბავს როგორ შეხვდნენ ოჯახის წევრები?

— ელენემ იმხელა ბედნიერება შემოიტანა ჩვენს ოჯახში, რომ ყველაფერი გადაფარა. თამრიკო ამბობდა: ვერ მოვასწარი შენი გაზრდა და დასვენება, რომ კიდევ ერთი პატარა შეგვემატაო. როგორი „გიჟი დედაც“ იყო, ისეთივე „გიჟი ბებიაა“.

— მახსოვს, ქალბატონი თამრიკო ამბობდა, — გასაკვირია, მაგრამ თვეების ბავშვი მუსიკას გრძნობსო...

— მართლაც ძალიან უყვარს მუსიკა. რევაზ ლაღიძის „თბილი-

სოზე“ გიჟდება და სიმღერას მონდომებულად აჰყვება ხოლმე, რა თქმა უნდა, თავის ენაზე. სხვა სიმღერებზეც ცეკვავს. მე მგონი, კარგი მუსიკალური გემოვნება უნდა ჰქონდეს (*იცინის*).

— **რაც შეეხება დასვენებას, რა გეგმები გაქვს?**

— საგურამოში მივდივართ ყველანი — მე მეუღლესთან ერთად, დედაჩემი, დეიდები თავიანთ ოჯახებთან ერთად. ადრე ქვიშხეთში ვისვენებდით, მაგრამ რაც აგარაკი ავაშენეთ, მას შემდეგ ყოველ ზაფხულს იქ ვატარებთ და დიდი ჟრიამული გვაქვს ხოლმე. აუზში ვგრილდებით, ბიჭები კალათბურთს თამაშობენ. შეუძლებელია, საგურამოში ყოფნისას არ გაერთო და არ იხალისო, რადგან იქ არიან ის ადამიანები, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს და ვინც ყველაზე მეტად მახალისებს. ისეთი იუმორი ტრიალებს, რომ წამით ვერ ამოისუნთქავ. ჩემს ბიძებზე ვლაპარაკობ — ისეთი ენის პატრონები არიან, რომ მათთან ვერ მოიწყენ. საღამოობით იწყება სიმღერები, ცეკვები და გართობა. ვნახოთ, შეიძლება, ცოტა ხნით მე და გიორგი ზღვაზეც წავიდეთ, ოღონდ — საზღვარგარეთ. ელენეს თან ვერ წავიყვანთ, რადგან ერთი წლისაც არაა. თუმცა უნდა გითხრა, რომ ზღვაზე არ ვგიჟდები, აუზს ვამჯობინებ — სუფთა წყალი რომ არის, იმიტომ.

— **სიდედრთან როგორი ურთიერთობა აქვს გიორგის? უფრო სწორად, სიდედრებთან, რადგან ძალიან გაუმართლა და ბევრი სიდედრი ჰყავს.**

— ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ (*ეცინება*). ბევრს ნიშნავს, როდესაც შენს მეორე ნახევარს შენს ოჯახთან თბილი და კარგი დამოკიდებულება აქვს. სიდედრებით მართლაც რომ განებივრებულია, მაგრამ ჩემი ძმა უდგას მხარში, ჩემი დეიდაშვილებიც და უძლებს. ეს — ხუმრობით, თორემ მომთხოვნი და პრეტენზიული სიდედრები არ ჰყავს.

— **შენ და გიორგიმ როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— გიორგი პირველად 4 წლის წინ დავინახე, როდესაც ჩემი ძმა თეატრალურ უნივერსიტეტში აბარებდა. სიები იყო გამოკრული და ვიღაცები ყვიროდნენ: მახარაძე, მახარაძე, ჩააბარე თუ არაო? ვიფიქრე, ასეთი ვინ არის ნეტავ-მეთქი?! აქედან დამამახსოვრდა. გამოცდების შემდეგ დაბა სიონში წავედით დასასვენებლად. იქ ჩამოვიდა გიორგი და რომ დავინახე, კოკოს ვკითხე: ეს ბიჭი ხომ შენთან ერთად აბარებდა-მეთქი? მაშინ დავუახლოვდით ერთმანეთს და ჩვენ შორის რაღაც გრძნობა გაჩნდა, მაგრამ არ გაგრძელებულა. ეგ იყო, რომ ძალიან დავმეგობრდით. ერთი-ორი წლის შემდეგ მივხვდით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა აღარ იყო. მახსოვს, გადაღებაზე წავედი სიღნაღში და იქ ჩამომაკითხა. აი, მაშინ მივხვდით, რომ უერთმანეთოდ ველარ ვძლებდით. მართლა ძალიან მენატრებოდა და მასაც ძალიან ვენატრებოდი. მალევე დავქორწინდით კიდეც. სიღნაღმა ჩვენს დაოჯახებაში დიდი როლი ითამაშა. იქ მივხვდი, რომ გიორგის გარეშე არ შემეძლო ცხოვრება. ხშირად მეკითხებიან, — სიყვარული თუ აგიხსნაო? არ აუხსნია — როდესაც ურთიერთობით ყველაფერი ნათქვამია, მაშინ სიტყვებიც ზედმეტია. იმასაც მეუბნებოდნენ — აი, გათხოვდები და მერე ყველაფერი ერთფეროვანი და მოსაწყენი გახდებაო. ასე არ ვიტყოდი. შეყვარებულობის ეტაპი სრულიად განსხვავდება თანაცხოვრებისგან — მეუღლეებს შორის უკვე სხვა გრძნობა ჩნდება. შვილის გამო სხვა დატვირთვა გვაქვს ერთმანეთისთვის. ამბობენ, რომ შეჩვევა სიყვარული არ არის, მაგრამ ჩემი აზრით, სწორედ შეჩვევაა ყველაზე დიდი სიყვარული.

მომთხოვნი და პრეტენზიული სიდედრები არ ჰყავს

— **გიორგი ახალგაზრდა მამაა. ხომ არ უჭირს ამ ამპლუაში ყოფნა?**

— თავიდან ცოტა გაუჭირდა. არის მომენტები, როდესაც გიორგისგან ბავშვის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას ვითხოვ.

— **რას საქმიანობს?**

— მუსკომედიის დასშია. სექტემბრიდან იგეგმება რაღაც სპექტაკლები. ახლა გადაღებები აქვს და ვნახოთ, რა იქნება.

— **მასაც ტრადიციული ოჯახი აქვს?**

— გიორგის დედა ყოფილი მოცეკვავეა, დიდი ბაბუა, გრიგოლ ჩივაძე — ცნობილი ქორეოგრაფი. ისინიც ჩვენსავით ბევრნი არიან და ამ მხრივ, ძალიან გაგვიმართლა.

— **ახლო მომავლის გეგმებზე რას გვეტყვი?**

— ესტრადაზე ამ ბოლო დროს ნაკლებად ვჩანვარ, რადგან სხვა საქმე ავირჩიე. ახლო მომავლის გეგმებში სწავლა და კონკურსებში მონაწილეობა შედის და შემდეგ, თუ გამიმართლა, სასწავლებლად საზღვარგარეთ მინდა წასვლა. რა იქნება, ჯერჯერობით ვერ გეტყვით.

არის მომენტები, როდესაც გიორგისგან ბავშვის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას ვითხოვ

■

პლასტიკური ქირურგიის შედეგი

ბოლო დროს ბევრი ადამიანი აკითხავს ესთეტიკური და პლასტიკური ქირურგიის ცენტრებს. მოდური გახდა სხეულისა და სახის სხვადასხვა ნაწილის კორექცია და ეჭიმებს ბევრი კმაყოფილი პაციენტიც ჰყავთ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ესთეტიკის ცენტრში ჩატარებული ესა თუ ის პროცედურა არცთუ წარმატებულად სრულდება.

თამთა დადეშელი

ნატო, *38 წლის:*

— 2 წლის წინ გადავწყვიტე, ტუჩებისთვის ფორმა შემეცვალა — გამედიდებინა და ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკას მივმართე. ამ „სიამოვნებაში“ სოლიდური თანხაც (600 ლარი) გადავიხადე. ჩემს ზედა და ქვედა ტუჩში სილიკონი „შეუშვეს“. ექიმმა მირჩია, — პროცედურის შემდეგ, სპეციალური მასაჟი გამეკეთებინა, რომ ტუჩებში შეყვანილი უცხო სხეული თანაბრად განაწილებულიყო. პირველი 3 დღის განმავლობაში, მარილიან წყალში დასველებული ხელით მსუბუქ მასაჟებს ვიკეთებდი. 2 თვის შემდეგ, ტუჩის ერთი კუთხე გამისივდა და ზემოთ ამეწია, მეორე კი ჩამომეწია. ხელის დადებით ვგრძნობდი, რომ ერთ მხარეს სილიკონი აღარ იყო, მეორე მხარეს კი რაღაც გამაგრება მქონდა. ექიმს რომ მივაკითხე, ვერაფერი მიშველა და გადაწყვიტა, ტუჩებიდან სილიკონი გამოეტუმბა, რაც ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა და ჩემი ტუჩის აგებულებას დააბრალა — როგორც ჩანს, ტუჩის შიგნით რაღაც ღრმული გქონდა, რომელშიც სილიკონი ჩაიღვარა, ამიტომ აღარ იტუმბებაო. თუმცა კი დამაიმედა, — თავისით გაიწოვსო, მაგრამ უკვე მესამე წელი დაიწყო და მდგომარეობა უცვლელია. მერე ვთხოვე, მცირე დოზა ტუჩის მეორე მხარესაც შეეშვა, რომ გათანაბრებულიყო, მაგრამ აღარ გარისკა. ამ დეფექტის გამო კომპლექსიც გამიჩნდა. ვნანობ, რომ ეს პროცედურა ჩავიტარე.

— სხვა კლინიკაში მისვლა აღარ გიცდიათ?

— არა, ვეღარ გავბედე. თანაც, ეს სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული; მირჩიეს, ერთადერთი გამოსავალი პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაა, მაგრამ ისიც ძვირი ჯდება — მგონი, 3.000 დოლარზე მეტი, მე კი ამის საშუალება არ მაქვს.

ქეთი, *33 წლის:*

— მიხარია, რომ საქართველოში პლასტიკური ქირურგია განვითარდა და ჩემი, არცთუ ისე სახარბიელო გარეგნობა რადიკალურად შევცვალე. ჯერ ცხვირის ოპერაცია გავიკეთე. თავიდან ფორმა არ მომეწონა და კორექცია 2-3-ჯერ დამჭირდა. საბოლოო ჯამში, კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ცხვირის წვერმა ზემოთ რომ აიწია, ტუჩიც თავისებურად აჰყვა და ვამჯობინე, ისიც გამეკეთებინა. ჯერჯერობით, არაფერს ვუჩივი. ახლა თანხას ვაგროვებ, რომ ბოტოქსიც გავიკეთო.

ცნობილია, რომ საქართველოში ბევრ პოპულარულ ადამიანსაც აქვს პლასტიკური ოპერაცია გაკეთებული. რამდენიმე მათგანთან დაკავშირება და აღნიშნულ თემაზე გასაუბრება ვცადეთ. ბევრმა არ უარყო, რომ პლასტიკური ოპერაცია გაკეთებული აქვს, მაგრამ ამაზე საუბარს თავი აარიდა. სამაგიეროდ, ინტერვიუზე უარი არ უთქვამს ***გუგა კუზანოვს****, რეკონსტრუქციულ-პლასტიკურ და ესთეტიკურ ქირურგს:*

— ისევ დიდი მოთხოვნილებაა ცხვირის კორექციაზე, რადგან საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცხვი-

ჯოზელინა ვილდენსტი მილიონერის მეუღლე გახლდათ; მერე იგრძნო, რომ ქმარს ის აღარ აინტერესებდა და გადაწყვიტა, პლასტიკური ოპერაციების გაკეთება; 6-ჯერ გადაიჭიმა ყანი, „აიწია“ თვალები და გაიდიდა ტუჩები. ყველაფერი ქმრის სიყვარულის მოსაპოვებლად გააკეთა (ოპერაციებში 2 მილიონი დოლარი დახარჯა), მაგრამ მეუღლემ ცოლად 19 წლის რუსი მოდელი მოიყვანა... ჯოზელინას დიზაინერი შეყვარებული ჰყავს.

რის (კეხის მოშორება, ნესტოების დავიწროება, ცხვირის წვერის აწევა) პრობლემა ყოველთვის იდგა. ტუჩის კორექციაზე კი 4-5 წელია, რაც მოთხოვნილება გაჩნდა.

— ტუჩების გასადიდებლად სილიკონს იყენებთ?

— სილიკონით ტუჩის გადიდება არ შეიძლება; სილიკონს ადრე იყენებდნენ, მაგრამ ზოგიერთი ამ მეთოდს ახლაც მიმართავს, რაც დაუშვებელია! ეს მეთოდი ყველა ნორმალურ ქვეყანაში აკრძალულია, რადგან სილიკონი არასდროს გაიწოვება — ორგანიზმისთვის უცხო სხეულია, ტუჩში გაკეთებული სილიკონი, შესაძლოა, ერთ წელიწადში კისრის არეში აღმოჩნდეს... ტუჩების გასადიდებლად შესაბამის გელს ვიყენებთ, რომელიც სპეციალურ მჟავაზეა დამზადებული. დიდი არჩევანი გვაქვს, იმ გელს ბევრი კომპანია უშვებს და თან, სხვადასხვა ხარისხისაა და მათი ფასიც ამის მიხედვით სხვადასხვაგვარია. აღნიშნული გელები ბიოთავსებადია ანუ სხეულში ჩვეულებრივად იწოვება და ორგანიზმს არ ვნებს. გერმანიის ერთ-ერთ ქარხანასთან გვაქვს კავშირი, საიდანაც ვიღებთ მეოთხე თაობის სხვადასხვა გელს.

ცნობილია, რომ ჯექსონი არაერთხელ გამხდარა ცხვირის პლასტიკური ოპერაციის გამო დაცინვის ობიექტი.

— თვალის, ყურის ან ყბასახის სხვა ნაწილების კორექციისთვისაც ხშირად მოგმართავენ?

— დიახ, ბოლო დროს მსურველთა რაოდენობამ მოიმატა. ყველას უნდა, ლამაზად გამოიყურებოდეს, ოპერაციული ჩარევით კი ნაკლის გამოსწორება თავისუფლად შეიძლება. პლასტიკური ოპერაციის შემდეგ პიროვნება თითქოს შინაგანადაც იცვლება. ეს მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს.

— რა ასაკიდანაა რეკომენდებული მსგავსი ტიპის პლასტიკური ქირურგიის გამოყენება?

— ნებისმიერი პლასტიკური ოპერაცია, თუკი ის სილამაზეს ეხება, სასურველია, მაშინ გაკეთდეს, როდესაც ორგანიზმი ბოლომდეა ჩამოყალიბებული — დაახლოებით, 17-18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება ოტოპლასტიკას (ყურების ოპერაცია), 8 წლის ასაკიდანაც კეთდება.

ანჯელინა ჯოლის, ხშირად ტუჩების დაბერვას „აბრალებენ", მაგრამ მისი ტუჩები ნამდვილად ბუნებრივია, განსხვავებით ცხვირისგან, რომელიც ოდნავ შეთხელებულია.

— ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა ბოტოქსის ინიექციის გაკეთება. რა ჯდება ეს პროცედურა?

— მთლიან სახეზე — 400 ლარი.

— ალბათ მკერდის კორექციის მსურველთა რიცხვიც დიდია. თუ არიან ისეთები, ვინც მკერდის ზომას იპატარავებს?

— გადიდების მიზნით უფრო ხშირად მოგვმართავენ...

— ნაოჭების კორექცია სპეციალური ძაფებით ხდება?

— არა, ეგ უკვე ისტორიას ჩაჰბარდა... კანის დაჭიმვა სერიოზული ოპერაციაა, რომელსაც იმ შემთხვევაში იკეთებს ადამიანი, როცა რეალურად სჭირდება. ის შეიძლება, 40 წლის ქალმაც გაიკეთოს და 75 წლისამაც. მაგრამ არიან ისეთი ქალები, რომლებიც სოლიდურ ასაკშიც საუცხოოდ გამოიყურებიან. 60 წლის ასაკშიც მინახავს ისეთი ქალები, ვისაც კანის დაჭიმვა არ სჭირდებათ. ეს ოპერაცია 3.000-დან 7.000 ლარამდე ჯდება.

— ამ პროცედურებსა და ოპერაციებს რა უკუჩვენებები შეიძლება ჰქონდეს?

— არანაირი. თუმცა ზოგადად, შეიძლება, ნებისმიერი პლასტიკური ოპერაცია გართულდეს, ამისგან დაზღვეული არავინაა. მსოფლიოს სტატისტიკაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

სოფო ჩიქოვანი, *ექიმი-კოსმეტოლოგი:*

— ყველანაირი პროცედურა მოთხოვნით სარგებლობს — სახის გაწმენდა, მასაჟი, ნაოჭების გასწორება, ტუჩის კორექცია და ა.შ. კონკრეტულად ტუჩის გადიდება კოსმეტოლოგსაც შეუძლია. ეს პროცედურა სპეციალური გელით ან საკუთარი ცხიმითაც კეთდება (ამას უკვე ქირურგები აკეთებენ). კოსმეტოლოგები კი გელით მუშაობენ, რომელიც ხარისხის მიხედვით, სხვადასხვანაირია და ეფექტის ხანგრძლივობაც ამაზეა დამოკიდებული.

— მაქსიმუმ რამდენ ხანს ძლებს?

— პრეპარატი რაც უფრო ხელოვნურია, უფრო დიდხანს ძლებს, მაქსიმუმი — 3-5 წელია, მერე კი დამატება სჭირდება. ის გელი, რომლითაც დღესდღეობით ვმუშაობთ, ორგანულია და 1,5-2 წელი ძლებს, შემდეგ კი უკვალოდ ქრება, გაიწოვება. გელის შეშვებიდან პირველი 3-5 დღის განმავლობაში პაციენტებს ვურჩევთ ხოლმე, მასაჟი გაიკეთონ, თუმცა თუ პრეპარატი

კანის დაჭიმვა სერიოზული ოპერაციაა, რომელსაც იმ შემთხვევაში იკეთებს ადამიანი, როცა რეალურად სჭირდება

ხარისხიანი და ორგანულია და არა ხელოვნური ან სილიკონი, მასაჟის გარეშეც თანაბრად ჩაჯდება და ერთ ადგილას არ მოგროვდება.

— სილიკონს თუ იყენებთ?

— არა, რადგანაც სილიკონი არ გაიწოვება. შეიძლება, ოდნავ ჩაცხრეს და საკორექციო გახდეს, მაგრამ უკვალოდ მისი გაქრობა გამორიცხულია. ზოგჯერ ბურთების სახით გროვდება ან არათანაბრად ნაწილდება, ამიტომ ქირურგმა უნდა გაკვეთოს და სილიკონი ამოიღოს. ასევე, არსებობს სპეციალური ინიექციები, რომლებიც ადგილობრივად მის დაშლას იწვევს.

— როგორ ხდება საკუთარი ცხიმით ტუჩის გადიდება?

— სხეულის სხვადასხვა ზონიდან (დუნდულა ან წელი) ქირურგი იღებს

ცხიმს და როგორც გელი, ისე შეჰყავს ტუჩში. წესით, ეს მუდმივი უნდა იყოს, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ასეთი შედეგი ვერ მივიღეთ, რადგანაც ტუჩებში შეყვანილი ცხიმის გაწოვა მაინც ხდება. თან, ინდივიდუალურია და დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რამდენად მდგრადი ცხიმი აქვს. შეყვანილი ცხიმი საშუალოდ, 6 თვიდან 3 წლამდე ძლებს, მერე კი საჭიროა გაკვეთა, დარჩენილი ცხიმის ამოღება და ხელახლა შეყვანა.

— თქვენი აზრით, რომელი უფრო ეფექტიანია — ცხიმი თუ გელი?

— ჯანმრთელობის მხრივ, ცხიმის შეყვანა სჯობია, აბსოლუტურად უსაფრთხოა, მაგრამ მიმაჩნია, რომ გელი უფრო ეფექტურია ვიზუალურადაც და ხანგრძლივობითაც, თუმცა როგორც აღვნიშნე, ისიც ასევე უსაფრთხოა, თუ ბუნებრივი მასალაა. ნაკლებად ტრავმულია. კოსმეტოლოგიური პროცედურის შემდეგ, პაციენტი ნახევარ საათში ისეთი ტუჩებით მიდის, როგორიც მას სურს.

— რაც შეეხება ბოტოქსს: რამდენად უვნებელია და როგორია მისი ეფექტის ხანგრძლივობა? თუ მას ერთხელ გაიკეთებს ადამიანი, შემდეგ მუდმივად სჭირდება? ხომ არ იწვევს კანის მეტად მოშვებას?

> მსახიობი მეგან ფოქსი არაერთი გამოკითხვის შედეგად, ერთ-ერთ ლამაზ, სექსუალურ და სასურველ ქალად აღიარეს. სანამ ამ ტიტულებს მოიპოვებდა, მეგანმა რამდენიმე ცვლილება შეიტანა საკუთარ გარეგნობაში.

— არა. გაკეთების შემდეგ, მისი ეფექტი 4-6 თვე ნარჩუნდება, ზოგიერთი პაციენტის შემთხვევაში — 8 თვე ან 1 წელი. ბოტოქსის ინიექციით მუდმივ შედეგს ვერ მიაღწევ, მოქმედების ვადა რომ გაუვა, კუნთი და კანი ძველ მდგომარეობას უბრუნდება. სამწუხაროდ, ზოგს ჰგონია, რომ ინიექციის შემდეგ, ნაოჭები გაუღრმავდა, მაგრამ ეს მცდარი აზრია. სარკეში ყურებისას ადამიანი საკუთარ თავს ნაოჭების გარეშე ხედავს, თვალი ეჩვევა, მერე კი, როცა თავის პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება, ჰგონია, უკუეფექტი მიიღო. ნაოჭების მომატება გამორიცხულია. ჩვენი პაციენტების უმეტესობა ბოტოქსს პროფილაქტიკის მიზნით იკეთებს, სანამ კუნთი მოეშვება. მისი საშუალებით დაბერების პროცესის შეყოვნება ხდება.

— თვალებზე გაჩენილი ნაოჭების მოსაშორებლად რა პროცედურები კეთდება?

— როცა თვალის გარშემო ნაოჭებია, იდეალური შედეგი აქვს ბოტოქსის ინიექციას. ბოტოქსს მიმიკური ნაოჭების კორექციაც შეუძლია და ბევრი ახალგაზრდაც მოგვმართავს, ძირითადად, 25 წლის ასაკიდან.

— სახის რა ნაწილში შეგყავთ ეს ინიექცია?

— ზედა ნაწილში — წარბს შორის, შუბლზე და თვალის გარე კუთხეში.

— ლოყის ფორმის შეცვლაც შესაძლებელია?

— დიახ. თუ ადამიანს ძალიან ჩავარდნილი ლოყები აქვს, ღაწვების შევსება გელით ხდება და ლოყა ფორმას იცვლის. სახის ოვალის კორექტირებაც კი შესაძლებელია. არიან პაციენტები, ვისაც ნაკლებად აქვს გამოხატული ქვედა ყბის ძვალი — კისერთანაა გაერთიანებული და მისი სახის ნაწილის ყელისაგან გამოკვეთა ხდება. თუ ლოყაზე მოშვებული და დანაოჭებული კანია, ქირურგიულ ჩარევას ვურჩევთ, ბრაზილიური ძაფების მეშვეობით ან სხვა მეთოდებით. არის კიდევ ტერმაჟის პროცედურა, რაც აპარატურული კოსმეტოლოგიის ერთ-ერთი სახეობაა, ფოტოგამაახალგაზრდავებელი. კანის დაჭიმვა სითბური ეფექტით ხდება. მისი გარანტია 10 წელია. ■



ბოტოქსის ინიექციით მუდმივ შედეგს ვერ მიაღწევ

პლასტიკური ქირურგია და დაკარგული კაცობა!..

ინგა ჯაყელი

ლერი პლასტიკური ქირურგია და უამრავი კურიოზული სიტუაციის გახსენება შეუძლია, რომელიც პაციენტების ახირებების გამო გადახდენია, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა ისეთ დღეში ჩააგდო, ლამის დანა ყელში გამოუსვა...

პირველად მის კაბინეტში 40 წელს მიღწეული მამაკაცი რომ შემოვიდა, ეჭვიც არ შეეპარვია, რომ ცხვირის კორექციას სთხოვდა, მაგრამ ნეტამც ასე ყოფილიყო...

მამაკაცმა, რომელიც ზალიკოდ გაეცნო, წინ ქალის სურათი დაუდო:

— რაღაცით ხომ მგავს?!

— ფართო სახით და თვალის ჭრილით — კი! — დაეთანხმა ექიმი. — ნათესავია?

— ნათესავი რომ იყოს, რა მიჭირს! — ამოიოხრა კაცმა. — ადვოკატი ვარ და ცნობილი ებრაელის ქონების მართვა მევალება... არ ამხელს, მაგრამ მილიონერია! რაც სამალავებში ოქრო-ვერცხლი უწყვია, საქართველოს ფუფუნებაში აცხოვრებდა 20 წელიწადი მაინც, მის ბიუჯეტში რომ იდოს ის ქონება... 80 წლისაა ჩემი ებრაელი და გამოჩერჩეტდა: შვილი მაგას არ ჰყავს და ძირი. 30 წლის წინ ერთ ქალს ყვარობდა თურმე...

— ამ ქალს?! — მიხვდა ექიმი.

— ჰო... 30 წლით უფროსი კაცის სიყვარული რაში სჭირდებოდა, მაგრამ ფულის გულისთვის რას არ იკადრებს ქალი. გამხდარა მისი საყვარელი და მისი ფულით გაქცეულა ამერიკაში. ერთი წერილი აღარ მოუწერია ამ გამოშტერებული ბერიკაცისთვის. ეს საწყალი კი დღემდე მისტირის, არც ცოლი შეურთავს; დამიბარა ამას წინათ და მომთხოვა: ან მომიძებნი ჩემს ვერიკოს, თუნდაც ამისთვის ქვეყნის მოვლა დაგჭირდეს, ან არადა, მთელ ჩემს ქონებას ზოოპარკს გადავცემ, რომ ცხოველებს მოუარონ, ადამიანები არაფრის ღირსები არ ყოფილანო...

— მერე?!

— სად ვნახო ახლა ის ქალი?.. შეიძლება, აღარცაა ცოცხალი... 40 წლის ვარ, ცოლი მე არ მყავს და შვილი, არც პატრონი და მყვარებელი... ვერ დავკარგავ ჩემი მოშეს ქონებას. გამიკეთე ოპერაცია, დამამსგავსე ამ ქალს და შენც აგაშენებ!..

ლერის ეჭვი შეეპარა კაცის ფსიქიკურ მდგომარეობაში და ყოველი შემთხვევისთვის, უკან დაიხია. მერე, მდივანი გოგონა გამოიძახა და ფსიქოლოგის მოყვანა სთხოვა:

— არა ვარ გიჟი! — მიუხვდა კაცი. — საღ ჭკუაზე ვარ და გადაწყვეტილებაც ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე...

ფსიქოლოგმაც დაადასტურა, რომ კაცი საღ ჭკუაზე იყო და პლასტიკური ოპერაციის დღეც დანიშნეს:

— კი, მაგრამ მოშე პირად ადვოკატს არ მოგძებნის? — დაეჭვდა ლერი.

— არ მომძებნის... იმას ამერიკაში ვგონივარ, ვერიკოს კვალში ჩამდგარი. ფულიც ამიტომ მაქვს საოპერაციოდ...

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ სახვევები ახსნეს კაცს და ლერი აღფრთოვანებული დარჩა საკუთარი ნახელავით: — მის წინ სურათიდან „გადმოსული“ ვერიკო იჯდა...

— როგორც კი დამიმტკიცებს ქონებას, მოვალ და პატივისცემა ჩემზე იყოს! — დაჰპირდა ექიმს და მართლა მალე მობრუნდა უკან, მაგრამ საჩუქრით კი არა, ახალი პრეტენზიით: — სულ გატუტუცდა მოშე: სანამ ლოგინში არ ჩამიკოტრიალდები, მანამდე ვერ ეღირსები ჩემს ქონებასო!..

— მერე?! — პირი ღია დარჩა ლერის.

— საბოლოოდ უნდა მაქციო ქალად: ძუძუები მინდა და ა.შ.

— „იმასაც“ შეელევი?! — არ იჯერებდა კაცი.

— რა ვქნა, აბა?!.

ახლა უკვე ფსიქიატრებსაც გამოუძახა ლერიმ, მაგრამ არც მათმა მონდომებამ გაჭრა: კაცი ისტერიკაში იყო ჩავარდნილი:

— ვერ დავკარგავ მოშეს ქონებას! თქვენ არ იცით, რა თანხებზეა ლაპარაკი...

6 თვის შემდეგ მკერდიც მზად იყო და „სხვა დანარჩენიც“:

— მე ვიცი თქვენი პატივისცემა! — ლამის დაუჩოქა ლერის სიმდიდრის ხელში ჩაგდების სურვილით გაგიჟებულმა ზალიკომ.

— წადი, თუ ძმა ხარ, არაფერი მინდა შენგან. წადი და აღარ მობრუნდე! — ალალად უთხრა ექიმმა. ვერ იტანდა ამ საცოდავ არსებას, რომელმაც ფულის, თუნდაც მილიონის ფასად გაყიდა ყველაზე ძვირფასი, რაც განგებამ მისცა — კაცობა!..

წავიდა და ისევ დაბრუნდა 2 თვის შემდეგ:

— ახლა რაღა გჭირს?! — საშინელების მოლოდინში გულმა რეჩხი უყო ლერის.

— დავიღუპე, ექიმო... ნამდვილი ვერიკო გამოჩნდა... ებრაელს მოვატყუებდი მე?! ეჭვი შეეპარვია და ჩემ ზურგს უკან დაუქირავებია კერძო დეტექტივები — სახის პლასტიკური ოპერაცია რომ გაიკეთე, მაშინვე ვიცოდი, რაც დააპირე, მაგრამ გაცალე, მაინტერესებდა, სადამდე მივიდოდა შენი სისულელეო...

ჩამოვიდა ის ქალი და თვის ბოლოს ქორწილი აქვთ. მე კი გამომაგდო მოშემ: — კაცობას გიჟის მეტი ვინ დაკარგავდა ნებით?! მომშორდი, აღარ ვაპირებ გიჟთან საქმის დაჭერასო...

— ჩემთან რა გინდა ახლა! — გაუკვირდა ლერის.

— კაცად უნდა მაქციო ისევ... აი, ჩემი სურათი! — დაუდო წინ სურათი. — ისედაც გემახსოვრები.

რომ დარწმუნდა, კაცყოფილი არ ხუმრობდა, ლერის თვალთ დაუბნელდა და დანას წამოავლო ხელი:

— მოგკლავ, იცოდე! — დაიყვირა ისეთი ხმით, რომ დამფრთხალი პაციენტი ბურთივით გავარდა გარეთ...

ლერის ლამის ინსულტი დაემართა იმ დღეს...

— მას შემდეგ აღარ გინახავს ის უბედური?! — ვკითხე ექიმს.

— აღარ გამოჩენილა და მადლობა ღმერთს, არ ვიცი, სადაა...

— ლამაზი ქალი მაინც თუ დადგა მისგან?

— არა უშავდა! — მხრები აიჩეჩა ქირურგმა და ეჭვით შემომხედა. — გინდა, გამაგიჟო?!.

უცებ დავემშვიდობე და წამოვედი. რა ვიცი, რისი შემეშინდა. ■

პატიმარს გაუპატიურებით ემუქრებიან

„ქრისტიანი ვარ და არ ვაპირებ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დავასრულო“

თეა ხურცილავა

სამართალდამცავებს სამეგრელოში ცემა-წამებაში არაერთი პატიმარი ამხელს. მათ რიგშია სოფელ მუჟავაში მცხოვრები — 35 წლის ლაშა არქანია. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა იგი დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულა. პატიმარმა დეტალურად უამბო მისი ცემა-წამების შესახებ. განცხადებაც დაწერა, მაგრამ ასეთი მინაწერი გაუკეთა: „გთხოვთ, დაიცვათ კონფიდენციალურობა და ჩემი ვინაობა მასმედიის საშუალებებთან არ გაამჟღავნოთ“.

ლაშა ფიქრობდა, რომ დეტალების გახმაურება ციხეში მის მდგომარეობას უფრო გააუარესებდა, მაგრამ, საბოლოოდ, დუმილი დაარღვია.

ლაშა არქანია სამეგრელოში 14 ივნისს, საღამოს 10 საათზე დააკავეს. ადვოკატ ქეთი ბექაურის მტკიცებით, მისი დაკავებით ძალოვნებს მისი ძებნილი ბიძაშვილის, ზვიად არქანიას კვალზე გასვლა სურდათ. რეგიონული პროკურატურა ძებნილს ტერორიზმში ადანაშაულებს. ლაშასგან ცემა-წამებით სასურველი ინფორმაცია რომ ვერ მიიღეს, მისთვის ბრალის შეთითხნა არ გასჭირვებიათ. ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკი ჩაუგდეს და საქმეც „შეიკერა“. დღეს იგი ამ 2 ბრალდებით იმყოფება პატიმრობაში. „არქანიების მიმართ შურისძიება არ დაუმთავრებია სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქის პროკურატურას და მის ხელმძღვანელ — როლანდ ახალაიას. წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში მცხოვრებ, უმაღლესი განათლების მქონე ლაშა არქანიას ისევე გაუსწორდნენ, როგორც მის მოგვარეს — მალხაზ არქანიას (*მისი საქმე საკმაოდ გახმაურებული იყო. — ავტ.*). ბიჭი მთელი დღე, 14 ივნისს, ყანაში მუშაობდა და ხელში თოხი ეჭირა. სახლში ბრუნდებოდა, როცა ნაცნობმა შეხვედრა სთხოვა. ეს სამართალდამცავთა ფანდია და ამაში მისი ნაცნობი, ვინმე ვეფხია ციმინტია გამოიყენეს. ციმინტიამ უთხრა, რომ რაღაც საქმე ჰქონდა. მის შესახვედრად წასული ლაშა დააკავეს. 5 საათის განმავლობაში ოჯახი და მეზობლები ახალგაზრდას უშედეგოდ ეძებდნენ. იმ დროს პოლიციელები მას სასტიკად ექცეოდნენ, რათა ჩვენება გამოეძალათ. ძებნილის ადგილსამყოფლის დასადგენად, მისი სანათესავო საბრალდებო სკამზე დასვა და საქმე „შეუკერო“, ეს სამართალია?! დღეს დააპატიმრეს ლაშა, ხვალ იმავე სიტუაციაში შეიძლება, მისი სხვა ნათესავი აღმოჩნდეს. არაადამიანურ მოპყრობასა და უკანონობაზე დუმილი არ შეიძლება“, — აცხადებს ადვოკატი ქეთი ბექაური და დამნაშავე პირების დასჯას კატეგორიულად მოითხოვს.

აი, რას ამბობს თავად ბრალდებული **ლაშა არქანია** (*სტილი დაცულია*):

„მობილურ ტელეფონზე ჩემმა ნაცნობმა, ვეფხია ციმინტიამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მასთან ახლო ურთიერთობა არ მქონდა, ამიტომ მის ბიძაშვილს — კობა არქანიას დავურეკე და ვუთხარი, — შენს მამიდაშვილს ჩემთან შეხვედრა სურს და გამომყევი-მეთქი. საღამოს 9-10 საათი იქნებოდა, მე და კობა ჩვენი სოფლის გზაზე მას რომ შევხვდით, უეცრად 3 შეიარაღებული პირი, სამოქალაქო ფორმით, მანქანიდან გადმოვიდა; ცემა დამიწყეს. მითხრეს, — „კაი ბიჭები“ ვართ და შენთან პირადი ინტერესი გვაქვსო. მანქანა ენგურის ნაპირზე იყო გაჩერებული და საქმის გარჩევით დამემუქრნენ. იმ დროს პოლიციის მანქანები გამოჩნდა. შვებით ამოვისუნთქე და ვიფიქრე, მეშველა-მეთქი. იმ ხალხმა ჩემი თავი ვიღაც პიროვნებას წარუდგინა, რომელმაც მითხრა, — წალენჯიხის პოლიციის უფროსი ვარო. ასე წამიყვანეს ჯვარის პოლიციის განყოფილებაში. იქ მიყვანისთანავე ცემა დამიწყეს. გაშლილ ხელებს ორივე ყურზე ერთდროულად მირტყამდნენ, რაც აუტანლად მტკივნეული იყო, მაგრამ თურმე ძალადობის კვალს არ ტოვებს. მაგრამ დღესაც მეტყობა სისხლჩაქცევა მარცხენა თვალბუდეში. ჩალურჯებული მაქვს მარცხენა ბეჭისა და ღვიძლის მიდამო, მარცხენა წვივი. სილურჯეებს არიდებდნენ თავს, მაგრამ ჩემი ცემა 4-5 საათი გაგრძელდა და შესაბამისად, ვერ შეძლეს, ისე ვეცემეთ, რომ კვალი არ დამტყობოდა. ცემის პროცესში ულტიმატუმი წამიყენეს. თუ დაგვეხმარები ძებნილ ზვიად არქანიას დაკავებაში, მაშინ პირდაპირ განყოფილებიდან გაგათავისუფლებთ თუ უარს იტყვი, ხომ ხედავ, აგერ მაგიდაზე ავტომატი დევსო... ამის გარდა, არის საქმეები, რომელიც დაკავშირებულია აფეთქებებთან და მკვლელობებთან და ესეც შენ მოგეკერება და ხალხი სამშობლოს მოღალატედ გაგიცნობსო. მაშინ შევთავაზე, — გაქცევის მცდელობის დროს მომკალით, ამით თქვენ პასუხისმგებლობას, მე კი უსაფუძვლო ბრალდებებს ამარიდებთ-მეთქი. ამაზე მიპასუხეს, რომ მე ციხეში მათი ხალხის სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ვჭირდებოდი. როცა დარწმუნდნენ, რომ ცემას აზრი არ ჰქონდა, უჩემოდ დაწერ-

> **ზოგიერთი პოლიციელი თანამიგრძნობდა, ნაწილი ჯი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა...**

ილი ჩვენება დამიდეს წინ და დამემუქრნენ, თუ ამას ხელს არ მოვაწერდი, სექსუალურ ძალადობას ხელკეტით განახორციელებდნენ. ასე მაიძულეს ხელი მომეწერა ჩვენებაზე. ამ ჩვენების წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ავტომატური იარაღის გარდა, საქმეში ნარკოტიკი (ჰეროინი) იყო ნახსენები. ვუთხარი, ჰეროინი არასოდეს გამომიყენებია. არ ვაპირებ სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას და არც ჩემი ახლობლები და ოჯახის წევრები არიან კრიმინალები“.

*ადვოკატ — **ძეთი ბექაურის** თქმით, ზუგდიდის ციხეში პატიმრის სიცოცხლე საფრთხეშია. ბექაურმა მთავარ პროკურორს — მურთაზ ზოდელავას არქანიას ცემა-წამების ფაქტზე საქმის აღძვრა მოსთხოვა.*

ვთხოვდი, მოეცათ უფლება, დავკავშირებოდი ახლობლებს და მეცნობებინა ჩემი დაკავების შესახებ, რაზეც მიპასუხეს, რომ ისინი მალე საერთოდ არ მეყოლებოდა

მითხრეს, უკვე მიღებული გაქვსო. მივხვდი, რას გულისხმობდნენ, როცა გამომძიებლის, ჯვარის პოლიციის დეტექტივ ილუშა აქუბარდიას დაწერილი ჩვენება წავიკითხე. იქ ეწერა, თითქოს ტყეში, პარკში ვიპოვე წამალი, წყალში გავხსენი და ისე მივიღე. გულის რევის შეგრძნება მქონდა, მძიმე თავბრუსხვევა, მძაფრი ტკივილი მუცლის არეში და სისუსტე. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ზოგიერთი პოლიციელი თანამიგრძნობდა, ნაწილი კი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა. სისასტიკეს იჩენდა ჯვარის პოლიციის უფროსი, დანარჩენებს კი ვიზუალურად ამოვიცნობ. ვთხოვდი, მოეცათ უფლება, დავკავშირებოდი ახლობლებს და მეცნობებინა ჩემი დაკავების შესახებ, რაზეც მიპასუხეს, რომ ისინი მალე საერთოდ არ მეყოლებოდა. აღნიშნული მუქარის გარდა, ჩემი 73 წლის მამა და ორივე ძმა ჩემზე უარეს დღეში აღმოჩნდნენ.

ჩემი ადვოკატები — ლონდა შამუგია და ანჟელა ჯობავა დამემოწმებიან, სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონული დროებითი დაკავების იზოლატორში, მათგან დაფარულად, როგორ შემოვიდა გამომძიებელი აქუბარდია და ხელმეორედ დამემუქრა ახლობლების მისამართით, თუ ადვოკატებთან „ბუინს“ დავიწყებდი... ისიც მითხრა, მინიმუმ 20 წლით მოგიწევს ციხეში ყოფნაო, ხოლო მოწმეებს ჩემნაირ დღეში ჩააგდებდნენ. კობა არქანიას შეუძლია, დაამტკიცოს, რა ვითარებაში დამაკავეს და რომ არც ნარკოტიკი და არც იარაღი მქონია. აქვე აღვნიშნავ, ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი და *ოვა.* „გაუპატიურებით ემუქრებოდნენ, მაგრამ ეს ადამიანი ვერ გატეხეს. საბედნიეროდ, საქმეში არსებობს სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ზუგდიდის დეპარტამენტის ექსპერტ გობრონიძის დასკვნა, სადაც დეტალურად არის აღწერილი, თუ რა სახის დაზიანებები ჰქონდა ლაშა არქანიას სახის, ზურგისა და კისრის არეში. ყველგან აღენიშნებოდა ბლაგვი საგნით მიყენებული სისხლნაჟღენთები, ექსკორაციები. დროებითი მოთავსების იზოლატორში სამჯერ გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება“. ერთ-ერთმა ექიმმა ტვინის შერყევის დიაგნოზიც დასვა. ამ ფორმით მიაცემინეს ჩვენება და აღიარებინეს, თითქოს იგი ღამის სამ საათზე დააკავეს, როცა ტყიდან ბრუნდებოდა. თითქოს ტყეში დამალული ჰქონდა ადრე გამოქვაბულში ნაპოვნი ავტომატი 19 ვაზნით; გამოქვაბულში იპოვა ჰეროინი, ნიღაბი, კონსერვები და გზაში ეს კონსერვები შეჭამა. მითხარით, სად არის აქ ლოგიკა? რომელი ჭკუათამყოფელი შეჭამდა გამოქვაბულში ნაპოვნ კონსერვებს ან ვინ დატოვებდა წამალს და იარაღს იქ? ვფიქრობ, ამ საქმის პოლიტიზება სურდა როლანდ ახალაიას და ამ ფორმით შეითითხნა საქმე, რომ შემდეგ ესეც რუსული კვალისკენ წაეყვანათ. ლაშა არქანია უკანონო პატიმარია! სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული, უფლებამოსილების გადამეტება, არაადამიანური მოპყრობა. მოვითხოვთ, დამნაშავე პირები დაისაჯონ. პირველ რიგში, გამომძიებელი — ილუშა აქუბარდია უნდა ჩამოსცილდეს საქმეს და მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. არქანიას სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია. ჩვენ არ გავჩუმდებით და ვიბრძოლებთ მისი უფლებების დასაცავად“, — *აცხადებს ადვოკატი ბექაური. მისი თქმით, ძალოვნები ზეწოლას ახდენენ მთავარ მოწმეზე, რომელიც ლაშა არქანიას უდანაშაულობას ამტკიცებს.* „ამ მოწმემ არქანიას გამამართლებელი ჩვენება მისცა. ის მუქარით წაიყვანეს წალენჯიხის განყოფილებაში და ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენება მიაცემინეს. მასაც ემუქრებიან, დაგვიკავშირდა და დახმარება გვთხოვა. მთავარი პროკურატურისგან ამ ფაქტზეც მოვითხოვთ რეაგირებას“, — *დასძინა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა.* ■



„ეს ათლარიანი, ერთი ბეწო ტაფა ეყოფა ჩემს 100-კილოიან დედამთილს?!“

ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე სტუმრიანობით დაიწყო. ნანა და მისი 20 წლის ქალიშვილი — თიკა (ჩემი მეზობლები, რომლებიც ადრე გაგაცანით) მესტუმრნენ. — ნახე, ნანა რა დღეში ჩაგაგდებს, რაც ილაპარაკა, ყველაფერი ჟურნალში რომ დაუწერეო! — მითხრა თიკამ. მათ მაიაც ფეხდაფეხ შემოჰყვა და სეირის მოლოდინში გაისუსა.

ნინო ჯავახიშვილი

— კიდევ კარგი, ჩემი დედამთილი ჟურნალ-გაზეთებს არ კითხულობს, თორემ ერთი კარგი ჩხუბი არ ამცდებოდა და ვერც შენ გადამირჩებოდი, — მეუბნება ნანა, — ჩემმა მეზობლებმა დამაბარეს, მაგან სახალისო მასალები დაწეროს და დედამთილებზე ცხელ-ცხელ ამბებს არ მოვაკლებთო (*მერე და სად არის ეს ცხელ-ცხელი ამბები? — ავტ.*). გულს ხომ მაინც მოვიფხანთ? რაკი ისევ დედამთილებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იცით, რა გამახსენდა? ერთხელ ჭურჭლის მაღაზიაში შევედი, ტაფის ყიდვა მინდოდა და იქვე შევნიშნე, საქონლის ფასთან ერთად, ეწერა — „დედამთილებისთვის 10 ლარს ნუ დაიშურებთ, იყიდეთ და არ ინანებთ!“ თურმე კლიენტების მისაზიდად გამყიდველ მამაკაცებს უხუმრიათ. უკმაყოფილოდ დავხედე ტაფას, — რას ლაპარაკობთ, ეს ათლარიანი, ერთი ბეწო ტაფა ეყოფა ჩემს 100-კილოიან დედამთილს-მეთქი? — მეცოტავა, სიმართლე გითხრათ...



— თქვენთან კაცი არ მოიწყენს, — ეღიმება მაიას, — გოგო, გაიგეთ, გუშინ რა ამბავი მომხდარა? ნათია თავის ქმარს უცემია. ნასვამი მისულა სახლში და მშობლებს რომ არ მიესწროთ, ალბათ შემოაკვდებოდა ხელში. შემეცოდა საწყალი გოგო...

— კარგი, რა, თვითონ არ ეცოდება თავი. ამას წინათ რომ იჩხუბეს, მაშინ ვუთხარით, ასეთ ქმართან რა გაჩერებს-თქო?! — და იცი, რა გვითხრა? ნასვამს აქვს ცუდი ხასიათი, თორემ ძალიან ვუყვარვარ, ოჯახს ამის გამო ხომ არ დავანგრევო?.. ისიც კი ვუთხარით: რაში გჭირდება ეგ შენი არაკაცი ქმარი (ქალზე ხელს რომ ასწევს, ასეთ კაცს აბა, რა უნდა უწოდო?!), რა გაგიხდა მისი მიტოვება, საკუთარი სახლი და 1.300-ლარი ხელფასი რომ გვქონდეს, ცუდი კი არა, ჩვენი კარგი ქმრებიც აღარ გვენდომებოდა. მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ხომ გაგიგონიათ? მათმა შვილმა რა უნდა ისწავლოს?!

— გეთანხმები, მაგრამ „სიყვარულს რას გაუგებ, ჩემო ოლღა?!“ — მაიამ საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად, ნოდარ დუმბაძის ცნობილი ფრაზა მოიშველია. — მოდი, კარგ რამეებზე ვილაპარაკოთ, აღარ შემიძლია, ამდენი ტირილი და მოთქმა...

— სიყვარული ახსენე და შენი ქმრის სიყვარულით რომ დნები, იმიტომ აგავსო ხომ საჩუქრებით მარტის დღესასწაულებზე? — დავიწყებული მტკივნეული ამბავი გავახსენე ნანას: — მაია დღესაც რომ ელოდება სვაროვსკის საყურეებს, ვიცი...

— ჩემმა ქმარმა — არაფერი, მაგრამ პრეზიდენტმა ხომ გამიკეთა საჩუქარი — 20 და 30-ლარიანი ვაუჩერები რომ დაგვირიგა, მარტში არ იყო ეგ ამბავი? — ვერ აუარა გვერდი ვაუჩერების უკვე მოძველებულ თემას ნანამ. — არა, მაინც რა მთავრობა გვყავს, ვენაცვალე მაგათ!.. რა გულისხმიერები არიან, ხალხზე როგორ ზრუნავენ! უკეთესს ვერ ინატრებ... როგორც ჩანს, მიხვდნენ (ხომ არაფერი გამოეპარებათ), წონაში ცოტა რომ მოვიმატე და მაშინვე ააგდეს ფასები — ხორცი 12-14 ლარი ღირს, წიწიბურა — 4 ლარი, 400-გრამიანი პური — ლამის მართლა ერთი კილო ფქვილის ფასია, რძის ნაწარმზე აღარაფერს ვამბობ... მადლობა იძულებითი დიეტისთვის, მაგრამ უკვე დავიკელი. „ნაციონალებო“, დაუწიეთ ფასებს, ხინკალი და მწვადი მომენატრა...

— ჰო, აბა, სულ შენი დარდი აქვთ... ჩვენი საშველი, ალბათ, კარგა ხანს არ იქნება, — იწინასწარმეტყველა მაიამ და მთელი მთავრობა, განურჩევლად სქესისა და წარმომავლობისა, ბებია-ბაბუამისთან გაამგზავრა სამტრედიაში (მე შენ გეტყვი, სიარული ეზარებათ).

— კარგ რამეებზე ვილაპარაკოთო, 2 წუთის წინ არ ამბობდით? ახლავე გაგამხიარულებთ. ბებია-ბაბუის ხსენებაზე, მოგიყვებით, როგორ აძახებინა პაპაჩემმა რუსის ქალებს — გემრიელი ხარო... დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. ერთხელ, რომელიღაც სოფელში, ჭინჭარი უნახავს და კრეფა დაუწყია. მედდებს გაჰკვირვებიათ, — სოსო (ალბათ მარტო იქ თუ მიმართავდნენ სახელით, თორემ სოფელში „ოსპანელას“ ეძახდნენ), ამ ბალახს რატომ კრეფო? — ამისგან მომზადებული კერძი გემრიელია; ჩვენთან ამას ვხარშავთ და ვჭამთო, — უთქვამს პაპაჩემს. ჩვენც გაგვასინჯეო, — დაინტერესებულან რუსები. მოსწონებიათ და უკითხავთ, თუ რა ერქვა იმ გემრი-

ელ ბალახს. პაპაჩემმა რუსული კარგად არ იცოდა და ვეღარაფერი რომ ვერ მოუფიქრებია, ასე უთქვამს, — რა ჰქვია და ოსპანელაო... თურმე რუსის ქალები 1 კვირა გაიძახოდნენ — ოხ, ოხ, რა გემრიელი რამ ყოფილა ეს ოსპანელაო!.. ჭინჭარი „ოსპანელა“ ასე რომ ეგემრიელათ, თვითონ ოსპანელასთვის რომ „გაეგოთ გემო“, წარმომიდგენია, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ... პაპასაც უყვარდა ქალები და რატომაც არა? რომ დაბერდა საწყალი, სულ ჩიოდა და წუწუნებდა — ვეღარ ვხედავო. მაგიდაზე დადგმულ ჭიქაზე გვეკითხებოდა, — აბა, სად არისო? ერთხელ უბანში „ვაბირუავებდით“. მისი ასაკის ქალი გამოვიდა, ჭურჭელი გამოიტანა და წყლის ასავსებად გადაიხარა. ასე, 5-6 მეტრის მოშორებით იდგა. პაპაჩემმა ეშმაკურად გახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: ოჰო-ჰო-ჰო, კატო კი დაბერდა, მაგრამ მაინც რა კანჭები აქვსო!.. ვერ შეუმჩნევია, შორიახლოს ბიძაჩემი რომ იყო, თორემ ამას რა ათქმევინებდა?! ბიძაჩემმა საბოლოო გაფრთხილება მისცა: აღარ თქვა, რომ ვერ ხედავ! ცხვირწინ ჭიქას ვერ პოულობ და 6 მეტრში კატოს კანჭები ხომ კარგად დაინახეო?.. ჩვენს სოფელში ერთი უსაშველოდ მაღალი კაცი ცხოვრობდა. ერთხელ პაპას შეხვედრია. შვილიშვილი თურმე მხრებზე ჰყავდა შემოსკუპებული. ერთმანეთი მოუკითხავთ, — რას შვრები, როგორ ხარო? — აბა, როგორ ვარ, ეს ბალღი სიცხიანი გვყავს, გაგვიცივდა და ცუდად არისო. პაპაჩემს ზემოთ აუყოლებია თვალი და სიცილით უთქვამს: — კაცოო, იალბუზზე რო შაგისვამს ეგ ბალღი, აბა, ერთი ქვევით ჩამაიყვა, იქნება, დასთბესო... აი, ასეთი ენამოსწრებული პაპა მყავდა. კარგი, ახლა, რა მოგივიდათ, რამდენს იცინით? — ვამშვიდებ გოგოებს და თან, მათ შემყურეს, თვითონაც გულიანად მეცინება...

აი, ასე სიცილ-სიცილში ჩაიარა კიდევ ერთმა ჩვეულებრივმა „დიასახლისურმა“ დღემ — ცოტა სევდიანმა, ცოტა ხალისიანმა და რაც მთავარია, ერთმანეთის სიყვარულით „დატვირთულმა“. დამიჯერეთ, დეპრესიისა და სასოწარკვეთილებისგან თავის დასაღწევად ეს საუკეთესო საშუალებაა... ერთი მკითხველი სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშიდან დამიკავშირდა. იქაური სკოლის დირექტორი — ომარ გერაძე გახლავთ, რომელმაც მითხრა, რომ მანაც და მისი სკოლის პედაგოგებმაც ჩემი კახური იუმორის გამო კარგად იმხიარულეს. მათ იმერეთშიც მიმიპატიჟეს და ბევრ სახალისო იმერულ ამბავსაც დამპირდნენ. სამტრედიაში სტუმრობაც ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ მანამდე ბატონ ომარს, სახელდახელოდ, რაიმე ამბის მოყოლა ვთხოვე. ენაწყლიან მკითხველს ხვეწნა არც დასჭირვებია:

— ცოლი ახალი მოყვანილი მყავდა, ბათუმიდან სიმამრი რომ მესტუმრა. ცუდი წლები იყო და სად წამეყვანა, რა მეჩვენებინა, ვერაფრით მოვიფიქრე. ბოლოს მე და ჩემმა მეგობრებმა „ჟიგულიში“ ჩავსვით და ვიფიქრეთ, სოფელს მაინც დავათვალიერებინებთ-თქო. ისეთი პერიოდი იყო, სოფელი დაცლილი გახლდათ და ლუკმაპურის საშოვნელად ყველა დედაქალაქში იყო წასული. მივდივართ და ჩემი მეგობარი — გენადი, მძღოლი, ჩემს სიმამრს უხსნის: — ეგია წიფლარის სასაფლაო, ცოტას გავივლით და კიდევ: ეგია ამაღლების სასაფლაოო... ერთი ხუთი სასაფლაო რომ ვაჩვენეთ, სიმამრს ცოტა არ იყოს, ფერი ეცვალა, ალბათ იფიქრა, ესენი რაღაცას მიპირებენო და იკითხა: კი, მაგრამ მაინც რა უბედურებაა, ამდენი სასაფლაო, რა გჭირთო? გენადიმ უპასუხა: სასაფლაოები კი არის ოხრად, მაგრამ ხალხი გამეილიაო... უბანში სამწუხარო ამბავი მოხდა — მეზობლის კაცმა თავი ჩამოიხრჩო. სამძიმარზე მივედით. ვდგავართ დამწუხრებულები და უცებ გენადიმ თქვა: არა, ბიჭო, არა, თავს ბოსელში არაფრით ჩამოვიხრჩობო! რატომ-თქო? — ვკითხეთ (გაგვიკვირდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ადგილს). — რატომ და მერიკო (მისი ცოლი გასუქდა და მოძრაობა ძალიან უჭირს) მთელი თვე ისე გავა, ბოსელში არც შეიხედავს და ხომ ავაქოთე მთელი სოფელიო?!

p.s. *მაშ ასე, მომწერეთ თქვენი ამბები და აზრიც იმის შესახებ, რაზედაც „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ამ სერიაში ვიჭორავეთ და ცოტათი მაინც შეცვალეთ თქვენი და ჩვენი ერთფეროვანი ცხოვრება...*

ავტორთან დაკავშირების მსურველებს შეგიძლიათ, დაამესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 5(93) 49.95.02.

■

პატარა უფლისწულის ვარდი

მოარული ხმებით, ერთ-ერთ წვეულებაზე ქალი ქმარს თავში თეფშებს ესროდა. ის კი იდგა, მშვიდად იღიმებოდა და... თეფშებს იჭერდა. თუმცაღა სიმშვიდე ზოგჯერ ეგზიუპერისაც ღალატობდა. მაგალითად, 1935 წელს, ძალზე საპასუხისმგებლო გაფრენის წინაღამეს გულის სწორის ძებნისას, მთელი ქალაქის ბარები შემოიარა...

მათი პირველი კოცნის ოთხი ვერსია შემორჩა ისტორიას. ოთხივე ერთნაირად იწყება... ბუენოს-აირესის აეროდრომიდან ჰაერში აიჭრა თვითმფრინავი, რომელსაც ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი მართავდა. მას მშვენიერი ქალბატონი ეჯდა გვერდით. ქალს კონსულო ერქვა. პილოტი მისკენ დაიხარა და ფაქტობრივად, მოსთხოვა, მისთვის ეკოცნა. ჰოდა, ოთხი ვერსია პასუხთან დაკავშირებით არსებობს. პირველი — ის ქვრივია და მორალური უფლება არა აქვს, ახალგაცნობილ მამაკაცს აკოცოს; მეორე — მის ქვეყანაში არსებული დაუწერელი კანონით, ადამიანები მხოლოდ მათ კოცნიან, ვინც ძალიან უყვართ; მესამე — ქალს არ სჩვევია საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მოქცევა; მეოთხე — ზოგიერთი ყვავილი, როცა მას მეტისმეტად მიუახლოვდები, იკუმშება...

შეხვედრა

იმ დროისთვის, როცა ერთმანეთს გადაკიდებული ორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს შორის გაჩაღებული შეიარაღებული დაპირისპირებისას, უცნობი ქალი სახიფათო არგენტინულ ღამეს გამოსტაცა, ეგზიუპერი უკვე სიყვარულში ერთობ იმედგაცრუებული ადამიანი გახლდათ. ახალგაზრდობის წლებში პარიზელ ლამაზმანს — ლუიზა დე ვილმორენს ეტრფოდა, მაგრამ მდიდარი მშობლები ამ ქორწინებას წინ აღუდგნენ: მათი აზრით, ხელმოკლე თავადიშვილი მათი ქალიშვილისთვის შეუფერებელი იყო. ლუიზა ამ ამბავს მშვიდად შეხვდა, ანტუანი კი დიდხანს იშუშებდა იარას.

მერე მის ცხოვრებაში სხვა ქალები გაჩნდნენ, რომლებსაც ის მოკლე ხანში და იოლად შორდებოდა. ეგზიუპერის ეჩვენებოდა, რომ ისინი ცდილობდნენ, მისი ცხოვრება მეშჩანური ყოფის მარწუხებში მოექციათ. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანს იმის გამო დაშორდა, რომ ერთხელ შინ დაბრუნებულმა, მისივე წინდების კემსვისას წაასწრო...

იმ მომენტისთვის, როცა ანტუანს შეხვდა, კონსუელოს უკვე ორჯერ მოესწრო დაქვრივება. ამასთან, მოარული ხმებით, მეორე ქმარს თვითმკვლელობისკენ თავადვე უბიძგა...

კონსუელო ტანმორჩილი ქალი იყო. მის წვრილ, საოცრად მოძრავი ნაკვთებით გამორჩეულ სახეზე უმალ ყურადღებას იპყრობდა დიდრონი, მეტყველი თვალები. ქალს უკიდურესად ბობოქარი ხასიათი ჰქონდა. ის ფანტაზიების სამყაროში ცხოვრობდა და არად დაგიდევდათ რეალური ცხოვრების ნორმებს...

ბუენოს-აირესში ეგზიუპერისთან შეხვედრის შემდეგ, კონსუელო პარიზში დაბრუნდა და ყველა მეგობარ ქალს მოუყვა საოცარი კაცის შესახებ, რომელსაც ის შეუყვარდა, მაგრამ საუბედუროდ, დაიღუპა... იოლი წარმოსადგენია, თუ რარიგ გაოცდებოდნენ ისინი, როცა ცოტა ხანში კონსუელომ აცნობა, რომ ეს კაცი პარიზში იმყოფებოდა და ისინი მალე შეუღლდებოდნენ... მთელი მისი ცხოვრება უცნაურობებით იყო აღსავსე. მაგალითად, კონსუელოს პარიზულ ბინაში კედელზე ეკიდა მისი პირველი ქმრის — არგენტინელი ჟურნალისტის, გომეს კარილიოს ნიღაბი. თვითმხილველები ჰყვებოდნენ, — როცა დიასახლისი რომელიმე სტუმართან კეკლუცობას მიჰყოფდა ხელს, ეს ნიღაბი აჭრაჭუნდებოდაო...

ტანჯული სიყვარულის საუცხოო ნიჭი

ეგზიუპერის პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა კონსუელო. მისთვის სრულიად უცხო იყო ის, რითიც ანტუანს ასე ძლიერ აფრთხობდნენ ქალები: მეშჩანობა, თბილი ყოფისკენ სწრაფვა. ანტუანმა ის ცოლად შეირთო, მიუხედავად საკუთარი ოჯახის დიდი წინააღმდეგობისა, რომლის აზრსაც მუდამ გულისყურით ეკიდებოდა. დაიწყო ოჯახური ცხოვრება. ეს იყო ორი, ჭეშმარიტად „მსოფლიოს ადამიანის“ თანაცხოვრება: მათ არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი, ხშირად მოკლებული იყვნენ საარსებო წყაროს. სამაგიეროდ, როგორც კი ფული გაუჩნდებოდა, ცოლ-ქმარი გაილაღებდა: მეგობრებს სესხად აძლევდა, წვეულებებს აწყობდა... ასეთ დროს ანტუანი ცოლისთვის ყვავილებს მთელი ეტლით ეზიდებოდა ხოლმე. კონსუელომ რაღაც სიმსუბუქე, პოეზია, ფანტაზია შემოიტანა მწერლის ცხოვრებაში. ეს კი მას სხვა ქალებთან ურთიერთობისას ძალიან აკლდა. კონსუელო საოცრად კარგი მთხრობელი გახლდათ. რაღაც ამბის მოყოლას დაიწყებდა და მალე მისეული ვერსია ისეთი ჯადოსნური დეტალებით მდიდრდებოდა, რომ ანტუანი სთხოვდა, თავიდან დაეწყო. კონსუელოც სიამოვნებით იმეორებდა ამბავს, რომელიც ახალი, საუცხოო წვრილმანებით ივსებოდა.

ანტუანი ხშირად მიუტევებდა თავის კონსუელოს განრისხების გამოვლინებას, რომლის დროსაც ქალი გაყვიროდა, რომ მისი მოკვლა სურდა. ასეთი ქცევის მიღმა კაცი ჭეშმარიტ სიყვარულს ხედავდა. არსებობდა ორი კონსუელო: ერთი რეალური — მშვენიერი, ბობოქარი; მეორე, რომელიც მწერლის წარმოსახვაში ცოცხლობდა, — ნაზი, ნატიფი, პოეტური. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ კონსუელო გამოიყენა ეგზიუპერიმ „პატარა უფლისწულის“ სახელგანთქმული პერსონაჟის — ვარდის პროტოტიპად.

ვარდი, რომელიც ვერაფრით მოარჯულეს

ეგზიუპერის ოჯახში მომხდარ ჩხუბსა და დავიდარაბაზე მთელი პარიზი ჭორაობდა. იმას, რაც ანტუანს კონსუელოში აგრერიგად უყვარდა, მეორე მხარეც ჰქონდა. ექსპანსიურობა და ვნებიანობა, რომლებითაც მწერა-

ლი მოიხიბლა, ხშირად უმართავ ჭირვეულობაში გადაიზრდებოდა. კონსულოსთვის ჩვეულ რიტმს ეგზიუპერი ხშირად ვერ უწყობდა ფეხს. სამწერლო საქმიანობისთვის მას სიმშვიდე სჭირდებოდა. სიმშვიდე კი კონსულოსთვის სრულიად უცხო იყო. როცა ეს გარემოება მწერლის შემოქმედებით გუნება-განწყობილებას ეჯახებოდა, სიტუაცია უმართავი ხდებოდა. ერთხელ ცოლ-ქმარი რაღაცის გამო წაკინკლავდა. კონსულო მტყუანი იყო, მაგრამ პოზიციას არ თმობდა. ანტუანიც მტკიცედ იდგა თავისაზე. კამათი უფრო და უფრო მწვავდებოდა. ბოლოს და ბოლოს, კონსულო, ჭირვეული პატარა ბავშვივით აყვირდა. ანტუანს შეეშინდა, რომ ყვირილზე მეზობლები შეიყრებოდნენ. ის ცოლს ევედრებოდა, გაჩუმებულიყო, მაგრამ ქალი უფრო და უფრო „იქოქებოდა“. ანტუანმა ხელი დაავლო, საწოლისკენ გააქანა და თავზე ბალიში დაადო. ქალი თავს იცავდა, იკბინებოდა, იფხაჭნებოდა. მაგრამ პილოტის ძლიერ ხელებს მისთვის მაგრად ჩაევლო. მოულოდნელად, ყვირილი შესუსტდა — ის თითქოს საიდანღაც შორიდან მოისმოდა; სამაგიეროდ, ჟესტიკულაცია კვლავაც გაცხარებული, უფრო მეტიც — სასოწარკვეთილი ხდებოდა. ანტუანმა ცოლს ხელი უშვა, ბალიში აიღო და დაინახა, რომ ქალმა ის კბილებით გაგლიჯა, პირი ბუმბულით აევსო და იხრჩობოდა... ეს ყველაფერი ერთდროულად, ტრაგიკულადაც გამოიყურებოდა და სასაცილოდაც... ცოტა მოგვიანებით ანტუანმა ფილოსოფიურად შენიშნა: „არასოდეს შევსწრებივარ, ასეთ პატარა არსებას ამდენი ხმაური გამოეწვიოს“.

მსგავსი სცენა ხშირად მეორდებოდა. ზოგჯერ ამას დროებით გაყრა მოჰყვებოდა. ერთხელ კონსულო შინიდან ისე წავიდა, რომ ქმარი არც გაუფრთხილებია. გავიდა 2 დღე-ღამე. ეგზიუპერი ადგილს ვერ პოულობდა. ნაცნობ-მეგობრებიდან ვერავინ ამბობდა რაიმეს მისი შესაძლო ადგილსამყოფლის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ნანატრი ზარი გაისმა.

— სად დაიკარგე? რატომ მაფრთხობ?.. კარგი, გაპატიებ. ახლავე დაბრუნდი! — ყვიროდა ანტუანი.

— არა, — უტეხად უპასუხა კონსულომ.

— ის მაინც მითხარი, სად ხარ!

— სენ-მარტენის სანაპიროზე ვარ და ახლავე წყალში გადავხტები. მშვიდობით, ტონიო!

ერთს საათში კონსულო შინ დაბრუნდა...

ბუნებრივია, მათი თანაცხოვრება მხოლოდ ჩხუბით როდი გამოირჩეოდა. მათ სულიერი და ფიზიკური სიახლოვის არაერთი საოცარი მომენტი გამოუცდიათ.

ცოლ-ქმარი ხშირად დამდგარა მატერიალური პრობლემის წინაშე. ერთხელ პარიზში იმდენად ხელმოკლე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ ბინაში ელექტროენერგიისა და აირის მიწოდება შეუწყვიტეს. ანტუანი გამოსავლის ძიებაში კედლებს ასკდებოდა. კონსულო ჩაეხუტა და თბილად უთხრა:

— არ ინაღვლო, ძვირფასო, აუცილებლად გამოვძვრებით.

— როგორ? — ჰკითხა ანტუანმა.

— წავალ და ვიმუშავებ.

— სად?

— თუნდაც მოახლედ,— ამაყად უპასუხა კონსულომ.

— როგორ?! ასეთი პატარა ხელებით?! — გაოცებულმა შეხედა ანტუანმა.

— ქრისტესაც პატარა ხელები ჰქონდა... — უპასუხა ცოლმა.

ვარდი უეჭლოდ არ არსებობს

კონსულოსა და ანტუანის ქორწინება იმთავითვე თავისუფალი იყო. ეგზიუპერისთვის ფიზიკური ერთგულება სრულიად არ წარმოადგენდა პრინციპულ საკითხს. კონსულოც ამით სარგებლობდა. შესაძლოა, მათ მოსწონდათ კიდეც ერთმანეთისთვის ნერვების მოშლა. მოარული ხმებით, ერთ-ერთ წვეულებაზე ქალი ქმარს თავში თეფშებს ესროდა. ის კი იდგა, მშვიდად იღიმებოდა და... თეფშებს იჭერდა. თუმცაღა სიმშვიდე ზოგჯერ ეგზიუპერისაც ღალატობდა. მაგალითად, 1935 წელს, ძალზე საპასუხისმგებლო გაფრენის წინაღამეს, გულის სწორის ძებნისას, მთელი ქალაქის ბარები შემოიარა...

ის თავს აიძულებდა, არ ეეჭვიანა, მაგრამ ეს უფრო და უფრო ეძნელებოდა. საბოლოოდ, უძილარი მიუჯდა საჭეს. თვითმფრინავს უდაბნოში მოუვიდა კატასტროფა. გამოცდილმა მფრინავმა მისი დასმა მაინც მოახერხა. რომ არა არაბი ბედუინი, რომელმაც თვალუწვდენელ ქვიშაში იპოვა, გამოჩენილი მწერალი და მფრინავი, შინ ვერ დაბრუნდებოდა. იქ კი აღტაცებული თაყვანისმცემლები და უკმაყოფილო ცოლი ელოდნენ...

კონსულოს სასიყვარულო რომანები ანტუანს სულ უფრო ნაკლებად ხიბლავდა. დროთა განმავლობაში კი ამპარტავანი ქალი ქმარს სქესობრივ სისუსტესაც საყვედურობდა. ზოგჯერ ეს ბრალდება სახალხოდაც კი წამოუძახებია. სწორედ იმ დროს ეგზიუპერის ცხოვრებაში სხვა ქალები გამოჩნდნენ. კონსულო ამას მშვიდად ვერ უცქერდა. ის ეჭვიანობდა არა იმდენად ქალებზე, არამედ იმ ყურადღების გამო, რომელსაც ეგზიუპერის მიმართ იჩენდნენ. მას ყოველთვის სურდა, თავად ყოფილიყო პირველ პლანზე წამოწეული.

უნდა ითქვას, რომ კონსულოს მიერ მოგონილი იმპოტენცია სულაც არ უშლიდა ხელს ახალგაზრდა მსახიობ ქალს, ნატალი პალეისა და მხატვარ ქალს, ჰედე სტერნის, ეგზიუპერის საყვარლები ყოფილიყვნენ და მისით აღფრთოვანებაც გამოეხატათ. „პატარა უფლისწულის“ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი კი ნორჩ სილვია რეინჰარდტს ეკავა.

თუმცა მეშჩანური სიმშვიდე ეგზიუპერის სძაგდა, ის მაინც სჭირდებოდა ხოლმე. სილვიას გვერდით სწორედ ის ჰქონდა, რაც კონსულოს არ შეძლო, მისთვის მიეცა: სიმყუდროვე და სულიერი სითბო. და მაინც, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ანტუანი უბრუნდებოდა ცოლს, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო ძლიერ ტანჯავდა მას. ეგზიუპერი წერდა: სიყვარული — წამებით „შეკაზმული“ ბედნიერებაა. მწერალი-მფრინავი, რომელიც მთელი მსოფლიოს აღფრთოვანების ობიექტს წარმოადგენდა, მედგრად ეზიდებოდა თავის ჯვარს, თავის ველურ სიყვარულს ნახევრად შლეგი მატყუარა ქალის მიმართ.

...ეგზიუპერი ომში მიდიოდა და აშკარა იყო — ცოლთან დაბრუნებას აღარ აპირებდა. ის თითქოს სიკვდილს ეძებდა. ეძებდა და იპოვა კიდეც.

1944 წელს ანტუანი სიცილ-სიცილით უყვებოდა თანამებრძოლებს იმის შესახებ, რომ მკითხავმა მას ზღვაში სიკვდილი უწინასწარმეტყველა, — ალბათ მეზღვაურად აღმიქვაო... 1998 წელს საფრანგეთის სანაპიროსთან მეთევზეებმა იპოვეს სამაჯური, რომელზეც ეგზიუპერისა და მისი ცოლის სახელები იყო ამოტვიფრული... ■

ეთო ყორღანაშვილი

„როცა ვხედავ, რომ ჩემი დის ნაშრომი ფასდება, მიხარია“...

გოგონების პატარა, ოჯახური ბიზნესი

ნათია ჩხეტიანს *თბილისში, ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე შევხვდი. ახალგაზრდა გოგონა ლამაზი ყვავილებით გაფორმებულ თმის სამაგრებს ყიდდა. როცა მათი ფასით დავინტერესდი, მიპასუხა:*

— თექისგან გაკეთებული პატარა გვირილები 3 ლარი ღირს. უფრო დიდი ყვავილებისგან დამზადებულის ფასი 4 ლარია, ჭიამაიებიანი ყვავილების კი — 5. ერთმა მყიდველმა მორიდებით მითხრა: ვერ ვბედავ, რომ ფასის დაკლება გთხოვოო. ასეთ ადამიანებს უფრო იაფად მივყიდი.

— **თმის სამაგრებს თავად აკეთებ?**

— არა, ჩემი და აკეთებს, მე კი ვყიდი.

— **ყოველდღე მუშაობ?**

— თითქმის. მუშაობას დაახლოებით 1-ელ საათზე ვიწყებ და 5-მდე აქ ვარ.

— **ეს დრო საკმარისია?**

— კი. ვიდრე მოხვიდოდით, 2 ყვავილი მქონდა გაყიდული. ვფიქრობდი, — ეს რა ცუდი დღეა-მეთქი! უცებ 2 გოგონა მოვიდა და 7 ცალი იყიდა. მითხრეს, — ხელნაკეთ ნივთებს ძალიან ვაფასებთ, მით უმეტეს, ასეთი გოგონა რომ ყიდისო. უცხოელებიც იძენენ, შეკვეთებს გვაძლევენ... ზოგს ჩემთან გამოლაპარაკება, დროის გაყვანა უნდა და ფასს ტყუილად მეკითხება. ერთ-ერთი მამაკაციც ასეთი მეგონა, მაგრამ თმის სამაგრი მართლა იყიდა. ალბათ, შვილიშვილი გყავთ და მისთვის გინდათ-მეთქი, — ვუთხარი. — არა, შვილიშვილი არ მყავს; ამ ყვავილებს ხელოვნების ნიმუშად აღვიქვამ და იმიტომ მიმაქვსო, — მიპასუხა. ჩემს დას ეს ამბავი რომ მოვუყევი, ცოტათი დამშვიდდა. ძალიან თავმდაბალია. მართალია, უკეთესზე უკეთესი არ დაილევა, მაგრამ შენი ნამუშევრები განსხვავებულია-მეთქი, — ხშირად ვეუბნები. ზოგი მეკითხება, — სხვაგან ასეთი სამაგრები 1 ლარი ღირს, შენ 3 ლარად რატომ ყიდიო? ეს ხომ ხელით შექმნილია? ამიტომ შედარებით მაღალი ფასი გასაკვირი არაა. სხვათა შორის, ბევრმა აღნიშნა, უფრო მეტიც ღირსო.

— **სად ცხოვრობ?**

— ლილოს დასახლებაში.

— **თმის სამაგრების გასაყიდად ლილოს დასახლებიდან მოდიხარ ხოლმე?**

— კი, „მარშრუტკით“ მგზავრობას დაახლოებით 1 საათს ვანდომებ.

— **ალბათ, დამღლელი სამუშაოა, არა? ზაფხულია, ცხელა...**

— კი, მაგრამ ვერთობი. დამღლელი იმიტომ არის, რომ ზოგი ადამიანი უხეშია, წაიუზრდელებს ხოლმე... ერთხელ ვიღაც ბიჭი მოვიდა. ნასვამი იყო. ჯერ ყურადღება არ მივაქციე. მითხრა, — მთელი ყუთის საფასურს გადაგიხდი, ოღონდ, ტელეფონის ნომერიც უნდა მომცე; არ მინდა, რომ ასეთი გოგონა აქ იდგეო... მერე კიდევ მოვიდა. მას აქვე, კაფე-ბარში მომუშავე ბიჭმა საკადრისი პასუხი გასცა.

— **აბეზარი ხალხი ხშირად გაწუხებს?**

— არა. ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ ჩემი საქმით ვწუხდები, რომ სხვა გზა არა მაქვს. ასე ნამდვილად არაა. როცა ვხედავ, რომ ჩემი დის შრომა ფასდება, მიხარია. ერთმა კაცმა რესტორანში მიმტანად მუშაობა შემომთავაზა, — ქუჩაში რატომ უნდა იდგეო? უარი ვუთხარი, ჩემი საქმე მირჩევნია. თავისუფლება მიყვარს. წინათ მაღაზიაში ვმუშაობდი, მაგრამ სამუშაო რეჟიმი ვერ ავიტანე: არ შემიძლია, სამსახურში დილით მივიდე, საღამოს წავიდე... ახლა როცა მინდა, მაშინ მოვდივარ და თმის სამაგრებს ვყიდი.

— **პროფესია გაქვს?**

— მასაჟისტის კურსები გავიარე. კომპლექსი გამიჩნდა — ქალებისა და ბავშვებისთვის ვმუშაობ. ინტერნეტში რეკლამაც მქონდა განთავსებული. სულ კაცები მირეკავდნენ. მათ უარს ვეუბნებოდი.

— **ეროტიკული მასაჟი ხომ არ ეგონათ?**

— ეს ამბავი დეიდაჩემმაც ასე ახსნა (*იცინის*). რეკლამაში ყველაფერი გარკვევით მივუთითე. მგონი, უნდა მიმხვდარიყვნენ.

— **მამაკაცებისთვის რატომ არ მუშაობ?**

— ოდესმე სალონში თუ ვიმუშავებ, მაშინ მამაკაცებსაც მოვემსახურები, მაგრამ მასაჟისთვის შინ რომ მოდიან, ასე მგონია, ყველა კაცს გულში სხვა განზრახვა აქვს. მამა ცოცხალი რომ მყავდა, მაშინ ეს კომპლექსი არ მქონდა...

— **ერთი სამუშაო დღის განმავლობაში რა თანხა გრჩება?**

— 40-50 ლარი. აქედან ხარჯის (ახალი სამაგრების გასაკეთებლად საჭირო მასალის თანხა) ფულს გამოვყოფთ, დანარჩენს კი მე და ჩემი და შუაზე ვიყოფთ. ჯერჯერობით, საქმე ნორმალურად მიდის.

— **სამუშაო დღის შემდეგ როგორ ერთობი?**

— იმდენი შემოსავალი არ მაქვს, რომ მაგალითად, კინოთეატრში წავიდე. მეგობართან ერთად ვსეირნობ ხოლმე...

მაია ჩხეტიანი, *ნათიას და:*

— როცა სამსახურის გარეშე დავრჩი, ყვავილების გაკეთება დავიწყე. ახალი წლის დღეები იყო და ჩემი ნამუშევრებით ახლობლებს საჩუქრები გავუკეთე. მოეწონათ. შემდეგ გადავწყვიტე, პატარა ბიზნესი წამოგვეწყო. ნათიასთან ამ თემაზე საუბრის

გადავწყვიტე, პატარა ბიზნესი წამოგვეწყო

მერიდებოდა — გოგონაა, არ მინდოდა, ქუჩაში მდგარიყო, მაგრამ ვფიქრობ, მუშაობა სათაკილო არაა. ერთმანეთს მხარში ვუდგავართ.

— **შრომატევადი საქმე გაქვს?**

— საკმაოდ. ჯერ ქსოვილი უნდა გავაკეთო, მერე გამოვჭრა, ავკინძო, მატყლი შევღებო, დავახარისხო... შერეული ტექნიკითაც ვმუშაობ. მაგალითად, ზოგი ყვავილის ფოთოლი ნატურალური ტყავისაა. სამუშაო მასალად ძირითადად, თუშურ მატყლსა და მერინოსს ვიყენებ. მერინოსი უფრო ძვირად ღირებულია. ახლა კიდევ უფრო გაძვირდა — 1 კგ 100 ლარი ჯდება. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ჩემი საქმე სიამოვნებას მანიჭებს. როცა შრომა გიფასდება, ეს ორმაგად სასიამოვნოა.

სამუშაო მასალად ძირითადად, თუშურ მატყლსა და მერინოსს ვიყენებ

— **წინათ სად მუშაობდი?**

— ჩემი დეიდაშვილის კომპანიაში. ახლა გიორგი კანადაშია. იქ მოდების ჩვენება ჰქონდა. ჩვენებისთვის საჭირო კოლექცია საქართველოში დაამზადა. გიორგი დიზაინერია, მე კი ქსოვილს ვქმნიდი.

— **კანადაში როგორ აღმოჩნდა?**

— კანადელი ნორმან გაუდეტი საქართველოში მივლინებით გახლდათ ჩამოსული (მგონი, განათლების სფეროში მუშაობდა). იმ პერიოდში, გიორგის თბილისში ატელიე ჰქონდა. ნორმანი მისი კლიენტი იყო, რომელსაც დიზაინერობა სურდა. ამიტომ ერთობლივი კომპანია ჩამოაყალიბეს. ოჯახი რომ დამენგრა, გიორგიმ კომპანიაში მიმიყვანა. თოიძის სახელობის ლიცეუმი მაქვს დამთავრებული, მაგრამ კარგა ხანი იყო გასული, რაც შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებული არ ვიყავი. მოულოდნელად თექაზე მუშაობა დავიწყე — გიორგის სახელოსნოში საპალტოე ქსოვილს ვქმნიდი. თექაზე მუშაობა მან მასწავლა. დიდი გამოცდილება მივიღე.

— **სახელოსნომ მუშაობა რატომ შეწყვიტა?**

— გიორგიმ კანადიდან ჩამოსვლა ველარ მოახერხა: დიზაინერობის გარდა, იქ სხვა საქმითაცაა დაკავებული, იქაური მოქალაქეობა მიიღო.... საქართველოში სამხატვრო აკადემია დაამთავრა, კანადაში კი — მოდის აკადემია, სადაც პედაგოგად მუშაობს. გიორგი საქართველოში აბრამ ბაზელთანაც სწავლობდა. ბაზელთან მეც ვსწავლობდი, მაგრამ კურსი ბოლომდე ვერ გავიარე. იქ მიღებული ცოდნა მაინც გამომადგა. ამჟამად მხოლოდ ყვავილების კეთებით ვარ დაკავებული. სტუდიის შექმნაზე, მოსწავლეების აყვანაზეც ვიფიქრე. ლილოს დასახლებაში ჯერ მსგავსი არაფერია. იდეები მაქვს. რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს...

— **ლიცეუმში სწავლის დამთავრების შემდეგ რატომ არ მუშაობდი?**

— მაშინ ჩემი შვილი — ანდრო 3 წლის იყო. თან, მე და ჩემს მეუღლეს ოჯახური ბიზნესი გვქონდა... დიდი ტკივილის მიუხედავად, დღეს ჩემი ცხოვრება მაინც მშვენიერია, რადგან უსაყვარლესი შვილი მყავს. მინდა, მყარად დავდგე ფეხზე და მატერიალურად ჩემი შვილი თავად უზრუნველვყო. ამ ეტაპზე დიდი შემოსავალი არა მაქვს. ანდრო ფინანსურად მამაზეა დამოკიდებული. იმ იმედით ვცოცხლობ, რომ ჩემს შვილს მხარში ამოვუდგები. მას მომავალი წინ აქვს. კარგი ბიჭია, ჩემი უმცროსი მეგობარია...

■



სამყარო

სტალინის სიკვდილის საიდუმლოება

საბჭოთა კავშირის ყველაზე სახელგანთქმული ლიდერი, მსოფლიოში პირველი ქართველი გენერალისიმუსი და II მსოფლიო ომის ერთ-ერთი არქიტექტორი — იოსებ სტალინი, იგივე — ჯუღაშვილი 1953 წლის 5 მარტს, 21:50 საათზე გარდაიცვალა. საბჭოთა გაზეთებმა მისი სიკვდილის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 2 დღის შემდეგ გაავრცელეს. „დიდი ბელადის“ გარდაცვალება ხალხისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ბევრმა ინფარქტიც მიიღო. ამასთან, როგორც შემდგომში გამოირკვა, სტალინის სიკვდილს თავად „ძლიერნი ამა ქვეყნისანიც“ მოუმზადებელნი შეხვდნენ, რამაც უამრავ ლეგენდასა თუ ვარაუდს დაუდო საფუძველი.

მიხეილ ლაბაძე

ლავრენტი ბერიამ სტალინის სიკვდილის საიდუმლო საფლავში ჩაიგანა

დღესდღეობით „დიდი ბელადის“ გარდაცვალების შესახებ არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც საკმაოდ ბევრი რამ იწერება და ისტორიკოსების გარდა, ამ საკითხზე საკუთარ შეხედულებას სხვა პროფესიის ადამიანებიც გამოთქვამენ. ამიტომაცაა, რომ უკვე სიმართლის დადგენა საკმაოდ ჭირს, მაგრამ თავისთავად, ყოველგვარი ინფორმაცია საინტერესოა. მაგალითად, მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ იოსებ სტალინის სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღით ადრე დამბლა დაეცა და მარჯვენა მხარე მთლიანად წაერთვა: 1953 წლის 1-ელ მარტს იგი კუნცევოს აგარაკზე, დაცვის უფროსმა ლოზგაჩოვმა უკვე დადამბლავებულ მდგომარეობაში — იატაკზე დაგდებული ნახა, მაგრამ ექიმები კუნცევოზე მხოლოდ მეორე დღეს, დილით მივიდნენ და სხეულის მარჯვენა ნაწილის დამბლის დიაგნოზი დაუსვეს. ამის შემდეგ სტალინმა კიდევ სამიოდე დღე იცოცხლა ისე, რომ ლაპარაკს ვერ ახერხებდა და მხოლოდ მარცხენა ხელს ამოძრავებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1953 წლის 5 მარტს სტალინი გარდაიცვალა და ექიმებმა ამის მიზეზად ტვინში სისხლის ჩაქცევა დაასახელეს.



Секретно
экз. № 1

МИД СОЮЗНЫХ И АВТОНОМНЫХ РЕСПУБЛИК
И УМД КРАЕВ И ОБЛАСТЕЙ

В связи с запросами в ваш адрес сообщаем, что указания о невозможности выдачи портретов Берия распространяются как на индивидуальные портреты, так и на групповые портреты, картины, репродукции, диапозитивы, диафильмы, на которых имеется изображение Берия.

Картины на холсте, исполненные маслом, а также диафильмы запрещается демонтировать до их уничтожения.

НАЧАЛЬНИК II ГЛАВНОГО УПРАВЛЕНИЯ
МИД СССР

/К.ОКОЛЫШЕВА/

27 июня 1953 г.
№ 46/№-21540

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბერიას სურათების სასწრაფო განადგურების თაობაზე

როგორც მოსალოდნელი იყო, „დიდი ბელადის“ სიკვდილს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა: მოქალაქეთა უმრავლესობა, როგორც წესი, ოფიციალურ განცხადებას ბრმად ენდო; პოლიტბიუროს წევრთა ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ სტალინი ხრუშჩოვმა და მისმა გარემოცვამ მოწამლა, ხოლო თავად ხრუშჩოვსა და მისიანებს, ისევე, როგორც „გულაგის“ მრავალრიცხოვან მკვიდრთ პოლიტიკური მტრის მოულოდნელი სიკვდილი გაუხარდათ და საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად დაიწყეს მზადება. ცხადია, მომხდარით უაღრესად აღშფოთებული ჩანდა ლავრენტი ბერია. სტალინის ვაჟიშვილი, ვასილი სტალინი კი ამტკიცებდა, რომ მამამისი მოწამლული იყო.

მოწამვლის ვერსია სტალინის ქალიშვილმა — სვეტლანა ალილუევამაც გაიზიარა: ის მოგვიანებით იხსენებდა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, როცა მამის სარეცელთან მივიდა, შეამჩნია, რომ სტალინს რაღაცის თქმა სურდა, თან მარცხენა ხელს მუშტავდა. „წარბები შეკრა და ხელი იმგვარად აამოძრავა, თითქოს ვიღაცას ემუქრებოდა“, — წერდა სვეტლანა წიგნში, რომელიც მან წლების შემდეგ, ამერიკაში გამოსცა. საინტერესოა, რომ იგი ორაზროვნად, მაგრან იქვე იმასაც უთითებს, რომ სასიკ-

ვდილო სარეცელთან ყველაზე მხნედ და რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ყველაფრისთვის მზადმყოფად სწორედ ლავრენტი ბერია გამოიყურებოდა: „ის წუთითაც არ დაბნეულა მაშინ, როდესაც ჩვენ ყველანი ვერც კი ვაცნობიერებდით, რა ხდებოდა და არც ის ვიცოდით, რითი უნდა გვეშველა მომაკვდავი მამისთვის“. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს პოლიტბიუროს წევრთა ნაწილმა კარგად იცოდა, სტალინს და ბერიას არცთუ კარგი ურთიერთობა რომ ჰქონდათ, მაგრამ ყველა დუმდა. სტალინ-ბერიას ურთიერთობებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ხრუშჩოვი და მისი გარემოცვა, რომლებიც „ქართველთა აღზევების“ გამო უკმაყოფილებას ვერ ფარავდნენ.

იოსებ სტალინსა და ლავრენტი ბერიას ურთიერთობა ჯერ კიდევ ომის შემდგომი წლებიდან დაეძაბათ — მაშინ „დიდმა ბელადმა“ გადაწყვიტა, „პენსნეიანი კაცი“ და მისი კლანი თავიდან მოეშორებინა და კრემლში ახალ-ახალი კადრების მოყვანა-დაწინაურებას შეუდგა. ბერიამ მაშინ შეძლო, სტალინის ჩანაფიქრი გამოეცნო და საფრთხე თავიდან ისე აერიდებინა, რომ ხელისუფლებაში გავლენა არ დაეკარგა — ჩაშალა ის ინტრიგები, რომელთაც პირადად სტალინი უწევდა კონტროლს, თანაც — ამას ყოველთვის ისე ახერხებდა, რომ „დიდ ბელადს“ პიროვნულად არც ერთხელ არ დაჰპირისპირებია; გარეგნულად იგი კვლავ სტალინის უპირველეს მომხრედ რჩებოდა და მხოლოდ ერთეულები გრძნობდნენ, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში.

„პენსნეიან კაცს“ სტალინის მოწამვლა შესაძლებელია, მართლაც ნდომოდა, მაგრამ მისთვის ამის დამტკიცება ძალიან ძნელი იყო — ბერია არასოდეს ტოვებდა რაიმე ხელჩასაჭიდს, რითაც მისი გამოჭერა იქნებოდა შესაძლებელი. ის ამგვარ საქმეებში მეტად ფრთხილი იყო და ეს მისმა მტრებმაც იცოდნენ. მათ არაერთხელ სცადეს, „პენსნეიანი კაცი“ ხაფანგში გაებათ, მაგრამ ამაოდ. ერთხელ ქალიც კი მიუგზავნეს, რომელსაც მისი ნდობის მოპოვება და სტალინის წინააღმდეგ პროვოცირება ევალებოდა, მაგრამ ბერიამ ლამაზმანი ისე მოხიბლა, თავი არ დაუკარგავს. ერთი სიტყვით, ბერიას მეშვეობით სტალინის მოშორების მსურველებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ბერია და სტალინის ქალიშვილი სვეტლანა, უკანა პლანზე – სტალინი (ფოტოს გადაღების თარიღი უცნობია)

აქედან გამომდინარე, სტალინის გარდაცვალებისას, ერთი შეხედვით, ბერიას შემართება არაფრისმთქმელი იყო, რადგანაც მას კრიტიკულ სიტუაციებში დაბნევა არ სჩვეოდა. „პენსნეიანი კაცი“ სტალინის სარეცელთან იდგა — ვოროშილოვთან, ხრუშჩოვთან, კაგანოვიჩთან, მალენკოვთან ერთად და ბელადის უკანასკნელ წამებს შუბლშეკრული ადევნებდა თვალს. აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიკოსი ვინოგრადოვი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში სტალინის პირადი ექიმი იყო, ამ ამბიდან რამდენიმე წლით ადრე, სწორედ ბერიას ბრძანებით დააპატიმრეს; ამიტომ იქ სხვა ექიმები იმყოფებოდნენ, რომლებიც სტალინს კარგად არც იცნობდნენ და დაბნეულებიც ჩანდნენ. ვასილი სტალინის მოგონებით, ლავრენტი ბერია მამამისის სარეცელთან იხრებოდა და მკაფიო ხმით სთხოვდა, ეთქვა ან ენიშნებინა რაიმე: „მან რამდენჯერმე გააკეთა ასე... მამა მას უყურებდა, თუმცა ხმის ამოღება არ შეეძლო და ბერია კი, ამ ფონზე, უჩვეულოდ ცქვიტად გამოიყურებოდა“. სხვათა შორის, სწორედ მას შეეპარა ეჭვი პირველად — მამაჩემი ბერიას მოწამლული ხომ არ არისო და მოგვიანებით, ხრუშჩოვმა ეს ვერსია სათავისოდ გამოიყენა.

სხვათა შორის, სტალინის სიკვდილიდან მხოლოდ გარკვეული ხნის

იოსებ სტალინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ჩინური მარკა, 1953 წელი

შემდეგ გახდა ცნობილი ერთი მეტად საეჭვო გარემოება — დიდი დიქტატორი 1953 წლის 28 თებერვლის ღამეს ბერიასთან, ხრუშჩოვთან, მალენკოვთან, ბულგანინთან ერთად იჯდა სუფრასთან და წითელ ღვინოს სვამდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს 1949 წლის მერე მისი და ბერიას პირველი თანამეინახეობა იყო. იმ სუფრის დეტალები უცნობია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტალინს ბერიასთვის უთქვამს: „ვიცი, ჩემ შემდეგ ყველაფერი განადგურდება, რაც შემიქმნია, მაგრამ ეს ისეთმა კაცმა უნდა გააკეთოს, რომელსაც უფრო ღირებულის შექმნა შეეძლება და, არა სულელმა!“ — ასე წერს ცნობილი ჩეჩენი დისიდენტი მწერალი აბდურაჰმან ავთურხანოვი, ოღონდ წყაროს არ ასახელებს; ასე იყო თუ ისე, სტალინი ალბათ ხვდებოდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა — მასაც ისევე, როგორც ყველა ცნობილ დიქტატორს, აღსასრულის მოახლოების ალღო გამახვილებული ჰქონდა.

საინტერესოა ისიც, რომ ცხოვრების ბოლო წლებში იოსებ სტალინი რელიგიისადმი ლმობიერებით გამოირჩეოდა, რის გამოც, სასულიერო პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მთელ საბჭოთა კავშირში მკვეთრად

შესუსტდა, თუმცა ცხადია, საბოლოოდ არ აღმოფხვრილა. ნიკიტა ხრუშჩოვს ეს არ მოსწონდა და თანამედროვეთა გადმოცემით, პოლიტბიუროს სხდომებზე სულ „თავგასული მღვდლების“ გამო ბუზღუნებდა. როგორც ჩანს, სტალინი თავს იკავებდა, მაგრამ საბოლოოდ, ვეღარ მოითმინა და მობუზღუნე ხრუშჩოვი სხდომიდანაც კი გააძევა, რასაც ბერიას თავშეუკავებელი ხარხარი მოჰყვა. სტალინი „პენსნეიან კაცს“ მიუბრუნდა და ღიმილით, რუსულად უთხრა: „ასეთების დაცინვა ცოდვაა!“ ნიკიტამ ეს ძაღლის ნაკბენივით დაიმახსოვრა და „დიდ ბელადს“ ავად უმზერდა.



ნიკიტა ხრუშჩოვი და იოსებ სტალინი პრეზიდიუმში, 1936 წლის ფოტო

28 თებერვლის სუფრაზე კი, აბდურაჰმან ავთურხანოვის ცნობით, ხრუშჩოვი უჩვეულოდ ლაღად გამოიყურებოდა, თუმცაღა ცუდი სიმთვრალე მოიმიზეზა და წვეთიც არ დაულევია. ბერიამაც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მხოლოდ ორიოდ ჭიქა შესვა, ისიც — სტალინის დაჟინებული მოთხოვნით. დაუზუსტებელი ცნობებით, ბერიამ წასულების შესანდობარი დალია და „დიდმა ბელადმაც“ სწორედ ამ დროს ჩაილაპარაკა: „ვისურვებდი, წესი მაინც ამიგონ...“

ამდენად, სტალინის უკანასკნელი წუთების მოგონებისას, სვეტლანა ალილუევა წერს, რომ კუნცევოს აგარაკზე ვიღაცას მღვდლის მიყვანაც კი მოუთხოვია, მაგრამ პოლიტბიუროს წევრებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევიათ. სწორედ ამის შემდეგ, სტალინი როგორღაც, გრძნობაზე მოვიდა, მარცხენა ხელი მომუშტა და უცნაურად გაარხია. „მღვდლის ხსენება არ სიამოვნებს!“ — უთქვამს მაშინ ხრუშჩოვს და პოლიტბიუროს წევრებსაც სასწრაფოდ შეუწყვეტიათ ამაზე ლაპარაკი. ორიოდე საათში სტალინი გარდაიცვალა. ექიმებმა, რომლებიც დაბნეულები აქეთ-იქით დარბოდნენ, სიკვდილი დააფიქსირეს და როგორც წესი, იკითხეს, თუ შეიძლებოდა ცხედრის გაკვეთა დამატებითი დასკვნების გასაკეთებლად. ლავრენტი ბერია უხმოდ მივიდა იმ ექიმთან, რომელმაც შეკითხვა დასვა და ხელკავით გარეთ გაიყვანა, ოთახში კი მარტო შემობრუნდა. „მაშ ასე, ამხანაგებო! პანიკა საჭირო არ არის, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ!“ — თქვა მან ბრძანებლურად და რატომღაც, ხრუშჩოვს გადახედა. ნიკიტამ „პენსნეიან კაცს“ თვალი აარიდა.

„სანამ სტალინის გარდაცვალების შესახებ ოფიციალურად ცნობილი გახდებოდა, პოლიტბიუროში ჯოჯოხეთი სუფევდა... ყველა უნდობლად უყურებდა ერთმანეთს და ამასთანავე, ცდილობდა, ზედმეტი ყურადღება არ მიექცია. ლავრენტი ბერია კი უკვე ყველაფრის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს და, როგორც ამბობდნენ, ანგარიშს აღარავის უწევდა“, — იხსენებს სვეტლანა ალილუევა. დღევანდელი გადასახედიდან, მართლაც საინტერესოა, თუ როგორ მოახერხა გონებაშეზღუდულმა ხრუშჩოვმა და მისმა გარემოცვამ მათზე გაცილებით ფრთხილი ლავრენტი ბერიას ჩამოშორება — იმავე ალილუევას ცნობით (რაც დაზუსტებას საჭიროებს), საამისოდ გამოიყენეს ცნობილი ლამაზმანი, გერმანული წარმოშობის რუსი ქალბატონი, რომელიც ბერიას დიდი ხნის საყვარელი იყო. „პენსნეიანი კაცი“ ძალოვან სტრუქტურებს ეყრდნობოდა და მათი დახმარებით, საბჭოთა კავშირში გადატრიალების მოწყობას გეგმავდა. ის აპირებდა მოეკლა ნიკიტა ხრუშჩოვი, შემდეგ კი მისი გარემოცვა გაენეიტრალებინა და საბჭოთა კავშირის მართვის სადავეები ჩაეგდო ხელში. ლავრენტი ბერიამ ლამაზმანის ალერსს ვეღარ გაუძლო (ასე წერს ალილუევა) და გეგმის დეტალებზე ალაპარაკდა — მის ხალხს პრეზიდიუმის წევრები ოპერის თეატრში, სპექტაკლ „დეკაბრისტების“ პრემიერაზე უნდა აეყვანა. „სპექტაკლზე, რაღა თქმა უნდა, შენც გეპატიჟები, კარგი სანახაობა გველის!“ — უთხრა „პენსნეიანმა კაცმა“ საყვარელს მაშინ, როდესაც მას სახლში აცილებდა — ეს 1953 წლის ივნისის ერთ თბილ საღამოს მოხდა. კრემლში მიბრუნებულ ბერიას კაბინეტში ათიოდე ჩეკისტი დახვდა. „პენსნეიან კაცს“ გულმა ცუდი უაზრა, მაგრამ მაინც, ცინიკური ღიმილით იკითხა: „რაო, ბიჭებო, მეც დაგჭირდით?“ მოგვიანებით ერთ-ერთი ჩეკისტთაგანი იხსენებდა, რომ დაპატიმრების ორდერის წაკითხვა გაუჭირდათ, რის გამოც ბერიამ ერთი ჩაიცინა, მერე კი ცრემლის შეკავება ვერ შეძლო და ქართული აქცენტით თქვა: „წავიდეთ, ბიჭებო... ცუდია, რომ ბოლო გასროლა ვერ მოვასწარი...“

დაპატიმრებულ ლავრენტი ბერიას ბრალი 1953 წლის ივლისში წაუყენეს, ხოლო დეკემბერში დახვრიტეს. მისი სასამართლო, ცხადია, გასაიდუმლოებული იყო და უნდა ითქვას, რომ მან ვერ გაამართლა ვასილი სტალინის მოლოდინი: „მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მამაჩემი ბერიამ მოკლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი სიკვდილით უფრო დაინტერესებული ყოფილან ისინი, ვინც ბერია დააპატიმრა და მისი სასამართლო პროცესი გაასაიდუმლოვა... ამას ახლა ვხვდები და სამწუხაროა, რომ ბერიამ სტალინის სიკვდილის საიდუმლო საფლავში ჩაიტანა“, — წერდა შემდეგ ვასილი სტალინი.

■

Renault Twingo

საავტომობილო გამოცემა „აუტოვიკმა“ განახლებული კომპაქტური ჰეჩბეკის — Renault Twingo — პირველი ფოტოები გამოაქვეყნა. სურათები ამ ჟურნალის ერთ-ერთმა მკითხველმა, ავტომობილის ოფიციალური ფოტოსესიისას გადაიღო. „რენოს“ მიერ ახალი მანქანის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა. წინასწარი მონაცემებით, ჰეჩბეკის ძრავათა გამა არ შეიცვლება. ავტომობილისთვის საბაზოდ დარჩება 1,2-ლიტრიანი, 75 ცხძ სიმძლავრის აგრეგატი, ხოლო RS-ის გაუმჯობესებული ვერსია 1,6-ლიტრიანი, 133 ცხძ-ის მქონე მოტორით აღიჭურვება. Renault Twingo შესაძლოა, 75 და 85 ცხძ სიმძლავრის დიზელის ძრავებითაც დააკომპლექტონ. სიახლის პრემიერა შემოდგომაზე, ფრანკფურტის მოტორშოუზე შედგება, ხოლო ევროპულ ბაზარზე დეკემბრიდან გამოჩნდება. საგულისხმოა, რომ ფრანკფურტის საავტომობილო გამოფენაზე პუბლიკა ჰეჩბეკ Fiat Panda-სა და სერიულ კომპაქტურ VW Up-საც იხილავს. ■

„პორშე პანამერას“ დაგრძელებენ

ჰეჩბეკ „პორშე პანამერას“ დაგრძელებული ვერსია ბაზარზე 2012 წლის დასაწყისში გამოჩნდება. სიახლეს 150 მმ-ით დაგრძელებული ბორბლების ბაზა (3070 მმ-მდე) ექნება, რაც უკანა რიგის სავარძლებზე ადვილად მოსათავსებლად უკანა კარების დაგრძელებასაც მოითხოვს. შედარებისთვის, სედან Mersedes-Benz S-Class-ის დაგრძელებული მოდიფიკაციის ბორბლების ბაზა 3165 მმ-ის ტოლია, Audi A8L-ის — 3122 მმ-ის, ხოლო BMW &-Series Long-ის — 3210 მმ-ის. დაგრძელებული „პანამერა“ ახალი ვერსიების მოდელების სერიიდან პირველ მოდიფიკაციად იქცევა. ადრე გავრცელებული ცნობით, კომპანია „პორშე“ კომპაქტური ავტომობილის გამოშვებას გეგმავს, რომელიც ჰეჩბეკ „პანამერას“ „უმცროს ძმად“ იქცევა (ასეთი მანქანა ჯერჯერობით, შიდაკორპორაციულ სახელს — Pajun ატარებს, რომელიც შედგენილია სიტყვებისგან: Panamera (ა) და Junior (ჯუნ). ასევე მოსალოდნელია, რომ „პანამერა“ გამოვა კუპეს ძარაზე აგებული ვერსიით, რომელიც მოდელ 928-ის (რომელიც 1978-1995 წლებში გამოდიოდა) იდეოლოგიურ მემკვიდრედ იქცევა. ზოგიერთი მონაცემით, „პანამერას“ კუპე მიიღებს ინდექსს 929 და კონკურენციას გაუწევს Aston Martin DB9-ს, Bentley Continental-სა და Ferrari California-ს. ■

„მაზდის“ სიახლეები

კომპანია „მაზდამ“ როდსტერ MX-5-ისა და ჰეჩბეკ Mazda 2-ის სპეციალური მოდიფიკაციები წარმოადგინა. მანქანებს, რომლებსაც Black დაარქვეს, შეზღუდული ტირაჟით გამოუშვებენ. მყიდველთათვის MX-ის მხოლოდ 500 და „მაზდა 2“-ის 618 ეგზემპლარი იქნება ხელმისაწვდომი. იაპონური ბრენდის წარმომადგენელთა თქმით, განსაკუთრებული როდსტერის — Mazda MX5 — დიზაინი ამ მოდელის სარბოლო ვერსიის სტილშია შესრულებული, რომელიც ბრიტანულ ჩემპიონატ GTN-ში „ლოტუსთან“, „ბეემვესა“ და „ფერარისთან“ ერთად მონაწილეობდა. სპეცვერსია MX-5 მხოლოდ 2-ლიტრიანი, 160 ცხძ-ის მქონე ძრავათი, სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფითა და 17-დუიმიანი ბორბლების დისკებით აღიჭურვება. heCbek Mazda2 Black-ს Tamura-ს 1,3-ლიტრიან, 84 ცხძ-იან მოტორს დაუყენებენ. მანქანას ტონირებული მინები, შავი სახურავი და 16-დუიმიანი ბორბლების დისკებიც ექნება. სპეციალური მოდიფიკაციები მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ბაზრისთვისაა გათვალისწინებული. როდსტერი Mazda MX-5 Black-ს 22 ათას 995 გირვანქა სტერლინგი ეღირება, ხოლო Mazda2 Black-ის ფასი 12 ათას 395 გირვანქა სტერლინგიდან დაიწყება. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲜᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1. სან-ფრანცისკო ჯინსის მშობლიური ქალაქია.

2. ხეოფსის პირამიდა გიზის პლატოზეა აგებული.

3. თეთრი ზვიგენის კბენის ძალა მეოთხედ ტონას აღწევს.

4. ამერიკანიზაციის პროცესს უცხო ქვეყნებში კოკა-კოლონიზაცია შეარქვეს.

5. ივანე მაჩაბლის გვამის ძებნისას მტკვარში 16 დამხრჩვალი ადამიანის გვამი იპოვეს.

6. დავით ყიფიანს არც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატში არ მიუღია მონაწილეობა.

7. შლეზვიგ-ჰოლშტაინ-სენერბორგ-გლიუქსბურგები დანიის, ნორვეგიისა და საბერძნეთის სამეფო დინასტიაა.

8. „ადნო პრაეშესტვიე სლუჩაინოსტ, ვტაროე პრაეშესტვიე ტოჟე სლუჩაინოსტ, ა ტრეტეე პრაეშესტვიე — ეტა უჟე კგბ“, — ამბობდნენ რუსები.

9. „მონარქის პირველი მტრები გავლენიანი ქვეშევრდომები არიან“, — ამბობდა ინგლისის დედოფალი ელისაბედ I.

10. ტრაფალგარის ბრძოლის დროს ინგლისელები საოცარი სისწრაფით ტენიდნენ ზარბაზნებს. ხშირი ზალპით თავზარდაცემული ფრანგები გაიძახოდნენ, — ბრიტანელებს ზარბაზნებს ეშმაკი უტენისო.

11. კარდინალ მაზარინის სიკვდილის შემდეგ ლუდოვიკო XIV-მ საფრანგეთის პირველი მინისტრის თანამდებობა გააუქმა.

12. „გერმანიის ნებისმიერი მოწინააღმდეგე ბრიტანეთის მეგობარია, წარსულში არსებული უთანხმოებისა და დაპირისპირების მიუხედავად“, — გაიძახოდა მსოფლიო ომის დროს უინსტონ ჩერჩილი. როცა გერმანელებმა გეგმა „ბარბაროსას“ განხორციელება დაიწყეს და ომის გამოუცხადებლად საბჭოთა კავშირს დაესხნენ თავს, ინგლისის პრემიერ-მინისტრი სიხარულით ცას ეწია — შეშლილი ჰიტლერის წინააღმდეგ მარტო აღარ ვარო.

13. „სამეფო კარავი ძველი თოკით არ შეიკვრება“, — გაიძახოდა ირანის შაჰი ისმაილი, რომელმაც ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ სამეფო ტახტი ჩაიგდო ხელში და საკუთარი ნათესავები ერთიანად ამოხოცა.

14. ქალაქ კორდობაში ერთ დროს მთელ მუსლიმანურ სამყაროში ყველაზე დიდი და მაღალი მეჩეთი იყო, რომე-

ᲕᲘᲜ ᲘᲒᲔᲛᲔᲑᲡ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲛᲝᲡ?

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ლუკას „სახარების“ მე-14 თავში მოთხრობილია უფლის იგავი — „სერობაზე მოწვეულები“: „ერთმა კაცმა დიდი სერობა გამართა და მოუწოდა მრავალთ. როდესაც სერობის დრომ მოაწია, გაგზავნა თავისი მონა და მოწვეულებს შეუთვალა, მობრძანდით, ყველაფერი მზად არისო. ყველამ ერთხმად დაიწყო მობოდიშება. ერთმა უთხრა, — აგარაკი ვიყიდე და მის სანახავად უნდა წავიდე; გთხოვ მაპატიო. მეორემ უთხრა, — ხარი ვიყიდე და მის გამოსაცდელად მივდივარო. სხვამ ცოლის შერთვა მოიმიზეზა... დაბრუნდა მონა უკან და აუწყა ბატონს ყველაფერი. განრისხდა ბატონი და თავის მონას უთხრა: გადი სასწრაფოდ ქალაქის ქუჩებსა და შესახვევებში, მომიყვანე გლახაკნი, ხეიბრები, ბრმები, კოჭლები. მონამ ბრძანება აღასრულა. კიდევ დარჩა ადგილები. მაშინ კვლავ წარგზავნა ბატონმა თავისი მონა და დაავალა: გადი გზებზე და ორლობეებში, დაიყოლიე ისინი, რომ მოვიდნენ, რათა აივსოს ჩემი სახლი. გეუბნებით: ვერავინ იმ წვეულთაგან ვერ იგემებს ჩემი სერობის გემოს, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებული და მცირედნი რჩეული“... იგავს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებისა და ეკლესიის მამათა მოძღვრების მიხედვით განვმარტავთ.

კაცში, რომელმაც დიდებული სერობა გამართა, უნდა ვიგულისხმოთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, პურობა ანუ სერობა კი ნიშნავს მის სწავლებას — ქრისტეს სჯულს. სერობაზე მოწვეული სტუმრები — არიან ადამიანები, განურჩევლად ეროვნებისა. უფალი ყველას უხმობს თავისი სწავლებით, თავისი სჯულით სამოღვაწეოდ, რათა ვიგემოთ სიტკბოება ღვთის ზეციური სერობისა — სასუფევლისა. უფალმა ეს იგავი უპირველესად იუდეველთა — რჩეული ერის მიმართ წარმოთქვა, რომლებიც პირველად იყვნენ მიწვეული ღვთის სერობაზე, ღვთისთვის სამოღვაწეოდ, მაგრამ ჩვენც გვეხება — ქრისტიანებს, რომლებმაც შევცვალეთ ებრაელი ერი ღვთის მეუფებაში. მას შემდეგ, რაც ებრაელმა ერმა არ მიიღო მხსნელი, ვერ განვითარდა რჩეულობაში, უფლის რჩეული ერი შეიქნა ქრისტიანობა — ქრისტეს რწმენის ქვეშ გაერთიანებული ადამიანები. უფალი დღემდე არ წყვეტს ჩვენს მოწოდებას თავისი დიდების საუფლოში — საუკუნო, მარადიულ სასუფეველში.

მიწიერი ცხოვრების ჟამს უფალი თავად მოუწოდებდა ადამიანებს — თავისი ცხოვრებით, სწავლებით, ქადაგებით, სასწაულებით. ზეცად ამაღლებისა და მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ კი თავისი „მონები“ — მოციქულები წარგზავნა ღვთის სიტყვის საქადაგებლად მთელ მსოფლიოში და მათი მეშვეობით მოუწოდებდა ადამიანებს, მთელ კაცობრიობას. მოციქულთა შემდგომ, მათი საქმე ღვთის მსახურებმა გააგრძელეს. მოციქულთა წამოწყებულ საქმეს დღემდე აღასრულებს წმინდა ეკლესია, ღვთისმსახურთა — მოძღვართა მეშვეობით: „ყოველი წესი, ყოველი წყალობა და ღვთის-მსახურება ეკლესიისა არს წოდება კაცთა სერობასა ზედა ღვთისასა“, — ბრძანებს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი იგავთან დაკავშირებით საუბრისას.

იმ წვეულ სტუმრებში, რომლებმაც ღვთის მიწვევაზე სხვადასხვა მიზეზით თქვეს უარი, უნდა ვიგულისხმოთ მიწიერებაზე, მიწიერ საქმეებზე გადაგებული ადამიანები. იგავიდან ჩანს, რომ ისინი სერობის გარეშე დარჩნენ — მხოლოდ მიწიერი საქმეები, მიწიერზე ზრუნვა ადამიანს ვერ გახდის ზიარს უფლის მარადიული სერობისა და ზეიმისა. ღვთის მოწოდებაზე პირველად უარი იუდეველებმა განაცხადეს ანუ რჩეულმა ერმა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე ელოდა მესიას, მხსნელს, განკაცებულ უფალში ვერ შეიცნო იგი, ყურად არ იღო მისი მოწოდება და ღვთის რჩეულობისა და სერობაში მონაწილეობის გარეშე დარჩა. მიზეზი ამგვარი ქმედებისა მიწიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა და მიწიერი დიდების მოპოვების სურვილი გახლდათ. მაცხოვრის მოსვლის დროს მხოლოდ ისრაელიანთა მცირე ნაწილი ელოდა ჭეშმარიტ მესიას — სულიერად გამომხსნელს, დანარჩენები კი ელოდნენ ისეთ მხსნელს, რომელიც მათ რომაელთა ბატონობისგან იხსნიდა და მთელ მსოფლიოზე გააბატონებდა, მიწიერ დიდებას მოუ-

ტანდა. ღვთის ნებით, იმ პერიოდში ებრაელები მთელ მსოფლიოში იყვნენ მიმოფანტულნი, რათა შემდგომ სწორედ მათი მეშვეობით მომხდარიყო ღვთის სიტყვის გავრცელება. ამიტომაც ებრაელთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ მესია მსოფლიოს მართვას მათ მიანდობდა. რადგან ქრისტესგან

მიწიერი დიდება ვერ მიიღეს, საერთოდ უარყვეს განკაცებული მხსნელი და „ვერ იხილეს გემო უფლის სეროსისა“ — წაერთვათ ცათა სასუფეველში შესვლის შესაძლებლობა და ღვთისგან სამართლიანადაც მოიწიეს საკუთარ თავზე არაერთგზის მსჯავრი. იუდეველთა მსგავსად, დაკარგავენ რჩეულობას და სასუფეველს ის ადამიანებიც, რომლებიც მხოლოდ მიწიერ კეთილდღეობასა და სიამეების მოპოვებაზე ზრუნავენ. ამ იგავით უფალი მიგვანიშნებს, რომ ყოველივე ამქვეყნიურისკენ ლტოლვა ცათა სასუფევლისკენ მიმავალი გზიდან გვაშორებს და წარწყმედისკენ მიმავალ გზაზე გვაყენებს.

იგავი იმასაც ცხადყოფს, რომ ადამიანებს სჩვევიათ თავიანთი ცოდვების, ცოდვილი საქმეების გამართლება სხვადასხვა მიზეზით; ცდილობენ, გამართლება მოუძებნონ თავიანთ უსჯულოებას, არაღვთივსათნო საქციელს, მაგრამ ამგვარი საქციელი ღვთის წინაშე არ წაგვადგება. ცოდვათაგან მხოლოდ ჭეშმარიტი სინანული გაგვათავისუფლებს.

მონების მიერ შემდგომ მოწვეულებში — გლახაკებში, უცხოებში, კოჭლებში, ბრმებში, გზებსა და ორღობეებში შემხვედრში იგულისხმება ნებისმიერი ეროვნების, ქრისტეს სჯულზე მოქცეული, თავმდაბალი და მორჩილი ადამიანები, რომლებმაც ისმინეს და დღესაც ისმენენ მოციქულთა თუ ქრისტეს სჯულის მოძღვართა მიერ ნაქადაგებ ღვთის სიტყვას, რომლებმაც მიიღეს ჭეშმარიტი სჯული და შეუერთდნენ ქრისტეს ეკლესიის წიაღს. იგავის ამ ნაწილიდან ნათლად ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია უფლისთვის თითოეული ჩვენგანის სულის ცხონება და როგორ ზრუნავს ღმერთი თითოეული ჩვენგანის ცხონებისთვის — ამისთვის ყველანაირ პირობას გვიქმნის, ყველა გზას და საშუალებას გვაძლევს, — მთავარია, უპირველესად ეს იყოს თვითონ ადამიანის ნება.

„მრავალნი არიან ჩინებული და მცირედნი რჩეული“, — ამ სიტყვებით დაასრულა უფალმა იგავის თხრობა. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი განმარტავს: „მართალია, ზეციურმა მამამ ყველა ადამიანისთვის განამზადა პურობა დიდი ანუ სასუფეველი ცათა და მოუწოდა მრავალთ, მაგრამ საუბედუროდ მცირედნი არიან, რომლებიც ისმენენ ხმას მისსა და მივლენ მასთან. მცირედნი იქნებიან რჩეულნი — ღირსნი სასუფევლისა. რას ნიშნავს მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი — რჩეულ? ამით უფალმა გვაუწყა, რომ რჩეულნი იქნებიან მცირედნი არა ურწმუნოთა და უსჯულოთა შორის, რომლებმაც არ მიიღეს ქრისტეს სჯული, არამედ საკვირველი და შემაძრწუნებელი ის არის, რომ ცხონებულნი ანუ რჩეულნი იქნებიან მცირედნი თვით მორწმუნე ქრისტიანთა შორის“. რჩეულნი იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება მოშურნეობით აღასრულებენ ღვთის მცნებებს და ვინც ცოდვათაგან ჭეშმარიტი სინანულით განწმენდილნი გავლენ წუთისოფლიდან. შესაძლოა, ეს ადამიანის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, თუნდაც სიკვდილის მოახლოების ჟამს მოხდეს.

■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თემურ ივანიძე

ლიც შემდგომში ქრისტიანულ ეკლესიად გადააკეთეს. ესპანეთის მეფე კარლ V-მ მოგვიანებით სინანულიც კი გამოთქვა: „ჩვენ ავაშენეთ ის, რისი აშენებაც შეიძლებოდა, სადაც მოვისურვებდით და როგორსაც მოვისურვებდით და გავანადგურეთ ის, რისი აღდგენაც უკვე შეუძლებელია“.

15. „დათა თუთაშხიას“ გადაღებისას ერთი მოცეკვავე, სახელად სლიპიტო, ჩაფრის როლს ასრულებდა. მას ერთ ეპიზოდში სრულიად უადგილოდ, ცეკვის ილეთი ჩაურთავს, რის გამოც გიგა ლორთქიფანიძეს შენიშვნა მიუცია, — შენი პერსონაჟი ჩაფარია, მოცეკვავე კი არაო. ამის დანახვაზე კარლო საკანდელიძეს ხმადაბლა ჩაულაპარაკია: „სლიპიტინნოე ოზერო“.

16. პომპეუსის არმიასთან ერთ-ერთი შეტაკებისას ნუმიდიელთა მხედრობამ კეისრის ლეგიონი უკუაქცია. კეისარი სწრაფად გაეშურა დასახმარებლად, მაგრამ გაქცეულთა შეჩერება არც ისე იოლი აღმოჩნდა. მაშინ კეისარმა ხელი სტაცა მედროშეს, რომელიც ბრძოლის ველიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა, უკან შეატრიალა და შესძახა: „მტერი, აი, იქ არის!“.

17. ერთხელ იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი მეგობრის ოჯახს სტუმრობდა, სადაც მისი კუთვნილი მომღერალთა გუნდი ისე მოეწონა, რომ თითოეულს დიდი რაოდენობით ხორბალი აჩუქა. მეორე დღეს იმპერატორი კვლავ ეწვია მეგობარს. ამჯერად სადილმა ყოველგვარი სიმღერის გარეშე ჩაიარა. „კი, მაგრამ სად არიან შენი მომღერლები?“ — ჰკითხა ავგუსტუსმა მეგობარს. — „წისქვილში! შენ ნაჩუქარ ხორბალს ფქვავენ“, — ხელები გაშალა მასპინძელმა.

18. როდესაც რომის პაპი, მეცნიერთა და ხელოვანთა მფარველი ლეო X გარდაიცვალა, მისი ადგილი ადრიან VI-მ დაიკავა, რომელიც წინამორბედის სრული ანტიპოდი გახლდათ. მარადიული ქალაქის მცხოვრებლები მწუხარებამ მოიცვა, თუმცა საძულველმა პაპმა დიდხანს ვერ იცოცხლა და ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი სიკვდილით გახარებულმა ხალხმა ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკო მისი მკურნალი ექიმის, არტაგინოს სახლი, შესასვლელში კი დაკიდეს წარწერა: „სამშობლოს მხსნელს მადლიერი რომაელებისაგან“.

მოდური მწვანე ვაშლი და ჯანმრთელობისთვის საშიში შავი კაბა

„წერა-კითხვა სკოლაში შესვლამდე ვისწავლე. წიგნები ყოველთვის მიყვარდა და რა გასაკვირია, რომ ბეჯითი მოსწავლე გახლდით. ჩემს კლასს არაჩვეულებრივი დამრიგებელი ჰყავდა, რომელიც ყოველ ზაფხულს, არდადეგებზე წასაკითხ წიგნებს გვირჩევდა ხოლმე“, — იხსენებს დიზაინერი ზალიკო ბერგერი. ჩემი მხიარული რესპონდენტი საყვარელ ავტორად მარკესს ასახელებს და იმასაც დასძენს, რომ იგი ლალი მოროშკინას შემოქმედებამაც დააინტერესა...

„სასურველია, რომ საზოგადოება მეტად წიგნიერი იყოს“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ზალიკო, წიგნი მოგიპარავს?

— არა, ასეთი რამ არ მახსენდება... ლალი მოროშკინას წიგნის წაკითხვა მინდა, მაგრამ მასში ფულის გადახდა მენანება. ისეთიც ვერავინ ვნახე, რომ მათხოვოს.

— რომელ წიგნს გულისხმობ — „ყველა კაცი იდიოტი არ არის ანუ როგორ გავთხოვდეთ“?

— (*იცინის*) ეგ კი არა, ის მაინტერესებს, სექსზე თუ უსექსობაზე რომ დაწერა.

— ამ წიგნის წაკითხვის სურვილი რატომ გაგიჩნდა?

— ისეთი პიარი ჰქონდა, რომ დავინტერესდი — სექსზე რა წერია.

— კარგი მეხსიერება გაქვს?

— კი, ტელეფონის ნომრებსაც ადვილად ვიმახსოვრებ. ადრე „მფრინავ ფრაზებსაც“ ვიწერდი.

— ფრთიან გამონათქვამებს გულისხმობ?

— ჰო, ასეა! ბოლო დროს საზოგადოება წიგნებთან ნაკლებად მეგობრობს.

— ეს კარგია თუ ცუდი?

— კატასტროფა არ არის, მაგრამ სასურველია, რომ საზოგადოება მეტად წიგნიერი იყოს.

— წიგნის წასაკითხად დროის გამონახვას ახერხებ?

— ნაკლებად. ბოლოს პაულო კოელიო წავიკითხე.

— დასასვენებლად სად მიდიხარ?

— ჯერ ბათუმში ჩავალ, სადაც დასვენების პარალელურად, საქმესაც გავაკეთებ — საზაფხულო კოლექციის ჩვენება უნდა მოვაწყო. მერე კი ალბათ, იტალიაში გავემგზავრები.

— ეს სახელგანთქმული დიზაინერი წიგნის სიყვარულითაა ცნობილი. მისი ბიბლიოთეკა 30 ათასამდე ტომს ითვლის. ახლა წიგნის მოყვარულებს სიურპრიზს უმზადებს: სუნამოს — წიგნის სურნელით. თურმე ფლაკონსაც წიგნის ფორმა ექნება. ვისზეა ლაპარაკი?

— მეტს არაფერს მეტყვი?

— ის 1939 წელს, ჰამბურგში დაიბადა.

— მივხვდი, დიზაინერ კარლ ლაგერფილდს გულისხმობ.

— „ქალის სხეული ხელმისაწვდომად არასდროს უნდა გამოიყურებოდეს“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— რომელიმე დიზაინერი იქნება.

— დიზაინერი კი არა, დიზაინერები.

— მაშინ, დოლჩე და გაბანას ვიტყვი.

— გამოიცანი, მაგრამ საინტერესოა, მათი სახელები თუ იცი?

— ესტეფანო დოლჩე და (*ფიქრობს*) გაბანას სახელს ვერ ვიხსენებ.

— დომენიკო დოლჩე და ესტეფანო გაბანა. მათ პირველ კოლექციას რა ერქვა?

— არ ვიცი.

— „ნამდვილი ქალი“. შენს პირველ კოლექციას რა ერქვა?

— „აბსორბცია“.

— ეგ სიტყვა რას ნიშნავს?

— უცხო სიტყვათა ლექსიკონში მას ასეთი განმარტება აქვს: შთანთქმა, შესრუტვა.

— პირველად ამ კალენდრის გამოშვება ინგლისელმა ფრენს მეიერმა დაიწყო. დღეს ეს კალენდარი პოპულარულია არაერთ ქვეყანაში, მათ შორის — საქართველოშიც. დაასახელე, რომელ კალენდარზეა ლაპარაკი?

— ნამდვილად არ ვიცი.

— ასტროლოგიურ კალენდარზე.

— აი, ასტროლოგების რომ არ მჯერა, კითხვაზე ამიტომაც ვერ გიპასუხე.

— შენი ზოდიაქოს ნიშანი რომელია?

— მაიმუნის წელში დაბადებული თხის რქა ვარ. მაპატიონ, მაგრამ ასტროლოგთა რჩევებს არასდროს ვკითხულობ.

— პოეზია გიყვარს?

— მიყვარს და წლების წინ ლექსებს ვიზეპირებდი კიდეც, უფრო მეტიც — ერთი პერიოდი საყვარელ ლექსებს ვიწერდი და ჩემი „კრებული“ მქონდა. ეს რვეული რამდენიმე დღის წინ გადავიკითხე და აღფრთოვანებული დავრჩი.

— გოგონებისთვის ლექსები თუ წაგიკითხავს?

— არა, რადგან ეგ გოიმობად მიმაჩნია. ლექსის წაკითხვას ნიჭი უნდა, ყველას არ შეუძლია. არ მომწონს, პოეზიას სადღეგრძელოებში რომ გაურევენ ხოლმე, ეს ყველაფერი მეზედმეტება.

— „ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა, გაქრა,/ უაზრო ღელვა, შიშიც, ეჭვებიც,/ ბევრი დავკარგე, ბევრს

ვკარგავ, მაგრამ/ ბნელ უფსკრულებში ცქერას ვეჩვევი./ მე მირჩევნია, ვზიდო ხუნდები,/ ვიდრე ვიცხოვრო ვილაცის ნებით,/ მე ჩემთვის ის მსურს, რაც შეშურ-დებათ/ ანდა ტკივილით დათმობენ სხვები", — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ვერ გიპასუხებ.

— ოთარ ჭილაძე. აკაკი წერეთლის რომელი ნაწარ-მოების პერსონაჟია ბათუ?

— „გამზრდელის".

— რომელი ზღვის სანაპიროზეა ცნობილი კურორ-ტები — ნიცა და კანი?

— ხმელთაშუა ზღვის.

— ორმა კაცმა 900 ლარი გაიყო. მათგან ერთ-ერთს 500 ლარით მეტი შეხვდა. რამდენი ლარი შეხვდა მეორეს?

— რამდენი და, 300 შეხვდებოდა.

— როგორ დაიანგარიშე?

— 500 ლარს 100 რომ მივუმატოთ, ასე არ გამოდის?

— და ეს ციფრები საიდან მოიტანე?

— დაიცადე, ნუ მაბნევ (*იცინის*)... აბა, კითხვა გამიმეო-რე. (*გამეორების შემდეგ*) მათემატიკაში სულ „პრაფანი" ვიყავი. ეს 100 ლარი საიდან მოვიტანე, არ ვიცი. სწორი პასუხია 200 ლარი.

— როგორც იქნა, დაიანგარიშე. გილოცავ! რომელი სახლმწიფოს დედაქალაქია ბეირუთი?

— ლიბანის.

— ამ სახელმწიფოს მთელი კონტინენტი უკავია. მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი ზღვის დონიდან 300 მეტრზე დაბლაა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მხრიდან წყალი აკრავს, მაინც ყველაზე მშრალ კონტი-ნენტად მიიჩნევა.

— ავსტრალია.

— მას ეს ფსევდონიმი ძლიერი ხასიათის გამო შეურჩიეს; მიაჩნდათ, რომ ის ფოლადივით მტკიცე იყო.

— სტალინი.

— ეს სიტყვები — „კარი", „ტკბილი", „გააღებს", „რკინის", „ენა" — დაალაგე ისე, რომ ანდაზა გამო-ვიდეს.

— „ტკბილი ენა რკინის კარს გააღებს".

— „წელს გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვ-ნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებ-ლივ თან სდევს. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, განურჩევლად ყველამ მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო", — ალექსანდრე ყაზბეგის რომელ ნაწარმოებში ვკით-ხულობთ ამ სიტყვებს?

— „ნამწყემსარის მოგონებანში".

— ვინ არის მოთხრობის — „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი" ავტორი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— იაკობ გოგებაშვილი. რომელი იმპრესიონისტი მხატვრის შთაგონების წყარო იყო ბალეტი?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— ედგარ დეგასი. რომელ წიგნზე სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია?

— საქართველოს კონსტიტუციაზე.

— ისააკ ნიუტონის 300 წლისთავის აღსანიშნავად, დიდ ბრიტანეთში საფოსტო მარკა გამოუშვეს. რა იყო მასზე გამოსახული?

— ვაშლი.

— როგორი ვაშლი?

— მწვანე.

— ცდები, წითელი ვაშლი იყო.

— (*იცინის*) მართალს ამბობ, მწვანე ვაშლი ახლაა მოდაში.

— ვის ეკუთვნის სიმღერა ქართული ანიმაციური ფილმიდან — „სოფლის მაშენებლები"?

— ალექსანდრე ბასილაიას.

— გოგონა სარკესთან მივიდა და საკუთარ თავს შუბლზე აკოცა. ასე რომ მოხდეს, შეიძლება?

— არა.

— რატომ?

— გოგონა ალბათ, სარკეში საკუთარ თავს შუბლზე არ აკოცებს.

— აბა, სად აკოცებს?

— ლოყაზე. რა გაცინებს?

— შენ რომ სარკეში ჩაიხედო, საკუთარ თავს...

— (*მაწყვეტინებს*) მეც ლოყაზე ვაკოცებ.

— როგორ?

— ვეცდები.

— ასეთი რამ შეუძლებელია!

— ჰო, ჰო, მართალია (*იცინის*).

— წარმოიდგინე, ფურცელზე გიწერია: 8 8 8 8 2. 8-იანებს შორის მიმატების, გამოკლების, გაყოფის ან გამრავლების ნიშანი ისე ჩაწერე, რომ ჯამში 2 მიიღო.

— (*ფურცელს და კალამს იღებს და ანგარიშობს*) არ გამომდის...

— 8:8+8:8=2. ამჟამად რომელი ქვეყნის ტერიტორი-აზეა ოშკის ტაძარი?

— თურქეთის.

— რას ვეძახით ნატრიუმის ქლორიდს?

— ვიცი, მაგრამ არ მახსოვს.

— საკვებად ვიყენებთ.

— ა! მარილს.

— ვინ დაწერა ქართული ენის საგალობელი — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"?

— იოანე ზოსიმემ.

— რომელი ცხოველის ტყავი იყო ოქროს საწმისი?

— ვერძის.

— ზღაპრები გიყვარს?

— ბავშვობაში ხშირად ვკითხულობდი.

— მაშინ უნდა გახსოვდეს, რომელ ზღაპარში არ ფიგურირებს მგელი — „ასფურცელაში", „კომბლეში", „სამ გოჭში" თუ „წითელქუდაში"?

— „ასფურცელაში".

— ის კოკო შანელმა შემოიტანა მოდაში. მანამდე სასურველად არ მიიჩნეოდა, უფრო მეტიც — ადამი-ანის დაბალ წარმომავლობაზე მიუთითებდა. ექიმები ამბობდნენ, ეს ჯანმრთელობისთვის მავნებელია და მოდიდან მალე გადავაო, მაგრამ ის დღესაც ძალიან მოდურია. დაასახელე, რაზეა ლაპარაკი.

— მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე ან შავ კაბაზე.

— შავი კაბა ჯანმრთელობისთვის საშიშია?

— გამოდის, რომ კითხვაზე ვერ გიპასუხე.

— ლაპარაკია გარუჯვაზე. რა არის გინეფობია?

— სიბერის შიში, არა?

— ცდები, გინეფობია არის შიში ქალების მიმართ.

— ასეთი შიში თუ არსებობდა, არც ვიცოდი.

— დაბოლოს, დასრულე ბალზაკის ცნობილი გამო-ნათქვამი: „გიყვარდეს ის, ვინც გირჩევს და არა ის..."

— „...ვინც გიყვარს".

— „...ვინც გაქებს".

■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

როგორ დავეხმაროთ ბავშვს ექიმის მოსვლამდე

ზაფხულობით ხშირი მოვლენებია: ჭრილობა, ნაკაწრი, ნაკბენი, დამწვრობა... პატარ-პატარა ჭრილობებისა და ნაკაწრების უებარი წამალია სუფთა წყალი და საპონი, რომელიც ჭრილობას ბამბის ტამპონით ან სუფთა ქსოვილით უნდა წავუსვათ და კარგად ჩამოვბანოთ. გარდა ამისა, ჭრილობის გასასუფთავებლად შინ ყოველთვის იქონიეთ წყალბადის ზეჟანგი.

თუ იარა ღრმაა, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. არანაკლებ საყურადღებოა ჟანგიანი საგნით მიყენებული ნაჩხვლეტი ჭრილობა.

იარა სახეზე შესამჩნევ კვალს ტოვებს. ამიტომაც, თუ ბავშვმა სახე დაიზიანა, ის აუცილებლად სპეციალისტს უნდა უჩვენოთ. თუ ბავშვს ხელი, მით უფრო — მაჯა აქვს გაჭრილი, მოსალოდნელია, ნერვი ან მყესი იყოს დაზიანებული.

თუ ჭრილობაში მტვერი ან მიწის ნაწილაკები მოხვდა, ექიმთან ვიზიტი აუცილებელია, რათა ტეტანუსისგან დაიზღვიოთ თავი. ასეთ შემთხვევაში ბავშვს ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატს ან დამატებით აცრას უნიშნავენ.

ცხოველის ნაკბენი

თუ თქვენი პატარა ძაღლმა დაკბინა, უმალვე შეატყობინეთ ექიმ-რაბიოლოგს ან პედიატრს. განსაკუთრებით სასწრაფოა ექიმთან ვიზიტი იმ შემთხვევაში, თუ ძაღლი უპატრონოა, ბავშვს აქვს ნაკბენი თითზე, თავის ან საზარდულის მიდამოში. ექიმის მოსვლამდე ჭრილობა ზემოთ აღწერილი წესით დაამუშავეთ. ამავე დროს, ყურადღებით ადევნეთ თვალი ძაღლს, რათა ცოფის ნიშნები არ გამოგეპაროთ.

სისხლდენა

ჭრილობების უმრავლესობა რამდენიმე წუთის განმავლობაში სისხლმდინარია. ეს ერთი მხრივ, კარგია, რადგან სისხლს ჭრილობაში მოხვედრილი ბაქტერიების ნაწილი მოჰყვება, მაგრამ როცა სისხლდენა ძლიერი და უწყვეტია, ის აუცილებლად უნდა შევაჩეროთ.

ხელის ან ფეხის სისხლძარღვებიდან სისხლდენის შეჩერება ადვილია — ამისთვის კიდურის მაღლა აწევაც კმარა. დააწვინეთ ბავშვი და იმ კიდურის ქვეშ, საიდანაც სისხლი სდის, ერთი ან ორი ბალიში ამოუდეთ. თუ ბავშვი სუფთა საგნით (მაგალითად, დანით) დაიჭრა, იარას შიგნიდან ნუ გამოასუფთავებთ, მხოლოდ კიდეები შემობანეთ საპნით, სუფთა წყლითა და წყალბადის ზეჟანგით, მაგრამ თუ ჭრილობაში ჭუჭყს შეამჩნევთ, წყალბადის ზეჟანგი შიგნითაც ჩაასხით.

სისხლმდინარ ჭრილობაზე დამწოლი ნახვევის გაკეთებისას დოლბანდი რამდენიმე ფენად უნდა გადავახვიოთ. თუ სისხლდენა მეტისმეტად ძლიერია, შეეცადეთ, სისხლის ჭავლი თითის დაჭერით შეაჩეროთ და ჭრილობის ზემოთ დოლბანდი, ღვედი ან სუფთა ქსოვილი გადაუჭირეთ. ამას ლახტის დადებას უწოდებენ. მაგრად მოჭერილი ლახტი ყოველ ნახევარ საათში ერთხელ, ორიოდე წუთით მოუშვით, მერე კი ისევ მოუჭირეთ.

ცხვირიდან სისხლდენა

ცხვირიდან სისხლდენის შეჩერების რამდენიმე მარტივი ხერხი არსებობს. ხშირად საკმარისია, ბავშვი რამდენიმე წუთით სკამზე დავსვათ. სისხლი რომ არ გადაეყლაპოს, თუ ზის, თავი ოდნავ დაახრევინეთ, თუ წევს — გვერდზე მიაბრუნებინეთ. ნება არ მისცეთ, ცხვირი მოიწმინდოს ან ნესტოებზე ცხვირსახოცი მოიჭიროს. კარგია თავზე ცივი ნივთის დადებაც, რაც სისხლძარღვთა შეკუმშვასა და სისხლდენის შეჩერებას უწყობს ხელს. ცივის დადება სასურველია კისრის უკანა მხარეს, შუბლზე ან ზედა ტუჩზე. ამისთვის გამოდგება ცივ წყალში დასველებული ქსოვილი, ყინული, მაცივრიდან გამოღებული წყლის ბოთლიც კი. გარდა ამისა, მოამზადეთ მარილის კონცენტრირებული წყალხსნარი, დაასველეთ შიგ ბამბის ორი ტამპონი და პატარა ონავარს ორივე ნესტოში ჩაუდეთ, გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში და შემდეგ ფრთხილად გამოაცალეთ.

სისხლდენის შეჩერების შემდეგ ბავშვს ეზოში ნუ გაუშვებთ, მით უმეტეს, თუ გარეთ ცხელა — შესაძლოა, ცხვირიდან სისხლი ისევ წასკდეს. თუ პატარას ასეთი რამ ხშირად ემართება, კონსულტაციისთვის პედიატრს მიმართეთ.

დამწვრობა

თუ დამწვრობა ძლიერია, გირჩევთ, პატარა სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანოთ, მაგრამ თუ უმნიშვნელოა, აფთიაქში შეიძინეთ დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო (მაგალითად, თურმანიძის დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო) და ბავშვს დამწვარ არეში წაუსვით.

ძლიერი დამწვრობისას კანზე სითხით სავსე ბუშტუკები ჩნდება. მათთან სიფრთხილე გმართებთ, რადგან ზოგიერთი მათგანი შეხებისას სკდება და წარმოქმნის კერას, საიდანაც ადვილად იჭრება ინფექცია. დამწვრობის დროს არამც და არამც არ იხმაროთ ანტისეპტიკური საშუალება — ის მდგომარეობას გაუარესებს.

მზით დამწვრობა

მზეს შეუჩვეველი ადამიანისთვის, მით უმეტეს — ბავშვისთვის დამწვრობის მისაღებად პლაჟზე გატარებული ნახევარი საათიც კი კმარა, ამიტომ კარგი იქნება, თუ პირველ დღეებში პატარა მზეს მოერიდება და მხოლოდ საჩრდილობელი ქოლგის ქვეშ ითამაშებს. პატარას დაზიანებულ უბნებზე მაწონი წაუსვით და ვიდრე სიწითლე არ ჩაცხრება, მზის სხივებს მოარიდეთ.

იოგების დაჭიმვა

ასეთი რამ მოუსვენარ პატარებს ხშირად ემართებათ. თუ ბავშვს მუხლის სახსრის მყესები დაეჭიმა, მოსახერხებელ პოზაში დააწვინეთ და მოძრაობა შეუზღუდეთ. თუ მუხლი შეუსივდა, შესაძლოა, მოტეხილობასთან გვქონდეს საქმე, ამიტომ დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. მუხლის დაზიანებისას არცთუ იშვიათად ხრტილიც ზიანდება და თუ სათანადო მკურნალობა არ ჩაუტარდა, ტკივილები შეიძლება წლობით გაგრძელდეს. გაბზარული და დაჭიმული ადგილი თავდაპირველად უმტკივნეულოა, მაგრამ დროთა განმავლობაში ტკივილი მძაფრდება.

თუ ბავშვი მაჯაზე დაეცა და მოსვენებისას ან მოძრაობისას ტკივილს უჩივის, მოტეხილობა უნდა ვივარაუდოთ (თუნდაც, ხელს შესივება და გამრუდება არ ეტყობოდეს). ზოგადად, ნებისმიერი დაჭიმულობა, თუ მას ტკივილი და შესივება მოჰყვა, ექიმის ჩარევას მოითხოვს არა მარტო იმისთვის, რომ მოტეხილობა არ გამოგეპაროს, არამედ იმიტომაც, რომ სწორად დადებული არტაშანი და სახვევი დაჭიმული კიდურის სწრაფ განკურნებას უწყობს ხელს.

მოტეხილობა

მოზრდილთა მყიფე ძვლები იმტვრევა, ბავშვის შედარებით რბილი ძვლები კი ახალგაზრდა ტოტებივით იდრიკება და იხლიჩება. არსებობს მოტეხილობის მეორე ტიპიც — მზარდი ძვლის ბოლო ფრაგმენტის მორყევა ან მოტეხა ხდება. გვხვდება ისეთი მოტეხილობებიც, რომლებიც გარედან თითქმის შეუმჩნეველია — დაზიანებული კიდური სივდება და მტკივნეული ხდება, რამდენიმე საათის შემდეგ კი მასზე მოლურჯო-მოშავო ლაქები ჩნდება. მაგალითად, მოტეხილობისას ლავიწის ძვალი ისე ძლიერ არ დეფორმირდება, რომ შეუიარაღებელი თვალით შევამჩნიოთ. მხოლოდ ექიმს ძალუძს განასხვაოს ძლიერი დაჭიმულობა მოტეხილობისგან და ისიც, მხოლოდ რენტგენოსკოპიის საშუალებით.

ბურთით თამაშისას ხშირად იხლიჩება თითის ძვლები — თითი ჯერ სივდება, მერე კი ლურჯდება. თუ ბავშვი საჯდომით დაეცა, შეიძლება, რომელიმე ნეკნი გაებზაროს. მართალია, დაზიანება გარედან არ ჩანს, მაგრამ წინ დახრის, სირბილისა და ხტუნაობისას ბავშვი ზურგის ტკივილს უჩივის.

ამგვარად, თუ დაშავებული კიდურის ტკივილი არა და არ ცხრება, შეშუპება მატულობს ან ნატკენ ადგილას მოშავო-მოლურჯო ლაქები წარმოიქმნება, მოტეხილობა უნდა ვივარაუდოთ. ასეთ შემთხვევაში ბავშვი აიძულეთ, დაზიანებული კიდური აღარ ამოძრაოს, დაადეთ არტაშანი და ექიმთან წაიყვანეთ.

არტაშანის დადების წესი

არტაშანი საკმაოდ გრძელი უნდა იყოს: კოჭის მოტეხილობისას კოჭიდან მუხლამდე უნდა სწვდებოდეს, მუხლის მოტეხილობისას — კოჭიდან თეძომდე, თეძოს მოტეხილობისას — იღლიიდან ქუსლამდე, მაჯის მოტეხილობისას — თითებიდან იდაყვამდე. გრძელი არტაშანისთვის ფიცარი დაგჭირდებათ, მოკლეს კი რამდენიმე ფენად გაკეცილი მუყაოსგანაც გააკეთებთ.

არტაშანი 4-6 ადგილას ნებისმიერი საშუალებით — დოლბანდით, ცხვირსახოცით ან რაიმე ქსოვილით უნდა დაამაგროთ, მაგრამ მეტისმეტად მჭიდროდაც არ გადაახვიოთ, სისხლმა თავისუფლად უნდა იმოძრაოს. ზურგის დაზიანებისას ბავშვის გადასაყვანად საკაცე დაგჭირდებათ — დაშავებულ პატარას ზურგი გამართული უნდა ჰქონდეს. თუ საკაცის ნაცვლად ლეიბს გამოიყენებთ, რომელიც მოგეხსენებათ, ადვილად იზნიქება, ავადმყოფი მუცელზე დააწვინეთ. გამართული უნდა იყოს დაზიანებული კისერიც; თუ ეს ვერ მოხერხდა, შეიძლება, მისი უკან გადახრაც. მთავარია, ბავშვმა თავი წინ არ დახაროს. ლავიწის მოტეხილობისას დიდი სამკუთხა ნაჭრისგან გააკეთეთ გადასახვევი, რომელიც ბავშვს კისერზე უნდა ჩამოჰკიდოთ და ხელის ქვედა ნაწილი იდაყვიდან მაჯამდე ზედ ჩამოადებინეთ.

თავის ტრავმები

მას შემდეგ, რაც თქვენი პატარა გვერდზე გადაბრუნებას და ლოგინიდან ჩამოცოცებას ისწავლის, ხშირად დაეცემა, დაცემის დროს კი ბუნებრივია, თავსაც დაარტყამს და წაიტირებს კიდეც. თუ ბავშვმა ტირილი 10-15 წუთის შემდეგ შეწყვიტა, სახის ფერიც ჩვეულებრივი აქვს და არც აღებინებს, უნდა ვიფიქროთ, რომ დაცემისას ტვინი არ დაზიანებია და საშიშიც არაფერია, მაგრამ თუ პირღებინება დაეწყო, მადა და ფერი დაეკარგა, მოითენთა და ადვილად იძინებს, ოღონდ მალევე იღვიძებს, აუცილებლად უჩვენეთ ექიმს, მანამდე კი შეეცადეთ, მაქსიმალურად მშვიდი გარემო შეუქმნათ, დააწვინეთ და სითხის მიღება შეუზღუდეთ.

თუ ბავშვმა დაცემისას გონება დაკარგა, ის დაუყოვნებლივ უნდა გაასინჯოთ ნევროპათოლოგს; მოგვიანებით შეიძლება გამოვლინდეს თავის ტკივილი და მხედველობის გაუარესება. თუ დაშავებული ადგილი შესივდა, მაგრამ ტრავმის არავითარი სხვა ნიშანი არ ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საფრთხე არც ისე დიდია. შესაძლოა, კანქვეშ ზედაპირული სისხლძარღვი (კაპილარი) გასკდეს და კოპი ამოიზარდოს, რომელსაც ყინულიანი საფენები თვალის დახამხამებაში დააცხრობს.

უცხო სხეულები

ბავშვთა ასაკში სასუნთქ გზებში სხვადასხვა უცხო სხეული ხვდება: მზესუმზირა, საზამთროს ან გოგრის თესლი, ლობიოს, კაკლის, სიმინდის მარცვალი, საკვების ნაწილაკები, ლითონის ნივთები და ა.შ. ცხადია, ეს სხეულები ქიმიური შემადგენლობითაც განსხვავებულია — ორგანული, არაორგანული, მეტალისა, — ამას კი მნიშვნელობა აქვს დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის მეთოდის შერჩევისას. ორგანული წარმოშობის უცხო სხეული იწვევს ქვედა სასუნთქი გზების ლორწოვანის ანთებით, ჩირქოვან, ალერგიულ ცვლილებებს, მეტალისა — ლორწოვანის გრანულაციებსა და ნაწოლებს. ლორწოვანის დაზიანების ხასიათი და ხარისხი დამოკიდებულია უცხო სხეულის ზომაზეც. სასუნთქ გზებში უცხო სხეულის მოხვედრისას ერთადერთი სწორი ტაქტიკა დროული სამედიცინო ჩარევაა, რათა შესაძლო გართულებები ავიცილოთ თავიდან. ყოფილა შემთხვევები, როცა მშობელს უცხო სხეულის ამოღების მცდელობისას ის უფრო ღრმად ჩაუტენია, ასეთ დროს კი ცხადია, ლორწოვანის დაზიანების ალბათობაც მეტია.

პირველი დახმარება

თუ დაზარალებული წლამდე ასაკის ბავშვია:

— დაიწვინეთ მარცხენა ხელზე მუცლით, დააფიქსირეთ მისი ნიკაპი და გულმკერდი. გააკეთეთ 5 დარტყმა ბეჭთაშუა არეში;

— გადმოიწვინეთ ბავშვი მარჯვენა ხელზე და დაუთვალიერეთ პირის ღრუ. თუ უცხო სხეულს დაინახავთ, ამოიღეთ ერთი თითით: თითი ჩაუყავით პირის ღრუში პირის კუთხიდან. გააცურეთ თითი ლოყის შიგნითა ზედაპირზე, ენის ფუძემდე მისვლისას მოხარეთ თითი კაუჭივით, გადმოიტანეთ მეორე ლოყის შიგნითა ზედაპირზე და კაუჭივით მოხრილი თითი პირიდან გამოიღეთ;

— თუ ზურგზე 5 დარტყმის შემდეგ პირის ღრუში უცხო სხეულს ვერ შენიშნავთ, ორი თითით გააკეთეთ 5 ზეწოლა მკერდის ძვალზე, დვრილების შემაერთებელი ხაზის ქვემოთ;

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

— დაათვალიერეთ პირის ღრუ. თუ უცხო სხეული არ ჩანს და ბავშვი უგონოდ არის, გააკეთეთ ორი საკონტროლო ჩაბერვა პირში და ცხვირში;

— თუ გულმკერდის კედლის მოძრაობა არ ფიქსირდება, გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური. თუ უცხო სხეულისგან სასუნთქი გზების გათავისუფლება ვერ ხერხდება, ექიმების მოსვლამდე კვლავ გაიმეორეთ 1-ელი და მე-4 პუნქტები.

თუ დაზარალებული 1-დან 8 წლამდე ასაკისაა

თუ ბავშვი გონზეა:

— ჰკითხეთ, უჭირს თუ არა სუნთქვა და სთხოვეთ დაახველოს;

— თუ ხველა უშედეგოა, შემოხვიეთ ხელები მუცელზე — ნეკნების შეერთების ადგილის ქვემოთ — და გააკეთეთ ზემოთ და შიგნით მიმართული 5 ზეწოლა მუცელზე;

— დაათვალიერეთ პირის ღრუ. თუ უცხო სხეულს დაინახავთ, ამოიღეთ ერთი თითით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“. ექიმების მოსვლამდე გაიმეორეთ მე-2 და მე-3 პუნქტები.

თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია:

— თუ გყავთ დამხმარე, სთხოვეთ, დაუყოვნებლივ გამოიძახოს „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა;

— ბავშვი დააწვინეთ ზურგზე, გადაუწიეთ თავი უკან, წამოუწიეთ ნიკაპი წინ და ზემოთ, მოუსმინეთ სუნთქვას. თუ პატარა ვერ სუნთქავს, გააკეთეთ 2 საკონტროლო ჩაბერვა. თუ პირველი ჩაბერვის შემდეგ გულმკერდის კედლის მოძრაობა არ დაფიქსირდება, შეუცვალეთ თავის მდებარეობა და სცადეთ, მეორედ ჩაბეროთ;

— თუ გულმკერდის კედლის მოძრაობა კვლავ არ ფიქსირდება, ერთი ხელით ჩაატარეთ 5 ზეწოლა (შიგნით და ზევით) მუცელზე — ჭიპის ზევით, ნეკნების შეერთების ადგილამდე;

— დაათვალიერეთ პირის ღრუ და თუ უცხო სხეულს შენიშნავთ, ამოიღეთ. თუ დაზარალებული დაიწყებს სუნთქვას, გადაიყვანეთ უსაფრთხო პოზიციაში და გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური. ყოველ 10 წუთში ერთხელ შეამოწმეთ სუნთქვა, პულსი და ცნობიერების დონე;

— თუ დაზარალებული არ სუნთქავს, გააკეთეთ 2 საკონტროლო ჩაბერვა; ექიმების მოსვლამდე გაიმეორეთ მე-2 და მე-3 პუნქტები.

■

თაფლი - ჯადოსნური ელექსირი

თაფლის სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მას უამრავ სამკურნალო, გამავჯანსაღებელ, გამაახალგაზრდავებელ თვისებას მიაწერენ. დედოფალი კლეოპატრა თაფლს სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად იყენებდა.

ძველი ბერძნები თაფლს ჯადოსნურ ელექსირს უწოდებდნენ, რომელიც სიცოცხლეს ახანგრძლივებს. თუ ყოველდღიურად სამ კოვზ თაფლს მიირთმევთ, არა მარტო იმუნიტეტს გაიმაგრებთ, არამედ სილამაზესა და ახალგაზრდობას შეინარჩუნებთ და ჭარბი წონისგანაც გათავისუფლდებით.

ჯანმრთელობისთვის

არცთუ დიდი ხნის წინ დიეტოლოგები გახდომის მოსურნეებს თაფლის მიღებას უკრძალავდნენ. დღეს კი პირიქითაა, თაფლის სპეციალურ დიეტებსაც კი ნიშნავენ. ექიმები ამტკიცებენ, რომ თაფლი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და ბევრი პროდუქტის შემცვლელიცაა. ის ხომ თავისი შემადგენლობით უზარმაზარი „საწყობია“, სადაც თავმოყრილია ნახშირწყლები, ცილები, ვიტამინები და სხვადასხვა მჟავა. თაფლს ადვილად ითვისებს ორგანიზმი; ის ამშვიდებს ნერვულ სისტემას და დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს ანადგურებს.

სილამაზისთვის

თაფლი კვერცხით

ხალხური მედიცინის თანახმად, თუ 1 ჩ/კ თაფლს 1/კ კვერცხთან ერთად ათქვეფთ და სახეზე ამ ნიღაბს გაიკეთებთ, კანს აუცილებელი მიკროელემენტებით მოამარაგებთ. თაფლი ძლიერ ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რომლებიც უკვე გაჩენილ ნაოჭებს ასწორებს და ახლის წარმოქმნას ხელს უშლის.

ინგლისელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კანის გასაახალგაზრდავებლად თაფლი 25%-ით უფრო ეფექტიანია, ვიდრე სხვა კოსმეტიკური საშუალება. მის ბაზაზე დამზადებული ნიღბები კვებავს და ათეთრებს სახის კანს, აქრობს გამონაყარს. ხახვისა და თაფლის ნარევი უძველესი დროიდან თმის ძირების გასამაგრებლად გამოიყენებოდა. თუ მამაკაცი სახის გაპარსვის შემდეგ დისკომფორტს განიცდის, რეკომენდებულია, კანი თაფლით დაიმუშაოს, რადგან ის სიხლდენას აჩერებს, აძლიერებს რეგენერაციის პროცესს და კანს არბილებს.

თაფლის ნიღაბი არაჟნით

1 კვერცხის გული, 1 სუფრის კოვზი არაჟანი, 1 სუფრის კოვზი თაფლი ერთმანეთს შეურიეთ. მასა ბამბის ტამპონით სახეზე და ყელის მიდამოებში წაისვით. როცა პირველი ფენა გაშრება, ზემოდან მეორე ფენა გადაისვით, შემდეგ — მესამე. 20-25 წუთის შემდეგ სველი ტამპონით ჩამოიწმინდეთ. რეკომენდებულია ნორმალური და მშრალი კანისათვის.

თაფლის ნიღაბი ჩაით

2 ს/კ თაფლი 1 ს/კ ჩაის მაგარ ნაყენს შეურიეთ, დაუმატეთ 2 ს/კ

შვრია, მცირე რაოდენობით — წყალი და ცოტა ხნით ორთქლის აბაზანაზე გააჩერეთ. მიღებული მასა 20 წუთით სახეზე დაიდეთ, შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ნიღაბი სასარგებლოა დანაოჭებული კანისთვის.

ხანდახან თავი თაფლის აბაზანით გაინებივრეთ. ერთი ასეთი აბაზანისთვის 250 გ თაფლი დაგჭირდებათ. გახსენით ის თბილ წყალში, ჩაუშვით აბაზანაში და 15 წუთით ჩანექით. ეს პროცედურა არაჩვეულებრივად ამაღლებს ტონუსს. ■

ყველასთვის ხელმისაწვდომი რეცეპტები ჯანსაღი თმისთვის

თუ გგონიათ, რომ ჯანმრთელი და ლამაზი თმა ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ძალიან ცდებით. სასურველი შედეგის მისაღებად, ბალზამისა და კონდიციონერის ნაცვლად, შეგიძლიათ, საკუთარი ხელით მომზადებული ლოსიონები გამოიყენოთ.

კარტოფილის ნიღაბი

თმის ცვენის შესაჩერებლად კარგია კარტოფილის ნიღაბი. აიღეთ 1 ცალი, დიდი ზომის კარტოფილი, გახეხეთ, დაუმატეთ 2 ს/კ ალოეს წვენი და 20 გ თაფლი. მიღებული მასა შეიზილეთ თმის ძირებში. შემდეგ თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოიცვით და პირსახოცი შემოიხვიეთ. ნიღაბი თავზე 2 საათით გაიჩერეთ, მერე ჩამოიბანეთ და თავი ჩვეულებრივი შამპუნით დაიბანეთ. პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში 2-ჯერ — მანამ, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიიღებთ.

კომბოსტოს ლოსიონი

თმის ძირებს კარგად კვებავს ეგრეთ წოდებული კომბოსტოს ლოსიონი. მის მოსამზადებლად, თანაბარი პროპორციით აიღეთ კომბოსტო და ოხრახუში და დაასხით 300 გ ადუღებული წყალი. მომზადებული ნაყენი 6 საათი გააჩერეთ. ნაყენი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და 30 წუთის შემდეგ შემდეგ ჩამოიბანეთ. ■

მოცხარის მურაბა

მასალად საჭიროა:

მოცხარი — 1 კგ
შაქარი — 1 კგ
წყალი — 300 მლ

მომზადების წესი:

შაქრისგან და წყლისგან მოხარშეთ სქელი სიროფი.

მოცხარს მოაცილეთ ყუნწები და გარეცხეთ.

შემდეგ ჩააწყვეთ სიროფში და რამდენიმე საათით დატოვეთ.

შემდეგ დადგით საშუალო ცეცხლზე და ხარშეთ; თან ურიეთ მოქაფეთ.

მოხარშული მურაბა ჩაასხით სტერილიზებულ ქილებში. ■

ფუნთუშები ქიშმიშით და ალუბლით

მასალად საჭიროა:

საფუარი — 14 გ;
შაქარი — 100 გ;
კარდამონი — 1 ჩ/კ;
ფქვილი — 700 გ;
კარაქი — 125 გ;
კვერცხი — 2 ცალი;
ქიშმიში — 75 გ;
ალუბალი — 75 გ;
წყალი — 225 მლ.

მომზადების წესი:

აურიეთ 10 კოვზი ფქვილი, კარდამონი, 125 გ წყალი და გახსენით მასში საფუარი. ქვაბში ჩაასხით 225 მლ წყალი, ჩადეთ კარაქი, დადგით ცეცხლზე და გაადნეთ (ძალიან არ გააცხელოთ). მიღებული მასა მიქსერით ათქვიფეთ ფქვილთან ერთად. დაუმატეთ 1 მთლიანი კვერცხი, მეორე კვერცხის გული, 75 გრ ფქვილი და თქვიფეთ 2 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ კიდევ 375 გ ფქვილი და მოზილეთ რბილი ცომი.

შემდეგ მოათავსეთ გასაბრტყელებელზე, დააყარეთ ფქვილი და ზილეთ კიდევ 10 წუთი — ცომი უნდა გახდეს ელასტიკური. თუ დასჭირდა, დაამატეთ 35 გ ფქვილი. შემდეგ ცომი ააგუნდავეთ, ჩადეთ კარაქწასმულ ჯამში და დადგით თბილ ადგილას (დაახლოებით 1 საათით). ცომი ისე უნდა ამოვიდეს, რომ დაახლოებით 2-ჯერ „გაიზარდოს“. ამოსულ ცომს შეაზილეთ ქიშმიში და ალუბლის ჩირი; გაყავით 25 ნაწილად და გააჩერეთ 15 წუთი. გააკეთეთ მისგან ბურთულები, დააწყვეთ ფორმაზე და კვლავ გააჩერეთ 40 წუთი.

ბურთულებს წაუსვით ათქვეფილი კვერცხის ცილა და გამოაცხვეთ ღუმელში 190 გრადუსზე (დაახლოებით 20-25 წუთი). გამომცხვარ ფუნთუშებს მოაყარეთ შაქრის პუდრა. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ცაზედ მიდიან წერონი



ცაზედ მიდიან წერონი,
მწკრივადა, ჯარის-ჯარადა,
ვერა ჰხედავთა, ტიალნო,
ცრემლი ჩამომდის ღვარადა?!
წადით, წაიღეთ ამბავი,
არსად დაჰკარგოთ შარადა,
უთხარით, ნუ დამივიწყებს
ქალსა, ტურფასა ტანადა,
ნეტავ, არ ვაგონდებია –
მე ხომ ვსულდგმულობ ძალადა?

ხალხური

სახსოვარი

ოტია იოსელიანი

◆ბედნიერების წყურვილია, რომ ადამიანს მწყურვალს სტოვებს.

◆დედისათვის ყვავის ბახალაც შვილია და არწივის მართვეც, მაგრამ ქვეყნისთვისაა სხვადასხვა.

◆ერთ მოყვარე მტერს ასი გადამთიელი მტრის ოდენი ვნების მოტანა შეუძლია.

◆დიდი ხნით უსაშველოდ შეყვარებულ ქალთან პირველი პაემანი გახსოვთ? გახსოვთ, აბა რა ჯანდაბა დაგავიწყებთ.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ლ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-30, 2011

ლუგუმი (კუთხ.) — 1. ხორცი, რომელიც დიდხანს იხარშება; 2. უმარილო, უგემური (საჭმელი).

ლული — 1. სიცხის ლული — დიდი სიცხე, ბუღი; 2. ცოდვის ლული — დიდი ცოდვა, საცოდაობა, დიდი უბედურება; ცრემლის ლული — უხვი ცრემლი, ცრემლის ღვრა.

ლული — იგივეა, რაც რული (თვლემა).

ლურთი — ძალიან მსუქანი ხორცი; ქონი.

ლურსა, ლურსა დანა — იგივეა, რაც ხანჯლის „შვილი“ (პატარა დანა, რომელიც ხანჯლის ქარქაშის შიგნითა მხარეს არის ჩაგებული).

ლუსკუმა (ძვ.) — ზანდუკი, კიდობანი.

ლუსტრა ფრ. — იგივეა, რაც ჭაღი.

ლუსუმა — ფურისულის ერთ-ერთი სახეობა. იკეთებს ყვითელ ყვავილებს.

ლუტი — უსახლკარო, უქონელი ადამიანი.

ლუფა — ერთწლოვანი მცენარე გოგრისებრთა ოჯახისა; აქვს ულვაშებიანი მცოცავი ღერო. ისხამს კიტრის მოყვანილობის მსხვილ, თავდაკიდებულ ნაყოფს, რომელსაც დამუშავების შემდეგ ხმარობენ ტანის გასახეხად (დაბანისას).

ლუფჩი — 1. წყალში გახსნილი ფქვილი (საბა); წამოდუღებული ქატო, წყალში გახსნილი; 2. ლუდისა და არყის ნახადი — ფაფისებური მასა, რომელსაც საქონლის საკვებად ხმარობენ.

ლუყურტი — სიცხარეს მოკლებული და უგემური (საჭმელი).

ლუში — მოლურჯო ფერი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„იმედად ის მრჩება, რომ ჩემს ასეთნაირად დალუპვას ქართველები არ დაივიწყებენ“

მკითხველს მოეხსენება, რომ „ჩემი რჩეულის“ მესამე ტომეული გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის — მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას ეთმობა. 7-მა ტომმა საუკეთესო რომანები და მოთხრობები დაიტია; სათანადო ადგილი აქვს მიკუთვნებული წერილებს, რომლებშიც დიდი მწერალი საკუთარ მსოფლმხედველობრივ და შემოქმედებით კრედოს გვიზიარებს. დასკვნით — მე-7 ტომში სწორედ ამ წერილებსა და კიდევ — საბჭოთა დროს აკრძალულ „ჩანაწერებს უბის წიგნაკებიდან“ გაეცნობით. ზოგიერთ მათგანს წინამდებარე პუბლიკაციასაც ვურთავთ.

რაც შეეხება თვით პუბლიკაციას: მას ემიგრანტულ ჟურნალს — „ქართველი ერი“ — დავესესხეთ, რომელიც 1943 წლიდან ბერლინში გამოდიოდა. ამ გამოცემის №3-4-ში, გ. ხერგაისძის ფსევდონიმით, მიხეილ ჯავახიშვილის თანამესაკნის, ექიმ გივი კობახიძის სტატია — „ხმა დასახვრეტთა საკანითგან“ გამოქვეყნდა, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

„ერთი მძიმე და ტანჯვა-წამებით აღსავსე დაკითხვის შემდეგ, რომელიც ჩემი დაპატიმრების პირველ დღეებში მოხდა, ჩამაგდეს ბნელ სარდაფში. შესვლისას პირველად ვერაფერი გავარჩიე, ხელები მოვაფათურე, რომ არაფერს წავდებოდი. კარებთან ვიდექი მანამ, სანამ სიბნელეს კარგათ შევაჩვევდი თვალს. ვგრძნობდი, სარდაფში ძალიან ბევრნი იყვნენ. ჰაერი ისე იყო ხაშმით დამძიმებული და დახშული, რომ კინაღამ სუნთქვა შემეკრა.

— აჰა, ერთი უბედურიც მოგვემატა! — მომესმა ბნელი კუნჭულიდან ხმა, რომელმაც ელვასავით დამიარა ტანში, მუხლები მომეკვეთა; ბოლოს სიბნელეს თვალი შევაჩვიე, ადამიანები ჩაყვითლებულნი, მშიერი და წვერ გაუპარსელნიც, ძონძებით შემოსილნი ერთმანეთზედ იყვნენ მიყრილნი...

მეუღლესთან ერთად

ხმას არავინ იღებდა, შეძრწუნებულს მსურდა, ვინმე გამომლაპარაკებოდა, მაგრამ ჩემი მეზობლებიდან არავინ ჩქარობდა. ლოდინსაც მოეღო ბოლო და ჩემს მეზობლად მჯდარმა საუბარი გამიბა. მისი ხმა იყო სუსტი და მიმქრალი, ამავე დროს გულში და გრძნობაში ჩამწვდომი. თითქოს სამარიდან ამოდიოდა ეს ხმა — ამ კაცის ჩურჩულმა გული ამიდუღა და თვალზედ ცრემლი მომგვარა. თითქოს მას უცდიდნენო, ყველამ ყური მომიგდო და გულდასმით ისმენდნენ ჩემს ამბავს, რომელსაც ვუყვებოდი დაინტერესებულ მეზობელს. დავამთავრე თუ არა მოთხრობა, თუ რისთვის დამაპატიმრეს და რა გადამხდა დღემდე, ახლო მყოფებმა უიმედოთ ჩაიქნიეს ხელი. „გათავებულა, ძმაო, შენი საქმე, ეს საკანი დასახვრეტთა საკანიაო“. ამ სიტყვების გაგონებაზედ თვალთ დამიბნელდა, თითქოს გონება დამეკარგა, ვგრძნობდი კი, რომ ამ სარდაფში ჩამოგდებამდე, დიდს სასჯელს მომანიჭებდნენ, მაგრამ თავს არ ვაჯერებდი იმაში, რომ დასახვრეტად მისჯილებთან ვიჯექი...

საინტერესო იყო ჩვენი საკნის პატიმართა სულიერი განწყობილება... სულით დაცემულებს ერთად მოეყარათ თავი და სარდაფის ერთ კუთხეში იყვნენ მიყრილნი... მხოლოდ მაოცებდა სარდაფის ერთი კუთხე, სადაც თავი მოეყარა ხალხს, რომელიც ჩოჩქოლს ატეხდა ხოლმე, როდესაც შემოაღებდნენ „ჩეკისტები“. ამ კუთხეში მყოფნი შეუდრეკელობას იჩენდნენ სულიერად.

— მკვლელებო!.. სისხლის მსმელებო!.. ჯალათებო!.. გაყვიროდნენ ისინი და მუშტმოკუმულ ხელებს უღერებდნენ კარებში მდგომ ჯალათებს. ასეთი საქციელის გამო მათ ხშირად დაუმსახურებიათ „ჩეკისტების“ შეუბრალებელი ცემა. ამ გულოვანი და მღელვარე კუთხიდან ყოველთვის გულადად გადიოდნენ დასახვრეტად...

გენიოსობა სიგიჟეა, მგრძნობიაროობა გადაგვარების ნიშანია, ხოლო ნაჭარბევი ემოციალობა ნევროზის შედეგია.
ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

ერთხელ გულმა აღარ მომითმინა და ვიკითხე: „რა არის იმ კუთხეში, რომ ყოველთვის ჩურჩულებენ?“ მალე მეზობლად მყოფმა პატიმარმა სრულიად მოულოდნელი და გასაკვირველი რამ მაცნობა: იმ კუთხეში ზის მწერალი — მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ახალგაზრდა პატიმრებს განუწყვეტლივ ესაუბრებაო. ამ სიტყვების გაგონებაზედ შევკრთი. მაშ, მიხეილ ჯავა-

ხიშვილის დაპატიმრება მართალია! — გამიელვა გულში. მე წაკითხული მქონდა თითქმის ყველა ნაწარმოები მიხეილ ჯავახიშვილისა. განსაკუთრებით მიყვარდა რომანი — „არსენა მარაბდელი“, რომელიც რამდენიმეჯერ მქონდა გადაკითხული და ჩემს მაგიდაზე მუდამ წინ მედვა. მართალია, მიხეილ ჯავახიშვილი არ მენახა არასდროს, მაგრამ მიყვარდა მე იგი თავისი მიმზიდველი ნაწარმოებებით. ვერ წარმომედგინა, თუ ეს ახალგაზრდობის საყვარელი მწერალი ჩვენთან იმყოფებოდა ამჟამად, აქ, სასტიკ ჯურღმულებში. გული აღარ დამიდგა და დაუყოვნებლივ მივედი იმ ჯგუფთან. თვალწინ წარმომიდგა შემაძრწუნებელი სურათი: კუთხეში მიმჯდარი იყო ძვალტყავად ქცეული, ჩია ტანის მოხუცი, ღრმად ჩაცვენილი თვალებით, საშინლად გაწითლებული, წვერებგაბურდული...

ჩემი სახლიდან თეატრამდის 1924 წ. 15°-იან ყინვაში 40-ზე მეტი დავთვალე უსალტოო.
ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

მიხეილ ჯავახიშვილი დედმამიშვილებთან ერთად. 1910 წელი

პირველად შევკრთი კუთხეში მიწყობილი ჩონჩხის შეხედვაზე. დიახ, ჩონჩხი, ნამდვილად ანატომიური ჩონჩხი იყო. ჩონჩხი ლაპარაკობდა, ჩონჩხი ჩურჩულებდა... მალე გავეცანი და დავუახლოვდი ჯავახიშვილს და მის გარშემო მყოფთ. დიდის გულთბილობით მიმიღეს, როგორც მან, ისე სხვებმა. იმ დღიდან სულ მათთან ვიყავი მოუცილებლად. ხსოვნიდან არ ამომეშლება მიხეილის სახე, მისი ნათქვამი სიტყვები და ნაქადაგები.

„მე ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის არ დამიზოგავს ჩემი სუსტი ძალღონე, ქართველი ერისთვის არ დამიშურებია და არც დავიშურებდი არაფერს. ბევრს ვფიქრობდი მის მომავალზე და ველოდებოდი ჩვენი განთავისუფლების დღეს ბოლშევიკური და რუსული უღლისაგან. მართალია, მე ამ დროს ვერ მოვესწარი და ვერც მოვესწრები, მაგრამ მალე, სულ მალე, ქართველო ახალგაზრდებო, დადგება ჟამი ჩვენი ერის განთავისუფლებისა, დადგება დრო სანეტარო, როდესაც ქართველი ხალხი გადაიგდებს მონობის უღელს თავის ქედიდან და იცხოვრებს ისე სახელოვნად, როგორც უცხოვრია თავისი ძლიერების ხანაში. ჩვენ აღვსდგებით!.. სულაც არ ვნაღვლობ, რომ სამშობლოსათვის ასე ვკვდები, იმედად ის მრჩება, რომ ჩემს ასეთნაირად დაღუპვას ქართველები არ დაივიწყებენ“. ასე ლაპარაკობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

მის მოწოდებას მეც გულისყურით ვისმენდი. დიდი სულიერი განმამტკიცებელი ძალა ჰქონდა ამ სიტყვებს. ამიტომ იყო, მის გარშემო მყოფნი გაკაჟებულნი გადიოდნენ დასახვრეტად. მიხეილი მოგვითხრობდა ამბებს საქართველოს ისტორიიდან, ლიტერატურითგან და საზოგადოებრივი აზროვნებითგან. ჯავახიშვილი გვარიგებდა, გვირჩევდა და გვამხნევებდა. „ეგეთ სურათი: დამშვიდობება მიხეილ ჯავახიშვილთან დიდს მგრძნობიარე სურათს წარმოადგენდა. ასეთი სურათები ყოველდღიურად იმართებოდა მრავალჯერ დღეში. ყოველივე ამის ცქერამ, მოლოდინმა და შიმშილმა ისე დამადნო, როგორც სანთელი. ასე დნებოდნენ ჩვენი ბედის თანაზიარნიც, ელოდნენ გამოძახებას, ელოდნენ სიკვდილს... ელოდებოდა ჩვენი მიხეილიც. მე ვიცი პატიმართა მაშინდელი სურვილები. მათ სურდათ, თავიანთი თვალით არ დაენახათ მიხეილ ჯავახიშვილის გაყვანა დასახვრეტად, არ სურდათ, შესწრე-

მიხეილ ჯავახიშვილი და მისი უფროსი ქალიშვილი – ქეთევანი

ბა, რომელიმე თქვენგანს, ათასში ერთს მაინც გაგიღიმოს ბედმა — და ცოცხალი გადაურჩეთ ამ მხეცებს. ნუ დამივიწყებთ... გადაეცით ქართველ ხალხს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი ვიყავი, მასზედ ვფიქრობდი... გადაეცით, რომ იმედით სავსე ვკვდები სამშობლოსათვის“.

დასახვრეტად გამოძახებულნი მოდიოდნენ მასთან დასამშვიდობებლად. მიხეილი წამოიწევდა თავის კუთხიდან, ჩონჩხად ქცეულ მკლავებს შემოხვევდა მასავით მიღრწნილ პატიმარს, ეამბორებოდა და თვალცრემლიანი კვლავ მიჩნეულ კუთხეში მიიკუნჭებოდა.

ყველამ რომ ცოდვების მოანანიეგა დავიწყოთ, მთელი საქართველო მონასტრად გადაიქცევა.
ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

ბოდნენ ამ დღეს. ამიტომ გულის ფანცქალით ელოდებოდნენ იმ წუთებს, როდესაც ჯავახიშვილს წაართმევდნენ.

მძიმე მოლოდინში მყოფნი მწერალს მოსვენებას არ ვაძლევდით. ერთხელ „არსენა მარაბდელი“ და „ჯაყოს ხიზნებიც“ კი ვაამბობინეთ. დრო გადიოდა. გათენება-დაღამებას პატარა სარკმელით ვტყობილობდით, რომელიც სარდაფში შემოსავალ კარს ჰქონდა დატანებული. ერთს უბედურ დღეს, როდესაც პაწაწინა სარკმელში სუსტი სინათლე მიქრა და სამარისებური ბნელეთი გამეფდა, ჭრიალით გაიღო კარი, როგორც ყოველთვის, გამოჩნდა ორი „ჩეკისტი“. ერთს მათგანს ხელში ეჭირა სანათი, რომლის შუქმა ოდნავ გაანათა სარდაფის კუნჭული. პატიმრებმა კარისაკენ მიიხედეს. ყველას შეაჟრჟოლა. კარგად იცოდნენ, რას ნიშნავ-

მე მიყვარს საქართველოს წარსული, მე მძულს მისი დღევანდელობა. მე მწამს მისი მომავალი.
ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

და ამ ორის შემოსვლა საკანში. ერთს მათგანს, შედარებით ჯანმრთელი აგებულებისას, რეზინის ჯოხი ეჭირა ხელში. მისი სახე ცივი და უხეში იყო. ამღვრეული თვალები ისარივით ესობოდა ჩვენს გულს. მის სახეზე ერთი ძარღვიც კი არ ტოკავდა. მეორეს, რომელსაც სანათი ეჭირა ხელში, დამცინავი ღიმილით ჰქონდა შეფერილი სახე და ოდნავ გახსნილი ბაგეებიდან უბრწყინავდა ოქროს კბილი. მოციმციმე სინათლეზედ ორთავეს სახე ჯალათურ შდაბეჭდილებას სტოვებდა.

— მიხეილ ჯავახიშვილი!.. — გაისმა ცივი ხმა. ჰაერი გაიყინა, დამძიმდა და აუტანელი შეიქმნა. სიჩუმემ რამდენიმე წამი გასტანა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. ნახევრად ბნელი კუნჭულებიდან თავი წამოყვეს ჩონჩხებმა. ისინი იმ კუთხისაკენ მიიხარნენ, სადაც მწერალი იჯდა. სამარისებური სიჩუმე უცბათ დაარღვია ვიღაცის შეძახილმა: „ჯალათებო!.. სისხლის მსმელებო!..“ ხმას აჰყვნენ დანარჩენები და სარდაფი აივსო ყვირილით.

— თქვენ ხვრეტთ მოწინავე ადამიანებს ქართველებისას!

— თქვენ გვართმევთ დიდ მწერალს!

— მხეცებო!

— არ მოქცემთ მიხეილ ჯავახიშვილს!

— იგი ჩვენია!

პატიმრები აირივნენ. რისხვით მიაწყდნენ იმ კუთხეს, სადაც დიდი მწერალი ეგულებოდათ, მას გარს შემოევლნენ და არ აძლევდნენ საშუალებს, კარისკენ გასულიყო. გამხეცებული „შინსახკომელები“ დაუზოგავად დაერივნენ უმწეო და ღონეგამოლეულ ხალხს. მძიმე რეზინი თხლაშა-თხლუშით ამეტყველდა მათს თავზედ, ერთი „ჩეკისტი“ მივარდა ჩია მოხუცს, ხელი დაავლო და სარდაფის შუაგულში ისროლა. ამის მხილველნი ბოღმით ივსებოდნენ.

ნელა წამოდგა მიხელ ჯავახიშვილი, წელში მოხრილმა თვალი გადაავლო დასისხლიანებულ ხალხს... ღმერთო!.. როგორი გამომეტყველება ჰქონდა! ოდნავ ქვემოთ ჩამოწეული მარჯვენა ტუჩის კუთხე უცახცახებდა. სახეზედ უმწეობისა და შეურაცხყოფის ღიმილი ეკერა. რამდენიმე წამი გვიცქირა და ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ ამ დროს მახლობლად ისტერიკული ქვითინი გაისმა. მეც ველარ შევიკავე თავი და ბავშვივით ავზლუქუნდი. ჩემს ქვითინს აჰყვა თითქმის ყველა. ვისარგებლე მდგომარეობით და პირველი მივიჭერი



მართალია, მიხეილ ჯავახიშვილი არ მენახა არასდროს, მაგრამ მიყვარდა მე იგი თავისი მიმზიდველი ნაწარმოებებით

მწერალთან. გადავეხვიე, დავუკოცნე გამხმარი სახე... მომყვნენ სხვებიც. მწერალს ვეხვეოდით, გულში ვიკრავდით, სამუდამოდ ვეთხოვებოდით. რეზინიანმა „ჩეკისტმა“ მოხუცს წიხლი ჩააზილა. ჯავახიშვილი გასავალი კარის ახლოს ჩაიკეცა. ხორციელად დაუძლურებუ-

**თუ მართლა კვდება სამშობლო ჩემი, —
სიკვდილო შესდექ! ჯერ მე მოვკვდები!**
ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

ლი ადამიანი მალე ზეზე ადგა, დამჭკნარი ხელებით სველი თვალები მოიწმინდა და გადმოგვძახა: „აწ გშორდებით, საყვარელო ძმებო“... მაგრამ არ დაეცადეს, სიტყვა გააწყვეტინეს. „ჩეკისტმა“ კისერში ხელი წაავლო და კარისაკენ წაათრია. კიდევ საკვირველება! მწერალი კვლავ დაუსხლტა ხელიდან „ჩეკისტს“, დაჩონჩხილი ხელი მაღლა აღმართა და არსენასებური, ფოლადივით მტკიცე ხმით დაგვძახა:

„კიდევაც დაიზრდებიან
ქართვლში ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი შაშჭამონ მტრისანი“.

ეხლა კი აღმართა „ჩეკისტმა“ ხელი და მძლავრად დაჰკრა მძიმე რეზინი მხრებზედ ჯავახიშვილს. მწერალმა გონი არ დაჰკარგა. იგი კვლავ ხელს გვიქნევდა დამშვიდობების ნიშნად.

მძიმე ჭრიალით მიიხურა სარდაფის კარი...“

■

შვილისთვის ანდერძად დატოვებული „ჩვენი დროის ათი მცნების“ ნაწყვეტი

ურჯუკი — **ურწმუნო, ულმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი**

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დასაწყისი

რუსუდან ბერიძე

თბილისთან მიბმულ, ერთ-ერთ პრესტიჟულ სააგარაკო დასახლებაში, ცხელი აგვისტოს კიდევ ერთი დღე მიიწურა და საკუთარი სახლების გრილ კედლებს შეფარებული მოაგარაკეებიც ნელ-ნელა გარეთ გამოიშალნენ და ახმაურდნენ.

საღამოს 8 საათისთვის, დასახლების ცენტრში, ამაღლებულ ადგილზე მდგარი ორსართულიანი ფეშენებელური სახლის აივანზე, ცნობილი ბიზნესმენი — ვახტანგ ილურიძეც გადმოდგა და ფართო ეზოს ზანტად თვალი მოავლო. იქ, ორ უზარმაზარ კაკლის ხეს შორის გაბმულ ჰამაკში, ილურიძის 23 წლის ვაჟი — რატი იწვა და სახეზე გაშლილი წიგნი ეფარა.

— რატი! — ხმადაბლა დაუძახა მამამ შვილს, მაგრამ ახალგაზრდა არც კი შერხეულა.

„ერთხელაც იქნება და, რომელიმე წიგნის ქვეშ გაიგუდება“, — გაიფიქრა ილურიძემ და ხმას აუწია:

— რატი, ბიჭო, გძინავს?

— უკვე აღარ, — სახიდან წიგნი მოიშორა რატიმ და მამას უკმაყოფილო სახით ახედა: — რა გინდა?

— შენი და სად არის?

— მაკა? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ვაჟმა.

— რა, სხვა დაც გყავს?

— ნეტავ, მყავდეს, — წიგნი ჰამაკის გვერდით, სკამზე გადადო რატიმ და ერთი გემრიელად გაიზმორა, — ლუდზე მაინც გამეგზავნებოდა, თორემ მაკა ბოლო დროს ისე გავირდა, რომ...

— კი არ გავირდა, დაჭკვიანდა, — ქალიშვილს გამოესარჩლა ილურიძე, — შენ კი ლუდის სმა და კარგი ცხოვრება თუ გინდა, თვითონ უნდა გაისარჯო.

— გამახსენე ერთი, რამდენი წლისაა შენი დაჭკვიანებული ქალიშვილი?

— 11-ის.

— მერე დაგავიწყდა, 11 წლისას წელში როგორ მწყვეტდი?

— წელში კი არ გწყვეტდი, შრომას გაჩვევდი, მაგრამ ახლა შენთან კამათისთვის არ მცალია. რა მითხარი, მაკუნა სად არისო?

— თავის ოთახში იქნება.

— უკვე ვნახე, მაგრამ იქ არ არის.

— მისი ლეპტოპი და მობილური თუა ადგილზე?

— არა, მაგრამ ეს რა შუაშია? — ხელები გაშალა ვახტანგმა.

— შუაში კი არა, თავშია. თუ მაკასთან ერთად მისი ლეპტოპი და მობილურიც აორთქლდა, მაშინ სამივე ჩხეიძეებთან უნდა მოიკითხო. დარწმუნებული ვარ, სხედან ახლა მაკა და ჩხეიძეების ნაბოლარა ნათია და ინტერნეტში გამწარებული თამაშობენ ან „ჩეთაობენ“.

— რას აკეთებენ? — ჩაეკითხა შვილს ილურიძე.

— ინტელექტუალურ დონეს იმაღლებენ, — ირონიულად გაეღიმა რატის.

— ჩხეიძეებთან თუ არის, არა უშავს, — შვილის ირონია არად ჩააგდო ვახტანგმა, — მაგრამ მაინც გადავამოწმებ, — შემდეგ მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, — ან იქნებ ცოტა კიდევ მოვიცადო და მერე დედამისს დავურეკო, რომ შეუაროს და წამოიყვანოს?

— ისე, დედაჩემსაც ნამეტანი გაუტკბა ქალაქში ხეტიალი, — საათზე უკმაყოფილო სახით დაიხედა რატიმ, — უკვე მაგრად მომშივდა.

— დედაშენს ბევრი საქმე აქვს მოსაგვარებელი. ასე რომ, შეიძლება, ვახშმის მოხაზირება თავად მოგვიხდეს, — ეზოში დინჯად ჩავიდა ვახტანგი და შვილის გვერდით, სარწეველა-სავარძელში ჩაჯდა.

ამის შემდეგ მამა-შვილი კიდევ ათას რამეზე საუბარს შეჰყვა და უფროს ილურიძეს მარტო ცოლთან დარეკვა კი არ დაავიწყდა, დაღამებაც გვიან შენიშნა. მაკა კი ისევ არსად ჩანდა.

— იქნებ ჩხეიძეებთან გადაგერბინა და გაგეგო, ის გოგო ამდენ ხანს რას აკეთებს? — სთხოვა შვილს ვახტანგმა. — თორემ ხომ ხედავ, რომ ვერ ვურეკავ, მობილური გათიშული აქვს.

— დარწმუნებული ვარ, სპეციალურად გათიშა, რომ თამაშში ხელი არავინ შეუშალოს.

— ჰოდა, გადადი და შეუშალე. შენც ეს არ გინდა?..

რატი შეშფოთებული დაბრუნდა, რადგან მაკა მეზობელთან არ აღმოჩნდა. ნათიამ კი უთხრა, მაკას ნაშუადღევს მართლა ველოდი, მაგრამ არ გამოჩნდა და არც მობილურზე მიპასუხაო.

ამ ამბავმა ვახტანგ ილურიძე ძალიან შეაშფოთა. ამასობაში, საყიდლებზე თბილისში წასული ვახტანგის მეუღლე თინაც დაბრუნდა და რომ გაიგო, მაკას ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ქმარ-შვილი საყვედურებით აავსო. ამის შემდეგ, სამივემ ყველა მეზობელი შემოიარა, მაგრამ ბავშვის ადგილსამყოფელს მაინც ვერსად მიაკვლია. მეტიც, გაირკვა, რომ გოგონასთვის იმ დღეს არავის მოეკრა თვალი. შინ დაბრუნებულმა სასოწარკვეთილმა თინამ ტირილი მორთო, არანაკლებ დაზაფრულმა ვახტანგმა მისი დამშვიდება სცადა, რატიმ კი ჯერ მთელი ეზო და ბაღი ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა, მერე კი სახლის სხვენშიც აძვრა: იქნებ მაკამ სწორედ იქ გადაწყვიტა განმარტოება, რომ მისთვის ხელი არავის შეეშალა და შემდეგ, თამაშით დაღლილს, ჩაეძინაო. მაგრამ გოგონა არც იქ აღმოჩნდა. სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. ვახტანგი და რატი გაუთავებლად უხსნიდნენ წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულ თინას, თუ რას აკეთებდა თითოეული მათგანი დღის განმავლობაში და სად იყო იმ დროს მაკა. ორივეს — მამასაც და შვილსაც კარგად ახსოვდათ, რომ შუადღემდე სამივენი ეზოში იყვნენ. შემდეგ ვახტანგმა ზემოთ ასვლა და წამოწოლა გადაწყვიტა, რატი ჰამაკში მოეწყო და ერთ-ერთი სამედიცინო წიგნის კითხვა დაიწყო. იქვე, სარწეველა სავარძელში მოკალათე-

ბული მაკა კი მოდების ჟურნალს ათვალიერებდა.

— მერე რა მოხდა? — ვინ იცის, უკვე მერამდენედ ჰკითხა თინამ შვილს.

— მერე ჩამეძინა და მამას ხმამ გამომაღვიძა, მაკა სად არისო?

— ანუ რომ გაიღვიძე, მაკა უკვე შენ გვერდით აღარ იყო, ხომ?

— არა, — თავი დამნაშავესავით დახარა რატიმ.

ცოტა ხანში ილურიძეები ისევ ქუჩაში გავიდნენ, მათ მეზობლებიც შეუერთდნენ და უკვე მთელი დასახლება შემოიარეს, მაგრამ გოგონას ადგილსამყოფელს ვერც ამჯერად მიაკვლიეს. უშედეგო ძებნით დაღლილი მეზობლები ისევ ილურიძეების ეზოში შეგროვდნენ და თითოეულმა მომხდარის საკუთარი ვერსია წამოაყენა. ერთ-ერთის აზრით, მაკას შეეძლო, ქალაქში მამისა და ძმის დაუკითხავად წასულიყო, დაღამდებოდა და ნათესავთან დარჩენილიყო ღამის გასათევად, შინ დარეკვა კი დატუქსვის შიშით ვეღარ გაებედა. ილურიძეები ამ ვერსიას წყალწაღებულებივით ჩაეჭიდნენ, მაგრამ მაკა არც ერთ იმ ნათესავთან არ აღმოჩნდა, ვისთან დარეკვაც მათ მოახერხეს. რამდენიმემ ტელეფონის ზარს არ უპასუხა და ოჯახმაც ის ღამე იმის იმედით გაათენა, რომ მაკა სწორედ რომელიმე მათგანთან იყო და დილით აუცილებლად გამოჩნდებოდა. ძილი არც ერთს არ მიჰკარებია. თინა და ვახტანგი მთელი ღამე დამამშვიდებელს სვამდნენ, რატი კი ოთახიდან ოთახში უაზროდ დადიოდა. მერე, როგორც კი ინათა, მანქანა დაქოქა, თბილისისკენ გასწია და ყველა ის ნათესავი და ახლობელი შემოიარა, ვისთან დარეკვაც ღამით ვერ მოახერხა. მაკა არც ერთ მათგანთან არ აღმოჩნდა.

სანამ რატი დას თბილისში ეძებდა, უფროსმა ილურიძემ პოლიცია ფეხზე დააყენა და გოგონას ძებნა ახლა უკვე სამართალდამცავებმა გააგრძელეს, მაგრამ ერთადერთი, რაც პოლიციამ აღმოაჩინა, დასახლების შესასვლელთან, გზის პირას, მტვერში დაგდებული თმის ბაფთიანი სარჭი იყო. ვახტანგმა და თინამ დაადასტურეს, რომ ასეთი სარჭი მათ შვილსაც ჰქონდა. ცოლ-ქმარს სამართალდამცავებისთვის არც იმის თქმა დავიწყებია, რომ მაკასთან ერთად სახლიდან გაქრა მისი ლეპტოპი და მობილური ტელეფონი, რომელიც გამორთული იყო.

პოლიციელთა თავგამოდების მიუხედავად, მაკა ვერც მომდევნო დღეებში იპოვეს. ამასობაში სამართალდამცავებმა ილურიძეების ყველა მეზობლისა და ახლობლის დაკითხვა მოასწრეს და ისიც შეიტყვეს, რომ გოგონა, როგორც ყველა აქსელერატი, თავის ასაკთან შედარებით უფრო ზრდასრულად გამოიყურებოდა. ერთ-ერთმა მეზობლის ქალმა კი მათ საიდუმლოდ ისიც გაანდო, რომ გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე, მაკა უცხო მამაკაცთან ერთად ქუჩაში მიმავალი ნახეს. ამან სამართალდამცავებს აფიქრებინა, რომ შეიძლება, მამაკაცი სექსუალური მოძალადე ყოფილიყო, რომელმაც გოგონას ნდობის მოპოვება მოახერხა, შემდეგ სადღაც შეიტყუა, გააუპატიურა, მოკლა და გვამი საგულდაგულოდ გადამალა.

ამის შემდეგ მაკა ილურიძის ძებნა ოფიციალურად გამოცხადდა. მისი ფოტოები, სიტყვიერ პორტრეტთან ერთად, მთელ სააგარაკო დასახლებასა და თბილისის ქუჩებშიც გამოაკრეს, ფოტო ასევე აჩვენეს ერთ-ერთი ტელევიზიით და მოსახლეობას გოგონას შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება სთხოვეს. მაგრამ არც პოლიციასა და არც ტელევიზიაში არავინ მისულა და არც არავის დაურეკავს. სამაგიეროდ, თავად ილურიძეებთან ტელეფონის ყურმილის აღებას ვეღარ ასწრებდნენ. სვეგამწარებულ ოჯახს მარტო ნათესავები, მეგობრები ან თუნდაც, უბრალო ნაცნობები კი არა, სრულიად უცხო ადამიანებიც ხშირად ურეკავდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ. ყოველი ასეთი ზარი იმის იმედს აჩენდა, რომ ან თავად მაკა რეკავდა, ანდა ის ადამიანი, ვინც მას შემთხვევით სადმე გადაეყარა და ახლა ოჯახისთვის მისი ადგილსამყოფლის შეტყობინება სურდა. მაგრამ სინამდვილეში, თითოეული ზარის შემდეგ, მხოლოდ მორიგი იმედგაცრუება ელოდათ, რაც მათ ყოფას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

ოჯახის უბედურების ამბავი მალე თითქმის ყველა ახლობელმა, მეგობარმა თუ მეზობელმა შეიტყო. ვახტანგს განსაკუთრებით ბიზნესპარტნიორები ამოუდგნენ მხარში; თინას აგარაკზე — თბილისელმა მეზობლებმა და მეგობრებმა, რატის კი თანაკურსელებმა ააკითხეს და მათ გამხნევებას ცდილობდნენ. ერთხანს, უფროს ილურიძეს თბილისში დაბრუნებაც სურდა, უფრო აქტიურად რომ ჩაბმულიყო შვილის ძებნაში, მაგრამ ცოლს ვერ მოაცვლევინა ფეხი: იქნებ ჩემი გოგონა სადღაც აქვეა, შველას ელის და მე ამ დროს თბილისში, ოთხ კედელში როგორ გამოვიკეტოო?! — გაუთავებლად გაიძახოდა საბრალო ქალი, რომელსაც თავს დატეხილ უბედურებასთან შეგუება არ სურდა.

ამბობენ, ბედნიერები უბედურებას განსაკუთრებით ძნელად ეგუებიანო. ილურიძეები კი მაკას გაუჩინარებამდე მართლაც ბედნიერები იყვნენ. მათ ოჯახში ყოველთვის სიმშვიდე, თანხმობა და ურთიერთგაგება სუფევდა. უფროსი ილურიძე იღბლიანი და წარმატებული ბიზნესმენი იყო და თავის წრეში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ამასთან, ის ჩინებული მეოჯახე, ერთგული მეუღლე და კარგი მამაც იყო. ვახტანგი პურმარილიან კაცად მიიჩნეოდა და ამიტომაც, მის აგარაკსა თუ თბილისურ ბინას სტუმარი არასდროს აკლდა, რაც მისი მეუღლის კარგი დიასახლისობითა და სტუმართმოყვარეობითაც აიხსნებოდა.

ილურიძეები შვილებითაც კმაყო-

ფილნი იყვნენ. მაკა — მშობლების დამჯერი და ალერსიანი ბავშვი, რატი კი ოჯახის ნამდვილი სიამაყე იყო.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამედიცინო უნივერსიტეტში ისე ჩაირიცხა, რომ მამისგან ხელის წაკვრაც კი არ დასჭირვებია. ჩინებულადაც სწავლობდა და პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებითაც სარგებლობდა. უფრო მეტიც — ისინი მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ და სერიოზულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ყველაფერთან ერთად, რატის შესაშური გარეგნობაც ჰქონდა, ამიტომაც, გასაკვირი არ იყო, რომ ბევრი ცნობილი თბილისური ოჯახი ილურიძეებთან დამოყვრებას ცდილობდა. მაგრამ ვაჟმა რატომღაც, ერთი შეხედვით დიდად არაფრით გამორჩეულ გოგონაზე, ვინმე მაია მოსიძეზე შეაჩერა არჩევანი, რომელიც ოჯახმაც კარგად მიიღო; უკვე ოფიციალურ სარძლოდაც მიიჩნევდა და ქორწილისთვის ემზადებოდა.

მაგრამ მოულოდნელად უბედურება დატრიალდა. მაკა ოჯახში გამორჩეულად უყვარდათ და იმის გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება, რამე საშინელება დამართოდა, ყველას აუტანელ ტკივილს აყენებდა. რატი ადგილს ვეღარ პოულობდა, თინა დარდისგან თვალსა და ხელს შუა ილეოდა, ვახტანგი კი რამდენიმე დღეში მთლიანად გაჭაღარავდა და ღამის მთელი 10 წლითაც კი დაბერდა. წლები ვახსენეთ და უფროს ილურიძეს რამდენიმე დღეში 50 წელი უსრულდებოდა, რომლის აღსანიშნავადაც, ოჯახში კარგა ხანია, განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. მაგრამ ახლა იმის გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება, ამ დღეს საყვარელი გოგონას გარეშე შეხვედროდა, ილურიძეს გულს უხეთქავდა.

მაგრამ ვახტანგ ილურიძის დაბადების დღემ მაინც მაკას გარეშე ჩაიარა და გაუბედურებულ ოჯახს აგარაკზე რამდენიმე უახლოესმა ნათესავმა და მეგობარმა მიაკითხა, მათ შორის რატის საცოლე — მაიაც იყო. რა თქმა უნდა, დაბადების დღის მილოცვა არავის უფიქრია. სტუმრებმა ოჯახი მხოლოდ გაამხნევეს და მალევე დაიშალნენ. აგარაკზე ღამის გასათევად მხოლოდ მაია დარჩა.

გამთენიისას, როცა მთელ დასახლებას ღრმა ძილით ეძინა, ილურიძეების უახლოეს მეზობლებთან — ივანიშვილებთან ორლულიანი სანადირო თოფით რატის საცოლე მივარდა. შიშით გულგახეთქილმა გოგონამ მათ ენის ბორძიკით უამბო, რომ მისი საქმროს სახლში ახალი ტრაგედია დატრიალდა: ვახტანგ ილურიძემ სანადირო თოფით ჯერ ცოლი მოკლა და შემდეგ თავიც მოიკლა; ამ საშინელების მნახველი რატი კი ისეთ მდგომარეობაშია, მასაც რამე რომ არ ჩაედინა, იარაღი სასწრაფოდ გამოვარიდეო, — დასძინა ბოლოს მაიამ.

ივანიშვილები მაშინვე ილურიძეებთან გაცვივდნენ, სადაც მართლაც საშინელი სურათი დახვდათ. საწოლზე უძრავად მწოლიარე ცოლსაც და ქმარსაც ტყვიები თავში ჰქონდათ მოხვედრილი; თავზარდაცემული რატი კი ოთახიდან ოთახში მთვარეულივით დაეხეტებოდა და ირგვლივ ვერავის ამჩნევდა. მალე ტრაგედიის შესახებ სხვა დამსვენებლებმაც შეიტყვეს და ისინიც ილურიძეების სახლთან გაჩნდნენ. მერე ვიღაცას პოლიციაში დარეკვაც გაახსენდა და დასახლებაში მალე, პატრულთან ერთად, კრიმინალური სამსახურის ოფიცერი — იოსებ რაჭველიშვილი და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მივიდნენ.

ტრაგედიის ადგილის დათვალიერებისა და ფოტოების გადაღების შემდეგ, რაჭველიშვილმა რატისთან გასაუბრება გადაწყვიტა, რაც არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ილურიძეუმცროსი თითქმის სიგიჟის ზღვარზე იყო და გაუთავებლად ერთსა და იმავეს — ასეც ვიცოდი, სულ ამის მეშინოდაო, — გაიძახოდა. როგორც კი ახალგაზრდა ოდნავ დამშვიდდა, რაჭველიშვილმა მომხდარის დაწვრილებით მოყოლა სთხოვა.

— იქნებ კონკრეტული კითხვები დაგესვათ?.. — თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო რატიმ.

— კი, ბატონო. მაშინ გაიხსენეთ, დასაძინებლად როდის დაწექით?

— მე — ალბათ, ასე, 1-ელ საათზე, მშობლები კი ცოტა უფრო ადრე დაწვნენ... მაკას — ჩემი დის დაკარგვის შემდეგ, ისინი დამამშვიდებლის გარეშე ვეღარ იძინებდნენ... მეც ცუდად მძინავს... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო მოყოლა რატიმ.

— წუხელაც ასე იყო?

— დიახ... ლოგინში დიდხანს ვიტრიალე... ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა, მაგრამ სროლის ხმამ მალე გამომაღვიძა...

— ეს რომელ საათზე მოხდა?

— დაახლოებით 4-ის ნახევარზე... მაიასაც მაშინვე გაეღვიძა...

— ვის?

— ჩემს საცოლეზე მოგახსენებთ...

— ერთად გეძინათ?

— დიახ, ჩემს ოთახში... ფაქტობრივად, უკვე ცოლ-ქმარი ვართ და მაკას ამბავი რომ არა, სექტემბერში ქორწილის გადახდასაც ვაპირებდით. ასე რომ...

— მესმის, მესმის... — თავი დაუქნია ახალგაზრდას რაჭველიშვილმა. — განაგრძეთ.

— მაიამ შიშით ჩამჩურჩულა: რაღას უცდი? სასწრაფოდ ადექი და მშობლების ოთახში შეიხედე, მგონი, იქ რაღაც უბედურება ტრიალებსო... წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან უცბად საშინელმა შიშმა დამრია ხელი...

— რის შიშმა?

— სრულიად ცხადად წარმოვიდგინე, რომ როგორც კი მშობლების საძინებლის კარს შევაღებდი, მეც ტყვია მომხვდებოდა... ამასობაში მეორე გასროლაც გაისმა... ამის შემდეგ უკვე დაფეთებული წამოვხტი, წამში მშობლების საძინებელთან გავჩნდი და კარი შევაღე... ბნელოდა, თითქმის არაფერი ჩანდა, სინათლის ანთება კი მაინც ვერ გავბედე, რადგან ოთახში ავის მომასწავებელი სიჩუმე იდგა... მერე მამას გადასაფარებელი გადავხადე და იარაღიც მაშინვე იატაკზე დავარდა. მამა თავში აღმოჩნდა დაჭრილი, დედაჩემის ბალიშიც სისხლს დაესველებინა... საძინებლიდან გიჟივით გამოვვარდი, შუა ოთახში სინათლე ავანთე და საათს მექანიკურად შევხედე: 4-ის ნახევარი იყო...

— ზუსტად თუ დაახლოებით? — ჩაეკითხა რაჭველიშვილი.

— დაახლოებით, 4-ის ოცდახუთი თუ ოცდაშვიდი წუთი... მერე მაიასთან დავბრუნდი და ვუთხარი, — მამაჩემმა დედაჩემი მოკლა და თავიც მოიკლა-მეთქი... ამის შემდეგ მშობლების ოთახში ერთად შევედით... მე იატაკიდან იარაღი ავიღე, მაგრამ მაიამ ის რატომღაც წამართვა და სახლიდან გავარდა... მერე ივანიშვილები და სხვა მეზობლები მოვიდნენ, ბოლოს კი თქვენც გამოჩნდით...

— ბოლო ხანებში მამათქვენისთვის რამე უცნაურობა ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— ბოლოს კი არა, კარგა ხანია, რაც შევამჩნიე, მაგრამ ჩემი დის დაკარგვამდე ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც არ ვანიჭებდი.

— თქვენი და რა ვითარებაში დაიკარგა?

რატომ რაჭველიშვილს მოკლედ უამბო, როგორ დაიკარგა მაკა, როგორ განიცდიდა ამ ამბავს მთელი ოჯახი და განსაკუთრებით — ვახტანგი.

— ამის შემდეგ ოჯახში რა ხდებოდა?

— ამის შემდეგ მამაჩემმა ყველაფრის გადამალვა დაიწყო, რაც ადრე არასდროს გაუკეთებია.

— უფრო კონკრეტულად?

— მაგალითად, ადრე მაცივარში კონიაკისა და ღვინის რამდენიმე გაუხსნელი ბოთლი ყოველთვის გვედო. სტუმრებისთვის ვინახავდით... მაკას დაკარგვის შემდეგ კი მამამ ეს ბოთლები სადღაც გააქრო: აღარ დაგვჭირდებაო... ერთხელ კი, სრულიად მოულოდნელად, ისიც გამომიცხადა, მაკუნა და მე მაინც ყოველთვის ერთად ვიქნებითო... მე დამშვიდება დავუწყე: რა თქმა უნდა, მაკა გამოჩნდება და ისევ ყველა ერთად ვიქნებით-მეთქი. მან კი უცნაურად შემომხედა და ხმადაბლა წარმოთქვა: ყველა კი არა, მხოლოდ მე და მაკაო...

— ეს საუბარი როდის შედგა? — დაინტერესდა რაჭველიშვილი.

— 5 თუ 6 დღის წინ. მერე ეს ამბავი დედამაც გაიგო და ძალიან შეწუხდა: როგორც ჩანს, ისევ დაეწყოო. როცა ჩავეძიე, რას გულისხმობ-მეთქი, ტირილი მორთო. შემდეგ კი ცოტა დამშვიდდა და გამიმხილა, — მამაშენს ადრე უკვე ჰქონდა სულიერი აშლილობა, რაც მის გვარში შთამომავლობით გადადის და ვანო ბიძიამაც ამის გამო მოიკლა თავიო.

— ვანო ბიძია ვინ იყო?

— მამაჩემის ძმა. როცა ის გარდაიცვალა, პატარა ვიყავი. ახლა გავიგე, რომ მამასავით, მასაც ტყვია დაუხლია.

— მამათქვენი ფსიქიატრთან აღრიცხვაზე თუ იდგა?

— ვერაფერს გეტყვით, — მხრები აიჩეჩა რატომ, — მისთვის ამ კითხვის დასმა მეუხერხულა. არც დედას უთქვამს რამე... თუმცა ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ მამა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იყო გათავისუფლებული.

— კონკრეტულად რა დიაგნოზი ჰქონდა დასმული?

— არ ვიცი. სამხედრო სამსახურიდან მისი გათავისუფლების საბუთი კი მაქვს ნანახი, მაგრამ ვერაფერი გავიგე... რაღაც გაურკვეველი სიტყვებითა და ციფრებითაა აჭრელებული. როგორც ჩანს, დაშიფრულია...

— სად არის ის საბუთი?

— თბილისშია, ჩვენს ბინაში. თუ დაგჭირდებათ, მითხარით და მოვიტან.

— კარგი, — თავი დაუქნია რატის გამომძიებელმა, — თუ დამჭირდება, აუცილებლად გეტყვით. მანამდე კი გაიხსენეთ, მამათქვენს თავის მოკვლაზე კონკრეტულად ხომ არაფერი უთქვამს?

— კი. რაც ჩემი და დაიკარგა, განუწყვეტლივ იმეორებდა, — აბა, რისთვის უნდა ვიცოცხლოთო?..

— ვიცოცხლოთ თუ ვიცოცხლოო?

— ვიცოცხლოთო. სამივეს — საკუთარ თავს, დედას და მე გვგულისხმობდა. რადგან მაკუნას ვერ გავუფრთხილდით, ჩვენი სიცოცხლეც აღარ ღირსო, გაიძახოდა... განსაკუთრებით ცუდ ხასიათზე გუშინ, საკუთარ დაბადების დღეს იყო. დილიდანვე ბაღში ჩავიდა და იქ უაზროდ გადი-გამოდიოდა. ჩვენს გასამხნევებლად თბილისიდან ახლობლები ამოვიდნენ, მამა კი მათ წესიერად არც კი მიესალმა. ვინაიდან მე და დედას მისი მარტო დატოვების გვეშინოდა, ცოტა ხანში მეც ბაღში ჩავედი.მამა ვეღარ ვიცანი. გიჟის თვალები ჰქონდა... რომ ვკითხე, რა გჭირს-მეთქი? — მძიმედ ამოიოხრა: რისთვის ვცოცხლობთ? განა სიკვდილი უფრო ადვილი არ არისო?! — და ისე შემომხედა, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა. მან კი დასძინა: იქნებ სამივეს გვეცადა?.. მე, შენ და დედაშენსო?.. რას გულისხმობ-მეთქი, ვკითხე, მაგრამ იმწუთას ვიღაცამ სახლიდან გადმოგვძახა და ნათქვამი ვეღარ დავაზუსტებინე. თუმცა ისედაც მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

— მაინც რას?

— თავის მოკვლას... მამას კი არა, ხანდახან ისეთ ხასიათზე ვარ, რომ სიცოცხლე მეც სრულ უაზრობად მეჩვენება...

— ამ საუბრის შესახებ დედათქვენს თუ შეატყობინეთ?

— ვერ მოვასწარი, — ამოიოხრა რატომ, — ჯერ სტუმრებმა შემიშალეს ხელი, მერე კი ხან — რამ და ხან — რამ. თან, მაინც არ მეგონა, თუ...

— მკვლელობის იარაღი ვის ეკუთვნის?

— მამაჩემს. ხანდახან, მეგობრებთან ერთად, სანადიროდ დადიოდა...

— სად ინახავდა?

— თავის საძინებელში, მაგრამ რამდენიმე დღის წინ იარაღი შუა ოთახში გადავიტანე და კედელზე დავკიდე.

— რატომ?

— არ ვიცი, თითქოს რაღაც ცუდი წინათგრძნობა მქონდა... გუშინ კი მამამ იარაღი კედლიდან ჩამოხსნა და ისევ თავის ძველ ადგილზე დააბრუნა. მერე ტყვიების დამალვა გადავწყვიტე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოვასწარი...

— როცა იარაღი შუა ოთახში გადაიტანეთ, დატენილი იყო? — დაინტერესდა რაჭველიშვილი.

— არა, არ იყო დატენილი.

— კარგად გახსოვთ?

— კი, კარგად მახსოვს...

რაჭველიშვილს რატის საცოლესთანაც სურდა გასაუბრება, მაგრამ თავზარდაცემული გოგონა ილურიძეების ერთ-ერთ მეზობელს უკვე შინ წაეყვანა...

ცოლ-ქმრის საძინებლის დათვალიერებისას რაჭველიშვილმა თავიდანვე შენიშნა მესამე, გაუსროლელი ტყვიაც, რომელიც ვახტანგ ილურიძის საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოზე იდო. „ალბათ, ეს ვაჟიშვილისთვის გაამზადა“, — გაიფიქრა მან რატისთან საუბრის შემდეგ...

■

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-30

დაკაკუნების გარეშე შევაღე მისი საძინებლის კარი და ჩაი შევუტანე. გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ არა მკაცრად. ალბათ არ ელოდა, დაუკაკუნებლად რომ შევაჭრიდი, თუმცა შენიშვნა არ მოუცია.

— რამდენი კოვზი შაქარი აქვს? — მშრალად მკითხა.

— შაქარი არ ჩამიყრია, ქალბატონო. საშაქრე მოვიტანე და თვითონ ჩაყარეთ, რამდენიც გენებოთ.

ალმაცერად მომხედა. სინი ჟურნალების მაგიდაზე შემოვდგი და გავჩერდი.

— თავისუფალი ხარ, — როგორც სჩვეოდა, ცივად გადმომიგდო სათქმელი.

— თქვენ ორი შვილი გყავთ, არა, ქალბატონო ნინო? — არ ვიცი, რა დამემართა, თითქოს ჩემს დაუკითხავად ალაპარაკდა ჩემი ენა. — ორი, ხომ? ალბათ ძნელია ორი შვილის უმამოდ გაზრდა...

გაოცებულმა ქალმა კოპები შეკრა. მომეჩვენა, რომ იმაზე მეტად მოიღუშა, ვიდრე ველოდი...

— მე დამხმარეები მყავდა, — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა.

ფრთხილად, ანა. ერთი არასწორი სიტყვა და ის ბურთივით მოგისვრის აქედან!

— კიდევ არ გინდოდათ გყოლოდათ? — ფრთხილად დავსვი შეკითხვა.

— ვინ, დამხმარე?

— არა, შვილი, — ნერვიულად ჩავიცინე.

— ასე გაინტერესებს ბავშვები? — მკითხა და გამჭოლი მზერა მესროლა, თანდათან სახეც გაუქვავდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა რაღაც არ მოსწონდა.

— არა, სულაც არა, უბრალოდ... — ახლა კი დამება ენა. — სინს წავიღებ, თუ შეიძლება, — დაბორკილივით წამოვავლე სინს ხელი და სანამ რამეს მეტყოდა, ქარივით გამოვვარდი ოთახიდან.

სწორედ ამ დროს შუქიც მოვიდა. თვალი მომჭრა სინათლემ. მოულოდნელად წინ ტასო ამესვეტა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო.

— რა გაფითრებული ხარ, ანა, რა დაგემართა? რამე ხომ არ გითხრა მაგ საძაგელმა? რაც დრო გადის, უარესად ჭირვეული ხდება.

— არა, არაფერი... ცოტა გადავიღალე, თავის ტკივილები დამჩემდა და...

— ჰოდა, მოდი, პიტნის ჩაი დავლიოთ და გაგივლის. პიტნა უებარი წამალია ამ დროს.

— სიამოვნებით დავლევ, — ვთქვი და საწყალობელი მზერა მივაპყარი ტასიკოს, რადგან ამწუთას მხოლოდ ის იყო ჩემი მშველელი, მასთან საუბარი თუ გამომიყვანდა მდგომარეობიდან...

4 საათი ხდებოდა, ლადოს სასახლეს რომ მივადექი. საშინლად ვიყავი აფორიაქებული. ვერა და ვერ დავიწყნარე ნერვები. თან მეგონა, რომ აქ მეორე უკიდურესობა მელოდა. რა მოთხოვნებიც უნდა წამოეყენებინა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ კი ნინოსგან დამეღწია თავი. ეს ქალი მთრგუნავდა თავისი სიახლოვით.

თუმცა არც ლადო იყო სიკეთის განსახიერება. ჯერ კიდევ გუშინ იგი ჩემს ნომერ პირველ მტრად მიმაჩნდა, დღეს კი მასთან მუშაობის დაწყებას ვაპირებდი. არადა, მართლა სიმპათიური მამაკაცია, ასეთი მოქუფრული გამომეტყველება რომ არ ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, ღიმილი ძალიან მოუხდება, უფრო გააკეთილშობილებს მის ცხვირ-პირს, სულ ზეთი რომ გადმოსდის. იღიმის კი ოდესმე?.. ცივი თვალები აქვს, მაგრამ ლამაზი. ტუჩებიც ძალიან ვნებიანი აქვს...

აუჰ! მგონი, გავგიჟდი. ბოლო ხანებში რაღაც საეჭვოდ ამეკვიატა კაცებზე ფიქრი. რამე ხომ არ შეიცვალა ჩემი თავის ქალის რომელიმე ნახევარსფეროში?

წვიმამ დიდი ხანია, გადაიღო, მაგრამ ცა მაინც ღრუბლებით იყო დაფარული. როზა ეზოში იყო, კარი რომ გაიღო. მან ღიმილით დამიქნია ხელი, მომესალმა და შინ შემიძღვა.

ლადო ვერანდაზე იდგა და ზემოდან რაღაცას ჩასძახოდა მანქანის რეცხვით გართულ ლევანს. სიტყვები არ მესმოდა, რადგან ჩემს ყურებს გუგუნი გაუდიოდა.

— მოხვედი? — წარბების აწევით მკითხა „დემონმა“ და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, — როზა, ყავას ხომ არ მოგვიტანდი?

— ახლავე, ბატონო, — ქალი მორჩილად გატრიალდა.

— დაჯექი, — მიბრძანა ლადომ და საჩვენებელი თითი უზურგო სკამისკენ გაიშვირა.

ჰიპნოზური მორჩილებით შევასრულე მისი ბრძანება და როგორც კი დავჯექი, იმწამსვე მივხვდი, რომ ვერასდროს, ვერასდროს შევძლებდი მისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ყოველთვის ისე დავემორჩილებოდი, როგორც ახლა. არ შემწევდა ამის ძალა, ძალიან სუსტი ვიყავი ამისთვის.

— აბა, რა გადაწყვიტე? — მკითხა და ჩემდა გასაკვირად, გაიღიმა.

— იცით, რა ვიფიქრე? — გაბედულად დავიწყე, მის სახეზე ღიმილი რომ შევამჩნიე. — თქვენ ხშირად უნდა გაიღიმოთ. ჯერ ერთი, გიხდებათ და მეორეც — მოსამსახურეები არ გაგექცევიან.

— მე მოსამსახურეები არ მყავს. ესენი ჩემი ოჯახის ახლობლები არიან, — შემისწორა.

— მაპატიეთ... არ ვიცოდი, — შევცბი და ენაზე ვიკბინე, რა მალაპარაკებდა-მეთქი.

— რაც შეეხება ჩემს გაღიმებას, ეს შენთვის არ ყოფილა განკუთვნილი.

შენი ჩემდამი დამოკიდებულება ხომ გამოხატე ჯერ კიდევ გუშინ... მე მხოლოდ იმიტომ გავიღიმე, რომ მიხარია — ჩემს ძმისშვილს დღეიდან მისთვის სასურველი აღმზრდელი ეყოლება.

თავი უხერხულად ვიგრძენი. დაძაბულმა თითები ერთმანეთში გადავხლართე და დამნაშავის მზერა მივაპყარი მამაკაცს.

— მეტყვი, ბოლოს და ბოლოს, რა გადაწყვიტე?

— დიახ, რა თქმა უნდა, — ნირწამხდარმა დავიწყე, — თანახმა ვარ თქვენს შემოთავაზებაზე, ოღონდ ორი-სამი დღე ყველა ვარიანტში უნდა მაცალოთ. თან დღეს ხუთშაბათია, ხვალ პარასკევი და მერე შაბათ-კვირა მოდის, ორშაბათიდან კი თქვენს განკარგულებაში ვარ. წვრილმანი საქმეები დამრჩა მოსაგვარებელი და იმათაც მოვითავებ ბარემ.

— რა საქმეები, დედაშენთან დაკავშირებული? — მომახალა უცებ.

ავილეწე. ისე გამიხურდა სახე, თითქოს შუაგულ მზეზე დავმდგარიყავი.

— დედაჩემთან დაკავშირებული საქმეები წვრილმანი სულაც არ არის, — ხაზგასმით აღვნიშნე.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა და გაჩუმდა. კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებული, ალბათ ფიქრობდა, ღირდა თუ არა დათმობა, მერე თავი ასწია, დაკვირვებით შემომხედა და მითხრა: — ეგრე იყოს. ორშაბათს, ათ საათზე აქ იყავი და საქმეს შეუდექი!

— ათ საათზე? აკი...

— პირველი სამუშაო დღეა და სანამ აქაურობას შეეჩვევი, ასეა საჭირო. ამაზე ნუღარ ვიკამათებთ. მოვილაპარაკეთ?

— გასაგებია, — კვლავ მორჩილად დავეთანხმე.

როგორ მიყურებს... რას ნიშნავს მისი მზერა, წელანდელი ღიმილისთვის შენიშვნა რომ მივეცი, ამის გამო მსჯის? ამიტომ გაუხდა გამომეტყველება ასეთი პირქუში? უეცრად რაღაცამ წამომიარა, თავადაც არ ვიცი, რამ და შევუტიე.

— ბატონო ლადო, ერთი რამ მინდა გითხრათ. ძალიან გთხოვთ, ასეთი მბრძანებლური ტონით არ მელაპარაკოთ ხოლმე. მე პატიმარი არ ვარ... არც თქვენ ხართ პოლიციელი და დაკითხვაზე არ იმყოფებით. ისე მელაპარაკებით, თითქოს ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდეთ ჩემზე. მინდა აქედანვე იცოდეთ, საკმარისია, რამე არ მომეწონოს, იმავე დღეს ავიკრავ გუდა-ნაბადს და წავალ!

„ყოჩაღ, ანა! კარგად გამოგივიდა!“ — შევაქე ჩემი თავი გულში.

— ახლა ყავა დავლიოთ, მერე კი როზა ვასიკოს ოთახს გიჩვენებს, — თითქოს არც გაუგონიაო ჩემი ნათქვამი, ისე მშვიდად მითხრა; მერე კი მოულოდნელად დაამატა: — სხვა დროს, შენი ემოციები და შენიშვნები შენთვის შეინახე. ჩემთან არ არის საჭირო მათი დემონსტრირება. ეს ჩემს ნერვებზე ძალიან მოქმედებს.

ახ! თურმე რაში ყოფილა საქმე! მის ნერვებზე მოქმედებს. ნეტავ ჩემს ნერვებზე თუ ფიქრობს ვინმე?

მინდოდა მკვახედ მეპასუხა, რომ უეცრად ჩემი მობილური აწრიპინდა... საშკა მირეკავდა...

— უკაცრავად, ერთი წუთით, — მოვუბოდიშე ლადოს და ოთახიდან გამოვედი, რათა საშკას მშვიდად დავლაპარაკებოდი, — ალო!

— სად ხარ? — ცივი ხმით შემეკითხა.

— საქმეზე, — მეც იმავე ხმით ვუპასუხე.

— სახლში როდის იქნები?

— ალბათ ერთ საათში. მოხდა რამე?

— არაფერი, ისე. გამოგივლიდი... — დამნაშავესავით გამოუვიდა ნათქვამი.

— გამომიარე, — გულგრილად ვუპასუხე, — თუ ვერ მოგისწარი, გასაღები ტილოს ქვეშ არის დატოვებული.

— მოგვიანებით მოვალ, — მოკლედ მომიჭრა და გამითიშა.

დამამძიმა მისმა ზარმა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, საშინელი რამ უნდა ეთქვა. იქნებ გადაწყვიტა, რომ დამშორდეს? რაღაც ისეთი ხმა ჰქონდა... არ მომეწონა მისი ტონი.

კვლავ კაბინეტში შევბრუნდი, სადაც როზას უკვე შეეტანა ორი ფინჯანი ყავა და შავი შოკოლადის ფილა...

— ყველა დამთხვეულს შენ როგორ უნდა გადაეყარო? — იმის მაგივრად, ჩვენს ურთიერთობაზე გველაპარაკა, გაკიცხვა დამიწყო საშკამ, როცა გაიგო, სადაც ვიყავი და რატომაც.

— შენი ჩათვლით? — ამრეზით გავხედე.

ღრმად ამოიხვნეშა, დაახლოებით ისე, ჩემი ნათქვამი შენთვის წყლის ნაყვას ჰგავსო.

— ვერ ხვდები, რატომაც გეუბნები, არა?

— აღარ უნდა დაამთავრო ჩემი ჭკუის სწავლება? მომბეზრდა უკვე, — უკმეხად მივმართე და საძინებელში შევიკეტე, რომ ტანსაცმელი გამომეცვალა.

ნერვიულობისა და დაძაბულობისაგან ერთიანად ოფლში ვიყავი გაწურული. დღეს ყველაზე რთული დღე მქონდა — დილიდან საღამომდე — ჯერ ერთგან, მერე მეორეგან, ახლა კი აქ, საკუთარ ბინაში!

საშკა კარს გარედან მოადგა და გააგრძელა.

— რა გჭირს სამაგისო, ვიღაცის „ნიანკად“ რომ არ იმუშაო?! თავმოყვარეობა არა გაქვს ამხელა ქალს? სპეციალობა გაქვს, სამსახური...

— რომელი სამსახური? — ისეთი ტონით გამოვძახე, ვაგრძნობინე, რომ მასთან უკვე აღარ ვმუშაობდი.

— ხომ გქონდა? შენი უაზრო პრინციპების გამო ყველაფერს კარგავ და რაღაც გამოგონილ სამყაროში აპირებ ცხოვრებას. რატომ, გამაგებინე, რატომ? — ხმას აუწია.

გამოვედი და წინ დავუდექი.

— საშ... — დამღალა მისმა შეგონებებმა. — საყვედურების სათქმელად მოხვედი აქ?

— არა, საყვედურების სათქმელად არა. შენთან მინდოდა ყოფნა და იმიტომ მოვედი, მაგრამ ისეთი ამბავი დამახვედრე, გადამავიწყდა, რისთვისაც მოვედი. ეს ყველაფერი კარგად არ დამთავრდება, შენც ხომ ხვდები, არა?

— ის ცუდი ადამიანი არ არის, — გამოვესარჩლე ლადოს.

— ვერ გამიგია, რატომ იცავ მას?

— შენ რატომ ესხმი თავს? — მეც ავუწიე ხმას.

— ვერ ხვდები, რატომ? დაგავიწყდა, როგორ მოგექცა პირველ შეხვედრაზე? ალბათ დაგავიწყდა!

ახლაღა გავაანალიზე, რომ ორივე გაცოფებული ვუყვიროდით ერთმანეთს. კამათის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მე ჩემი გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებდი და ვერც საშკა შეძლებდა ჩემს დაყოლიებას.

— იცი, რამდენს მიხდის თვეში?

ვერც წარმოიდგენ, — ყვირილი შევწყვიტე და მშვიდი ხმით გამოვუცხადე.

— მთავარი ის კი არ არის, რამდენს გიხდის, მთავარი ისაა, რაში გიხდის. ამდენს ვერ ხვდები?

— არ მინდა ამ თემაზე საუბარი. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, გთხოვ, — კიდევ უფრო მშვიდად წარმოვთქვი.

— კარგი, — ჩემდა გასაკვირად, მაშინვე დამთანხმდა, თუმცა მისი „კარგი“ საკმაოდ ჯიბრიანად ჟღერდა, — როცა საქმე გაფუჭდება, მე არ მომადგე, იცოდე! მე ჩემი უკვე გითხარი.

— გასაგებია, — თვალდახუჭულმა ჩურჩულით ამოვთქვი, — არ მოგადგები. ამქვეყნად საკუთარი თავის გარდა, არასდროს არავის იმედი არ მქონია. ამიტომ შენ არ გაგრევ იმ შარში, რომელიც მელოდება.

— ოხ, საიდან მოხვედი ასეთი ჯიუტი!

ისე სასაცილოდ წარმოთქვა, ღიმილი ვერ შევიკავე. სიბრაზემ წამში გადამიარა.

— საშ... შენი ამბები მომიყევი, როგორ ხარ? — სითბო ჩავაქსოვე ნათქვამში და ამით მივესიყვარულე.

უეცრად თვალები დაუსევდიანდა. მომეჩვენა, რომ შიშის ნაპერწკლებიც კი გაუკრთა მზერაში... ერთხანს ჩუმად იდგა, მერე კი დახშული ხმით დაიწყო.

— გუშინ ბავშვები არ მანახა...

— ვინ, შენმა ცოლმა? — გაოცების შეძახილი აღმომხდა.

— ჰო.

— კი მაგრამ, რატომ?

— ჩემს შვილებს მამა დიდი ხანია, არ ჰყავთო.

— რა უფლებით, ასე როგორ შეიძლება? ეს რა წესია? — აღვშფოთდი, თან შემეცოდა, თურმე რამხელა პრობლემა ჰქონია, მე კი იქით ვუტევდი.

— ის ხომ ყოველთვის წესების გარეშე თამაშობს! სულ! — ზიზღი ამოაყოლა ნათქვამს.

ორი ნაბიჯი გადავდგი და უფრო ახლოს მივედი. თანაგრძნობით სავსე მზერა მივაპყარი, მერე თმაში შევუცურე ხელი და ლოყაზე ვაკოცე.

— ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე, — ჩურჩულით გავამხნევე.

პასუხად გამიღიმა, წელზე ხელი მომხვია და მძლავრად მიმიხუტა მკერდზე.

— როგორ მომენატრე, რომ იცოდე, — მეჩურჩულებოდა და ტუჩებით ჩემს ყელზე დახეტიალებდა, — ჩემი ჯიუტი გოგო, ჩემი ჭირვეული, ჩემი თავნება... — ისე მავსებდა ალერსით, კიდევ ცოტაც და მისი სიტყვები აღარ მესმოდა, მთლიანად ვნების ბურანში გავეხვიე...

სანამ კვირა ჩამთავრდებოდა, ნინოსთან დალაპარაკება უნდა მომესწრო. ისე ვნერვიულობდი, ადგილს ვერ ვპოულობდი. რადაც უნდა დამჯდომოდა, შემდეგ მისვლაზე უნდა მომეხერხებინა ეს... თითქოს ბედისწერამ ჩემი შეისმინაო, ისე მოხდა, რომ დედაჩემთან მისულს ტასიკო ზღურბლზე შემეფეთა.

— კარგია, რომ მოხვედი. მე ბაზარში მივდივარ და მალე დავბრუნდები. საუზმე მიირთვა ქალბატონმა, — დაცინვით წარმოთქვა ბოლო სიტყვა, — შეიძლება ყავა მოგთხოვოს და მოუმზადე, კარგი? ვეცდები, არ შემაგვიანდეს.

— არ ინერვიულოთ, მივხედავ, — შევპირდი ტასოს, მაგრამ, სამაგიეროდ, მე ავნერვიულდი.

როგორც ჩანს, გადამწყვეტი მომენტი დადგა. ახლა არაფერსაც არ დავალაგებ. როგორც კი მის დაქალს გავიგულებ, ეგრევე შევაჭრი და ჩემს სათქმელს გადმოვულაგებ „ქალბატონს“, — ზუსტად ტასიკოსნაირად გავიმეორე გულში.

სამზარეულოში შევედი სულის მოსათქმელად. მინდოდა, ცოტათი მაინც დავწყნარებულიყავი, მაგრამ ვერაფრით შევძელი. მაცივარი გამოვაღე და „ნაბეღლავის“ ბოთლი გამოვიღე. დავისხი... სულმოუთქმელად დავლიე... მივაყურადე... ჩამიჩუმი არ ისმოდა უზარმაზარ სახლში...

ერთიანად ავკანკალდი, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება არ გადამიფიქრებია. ხელები მოვმუშტე, საკუთარი თავი გავამხნევე და გაბედულად მივადექი ნინოს საძინებელს. დავაკაკუნე... ორჯერ... ჯერ ნელა, მერე ძლიერად.

— ვინ არის? — მომესმა მისი ნაზი და, ამავდროულად, მედიდური ხმა.

— ანა ვარ, ქალბატონო! — რიხიანად ვუპასუხე.

— შემოდი, ანა!

შევედი... სავარძელში იჯდა, სათვალე ეკეთა და წიგნს კითხულობდა... მისკენ მივემართებოდი და ფეხები უკან მრჩებოდა. ალბათ ფერი არ მედო სახეზე, ვგრძნობდი, ოფლი როგორ მასხამდა.

— რამე ხომ არ გინდათ, მოგიტანოთ? — ჩამქრალი ხმით ვკითხე.

— არა, არაფერი. თუ დამჭირდი, დაგიძახებ! — ცივად მომიგო.

— იცით... რაღაც მინდა გითხრათ, — დავიწყე და ხელები კიდევ უფრო მოვმუშტე, იმდენად ძლიერად, რომ ფრჩხილები ლამის კანში ჩამესო.

— გისმენ... რამე მოხდა? — წარბები არისტოკრატული მანერით აზიდა, თავი გაწზე გადახარა და ცერად გამომხედა.

— მე... მე არ გეცნობით, ქალბატონო ნინო? — ხმა ამიკანკალდა და სისუსტე რომ დამეძლია, ჩავახველე.

თითქოს უდიდესი სისულელე მეთქვას, ისე ჩაიცინა.

— შეშლილი ხომ არ გგონივარ, ანა?

— არა, — შეცბუნებულმა თვალები დავაფახულე.

— აბა, რატომ ვერ უნდა გცნობდე? იქნებ სახელი შემეშალა შენი?

— ეგ არ მიგულისხმია... მე... მე სხვა რამე მინდოდა მეთქვა.

— მაშინ მითხარი, რა უნდა გეთქვა, — სათვალე მოიხსნა, წიგნი დაკეცა და უსიცოცხლო თვალებით შემომხედა.

— მე თქვენი შვილი ვარ, — ერთ სიტყვად მივაყარე და მომუშტული ხელები გავფარჩხე...

მეგონა, სისხლმა შხუილით დაიწყო მოძრაობა თითებში, ისე გამიხურდა ხელისგულები.

ქალს სახე არ შესცვლია... არც ერთი ნაკვთი, არც მზერა... გეგონებოდათ, სავარძელში ყინულის ქანდაკება ასვენიაო.

არ ვიცი, რამდენი წუთი გავიდა... ერთი, ორი, ხუთი... შეიძლება — მეტი, შეიძლება — ნაკლები... როგორც იქნა, ყინულის ლედი შეირხა, თვალები მზაკვრულად მოჭუტა და ტუჩები არც გაურხევია, ისე გაისისინა მისმა ნათქვამმა.

— გადი აქედან!

ამას არ ველოდი... ველოდი ყვირილს, გაანჩხლებას, გაწიწმატებას... მაგრამ ასეთი ზიზღით ნათქვამ სიტყვებს არ ველოდი... უფრო სწორად, ეგრევე არ ველოდი. მეგონა, შესავალს მაინც გაუკეთებდა.

— თქვენ ვერ გამიგეთ, ქალბატონო ნინო, მე თქვენი...

— გოგონი, კარგად ხარ? თავი ხომ არაფერს მიარტყი? — დამცინავად მკითხა.

სიბრაზისა და დამცირებისგან ძარღვები დამებერა.

— კარგად არ ვარ, მაგრამ თავი არაფრისთვის მიმირტყამს! — ხმას ავუწიე. — და მომისმინეთ, თუ შეიძლება! გიმეორებთ, მე თქვენი ქალიშვილი ვარ!

— არ მსურს ამ სიყალბის მოსმენა, ანა! სასწრაფოდ დატოვე აქაურობა, სანამ კარგ ხასიათზე ვარ! — მაოცებდა ეს ქალი, გადამწყვეტ მომენტშიც რომ არ კარგავდა მედიდურობას.

ჩემთვის ახლა უკვე ყველაფერი სულერთი იყო და იქამდე არ ვაპირებდი მისი საძინებლიდან გასვლას, სანამ სათქმელს ბოლომდე არ ვიტყოდი.

— მაპატიეთ, მე თქვენი წყენინება

არ მინდოდა, — ვცდილობდი, თავაზიანობა შემენარჩუნებინა.

— წყენინება? — მოულოდნელად სახე წაეშალა, სუნთქვა გაუხშირდა და ტუჩები გაუთეთრდა. — აბა, რა გინდოდა? სერიოზულად გგონია, რომ ამ აბდაუბდას დავიჯერებ?! გაეთრიე აქედან! — იყვირა უცებ, საჩვენებელი თითით კარისკენ მიმითითა და ფეხზე წამოდგა.

წამით შემეშინდა, ინფარქტმა არ დაარტყას-მეთქი, მაგრამ იმდენად გამაცოფა მისმა საქციელმა, მთლად რომ სული განეტევებინა, არად დაგიდევდით.

— ვისთვის აბდაუბდაა, ვისთვის კი მწარე სიმართლე! — ზიზღით გამოვცერი კბილებში და ერთი ნაბიჯი გადავდგი მისკენ. — მომისმინეთ, სულ რამდენიმე წუთით, არ მინდა გაგანერვიულოთ...

ისე ახლოს აღმოვჩნდი მასთან, რომ შევამჩნიე, როგორ დანამოდა შუბლი ოფლის წვეთებით. რადგან ასე განიცადა ჩემი ნათქვამი, ესე იგი, მიხვდა, რომ მე მართლა მისი წარსულიდან ვარ მოვლენილი. ეს კარგია, ძალიან კარგი...

— ჩემი შვილი... — მძულვარებით დაეღმიჭა უეცრად სახე. — ახლავე დატოვე აქაურობა და მეტჯერ ამ სახლში მოსული არ დაგინახო! — თან ისეთი სახით მიყურებდა, თითქოს ძუნძგლიანი ძაღლი შემოპარულიყო მის საძინებელში.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ის ქალია, ცოტა ხნის წინ რომ თავაზიანად მელაპარაკებოდა? რომელიც წინა დღეებში მომსახურებისთვის მადლობას მიხდიდა? ნუთუ ასე შეიძლება წამების განმავლობაში შეიცვალოს ადამიანი?

— აქედან მანამ არ გავალ, სანამ ყველაფერს არ გეტყვით, — მბრძანებლურად გაისმა ჩემი ხმა. არც ვიცი, ძალა როგორ მოვიკრიბე, ერთიანად ვცახცახებდი, — მეტი აღარ შემიძლია ამ საიდუმლოს ტარება. მგონი, მაქვს უფლება, გითხრათ ის, რაც თვეებია, მაწუხებს! მე მართლა თქვენი ქალიშვილი ვარ. დაბადების მოწმობა სახლში მიდევს, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ დედაჩემი თქვენ ხართ, — და ჩამოვურაკრაკე, რომელ წელს, რომელ თვესა და რიცხვში დავიბადე და რამდენ კილოგრამს ვიწონიდი ახალშობილი.

არ ვჩერდებოდი, ვრატრატებდი და ვრატრატებდი, როგორ მიშვილა ჩემმა დედობილმა, როგორ გამზარდა, რა სიმწარე გამოიარა... მეგონა, თუკი ამ ყველაფერს ვეტყოდი, მასში დედობრივი გრძნობა გაიღვიძებდა და...

მოულოდნელად მან ხელები გაშალა, წონასწორობა დაკარგა და ძლიერად შეტორტმანდა. მეგონა, გული წაუვიდოდა, იატაკზე გაიშხლართებოდა და იქვე, ჩემ თვალწინ მოკვდებოდა! მინდოდა, მივვარდნოდი, ხელი შემეშველებინა და თბილად მეთქვა, „ნუ გეშინიათ, მე არაფერს ვითხოვ თქვენგან“... სულაც არ მინდოდა, მომკვდარიყო. არც მისი წყენინება მინდოდა. ოღონდ კი ახლა არაფერი მოსვლოდა და მზად ვიყავი, ხმის ამოუღებლად დამეტოვებინა იქაურობა და ცხოვრებაში არასდროს გამემეორებინა ის, რაც ორიოდე წუთის წინ ვთქვი.

მაგრამ ქალბატონ ნინოს გონება არ დაუკარგავს... არც მომკვდარა... გაშლილი ხელებით წონასწორობა შეინარჩუნა და მერე ნელა ჩაეშვა სავარძელში...

— ეს სიცრუეა, — ახლა უკვე მშვიდი ხმით წარმოთქვა, — შენ არაფერი გაქვს საერთო ჩემს ოჯახთან, გარდა იმისა, რომ მოსამსახურე ხარ... მეტი არაფერი.

დანა რომ ჩაერტყა ჩემთვის გულში, ამაზე მტკივნეული ალბათ არ იქნებოდა...

— იმისთვის შემოძვერი ჩემს სახლში, რომ დამაშანტაჟო? ვინ დაგარიგა? ვინ გითხრა, რომ ბევრი ფული მაქვს? ვისთან ერთად დაგეგმე ეს სიბინძურე? — უკვე აღარ ყვიროდა, პირიქით, ჩურჩულებდა.

— არა, არა, რა სისულელეა... — ვცდილობდი, მშვიდად ამეხსნა. — თქვენ ვერ გამიგეთ... ეს მე არ მომიგონებია, ეს იქ... იქ მითხრეს, საპ...

— ჩემგან კაპიკს ვერ ეღირსები, გასაგებია? შენისთანა გომბიოებს ყოველდღე შეუძლიათ აქ მოვიდნენ და ჩემი ქალიშვილობა აღიარონ! ახლავე გაბრძანდი აქედან! — კვლავ შემომიტია.

ველარ მოვითმინე. ასეთ შეურაცხყოფას ვერ ვაპატიებდი.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება! — დოინჯი შემოვიყარე და თავზე წავადექი. — აბა, კარგად შემომხედე, ქალბატონო, სანამ სალანძღავ სიტყვებს მოიშველიებ! თუ არ გინდა, მაღიარო, ფეხებზე მკიდია! ამისთვის არ მოვსულვარ აქ! არც შენი ჭუჭყიანი ფული მჭირდება არაფერში! მე მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, რატომ გამაშვილე, რამ გაიძულა ასე მოქცეულიყავი, გაიგე? მეტი არაფერი. რა სამწუხაროა... მეგონა, დედაჩემი ღირსეული ქალბატონი იქნებოდა, რომელიც შეგნებით მოეკიდებოდა ამ ამბავს, არადა, ერთი ჩვეულებრივი კახპა აღმოჩნდა, რომელიც თავისი ბნელი წარსულის მიჩქმალვას უნიჭოდ ცდილობს! სასაცილო ხარ! — ერთი ამოსუნთქვით მივახალე და ოთახიდან დამდუღრულივით გამოვვარდი.

რაც ძალი და ღონე მქონდა, გავრბოდი, თვითონაც არ ვიცი, სად... სადღაც... ოღონდ კი იქაურობას რაც შეიძლება, მალე მოვშორებოდი. ვნა-

ნობდი... ვნანობდი, რომ მოვძებნე, რომ მისი დიდსულოვნება დავიჯერე, რომ... რომ... ძალიან ბევრი „რომ“ დამიგროვდა. რისი იმედი მქონდა? ქალი, რომელმაც შვილი გაყიდა, როგორ შეიძლებოდა, დიდსულოვანი ყოფილიყო? რატომ მაშინვე არ ვიფიქრე ეს? რა ძუკნაც იყო, ის ძუკნა დარჩა! მორჩა და გათავდა! სულაც არ ყოფილა სრულყოფილი, როგორც ეს თავიდან მომეჩვენა, ისევე — როგორც ნებისმიერი ჩვენგანი! თუმცა ვერ იყო სრულყოფილი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღვიძლ შვილზე უარი თქვა! რა ტყუილად დავკარგე დრო! რისთვის, ვისთვის? მიღირდა კი? შედეგად რა მივიღე? დამცირება და შეურაცხყოფა... ან კი რას ველოდი? მე ხომ დაბადებისთანავე ზედმეტი ვიყავი მისთვის?! რატომ მეგონა, რომ სინდისი შეაწუხებდა, ახალგაზრდობაში დაშვებულ შეცდომას აღიარებდა და მოინანიებდა?

არ ვიცი... არ ვიცი, რატომ მეგონა... ალბათ იმიტომ, რომ დედაჩემი სხვანაირი ვერ წარმომედგინა...

შევცდი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოღალატე მეგობარი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. პირდაპირ ერთი მკითხველის მესიჯით დავიწყებ: „გამარჯობა, „გზა“. მოგიკითხავთ შორეული იტალიიდან და წარმატებებს გისურვებთ. თქვენს ჟურნალს ოჯახის წევრები მიგზავნიან საქართველოდან და როცა მას ვკითხულობ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საქართველოს ნაწილს ვეხები. მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე ობიექტურები ხართ, ნაკლებად ყვითლები და ყველა თემას ეხებით. დიდი მადლობა თქვენ, რომ ასე ირჯებით და მთელი სულითა და გულით უდგებით საქმეს. ახლა რაც შეეხება „გზავნილებს“: მარი, მინდა გითხრა, რომ ძალიან კარგი რუბრიკაა. საინტერესო ამბები იბეჭდება, მაგრამ ცოტა სევდიანია. იქნებ მკითხველებს ვთხოვოთ, რომ მხიარული თავგადასავლები გამოგზავნონ. მართალია, ცხოვრება არ გვანებივრებს, მაგრამ ნუ ხართ „დაგრუზულები“, გამხიარულდით, გაიღიმეთ და დატკბით ცხოვრებით. ნათქვამია, თუ ცხოვრებას ფორთოხალი შეუკვეთე და ლიმონი გამოგიგზავნა, ეცადე, სადმე ტეკილა იშოვო და სრული სიამოვნება მიიღოო. ასე რომ, გაიღიმეთ! მიყვარხართ და გკითხულობთ. პატივისცემით, მარი ცოტაძე“.

ჩემი აზრით, ემიგრანტი მკითხველი საკმაოდ კარგ და პოზიტიურ რჩევებს გვაძლევს და კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ. თუმცა ცხოვრება ხანდახან მართლაც ისეთ უსიამოვნო ამბებს გვიმზადებს, რომ ძნელია, გაიღიმო. სწორედ ასეთ ამბავს გვიყვება პირველი მესიჯის ავტორი.

უღიმღამო ქორწილი და მოღალატე მეჯვარე

„გამარჯობა, მგზავნელებო. პირველად გწერთ. თემამ ამაღებინა ხელში ტელეფონი და დამაწყებინა „წკაპუნი“. 26 წლის ვარ. ერთი შვილი მყავს — 3 წლის თამარი. ბანალურად დავიწყებ: სიყვარულით გავთხოვდი. მე და ჩემმა ქმარმა საავადმყოფოში გავიცანით ერთმანეთი. ორივეს დედა გვყავდა ავად და ერთ პალატაში იწვნენ. რამდენჯერმე ერთდროულად მოგვიწია მისვლამ, უკან კი მას მოვყავდი ხოლმე თავისი მანქანით. ღამით ხშირად ვრჩებოდი დედასთან და მის დედასაც ვუვლიდი. მოკლედ, სადედამთილოსაც მოვეწონე და ლაშასაც გულში ჩავუვარდი. დედები საავადმყოფოდან რომ გამოვიდნენ, იმის შემდეგ უთიერთობა გავაგრძელეთ და რამდენიმე თვეში დავქორწინდით კიდეც. დიდი ქორწილი გადავიხადეთ, უამრავი სტუმარი გვყავდა. მეჯვარედ კი ჩემი დაქალი — ბავშვობის მეგობარი დავპატიჟე, რომელიც 6 წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. თავიდან მითხრა, ვერ მოვახერხებ ჩამოსვლას, რადგან შესაბამისი სახსრები არ მაქვსო, მაგრამ ისე მინდოდა, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარი ყოფილიყო მეჯვარე, ჩემმა ქმარმა მითხრა, ჩამოვიდეს და მგზავრობის ხარჯებს მე ავუნაზღაურებო. მაკას ძალიან გაუხარდა ჩემი წინადადება და მალე გვეწვია კიდეც — ქორწილამდე 2 კვირით ადრე დაგვადგა თავზე. როდესაც ჩემი ქმარი გაიცნო, აღფრთოვანებული დარჩა. ლამის მთელი თვე, სანამ უკან გაემგზავრებოდა, ჩვენთან ცხოვრობდა. თავიდან რეაქცია არ მქონია, მაგრამ მერე შევნიშნე, რომ ლაშას ხან ყურში ეჩურჩულებოდა, ხან ისეთ თემაზე წამოიწყებდა ლაპარაკს, რომ მის მაგივრად ვწითლდებოდი. ხანდახან კი მთელი ღამით აივანზე დაჯდებოდა, ჩემს ქმარს გვერდით მოისვამდა და დასაძინებლადაც კი არ უშვებდა. ამის გამო ვბრაზობდი, მაგრამ თავს ვიკავებდი და უკმაყოფილებას ხმამაღლა არ გამოვხატავდი. ქორწილმა ისე ჩაიარა, რომ თითქმის არც გამიღიმია, რადგან წინა ღამით ლაშამ და მაკამ აივანზე გაათენეს და იმდენი ლუდი დალიეს, 5 კაცს გაუჭირდებოდა მორევა. მე კი პროტესტის ნიშნად ოთახში ვიყავი შეკეტილი და ლაშას ვუმესიჯებდი, დროა, დაიძინო-მეთქი. ის კი პასუხსაც არ მიბრუნებდა. მოკლედ, ასე უღიმღამოდ ჩაიარა ქორწილმა და კიდევ ორმა კვი-

მეჯვარედ კი ჩემი დაქალი — ბავშვობის მეგობარი დავპატიჟე

რამ და მაკა წავიდა. ამოვისუნთქე ცოტა, მაგრამ შემდეგ დავაფიქსირე, რომ სკაიპით ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს. ამას ჩემგან მალულად არ აკეთებდნენ, მაკას მეგობრული „ეჭირა“ და ისე იქცეოდა, თითქოს ლაშას, როგორც მეგობრის ქმარს, ისე ეკონტაქტებოდა. მოვიდა შემდეგი ზაფხული. ამ დროისთვის 4 თვის ორსული ვიყავი და ჩემი დედამთილის დაჟინებული მოთხოვნით, მასთან ერთად დასასვენებლად ცემში წავედი. მაკამ შემატყობინა, საქართველოში ვაპირებ ჩამოსვლას და აუცილებლად გინახულებო. არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი? ლაშამ ჩამოიყვანა ცემში და რამდენიმე დღით თვითონაც დარჩა. უკანაც ერთად წავიდნენ. გულმა არ მომითმინა, ტაქსი დავიქირავე და გავყევი. ბორჯომში ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ და ისადილეს. იქიდან გამოსულებს რომ შევხედე, ლამის გული გამისკდა. ლაშას მაკასთვის წელზე ჰქონდა ხელი შემოხვეული და სიცილ-სიცილით მოდიოდნენ. თავი შევიკავე, არ გამოვჩნდი, რადგან საკმარისი „სამხილი“ არ მქონდა — შეეძლოთ, მეგობრობით ემართლებინათ თავი და ისევ უკან გავყევი. ლაშამ მაკა ჩვენთან, სახლში მიიყვანა. ცოტა ხანს ვადროვე, შემდეგ კარი ჩემი გასაღებით გავაღე და პირდაპირ საძინებელში, საწოლში დავადექი თავზე. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა. რა თქმა უნდა, ჩემი გამოჩენა მათთვის მოულოდნელი იყო და შოკში ჩაცვივდნენ. მაკა ტიროდა და პატიებას მთხოვდა. შინიდან გავაგდე, მეც ავიკრიბე გუდა-ნაბადი და წამოვედი. ლაშას საბოლოოდ მხოლოდ მას შემდეგ შევურიგდი, როცა ჩვენი შვილი დაიბადა. შესაძლოა, ეს ამბავი ბანალურია და ბევრს ჰქონია მსგავსი შემთხვევა, მაგრამ მე ჩემი გულის ტკივილის შესახებ მოგიყევით. ძალზე მწყდება გული, რომ ჩემი და მაკას ურთიერთობა ასე ცუდად დასრულდა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩემი ბრალი არაა. პატივისცემით, მაიკო“.

ალკოჰოლი და მამაკაცები — მეგობრის „საჩუქარი“

„ალბათ იცით, რომ რაც ეროვნული გამოცდები შემოიღეს, არც ერთმა სტუდენტმა არ იცის, რომელ ქალაქში გადაისვრიან და რომელ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხავენ. მე რუსთავში ვცხოვრობ და ძალიან მინდოდა, თბილისის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში მოვხვედრილიყავი, რადგან სახლიდან ყოველდღე ლექციებზე სიარული პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ბედის ირონიით, ბათუმში მომიწია წასვლამ. გული კი გამისკდა, მაგრამ რაღას ვიზამდი? თავიდან დედა გამომყვა, ბინა მიქირავა, დამაბინავა და უკან დაბრუნდა. დავრჩი მარტო, სრულიად უცხო ქალაქში. ჩემს ჯგუფში ერთი თბილისელი გოგონა სწავლობდა, რომელსაც მალე დავუახლოვდი. ისიც ქირით ცხოვრობდა და გადავწყვიტეთ, ერთ სახლში გადავსულიყავით — ქირასაც გავინაწილებდით და ერთად უფრო კარგად ვიქნებოდით. მე საღამოობით სამეცადინოდ დავჯდებოდი ხოლმე და თავი წიგნებსა თუ კონსპექტებში მქონდა ჩარგული, ის კი კომპიუტერში იყო შემძვრალი და ჩეთაობდა. ბათუმელი ბიჭი გაიცნო „ოდნოში“ და შეხვდა კიდეც. იმას შეხვედრაზე ძმაკაცი მიუყვანია და მეც დამირეკეს, გამოდიო. წავედი... სწორედ იმ დღიდან დაიწყო ყველა უბედურება. იმ დღეს პირველად დავთვერი — ძალით დამალევინეს: ხან დამანამუსეს, ხან დამაფიცეს და მეც ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. შემდეგ იმ ბიჭებთან შეხვედრებსაც მოვუხშირე და სმასაც. სამაგიეროდ, სწავლაზე ავიცრუე გული. რამდენიმე თვის შემდეგ ნატამ გამიმხილა, რომ თემოსთან სექსი ჰქონდა. შოკში ჩავვარდი, მაგრამ თვითონვე დამამშვიდა, ნუ ნერვიულობ, თუ თემოს ვერ „შევეტენები“ და სხვაზე გათხოვებას დავაპირებ, ექიმს მივაკითხავ და ყველაფერს მოვაგვარებ,

ჩემი ქმარი ვერც კი გაიგებს, ოდესმე მამაკაცს ლოყაზე თუ უკოცნიაო. მე და თემოს ძმაკაცს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად მიყვარდა და მეგონა, დათოსაც ვუყვარდი. სექსს მთავაზობდა, მაგრამ უარს ვეუბნებოდი — ქორწილამდე არავის დავნებდები-მეთქი. ერთ დღეს კი ლიკამ მითხრა, დათოს თემოსთვის უთქვამს, ამ დღეებში სოფოს (სახელი შევცვალე) ცოლად მოყვანას ვაპირებო. ძალიან გამიხარდა და მოუთმენლად ველოდებოდი იმ დღეს, როცა დათო ცოლობას მთხოვდა. ერთხელ კი, დათომ კი არა, ლიკამ მითხრა, დღეს ბიჭებს უნდა შევხვდეთ, მგონი, თხოვდებიო. რესტორანში დაგვპატიჟეს — ჩემს ჩუმ ჩანაფიქრს გაუმარჯოსო, დათომ რამდენჯერმე დალია ეს სადღეგრძელო, მე კი გულში თბილად მეღვრებოდა მისი სიტყვები და ვწითლდებოდი. თავიდან სასმელს არ ვეკარებოდი, მაგრამ 1-2 ჭიქა ძალით რომ დამალევინეს, მერე თვითონვე ვითხოვდი, დამისხით-მეთქი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ ღამით დათომ სადღაც, სოფელში წამიყვანა. სახლში ჩვენ გარდა არავინ იყო. წინააღმდეგობა არ გამიწევია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ვთხოვდებოდი. დილით კი იქიდან ტაქსით წამოვედით (რომელიც როგორც ჩანს, დაბარებული ჰყავდა, რადგან 10 სა-

ყველა სილამაზე სიყვარული ამ მეოცე საუკუნეში — ზოგიერთის შოლტ ჭიაწილია

ათზე მოგვაკითხა) და პირდაპირ ჩემს სახლთან მიმიყვანა. ისტერიკაში ჩავვარდი, დათოს მუშტები დავუშინე და გვარიანად შემომელახა კიდეც. მანქანიდან გადავიდა, ძალით გადამიყვანა და სადარბაზოში შემათრია — საღამოს გნახავო, დამიბარა და წავიდა. ასე და ამგვარად გავხდი მეგობრის ღალატის მსხვერპლი. ამას ასე დანამდვილებით იმიტომ ვამბობ, რომ ლიკამ თვითონ მითხრა — ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, რადგან თემო დამემუქრა, თუ მათ გვერდით არ დავუდგებოდი, მიმატოვებდაო. იმის შემდეგ დათოს ნახვა აღარ ვისურვე, ლიკასაც დავშორდი, მაგრამ ჩემი ცხოვრება უკუღმართულად წავიდა. სმისთვის თავი რომ დამენებებინა, მკურნალობა დამჭირდა და ვერც საკუთარი ცხოვრების მოწყობა შევძელი. მე-6 მამაკაცი გამოვიცვალე და ისევ არ გამიმართლა. ახლა ბოლოსაც დავშორდი და საზღვარგარეთ ვაპირებ წასვლას. ასე რომ, მეგობარზე ძალზე ბევრი რამაა დამოკიდებული და გირჩევთ, არ ენდოთ არც ბავშვობის და არც მოგვიანებით შეძენილ მეგობარს. სამწუხაროა, რომ საკუთარ თავზე გამოვცადე ეს ყველაფერი და ჭკუა შემდეგ ვისწავლე. უსახელო რუსთაველი“.

მოძალადე მეგობარი

„ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა შეუძლებელი რომაა, მრავალმა ფაქტმა დაგვარწმუნა. ხშირად ასეთ შემთხვევაში მამაკაცი და ქალი ერთმანეთისთვის მეგობრებზე მეტი ხდებიან. „ოდნოში“ გაცნობილმა გოგონამაც გულახდილად მიამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც სწორედ ამ თემას ეხება: სალო და ბექა ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ. ერთმანეთთან ახლოსაც ცხოვრობენ და საერთო ჭირი და ლხინი ჰქონდათ. როცა სალო ტიროდა, ბექაც სევდიანი იყო და პირიქით. რომ წამოიზარდნენ, უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. სალო ძალიან ლამაზი გოგო დადგა, ბექა კარგი გარეგნობით ვერ დაიკვეხნის, თუმცა ისეთი თბილი და საინტერესო პიროვნებაა, გოგონები მაინც ბუზებივით ეხვეოდნენ. სალოს ხშირად უშლიდნენ მშობლები, ბექასთან ნუ ხარ სულ, ბიჭები სანდონი არ არიანო... ამ სიტყვებზე გოგონა ცოფდებოდა და მშობლებზე გულმოსული, სახლიდან გარბოდა, თავშესაფარს კი ბექასთან პოულობდა. ერთმანეთს ბავშვობისას შეჰფიცეს, რომ მუდამ მეგობრები იქნებოდნენ. სალოსაც ღრმად სწამდა, რომ ბექა მათ მეგობრობას უღალატებდა. ასაკის მატებასთან ერთად სალომე შეიცვალა, დაქალდა და უამრავი „პაკლო“ გაიჩინა. ამას რომ თავი დავანებოთ, ყველა წვრილმანს დაუფარავად უყვებოდა ბექას — ყველაზე ინტიმურ, პირად ამბებსაც კი. ამ ყველაფერმა ბექა ძალიან შეცვალა. ტვინი გადაუტრიალდა, ბრაზი ახრჩობდა, რომ სალომე მამაკაცად არ აღიქვამდა და მხოლოდ მეგობრად მიიჩნევდა. ერთ დღესაც დაიმარტოხელა და მასზე ძალა იხმარა. სალომე შოკში ჩააგდო მეგობრის უსულგულო საქციელმა. არ სჯეროდა, რომ საუკეთესო მეგობარმა დაპირებული ფიცი გატეხა, მათ მეგობრობას უღალატა და ის გააკეთა, რასაც ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ასე მოხდა... სალომეს ბექას მიმართ ბრაზი თანდათან გაუქრა და ის სიყვარულმა შეცვალა. ბექაც ბედნიერია ამით. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ამბავს ვერავის უმხელენ, რადგან მათ მეგობრობის გარდა, ნათელმირონობაც აკავშირებთ. ლუნა“.

ერთ დღესაც დაიმარტოხელა და მასზე ძალა იხმარა

ვისაც ძლიერ უნდა გათხოვება

„ნეტავ იცოდეთ, როგორ ძლიერ უნდოდა მარინას გათხოვება. 16-18 წლის ასაკში, თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი სურდა. მაღალი, დაკუნთული, მატერიალურად წელში გამართული, მშრომელი, ბინით, სამსახურით უზრუნველყოფილი...

ხშირად იყურებოდა სარკეში და საკუთარ თავს ათასგვარ საძაგლობას ეუბნებოდა: — მახინჯო, თვალი რას გიგავს, ცხვირი, ყურები... ან ეს მკერდი — მკერდია?! ძროხის ცურს უფრო ჰგავსო! თავი მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ქალი ეგონა და გაუთხოვრობასაც სწორედ საკუთარ უნიათობასა და გარეგნობას აწერდა... ყველა ქალს, რომელსაც შეყვარებული ჰყავდა ან გათხოვების გადაწყვეტილებას მიიღებდა, შურის თვალით უყურებდა, იძულებდა... გული ბოღმითა და ღვარძლით ჰქონდა სავსე... — აი, ფირუზას გოგო — ნანა! ჯერ რა სახელი ჰქვია?! აბა, მარინაა კარგი? სულ რომ გოგოს სახელების დეფიციტი ყოფილიყო, მარინა უნდა დაერქმიათ ჩემთვის? — ამასაც კი ფიქრობდა იმედგაცრუებული ქალი. გათხოვება უნდოდა, ოღონდ ახლა სულ სხვანაირად. 35 წლისას საკუთარი თავი მიჯნურივით შეუყვარდა. თავის ოთახში ჩაკეტილს, სარკეში შიშველი სხეულის ყურება ართობდა. რა ფეხები მაქვს?! სწორი, გლუვი... და მკერდი? — გასაფურჩქნი ყვავილივით. ეს ჩემი მწვანე თვალებიც რო-

შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ სრულიად ჯაფეთებ, მაგრამ ოჯახდოლ დონეზე ძალიან დაკავებული ვარ

გორ საუცხოოდ „ჯდება“ ჩემს შავ, გიშერივით თმაზე?!. დაუდგეთ თვალები ამ ბრუციან კაცებს, მაშ, ვერ უნდა შევემჩნიე ამდენ ხანს? — ახლა უკვე საკუთარ თავზე გააფანატა მარინამ...

45 წლის ასაკში გონიერ, დაკუნთულ, ჭაღარაშეპარულ კაცებს დაუწყო თვალიერება... ქმრის ჭუჭყიანი წინდების გარეცხვა სურდა, ორსულობა, უძილო ღამეები... წინათ თუ დიასახლის ქალებს მოსამსახურეებსა და უთავმოყვარეოებს ეძახდა, ახლა სახლის დალაგებასა და ქმრისთვის სადილების კეთებაზე დაიწყო ოცნება... — ნაირას დედა უნდა ერქვას და მე ასე, უშვილოდ ვეგდო? შეხედე, მაგის ტურტლიანი ბალღები ამ პაპანაქებაშიც კი ქუჩაში ყრიან. ფუი, მაგის ქალობას! ახლა, ამ შორიაანთ გივიას ცოლს ქალი ჰქვია?! როგორი დაღეჭილი პერანგით დადის მაგის კაცი... — ჭორაობდა მეზობლებზე და ერთი წამითაც არ კარგავდა გათხოვების იმედს... ძალიან უნდოდა, ოჯახი ჰქონოდა... უნდოდა, მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინა, რა იყო ოჯახის ქალობა და პატიოსნება... მთხოვნელი კი არსად ჩანდა. ჟურნალებშიც კი გამოაქვეყნა განცხადება მარინამ, მაგრამ უშედეგოდ. წლები გადიოდა, ბერდებოდა, სიყვარულს კი ვერა და ვერ ეღირსა... — გოგო, მარინ, — დაიწყო მასთან მისულმა მეზობელმა, — ერთი ნათესავი მყავს, რეზო, 6 წლის წინ მოუკვდა ცოლი. 2 შვილი ჰყავს, ქალ-ვაჟი. ორივე მათგანს საკუთარი ცხოვრება აქვს, შვილები, სახლკარი. პოლკოვნიკი კაცია, 2-სართულიანი სახლი აქვს, მშრომელი, პატიოსანი, მატერიალურად წელში გამართული... შვილები მუშაობენ, ყურადღება მოაკლდა და ყველამ ერთად გადაწყვიტა, მამას ოჯახი შეექმნა. ვუთხარი, ძალიან კარგი მეზობელი მყავს, უმწიკვლო, სუფთა წარსულით-მეთქი და გამაცანიო, მთლად ბრედ პიტი არაა, მაგრამ აღარც შენ ხარ გაფურჩქნის ასაკში, ხვალ პენსიის ასაღებად გამომყევი, მასაც მოვიყვან და ერთმანეთს შეგახვედრებთო... აღტაცებული, იმედჩასახული, მომავლის რწმენით აღვსილი მარინა ნათლიასთან გავარდა, ახალი ამბის შესატყობინებლად (გარდა ნათლია-ნათლულის ურთიერთობისა, 47 წლის მარინასა და 72 წლის ეთერს დიდხნიანი მეგობრობა აკავშირებდათ). ეთერმაც გაიხარა, ნათლულის ბედნიერებით. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ, გადაწყვიტეს, პენსიის ასაღებად ერთად წასულიყვნენ. მერი კი იქ დახვდებოდა, სასიძოსთან ერთად. „ბედი, ისეთი რააააამ ააარიიიის, ვერ გაექცევააა ვეერავიიინ“ — ღიღინებდა პოტენციური პატარძალი და ცდილობდა, გონებაში წარმოედგინა ცხოვრების ყველაზე დიდი საჩუქარი — რეზო... ისეთი შეგრძნება მაქვს, პირველივე დანახვისას უნდა ვიგრძნო, რომ ის — ის არისო, გამოუტყდა მეგობარს, პაემანზე მიმავალი. ბანკთან მისულებს, მერი მოხუც, მელოტ, ღიპიან კაცთან ერთად დახვდა... მოხუცი წამოდგა, თავი დაუკრა მოსულებს, 72 წლის ეთოს ხელი მოჰკიდა და მობრძანდით, ქალბატონო, ვისაუბროთ ჩვენს მომავალზეო, ხავერდოვანი ხმით წარმოთქვა. წამიერმა სიჩუმემ დაისადგურა. ეთერი გაოგნდა, მარინა — მით უმეტეს! დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ რევაზის დარწმუნებას, რომ პატარძალი მის წინ მდგომი ახალგაზრდა ქალი იყო და არა ის, ვისაც თავისკენ ექაჩებოდა მთელი ძალით. ეთერით მოხიბლულ ბერიკაცს კი არაფრის დიდებით არ უნდოდა ამის დაჯერება. — یییییی

„ლოვე“ შენს გვარზე „გადმოქაჩე“

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა 17 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მშობლები შეყვარებულთან ურთიერთობას უკრძალავენ მხოლოდ იმიტომ, რომ მას სომხური გვარი აქვს. გოგონა დაბნეულია და ამიტომაც გთხოვათ: „ლოვე“ მეუბნება, — ცოლად გამომყევიო, მე კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე და იქნებ თქვენ მირჩიოთ, რა ვქნა?“

„მის ეროვნებას თავადაც ნაკლად მიიჩნევ...“

ლეკო 27:

„მერე რა, თუ სომხური გვარი აქვს? თუ მართლა გიყვარს, გულისთქმას მიენდე და არა — სხვის ნათქვამს. მშობლებს დაელაპარაკე. იმედია, გაგიგებენ. იცოდე, სიყვარულს წინ ვერაფერი აღუდგება. P.S. გათხოვებას ნუ იჩქარებ, თუ უყვარხარ, ცოტა ხანს დაგელოდება. წარმატებებს გისურვებ! ღმერთმა დაგლოცოს“.

ატარექსია:

„რადგან რჩევას ითხოვ, ე.ი. მის ეროვნებას თავადაც ნაკლად მიიჩნევ. აქედან დასკვნა: შენი სომეხი ბიჭი ისე არ გიყვარს, რომ მის ამ დიდ „ნაკლზე“ თვალი დახუჭო. რაღა დაგიმალოთ და, ჩემი აზრით, ქართველმა ქალმა სომეხი ერი არ უნდა გაამრავლოს. ვიცი, ახლა დამგმობთ და გამთათხავთ, მაგრამ ამას მიჩვეული ვარ“.

ლუნა:

„ხომ იცი, როცა საქმე შვილის დაოჯახებას ეხება, მშობლები ყველა წვრილმანს აქცევენ ყურადღებას. მათ ვერ გაამტყუნებ, მაგრამ საქმე საგანგაშოდაც არაა — თუ შენი შეყვარებული კარგი ადამიანია, ის მშობლებს გააცანი და ვფიქრობ, აზრს შეიცვლიან. ისე, გვარს რა მნიშვნელობა აქვს? ბევრი ქართული გვარის მქონე, მაგრამ უვარგისი კაცი მინახავს. მთავარი შეგნება და ადამიანობაა, სხვა ყველაფერს მოევლება“.

რუსპირი (GREEN):

„შენი მშობლები ადამიანთა იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელთათვისაც ბიჭის გვარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ თქვენი სიყვარული ორმხრივია და დარწმუნებული ხარ, რომ დარჩენილი ცხოვრების გატარება მასთან ერთად გინდა, ყველასი, მათ შორის მშობლების აზრიც „დაიკიდე“. P.S ჯერ ძალიან პატარა ხარ და იმედია, 17 წლის ასაკში არ მიიღებ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილებას“.

ნათია ჩაჩავა:

„მეგობარო, თუ ერთმანეთი გიყვართ, ცოლად უნდა გაჰყვე. იცოდე, ბედნიერებაზე უარი არ თქვა. დარწმუნებული ვარ, ბედნიერი იქნები. რაც შეეხება მშობლებს, მათ ყველაფერი კიდევ ერთხელ აუხსენი და დაარწმუნე, რომ მასთან ერთად ბედნიერი იქნები“.

თაკუნა:

„მსმენია, რომ ცუდი წარსულის მქონე ან ცუდი ოჯახიშვილი დაეწუნებინოთ, მაგრამ ადამიანის დაწუნება გვარის გამო, სისულელეა! მთავარია, კეთილშობილი, კარგი პიროვნება იყოს და თუნდაც, მოზამბიკური გვარი ჰქონდეს!“

ანკარა:

„ეს არასრულწლოვნები რამ გაგაგიჟათ? ჩემო კარგო, ნაადრევად შექმნილი ოჯახები ხშირად ინგრევა მხოლოდ იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში ცოლქმარს გემოვნება ეცვლება. ასე რომ, ჯობია ჩამოყალიბდე. იცოდე, ახლა რომ გათხოვდე, მშობლები უკან დაგაბრუნებენ (მათ ამის უფლებას კანონიც აძლევს), მაგრამ თუ სრულწლოვანი გათხოვდები, სხვა გზა არ ექნებათ და ყველაფერს შეეგუებიან. მთავარია, ადამიანი ჯანსაღი გონების იყოს, თორემ გვარი მხოლოდ პირადობაში უწერია...“

უცნობი:

„მთავარია, ერთმანეთი გიყვარდეთ. სულელურ დარდებში დროს ნუ დაკარგავ, ადექი და ცოლად გაჰყევი. აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი! P.S. მოკითხვა ბათუმიდან“.

ლიფსო:

„რჩევა გჭირდება? არაა პრობლემა — „ლოვე“ შენს გვარზე „გადმოქაჩე“ ანუ ქმარი ცოლად თავად უნდა მოიყვანო, რა :))“.

ნიკოლო:

„თუ დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილი სიყვარული გაკავშირებთ, ორი აზრი არ არსებობს — ამ სიყვარულისთვის უნდა იბრძოლო! სამწუხაროა, რომ შენი მშობლები ასე აზროვნებენ. და მაინც, აჯობებს, ჯერჯერობით გათხოვებისგან თავი შეიკავო, თქვენს სიყვარულს კი რამდენიმე წელი ვერაფერს დააკლებს“.

„მე და ჩემი „ლოვე“ გაპარვას ვაპირებთ“

თაკო, 19 წლის:

„გამარჯობა. მყავს შეყვარებული, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და დარწმუნებული ვარ, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ... მშობლები სხვას, შეძლებული ოჯახის შვილს მირიგებენ. მართალია, ის ბიჭი არ მიყვარს, მაგრამ ვერც მშობლებს ვეწინააღმდეგები. ახლა მე და ჩემი „ლოვე“ გაპარვას ვაპირებთ. არ გვინდა, ერთმანეთს დაგვაშორონ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

„ლოვეს“ საქციელმა დამაბნია...“

მისის ჯინგლსი:

„რა უცნაური და მოულოდნელობებით სავსეა ცხოვრება. „გზის“ წინა ნომერში ვამბობდი, თუ როგორი ბედნიერი და აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი 9-თვიანი სიყვარულით, ახლა კი აღარ ვიცი, რა ვქნა. რაღაც სისულელის გამო ვიკამათეთ და 10 დღე გაბუტულები ვიყავით. მართალია, მერე შემირიგდა, მაგრამ საოცრად შეცვლილია, ჩემ მიმართ უყურადღებო გახდა. ვიცი, რომ ვუსაყვედურო, მეტყვის, — რას ამბობ, რაღაც გელანდებაო. დავიბენი. არ ვიცი, ასე რატომ შეიცვალა. გთხოვთ მირჩიეთ, რა ვქნა, თქვენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს“.

*P.S. **მაშ ასე, თუ თაკოს და მისის ჯინგლსის წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***

უცნაური გართობა და კაცების „ამხევი“ გოგონები

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა NIGHTWISH-ის მესიჯი. გოგონა გვწერდა: „მყავდა დაქალი, რომელმაც 2 შეყვარებული „ამახია“. პირველად ვაპატიე, მაგრამ ეს უკვე მეორედ მოხდა და მის პატიებას აღარ ვაპირებ. მინდა, მასზე შური ვიძიო, სამაგიერო გადავუხადო იმისთვის, რაც გამიკეთა — ის ამას იმსახურებს! არ ვიცი, ასეთი რა დავუშავე. ნუთუ, ჩემი შურს და ასე ამიტომაც მექცევა?“

„შურისძიება არაფერს გიშველის“

MARYLIN MANSON:

„მსგავსი რამ მეც შემემთხვა. შეყვარებულს იმიტომ დავშორდი, რომ ის ჩემს ძმაკაცსაც შეუყვარდა — არ იცოდა, ჩემი „ლოვე“ თუ იყო... რაც შეგეხება შენ, გირჩევ, ეგ ამბავი „დაიკიდო“ და ორივე დაივიწყო, მათ სამაგიეროს თავად ცხოვრება გადაუხდის. მერწმუნე, იმ ბიჭს არ ჰყვარებიხარ, ის გოგო კი შენი დაქალი არასდროს ყოფილა. მათნაირ გოიმებსა და ხამებს ვერ ვიტან, რა“.

მაცმაცუნა:

„როგორ ფიქრობ, იმ ბიჭს ნამდვილად უყვარდი? შენი აზრით, ნამდვილ დაქალს შეუძლია მეგობარს ასე მოექცეს? ხალხნო, მართლა მაინტერესებს, ასეთ მეგობრებს სად პოულობთ?“

ნ.ა:

„კარგი, რა, დაქალს ნურაფერს აბრალებ, პრობლემა შენში ყოფილა ანუ „ლოვეს“ რომ ჰყვარებოდი, მის თავს დაქალი კი არა, მონიკა ბელუჩიც ვერ „აგახევდა“. ჩემი შეყვარებული 6 წელია, საზღვარგარეთაა, მაგრამ ვერავინაც ვერ „ამახია“, არადა მართლაც, ოქროს ბიჭია და მალე ერთად ვიქნებით...“

თეო:

„აშკარაა, რომ ის, ვინც შეყვარებული „აგახია“, არასდროს ყოფილა შენი დაქალი. ჩემი აზრით, მასთან ურთიერთობა პირველივე შემთხვევის შემდეგ უნდა შეგეწყვიტა. მინდა, ერთი რჩევა მოგცე: გულში ბოღმას ნუ ჩაიდებ და ნურასდროს იფიქრებ შურისძიებაზე, ეს არაფერს გიშველის. უბრალოდ, წამიერად იჯერებ გულს, მერე კი შეიძლება ყველაფერი ინანო. ეგ ადამიანი დაივიწყე, ბედნიერება უსურვე და აი, ნახავ, გულზე როგორ მოგეშვება“.

ნიკოლო:

„შურისძიება მართლაც, სასიამოვნო რამაა. იმედია, დაქალის სუსტი წერტილები იცი. თუმცა, ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებ, საკუთარ შეცდომებზეც დაფიქრდი. იქნებ შენმა დაქალმაც იძია შენზე შური? ყველა ვარიანტში, თქვენ მეგობრები ვეღარ იქნებით. იმედია ხვდები, რომ ვერც შეყვარებულებს ირჩევ სწორად“.

მარი:

„ასეთ დაქალთან ურთიერთობა კი არა, ქუჩაში გავლაც არ უნდა გინდოდეს. შურისძიებაზე არ იფიქრო. უბრალოდ, მისგან თავი შორს დაიჭირე. წარმატებები ყველგან და ყოველთვის!“

ნიკო:

„მისნაირი დაქალის ყოლას სჯობია, უმეგობროდ, ეული იყო. ძალიან ცუდი რამ მოხდა, მაგრამ შურისძიებაზე მაინც არ უნდა იფიქრო. დაქალს შეუნდე და დისტანცია დაიცავი, მასთან ურთიერთობას მოერიდე; ჩამოიშორე მანამ, ვიდრე უარესს გაგიკეთებს“.

ანკარა:

„დროა, ჭკუა ისწავლო და მომავალი „ლოვე“ დაქალს ახლოსაც არ გაიკარო. P.S. იმ ბიჭს მართლა რომ ჰყვარებოდი, მის თავს ვერავინ „აგახევდა“. პრობლემა შენში და შენს შეყვარებულებშია. რაც შეეხება იმ გოგოს, მას „ძველმანები“ ჰყვარებია. ყველას შეყვარებულს ნუ ეძახი, რა. ბიჭი ბიჭია და ერთობა, გოგოს უნდა გქონდეს ჭკუა“.

რუსპირი (GREEN):

„ვფიქრობდი, ჩემი „ესემესი“ შენი დაქალის ლანძღვით დამეწყო, მაგრამ გადავიფიქრე. ჩემო კარგო, როცა ბიჭს გოგო უყვარს, მას გონებას შენი დაქალი კი არა, მეგან ფოქსიც ვერ აურევს. ალბათ შენი მეგობარი ბიჭებს ისეთ რაღაცას სთავაზობს, რისი შეთავაზებაც შენ არ შეგიძლია. ჰოდა, თუ ეს მართლაც ასეა, მას სამაგიეროს თავად ცხოვრება გადაუხდის. გულის სიღრმეში, ბიჭებს მისნაირი გოგონები გვაღიზიანებს, დამიჯერე. წარმატებები!“

ლუნა:

„მე თუ მკითხავ, შეყვარებულს ისე არ უყვარდი, როგორც საჭიროა, თორემ შენს დაქალს ბევრიც რომ ემანჭა და ეპრანჭა, მასთან მაინც ვერაფერს გახდებოდა. რაც შეეხება შენს დაქალს — რაც გააკეთა, ყველაფერი უკან დაუბრუნდება. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ არავის ინდობს. გირჩევ, მას ყველაფერი დაუფარავად, პირში მიახალო. უთხარი, რომ შენნაირ მეგობარს არ იმსახურებს და დაშორდი. მოღალატე ადამიანთან ურთიერთობა დროის უქმად კარგვაა. აბა, შენ იცი. გკოცნი“.

ატარექსია:

„ბარემ ისიც გეთქვა, დაქალოჩკას პირველი შეყვარებულის „ახევა“ რა პონტში აპატიე? P.S-ის მიწერა დაგავიწყდა, ტექსტით: ლენჩი ვარ და დამეხმარეთ!.. გირჩევ, ისეთი მეგობრები და შეყვარებული შეარჩიო, რომლებსაც ღალატისკენ მიდრეკილება არ ექნებათ“.

ჩუმა:

„რას ჰქვია, „აგახია“? აიღო და წაიღო? ალბათ, იმ ბიჭებს არ უყვარდი, თორემ შენგან არ წავიდოდნენ. იცი, რა უნდა ქნა? წვერის საპარსი „დაითრიე“ და მაგ შენს ძალით დაქალს თავი გადაჰპარსე!“

ლეკო 27:

„ოჰ, ეს დაქალები, რა... ეგ გოგო შენი დაქალი კი არა, მეტოქეა. ჯობს, მისნაირი მეგობარი თავიდან მოიცილო. რაც შეეხება სამაგიეროს გადახდას — დამშვიდდი და მერწმუნე, არაა საჭირო, მის დასასჯელად რაიმე მოიმოქმედო. ჩემო კარგო, იცოდე, ადრე თუ გვიან, უფალი ყველას თავისას მიუზღავს (ჩვენ გვეჩქარება, უფალს კი — არა). არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ არც უთქმელობა ივარგებს: არა მგონია, ყოფილ „ლოვეებს“ სათანადოდ ჰყვარებოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენს დაქალს არ „აეკიდებოდნენ“. სანერვიულო არაფერია. ცხოვრება წინაა და აუცილებლად შეხვდები ადამიანს, რომელსაც მართლა ეყვარები, რომელიც დაგაფასებს. ნამდვილ სიყვარულს დაქალი კი არა, ვერავინ წაგართმევს. ღმერთმა დაგლოცოს“.

ზორენა:

„არ გეწყინოს, მაგრამ სულელი ყოფილხარ! დაქალმა შეყვარებული პირველად რომ „აგახია“, მაშინვე როგორ არ აგეხილა თვალები? როგორ ვერ მიხვდი, ვის ედაქალებოდი? მეგობრების არჩევა არ იცი და ეგაა! შურისძიებაზე ფიქრს შეეშვი. მაღლიდან ღმერთი იყურება და მერწმუნე, ის გოგო შენი ჩარევის გარეშეც დაისჯება. ჭკვიანად იყავი. P.S. მეც მყავდა ისეთი დაქალი, რომელიც სხვებისთვის „ლოვეების“ „ახევით“ ერთობოდა, მაგრამ ის საცოდავი ახლა სულ მარტოა, მეორე ქმარმაც მიატოვა“.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ ბიჭს სამესიჯოდ. მსურველებმა მომწერეთ.

2. ვარ 20 წლის, სიმპათიური, ბათუმელი გოგონა. სამეგობროდ გავიცნობ სერიოზულ, ჭკვიან, ზრდილობიან მამაკაცს.

3. გავიცნობ 25-დან 45 წლამდე მამაკაცს, სამეგობროდ. ვარ 19 წლის, განათხოვარი. თამუნა.

4. გამარჯობა, ვარ გასათხოვარი, 32 წლის, მაღალი, გამხდარი, სასიამოვნო გარეგნობის. მსურს, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო თბილისელი, სასიამოვნო გარეგნობის, მაღალი მამაკაცი.

5. გამარჯობა, ვარ გასათხოვარი, 32 წლის, მაღალი, გამხდარი გოგო. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით თბილისელ, მაღალ და განათლებულ ბიჭს. არასერიოზულად არ გამომეხმაუროთ.

6. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ მამაკაცს, 20-30 წლამდე.

7. გავიცნობ ბიჭს, სამეგობროდ, თბილისელს.

8. მხოლოდ ოჯახის შექმნისა და საქართველოში ცხოვრების სურვილით გავიცნობ, 29-დან 38 წლამდე ასაკის, ფინანსურად უზრუნველყოფილ, ქუთაისელ ან თბილისელ მამაკაცს. ვარ 167/59. 27 წლის.

9. ვეხმაურები 21-ე ნომრის მე-7 სმს-ის ავტორს ლექსოს, გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.

10. ვარ 35 წლის, უმაღლესი განათლებით, სიმპათიური. მყავს 5 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-50 წლის, სერიოზულ, დამოუკიდებელ მამაკაცს, რომელიც მამობას გაუწევს ჩემს შვილს.

11. ვარ 38 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-45 წლამდე მამაკაცს.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრეფილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

მამაკაცები

12. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი 23 ივლისის ჟურნალში, მე-9 სმს-ის ავტორს.

13. გთხოვთ, გამომეხმაუროს „გზის“ 29-ე ნომერში არსებული მე-4 მესიჯის ავტორი.

14. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №29, მე-8 სმს-ის ავტორის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას.

15. მე-3 სმს-ის ნომერი მომეცი რა, მარ. :)

16. გთხოვთ, „გზა“ №30-ის, მე-4 სმს-ის ნომერი ან მომწეროთ, ან ჩემი მისწეროთ. გმადლობთ.

17. ვეხმაურები 28.07.11 ჟურნალში გამოქვეყნებულ, მე-7 სმს-ს. თუ შეიძლება ან მისი ნომერი მომწერეთ, ან ჩემი მისწერეთ. წინასწარ გიხდით მადლობას.

18. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ქართველ, მართლმადიდებელ გოგონას. ვარ 46/165/75, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი, თბილისელი მამაკაცი.

19. გავიცნობ სამეგობროდ 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ 41 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში.

20. გთხოვთ გამომიგზავნოთ „გზა“ №30, მე-6 მესიჯის ავტორის ნომერი.

21. სმს მეგობრობისათვის გავიცნობ ქალაქ გორში მცხოვრებ, ლამაზ მანდილოსანს. ვარ 35 წლის მამაკაცი.

22. „გზა“ №20-ში გამოქვეყნებული იყო 19 წლის სალის განცხადება, მე-5 ნომრად. მინდოდა მისი გაცნობა და შეგიძლიათ, რომ ნომერი მომცეთ? თუ წინააღმდეგი არ არის.

23. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს.

24. „გზა“ №28, მე-8 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მომაწოდეთ, გთხოვთ.

25. გავიცნობ გოგონას სამეგობროდ და რომანტიკული ურთიერთობისთვის. ვარ 35 წლის.

26. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი „გზა“ №29, მე-5 სმს-ის პატრონს.

სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო... რა გაძლებს კიდევ ერთი თვე უშენოდ? ჩემი სული და გული იქ იყო... მაგრამ ბებიას

ძალიან ენატრებოდი და შანსი მიეცა, რომ ენახე. ცოდვა იყო ეგეც. გეხუტუნე, დედი... ჩემი პატარა და საყვარელი ბიჭი ხარ. ბესო ვნახე. ის მაიმუნი ვაჩე ხმას არ იღებს, მარტო უუ-ს იძახის, მაგრამ ისე ამბობს, რომ ყველაფერს გაგებინებს. ბესო გასუქებულა, კარგადაა. თქვენ თუ კარგად მყავხართ, მეც მაშინ ვარ კარგად და მაგრად... ჩემი ბაჭიები ხართ, ფუმფულა და ტუჩებცმაცუნა ბაჭიები... რაც უნდა გაიზარდოთ და დიდი ბიჭები გახდეთ, ჩემთვის ისევ ისეთი პატარები ხართ, მოუსვენრები და ცელქები... შენთან მინდა, დე... მამაომ მითხრა, გულწრფელად ინანიებს ყველაფერს და იმიტომ ვაზიარეო. დანარჩენი ამბები კი იცი, გუშინ იყვნენ შენთან და გითხრეს. ახლა ბადრისთანაც შევალთ, ამ კვირაში. დარეკა და კარგად ვარო... შენ იცი, დე, როგორ ვაჟკაცურად გაუძლებ, ცხოვრებისგან მოვლენილ გასაჭირს. ღმერთი გფარავდეს. გეხუტები. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

•ხვიჩა, ჩემო სიცოცხლევ, გნახე და დავისვენე. მთელი დღე უხასიათოდ ვარ, შენ გამო — ჩვენგან შორს რომ ხარ. ძალიან დაგვღალა იმ დღეს საბამ. მერე ყველას უყვებოდა, ჩემი მამიკო ვნახე, სამუშაოზეო. მინდა იცოდე, რომ ძალიან, ძალიან მაგრად მიყვარხარ და უსაზღვროდ მენატრები. დრო ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. სულ მინდა, ჩემთან იყო ჩემო ცხოვრებავ და არსად გაგიშვა. დროებით და თავს გაუფრთხილდი. მიყვარხარ.

•ნიკოლო, რა საყვარელი ხარ. ფეისბუკზე რატომ არ დამიმეგობრდი? ნეტავ ყველა ბიჭი შენ გგავდეს. ჩემი ერთი ნაცნობი შენი უნივერსიტეტელია და ვიცი, რა ჭკვიანიც ხარ. ია.

•სიყვარული ძალიან ლამაზი გრძნობაა და მასზე წარსულში საუბარი საშინელებაა. მგონი ამიერიდან ხშირად მოგწერთ, თუ მიმიღებთ თქვენს კლუბში. ინა.

•კუნკულა, ბიჭო, რა იყო, კი არ ვიკბინები. დაჯე, დაგეხმარები ცოლის შოვნაში. :) მისს ბეჰოლდერ, უკვე ბევრჯერ ვთქვი, თუ როგორ უნდა დამიკავშირდე და აბა, შენ იცი. ნიკოლო.

•გიო, მე არ მესმის, რა მოღამი აქვს ბიჭისთვის ლინზებს. ისე, ლიბერალი ვარ და განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ. P.S. ყველა უსახელოს მადლობა, ვინც კარგად მახსენა. ნიკოლო.

•ბექა, ჩართო, სვანო, მიყვარხარ ამქვეყნად ყველაზე მეტად, ჩემი სუნთქვა ხარ. მარიჩუი.

•თავს გაუფრთხილდი. გამაგრდი. წასულ საქმეს ტირილით ვერ უშველი. ჩვენ ყველანი შენ გვერდით ვართ. ერთად ვილოცოთ, რწმენაში გავძლიერდეთ და გწამდეს, უფალი არ მიგვატოვებს. დროც მკურნალია. საბუთებს ვამზადებ და ვეცდები, მალე გნახო. ბავშვები კარგად არიან, გვერდიდან არ მცილდებიან, ენაცვალოთ მამიდა. შენი და, ბელა.

•გია, მენატრები ძალიან. რეზი, გიო და ლუკა სულ შენ გახსენებენ. ღვთის წყალობით, მალე ერთად ვიქნებით. შენი ქეთ.

•მარიი, შუადღე მშვიდობისა. იმედია, კარგად ხარ. :-) გვედრები, დამიბეჭდე, რაა. ლი23, გთხოვ, მომწერე. იმედია, წაიკითხავ ამ მესიჯს და გამომეხმაურები. ბარამბო.

•აბა, მგზავნელებო, რაღაც ხვანცალის ხასიათზე ვარ. ტლიკინა.

•3.198გი, იცი, როგორ მიყვარხარ? იცი, როგორ მენატრები? როცა დაგინახავ, თითქოს მიძინებული ემოციები იღვიძებს ჩემში და როცა გტოვებ, გიტოვებ გულსა და სულს. ჩემთვის ნატვრა გახდი. ჩემი მომავალი უშენოდ ვერც კი წარმომიდგენია. გამაგრდი ბუუს, თავს გაუფრთხილდი, ყოჩაღად იყავი და იცოდე, რომ შენთვის ვლოცულობ. უფალი იყოს ჩვენთან.

•3.198გი, ახლა გზაში ვართ მე და დიტო. ისე ცხელა, გზას ალმური ასდის, შემიგუბდა სული. შენ როგორ ძლებ მანდ, ა? ან ზიმალეტოს გაფუჭება იქნებოდა? მეცინება, ეგ რა თქვი.

•თეე... იცოდე, ყველაფერი კარგად იქნება, მე მუდამ შენთან ერთად ვარ ფიქრებით, ყოველი დილა შენით იწყება, მე არასოდეს არა ვარ მარტო, ჩვენ სულ ერთად ვართ, ბუტია.

•თეე... მიყვარხარ, იცოდი? რომ მენატრები, ესეც ხომ იცი? ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენთან ერთად ყოფილა ლამაზი, ჩემო... გაკოცე ბევრი, ჩემო საოცრებავ, მიყვარხარ. ბუტია.

•თეე, მენატრები, მიყვარხარ და ველოდები ჩვენს შეხვედრას, მე არასოდეს დამღლის შენი ლოდინი და მონატრება, მთელი სიცოცხლე მხოლოდ შენ ერთს დაგელოდები. ბუტია.

•ზევსკი, ჩემო სიცოცხლევ, ანა აგვისტოს ბოლოს ჩამოვა. ნიკა უკვე ჩამოსულია, ყველა მოკითხვას გითვლის. თავს გაუფრთხილდი, ღმერთი გფარავდეს.

•შემოვიჭერი ქობულეთიდან, დიდი მოკითხვებით. :) არა უშავს, ახალგაზრდებო, აქ ცუდიც დაიწერება და კარგიც. ასე რომ, ავიტანოთ ერთმანეთი, ეს ფურცლები ყველას გვეყოფა. :) ნ.ა.

•თეე... ჩვენს სიყვარულს გაფიცებ, არ დამეღალო რა, მე ძალიან ძლიერი ვყოფილვარ ჩემო, მთავარია, შენ მყავდე კარგად, სხვა ყველაფერი სისულელეა, არ დამეღალო. ბუტია.

•მაა... მიყვარხარ ძალიან, მე კარგად ვარ, იმედია, მალე გნახავ, შენ ხომ კარგად ხარ? არდადეგები მალე დამთავრდება და ყველა ისევ ერთად ვიქნებით. გკოცნი, დაკო.

•თეე... შენი დედიკო კარგადაა, გოგოებიც, დაკოც, ყველამ მოგიკითხა დიდი სიყვარულით, ჩემო იმედო, აბა შენ იცი, უნდა დაველოდოთ, იმედია, მალე დამთავრდება. ბუტია.

•თეე... როგორი მონატრება მასწავლე, ჩემო... ყოველი დილა ჩემთვის სიხარულია, რადგან ერთი ნაბიჯით მაახლოებს შენთან. თავს გაუფრთხილდი, მიყვარხარ ძალიან. ბუტია.

•მისტერ, ეგ შენი ცბიერი აზროვნება შენისთანებთან თუ გამოგადგება. ახლოს რომ იყო, დამსახურებულად წაგაცლიდი მაგ თავს! იმედი მაქვს, უნიკოდ მიხვდები, ვინ ვარ.

•SEX BOY: არც რკო ყოველი გამხდარა მუხა და არც ყველა პრინცს უწერია მეფობა. ასე რომ, მე მეფე მჭირდება და არა — პერსპექტიული პრინცი! :) ატარექსია.

•გარემოს განვიცდი, როგორც არეულსა და უსიამოვნო ხმაურს. წარსულს რომ ვიგონებ, ყველაფერი ისე ბნელი და შეუსაბამოა, როგორც დამსხვრეულ სარკეში ნანახი ლანდი. ატარექსია.

•თეე, როგორ ხარ, ჩემო? ვითვლი დღეებს, როდის დაგინახავ, ბედნიერი ვარ, დამიჯერე, მე ახლაც ყველაზე ბედნიერი ვარ ამქვეყნად, შენი რომ მქვია, მიყვარხარ. ბუტია.

•როგორც გავიგე, „გზას“ პატიმრებიც კითხულობენ და მინდა მივმართო მათ: შეძლებისდაგვარად, თქვენც შემოგვიერთდით ზაციაში, გულით მიგიღებთ, თან ცოტა გულს გადააყოლებთ. ნ.ა.

•თეე, მამაომ მითხრა, კარგად არისო, გამახარა ძალიან, აბა, შენ იცი, მე ვიცი, რომ შენ ძალიან ძლიერი ხარ, სხვანაირი ალბათ არასოდეს შემიყვარდებოდი. გაკოცე, ბუტია.

•ჩემო საყვარელო მარი და მგზავნელებო, უკვე ოპერაცია გავიკეთე, სულ მალე ისევ დაგიბრუნდებით, ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. გკოცნით. ნანი დუმბაძე.

•ჯოტი, როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ, ჩვენზე ნუ ნერვიულობ, თავს მიხედე. ჩვენ ყველა გვერდში გვიდგას. იმას მოუსმინე. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნით ყველა. ჟენა.

•ნიკოლო, ძალიან მესიამოვნა შენი მესიჯი. არ ვიცი, ქალბატონ ნაირა გელაშვილის სხვა ნაწარმოებებიც გაქვს წაკითხული თუ არა („არჩევანი მე“, „დედის ოთახი“), მაგრამ აუცილებლად წაიკითხე. დამიჯერე, ემოცია მთელი ცხოვრება გაგყვება. მე ვგიჟდები ამ ქალბატონის წერის სტილზე. კარგი ადამიანი ხარ, ასე რომ განიცადე ეგ მოთხრობა.

•იკა, როგორ ხარ? მარინა და ბიჭები დღეს წავიდნენ. 9-ში თეა ჩამოდის გერმანიიდან. მოგიკითხა დიდი სიყვარულით. იკას უთხარი, ყველაფერი კარგად იქნებაო. უფალი გფარავდეს, შვილო.

•მაა... მე და გიო მაგარ დროს ვატარებთ, 2-ში ჩავალ თბილისში, გუშინ აკვაპარკში წაგვიყვანეს, მაგარი იყო, მენატრები და მიყვარხარ. დედას სულ ვურეკავ. გკოცნი. დაკო.

•თეე... ჩემს სიცოცხლეს გაფიცებ, თავს გაუფრთხილდი, ყველაფერი დამთავრდება და ჩვენ ვეღარაფერი დაგვაშორებს. მხოლოდ შენი კარგად ყოფნა მჭირდება ახლა. გაკოცე. ბუტია.

•აუ, ეს SEX BOY ისტერიკაშია. უშოვეთ პატიოსანი და ლამაზი გოგო, რომელზეც აღეგზნება, თორემ წალეკა „მობილი-ზაცია“. გირჩევ, ჯერ გამართულად წერა ისწავლო, მეგობარო. ნიკოლო.

•ზიპპო, ნეტავ როდის მიხვდები, რომ სტერეოტიპების არ უნდა გჯეროდეს?

გურულ-მეგრელი ვარ და მატყობ რამეს, აფერისტისას? აქვე, ყველა ახალს გიწვდით მეგობრობის ხელს. ნიკოლო.

•ეჰ, მოღალატე მეგობრებს რა გამოლევს. სანამ მეუღლე მყავდა, მანქანა, ფული და სახლი, ყველა ჩემთან იყო. როცა მეუღლე დავკრძალე და ფსიქიატრიულში მოვხვდი, არ ვიცნობთო, ისე შემომეცალა ყველა მეგობარი. ახლა ხმის გამცემი მენატრება ხოლმე. სულ ჩავიკეტე და რამდენჯერაც გამოსვლა დავაპირე, სულ ის მახსენდება და ველარავის ვენდობი. ინა.

•მართლა, რატომ ღანძღავთ ერთმანეთს? გამიხარდა, ყველა მეგობრობს-თქო და... ინა.

•თეე... შენს დაბრუნებას ველოდები, ჩემო ღიმილო, მთელ ჩემს არსებაში მხოლოდ შენა ხარ, მე ყოველ დილას შენი ჩურჩული მაღვიძებს, რომ ძლიერ გიყვარვარ. ბუტია.

•თეე... მიყვარხარ, აბა შენ იცი, ჩვენ ორივე ძალიან ძლიერები ვართ, მე კარგად ვარ, ყველაფერი კარგად მიდის, არ ინერვიულო, გელოდები ჩემო, მიყვარხარ, შენი ბუტია.

•ბათუმი, ბობოყვათი, ბეშუმი და ბ-ზე დაწყებული ყველა კურორტი მოვიარე მგონი, :) მაგრამ ვინ გაცლის? ისე, ცხოვრება მაინც მშვენიერია. განსაკუთრებით, შუადღის 3-ზე. ნიკოლო.

•ლი23 ისეთი საყვარელი გოგოა... ნომი, ხანდახან რას დაახეთქებ ხოლმე? რას ერჩი სულელებს? :) CRAZY GIRL, სიხარულოთი მომართვა არ მიყვარს. :) სხვაფრივ IT'S ALRIRT. ნიკოლო.

•ია, არ ვიცი, მეგობრობის თხოვნებს ყოველთვის ვადასტურებ ხოლმე. თუ გინდა, ჯერ მეილზე მომწერე: niccolo.roTTi@hoTmail.com. იქნებ ამჯერად მაინც დაიბეჭდოს სწორად. ნიკოლო.

•ერთი მარსიდან ჩამოფრენილი მგზავნელი ძალიან მომწონს და რა ვქნა? სასამართლოს მივმართო თუ ბორდელს? არა, ნუ მიყურებთ სკეპტიკურად, უტაქტო ბიჭი არ გეგონოთ. ნიკოლო.

•მოდი რა, თუ რამეს მეუბნებით, თქვით, ოღონდ რუისპირზე (და ნურც სხვა მგზავნელზე) სისულელეს ნუ დაწერთ. გიორგის ასე თუ ისე ვიცნობ და არ მსიამოვნებს! გასაგებია? ნიკოლო.

•თეე... ჩემი გოგონები სულ ჩემთან არიან, არ იდარდო არაფერზე, ჩვენი ელენე კარგადაა, მალე თათა წავა, შენი ბიჭები ყოჩაღად არიან, მანანა დეიდამ მოგიკითხა. ბუტია.

•ახალდაბა ხომ დაგამახსოვრე? ძალიან მიყვარხარ. ალი.

•ნომი, ფეისზე გნახავ ნიკოლოს მეგობრებში და ვიმეგობროთ. ქაჯების დედოფალო, მაილზე მომწერე, ოკ? LULU.PAKSASVILI@MAIL.RU გელოდები. მეტს მაინც არ ვახსოვარ. ლი23.

•ძალიან მინდა ისეთი მგზავნელები გავიცნო, ვინც გულწრფელად დამიმეგობრდება და არა ხალხის დასანახავად, „გზის“ ფურცლებზე. მომწონს ატარექსია, პირდაპირი ადამიანია. ლი23.

•ატარექსია, შენ ყველასგან გამოირჩევი... ნიკოლო, შენც. ოღონდ არ ვიცი, როგორ დაგიკავშირდეთ. :-(მოდი, აჩრდილი მერქმება, რაღაცნაირად, იდუმალი ნიკია.

•აქ მეგობრის შეძენა ალბათ შეუძლებელია. მისამართი შემეშალა ალბათ. იქნებ ტელეფონის ნომრების გამოქვეყნების უფლება ისევ მოგვცე მარი? აჩრდილი.

•მორიგანი მეც ძალიან მომწონდა და გული დამწყდა, რომ დამთავრდა. :(აუ, რაღაცნაირად, ძალიან მოვიწყინე. ახალი ნაცნობები მჭირდება... იმედია, ვინმე გამეცნობით. აჩრდილი.

•მისს ბეჰოლდერ, ვიმეგობროთ? კარგი ტიპი ჩანხარ. თან ჩემსავით ახალბედა ხარ აქ. :-) შეეშვი, გადახრების მქონე ბიჭი თვითონ არასოდეს აღიარებს ორიენტაციას. ROST.

•ლუნა, ვგიჟდები შენს ლექსებზე, მაგრამ თვითონ შენ მოსაწყენი გოგო მგონიხარ. მაპატიე, თუ ვცდები. დიდი ხანია, ჟურნალს ვკითხულობ და ამასობაში ყველა გაგიცანით. ROST.

•აბა, როგორა ხართ, სამოთხის გვრიტებო? ხომ არ მოიწყინეთ? როგორია საზაფხულო ცხელება, ჰა? მე პირადად წყალში ვდგავარ და ცეცხლი მიკიდია. მოკითხვა სევდიან ქალს. ჰოლმსი.

•დაგლოცავთ ყველას, სულით და გულით, დაე... ცაში ღმერთს გაუმარჯოს, მთაში — სალოცავებს, ბარში ჩვენ გაგვიმარჯოს და მიწისქვეშა საქართველოში — წასულებს! ჰოლმსი.

•მოკითხვა CRAZY GIRL-ს და ნაომის. კარგია, რომ ამჩნევთ, თქვენ გვერდით არის ცხოვრებაზე უზომოდ შეყვარებული და ფათერაკების მაძიებელი, თქვენი მონა-მორჩილი ჰოლმსი.

•1-ელი აგვისტო ერთად გავატარეთ მე და შენ. იქნებ კიდევ არ დაიჯერო ჩემი? მიყვარხარ. ალი.

•3.198 ძალიან მომენატრე გი, მიძნელდება უშენოდ. როგორ მინდა უკვე, გნახო. რა რთულია ამ ტკივილით ცხოვრება, ძალიან მჭირდები ჩემ გვერდით. უზომოდ მიყვარხარ. თე.

•3.198 ახლა წინა სმს-ს რომ გწერდი, საბუკა მოვიდა და მკითხა, გიას სწერო? უცებ ხვდება გი, ვისაც ვწერ, ეს ოხერი. ამას წინათ მეუბნებოდა, ძალიან მომენატრა გია, ნეტავ გამოვიდოდესო. გი, თავს გაუფრთხილდი. გჯეროდეს, რომ რაღაც გამოსწორდება. იცოდე, რომ მუდამ შენზე ვლოცულობ და იმედი გქონდეს, რომ უშენობის პერიოდს ღირსეულად გადავიტან.

•ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება იყოს შავი ხანა, მაგრამ მთავარი ისაა, რამდენად სწორად იცხოვრებს და რა ღირსეულად დაძლევს განსაცდელს. მიყვარხარ. თეე.

•მე თუ მკითხავთ, „გზაში“ ყველა ბიჭი გეია. არა მარტო რუისპირი. ისიც კარგად ვიცი, რომ გიოს ნიკოლოსთან აქვს რომანი. პაკლოები არიან და სანამ ერთად იქნებოდნენ, გიო ბათუმელ ბიჭს დაშორდა. ისიც მგზავნელი იყო — სუპერსთარი. ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ არ მომწონს, „გზაში“ რომ სულ ამ თემას განიხილავთ. დამიბეჭდეთ რა, გთხოვთ.

•მარი, სამწუხაროა, მაგრამ ზოგიერთი მგზავნელი მართლაც თავს გავიდა. მეც ვიყავი მგზავნელი, მეც ვწერდი გზავნილებს და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი ამბები ადამიანებს ახალისებდა და ახლა იმითაც ვამაყობ, რომ „გზავნილებისთვის“ გამოგზავნილი არც ერთი ამბავი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა და მუდამ საკუთარ თავზე გადახდენილ ამბებს ვწერდი! არ ვიცი, რა შეიძლება დავარქვა ბიანკას საქციელს, რომელმაც ჟურნალ „რეიტინგში“ დაბეჭდილი ნოველა სიტყვასიტყვით „გზაში“ გადმოამღერა და თავის ნაწერად გაასაღა! მესმის, რომ გინდათ წეროთ, მაგრამ თუ წერის თავი არ გაქვთ, არ არის აუცილებელი, სხვისი ნაწერები თქვენად გაასაღოთ! ეს პლაგიატობაა, რომელიც კანონით ისჯება! ასე რომ, სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, ჯერ დაფიქრდით. სხვისი ტვინის ნაჟურით მოპოვებულ სიყვარულს რა თავში იხლით?

•ჟურნალ „გზის“ ხშირი მკითხველი ვარ, მაგრამ ახლა ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე მინდა მოგწეროთ: „გზის“ 22-ე ნომერში დაიბეჭდა 17 წლის გიორგის წერილი, რომელიც გვიყვებოდა თავის ისტორიას, თუ როგორ გაზარდა დედამ ბავშვობაში გოგოს კაბებით. ხოლო ახლა პრობლემები აქვს, რადგან ვერ მეგობრობს ბიჭებთან და ვერც გოგონებს უახლოვდება, როგორც ბიჭი, რადგან მათ ის სადაქალოდ უნდათ. ძალიან მინდა, როგორმე ამ ბიჭის საკონტაქტო ინფორმაცია გავიგო. ზუსტად იგივე პრობლემა აქვს ჩემს ძმას, რომელიც 18 წლისაა. დედას ძალიან უნდოდა გასჩენოდა გოგო და რადგან პირველი გაჩნდა ბიჭი, გოგოსავით ზრდიდა. მე შემდეგ გავჩნდი. ჩემი ძმა დეპრესიაშია, სულ სახლშია ჩაკეტილი და ამ სტატიაზე რომ ვუთხარი, იმედი გაუჩნდა, რომ თავისნაირი ადამიანი იპოვა და იმეგობრებს მასთან, როგორც ბიჭთან, რადგანაც ჩემს ძმასაც ერთი ბიჭი მეგობარიც კი არ ჰყავს. გთხოვ, თუ როგორმე შეგიძლია მომცე იმ ბიჭის საკონტაქტო ინფორმაცია, არ დაიზარო. ვფიქრობ, რომ ამით მასაც დავეხმარები და ჩემს ძმასაც. ძალიან გთხოვ ან შენ თუ არ შეგიძლია, მითხარი როგორ გავიგო და არ დავიზარებ. გთხოვ, ღმერთის შეწევნის იმედი მაქვს, რომ მოახერხებ, რადგან ჩემს ძმას ასეთს ვერ ვუყურებ და ერთადერთი იმედი ეგ ბიჭიღა დამრჩა.

•პაუზა იყო.. ასეა... აღმართს მოჰყვება დაღმართი, ვინც უცნაურად საუბრობს, ნამდვილად არა მშურს მათი. ვერ დავიბრალებ აკაკის, სიტყვების დიდის ტოლობას, არც ცისაა, არც მიწის, არა სთხოვს მასა მგოსნობას. ბევრი ჰყავს მტერიც, მოყვარეც, ბევრი სითბოცა ჰრგებია, ზოგ ახალშობილ სხეულში, მაინც არიგებს ბებია. ჩემიო შენ გითხარიო, რომ მოგხვედროდა გულზეო, ხან ტყუილს ვაქცევ მართლადა, ასე მანათლეს შუბლზეო. თუ ვერ გაიგებთ რას ვამბობ, ვიბოდიალებ ჩემთვისა,

ყოველთვის იქნება ვინმე, ვინც ჩემს ენაზე მღერისა. ვისიც არ მინდა სიტყვები, მართობს და მჯერა მზერისა, ვისიცა მუზას მიცანით, ჩემი რწმენაა წერისა. ჩემია სულის ნაწილი, საუნჯე მთელი ერისა, ლიმონაზე ვწერ, შემინდეთ, თუ ვერ ვამსგავსე ფერისა. ბრიყვთან კამათი ამტკიცებს, შენც სახე გიგავს ბრიყვსაო, კითხვა-პასუხებს მირჩევის კასრის ლუდს დავლევ, ცივსაო. რაც ბრწყინავს ოქრო როდია, ფერი შესცვლია მძივსაო, რაც უნდა ქერქი იცვალოს, ვერა გამოსცვლის ძირსაო. ისე ძალიან ჩამოცხა, ცხოველ არ დარჩა ტყისაო, ყველამ „გზა“ ნახა თავისი, იქარვებს გულის ჭირსაო. რწმენა პირველი ყოველსა, ღამის შუქს მოჰგავს დღისაო, ვინაც გულითა შამახვდეს, სალამს იგემებს ისაო, :) აღარ მართობს ეს მზიანი დარიიიი, ისე დაცხა, ღამითაც კი მზეااااااა, ნეტავ მართლა უბერავდეს ქარიიიიი, ხუთშაბათი „გზავნილების“ დღეااა... :) მის რეალი.

•ისა და, კაცუნა გიოს მივმართავ: ცხოვრების გასახალისებლად სითამამე, ავარდნა, გავარდნა და სუპერთანამედროვეობა არაა საჭირო. მაცმაცუნა.

•ეს სასწავლო წელი ჩემთვის ძალიან მომგებიანი აღმოჩნდა, გამოცდილების მიღების თვალსაზრისით. ეს გამოცდილება კი მდგომარეობს შემდეგში: 1. როდის და რომელ ლექტორს რა საკითხში დავეთანხმო ან შევეწინააღმდეგო, თან ისე, რომ ჩემი შეხედულება არ შეიზღუდოს. 2. მეგობრის დაკარგვა იდიოტური მიზეზების გამო არ შეიძლება. 3. პირადულზე უნიში არავის ესაუბრო (მეგობრისა და სანდო პირის გარდა). 4. არასდროს არ ღირს, კურსელის სუსტი წერტილის გამოყენება, ეს მისი სამუდამოდ გადამტერების დიდ შანსს წარმოშობს. 5. ბევრ ლექტორზე შემეცვალა აზრი, შესაბამისად, ნდობაც შესაბამისი გამიხდა. იმდენად კარგად გავიცანი ლექტორების ხასიათი, რომ რომ უკვე ვიცი, რა მომენტში აფეთქდება და რას მოიმოქმედებს. მე საკუთარ თავში უფრო თავდაჯერებული გავხდი. თუ საჭირო გახდა, რისკზე წასვლაც შემიძლია, თუ შედეგი ისეთი იქნება, როგორიც მე მინდა. სიმართლე ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ადრე თუ შემეძლო მომეტყუებინა ახლობლები და ამაზე არც მედარდა, ახლა უბრალო ტყუილიც მაღიზიანებს და არც სხვას ვარჩენ მოტყუებას. სიმართლეს არა მარტო კურსელებისგან, ლექტორებისგანაც მოვითხოვ. წინათ ლექტორის მოტყუება ჩემთვის ადვილი და სასიამოვნოც კი იყო. ახლა აუტანელი და შეუძლებელია. არ მინდა, რომ ვინმეს ვატყუებდე ან მატყუებდეს და ეს მგონი დიდი მიღწევაა. ბიანკა. პ.ს. მოვიკითხავ: ულიბკას, პარიჟანკასა და ბამბუჩას.

•საოცარია, მაგრამ უფროს-უმცროსობის ინსტიტუტისა და მლიქვნელობის წახალისების გარეშე საქმე უფრო ცუდად მიდის, ვიდრე სიმართლის პირში მიხლისას, რადგან ადამის მოდგმას მგრძნობიარობისკენ მიდრეკილება უფრო მეტი აქვს, ვიდრე გონიერებისაკენ. :(ბიანკა.

•კუნკულა, არ გაგია, ყველას თავის ენაზე ელაპარაკეო? ჰოდა, მე შენნაირი არ ვარ და მხოლოდ ერთს გეტყვი: ქურდს ყველა ქურდი ჰგონია და მდაბიოს ყველა მისნაირი. გაშიფრე. თეთრო.

•მოვიკითხავ ყველას, ვინც მე მკითხულობს. ნამი, გამიკვირდა შენი მოკითხვა, სიმართლე რომ გითხრა, მესიამოვნა. როგორ ხარ? ქვრივი.

•მივმართავ მისს ბეჰოლდერს: მე გადახრები ნამდვილად არ მაქვს, ზოგ-ზოგიერთივით! ჰოდა, ჯერ კარგად გამიცანი და მერე შემაფასე. ხომ გაიგე? გიო (კაცუნა).

•ეჰ, ზოგიერთს სწყინს, მე რომ აქ ვამესიჯებ! ჰოდა, მაშინ იმათთვისაც და ჩემთვისაც ალბათ უკეთესი იქნება, თუ აღარ დავამესიჯებ! მშვიდობით, ღმერთი გფარავდეთ, კაცუნა.

•მისს ბეჰოლდერ, შენ ცოტა ვერა ხარ, ხომ? მე არანაირი გადახრები არ მაქვს და რა ახლა, იხუმრე თუ რა? სანამ რამეს იტყვი ან გააკეთებ, ჯერ სხვისი თვალით შეხედე! ეგ ერთი და ახლა მეორე: გადახრები რომც მქონდეს, შენ არავინ გკითხავს ჩემს ცხოვრებას! ვინ ხარ, ვაფშე? გიცნობ? მიცნობ?! ჰოდა, როცა არ მიცნობ, ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტან, რა! იქნებ შენ გაქვს გადახრები და სხვაც მასეთი გგონია? ხალხო, არც პიდარასტი ვარ, არც გადახრები მაქვს! ეს ყველაფერი სიცრუეა! სრულიად ნორმალური ადამიანი ვარ! ისე მგზავნელებო, იცოდეთ, რომ ვინც აქ ამესიჯებს, ყველა ნორმალური კი არაა! გიო (კაცუნა).

•აქ აღარ დავამესიჯებ, რადგან ზოგს სწყინს ჩემი ნათქვამი და საერთოდაც, ვტოვებ ამ ჟურნალს! თუ მოგენატრებით, დავბრუნდები! კაცუნა.

•აუ, მარი, ეს რა სიცხეებია, დავიწყი, 45 გრადუსია სიცხე. ვაიმე, აღარ შემიძლია, შემწვარი ხორცი არავის უნდა? აქ ვარ და შემჭამეთ. კიდევ კარგი, ზღვა მაინცაა. დიკი ანგელი.

•მურთხია და ეკა, ჩემი ჭირი ჭამეთ თქვენ, რა ჯანდაბა გინდათ? აგაფეთქებთ ქუთაისში, საცოდავებო, თავი დამანებეთ, თორემ დაგერხევათ, იცოდეეეთ. სოფო ანუ დიკი ანგელი.

•აუ, ვინც დაიჯერა, რომ მე 1 თვეა გავთხოვდი, თავში ტვინი არ აქვს, მე-5 თვეა სახლში ვარ და ძველ სიყვარულს ველოდები და ასე იქნება სულ. ვოტ ტაკ! დიკი ანგელი.

•გაიხარე ბიანკა, კარგი ადამიანი ხარ, შენთვის არ აცხუნებს სიყვარულის მზე? სიყვარული მაგარი ადრენალინია, მიყვარს სირთულეების დაძლევა და მერე ბედნიერად ყოფნა. ბუცა.

•ძალიან გახარებული ვარ, ქვრივის სმს რომ მოვიდა. აბა, თუ მიხვდები, ვინ გაიგო შენი ნომერიო? თავიდან მეგონა, ვიღაც მეხუმრებოდა, მაგრამ მერე მითხრა, ქვრივი ვარო და კაცუნა, შენი წარმოდგენა ცხოვრებაზე მეტ-ნაკლებად მართალია. ძალიან მაინტერესებს, ასეთი რა შეგემთხვა, რომ ესეთი გულგატეხილი ხარ ცხოვრებაზე? ძალიან რთულია, რთულია მართლა ცხოვრება, მაგრამ კარგი მხარეებიც აქვს და ის უნდა დაინახო. ჯართი კი არა, სპექტაკლია ეს ცხოვრება და ყველას მთავარი როლი ვერ გვექნება, გული არ გაიტეხო, შენთვისაც დადგება გაზაფხული და მერე ამ სიტყვებზე გაგეცინება. გფარავდეს უფალი და წარმატებები. ბუცა.

მილოცავ!

•თამუნა კობახიძეს 6 აგვისტოს დაბადების დღეს ვულოცავ. ჩემგან მიუწვდომელია და ამიტომ ძალიან მენატრება. ველოდები შენს შეხმიანებას. გკოცნი უამრავს.

•ქუთაისში, ჩვენს დას, თამარ ხიჯაკაძეს ვულოცავთ შვილის დაბადების დღეს. მრავალს დაესწროს ნათია და თავისი კარგი საქციელით გეხარებინოს შენი გული. ვოვა და მიშიკო.

•სულიკო კოტორაშვილს ვულოცავთ 50 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს, თავის ოჯახთან ერთად. ნინო და გურამი.

•8 აგვისტოს მინდა დაბადების დღეს მივულოცო ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, ჩემს სუნთქვას და ჩემს სიცოცხლის წყაროს, ჩემს ერთგულ და სათნო ადამიანს, გივი (მამუკა) მამასახლისს! ხუტუ, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ ბედნიერებას. დედა ღვთისმშობელი და წმინდა სამება, მამა, ძე და სულიწმინდა გფარავდეს!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

„ხანში შესული“ ბიკინი და თეა ლომიძის ცეცხლოვანი საზღვაო სამოსი

დღეს ყველაზე პოპულარული საცურაო კოსტიუმი — ბიკინი უკვე 65 წლისაა. მისი პირველი მოდელი პარიზელმა ლუი რეარმა შექმნა. როგორც ცნობილია, მან ჟაკ ხაიმის მიერ რამდენიმე თვით ადრე შექმნილი საცურაო კოსტიუმის — „ატომი“ მოდელი დახვეწა...

ეთო ყორღანაშვილი

XX საუკუნის 10-იან წლებში, წითურთმიანი ლამაზმანის — რიტა ჰეივორტის ეროტიკული ფოტოები ჟურნალის გარეკანებს, ჯარისკაცების ყაზარმებს და მძიმე სატვირთო მანქანებს ამშვენებდა. მათ შორის 1 ფოტო ისტორიას განსაკუთრებულად შემორჩა: ის იმ ატომურ ბომბზე იყო მიკრული, რომელიც

ბიკინი სუპერპოპულარული საცურაო კოსტიუმია

1945 წელს, წყნარი ოკეანის ტროპიკულ კუნძულ ბიკინიზე ჩამოაგდეს... მოგვიანებით, „ბიკინი“ ლუი რეარის გამოგონილ პლაჟის თამამ სამოსსაც უწოდეს... თავდაპირველად, ტოპმოდელები ბიკინით პოდიუმზე გასვლას აპროტესტებდნენ. პირველი ჩვენებისათვის, საცურაო კოსტიუმის შემქმნელებმა სტრიპტიზის მოცეკვავეებიც კი დაიქირავეს, რომლებსაც საზოგადოების წინაშე ბიკინით გასვლის არ ერიდებოდათ. იტალიის, ესპანეთისა და პორტუგალიის სასულიერო პირები ბიკინის გამოჩენას უარყოფითად შეხვდნენ — მომცრო ზომის საცურაო კოსტიუმის ჩაცმას სასტიკად კრძალავდნენ, სამართალდამცველები კი პროვოკაციული სამოსის ტარებაში შემჩნეულ ქალბატონებს აკავებდნენ, ტრუსის სიგრძეს უზომავდნენ და სოლიდური თანხით აჯარიმებდნენ...

*დღეს უკვე „ხანში შესული“ ბიკინი სუპერპოპულარული საცურაო კოსტიუმია. ასაკის მატებასთან ერთად, ზომაში კიდევ უფრო იკლებს, მაგრამ ქართველმა დიზაინერმა — **თეა ლომიძემ**, რომელიც საზღვაო სამოსის კოლექციის ჩვენებისთვის ემზადება, როგორც კი ბიკინის ასაკი შეიტყო, „მკაცრი ტონით“ განაცხადა:*

— გადავდივართ ფოხნებზე!..

— **გინდათ, საცურაო კოსტიუმების მოდა საწყის მდგომარეობას დაუბრუნოთ?**

— არა, მუხლამდე ჯობია! ქალი ფეხს ფეხზე რომ გადაიდებს და კაბიდან ვარდისფერი ფოხანი ჩანს, სულ სხვაა! მოდის სფეროში ახალი მიმართულება იქნება!

— **...მაგრამ გარუჯვის მოყვარული ხალხისთვის არაპრაქტიკული იქნება.**

— არა, რატომ?! პლაჟზე რომ გავლენ, აიკეცავენ! ხვდები, რა სიახლეა?

— **ხუმრობა იქით იყოს და, მგონი, თქვენ მიერ შექმნილ ბიკინებს ასაკი მაინც დაეტყო — „დასერიოზულებულა“: კლასიკური ფერები შეგირჩევიათ...**

— 65 წლის თუ გახდა, ასაკოვანი ყოფილა და „დავასერიოზულე“: შავი, თეთრი, ნაცრისფრის გრადაციები შევარჩიე.

— **საცურაო კოსტიუმებზე ადრეც გიმუშავიათ?**

— 2003 წელს, „16 რაუნდში“, პირველი ჩვენებაზე, ყაისნაღით ნაქსოვი საცურაო კოსტიუმები წარმოვადგინე. 3 ცალი ილჰამ ალიევის ცოლმა შეიძინა — ძალიან მოეწონა! ერთადერთი „კუპალნიკი“ ვერ გაიყიდა, რადგან ძალიან „მოხდილი“ იყო. მას შემდეგ, შეკვეთებზე ვმუშაობდი. ყაისნაღით ნაქსოვი საცურაო კოსტიუმები ნიუ-იორკსა და უკრაინაშიც წაიღეს.

— ახლა როგორი საცურაო კოსტიუმები გაქვთ?

— ახლა ყაისნაღით არ ვქსოვ და მხოლოდ საცურაო კოსტიუმებს არ ვქმნი. ცეცხლოვან საზღვაო კოლექციას ვამზადებ, ექსკლუზიური შარფებით.

— თანამედროვე მოდის ტენდენციები გაითვალისწინეთ?

— კი, მაგრამ ჩემი ხედვა მაქვს. მაგალითად, ვარდისფერი ჩემთვის მიუღებელია, რადგან მასში ორმაგი ვჩანვარ. ყვითელი საერთოდ არ მიყვარს... მოდა ისაა, რაც გიხდება! მომხმარებელმა სამოსი თუ ბიკინი ინდივიდუალურად უნდა შეარჩიოს.

— საცურაო კოსტიუმზე მუშაობა რთულია?

— ძალიან. ბიკინს კარგი ტანი უნდა „მოჰყვებოდეს“. ლამაზ ტანზე უფრო კარგი იდეა მოდის. ჩემთვის ბიკინის შესაქმნელად იდეა არ მომდის, პირიქით — ვფიქრობ, სხეული როგორ დავმალო.

— შეიძლება, გოგონა გამხდარი იყოს, მაგრამ პრობლემა მაინც ჰქონდეს — მაგალითად, პატარა მკერდის გამო. ამ შემთხვევაში, როგორი საცურაო კოსტიუმი უნდა შეარჩიოს?

— შეიძლება, კაბაში პატარა მკერდი შენიღბო. „კუპალნიკში“ ამას ვერ გააკეთებ: წყლიდან ამოსვლის შემდეგ „გუბკიდან“ წყალი თქრიალით წამოვა. საცურაო კოსტიუმში თითქმის შიშველი ხარ და ვერაფერს იღონებ. ზოგს პატარამკერდიანი ქალი მოსწონს, გემოვნებაზე არ დაობენ. ყველა ერთნაირი რომ იყოს, დავიღუპებით. პლაჟი ამითაა საინტერესო: ვიღაცას შეხედავ და იხალისებ, როგორც — ჩემზე. სხვათა შორის, ბულგარეთში ველურ პლაჟზე ვიყავი. ასეთ პლაჟზე კიდევ გასვლის სურვილი არასოდეს მექნება. არაესთეტიკური სანახაობა იყო. იქ ყველა გახდილია. შესვლა ფასიანია.

— თქვენც გაიხადეთ?

— არავითარ შემთხვევაში! ბულგარეთიდან საქართველოში უნდა გამოვფრენილიყავი. 45 წუთი შუალედი მქონდა. ქუჩაში ხომ არ დავდგებოდი? გოგოებმა პლაჟზე წასვლა გადავწყვიტეთ (ბარგი უკვე ჩაბარებული მქონდა). იქ მისულებს ყველა შიშველი დაგვხვდა, 4 გოგოს კი სარაფანი და „ესპადრელები“ გვეცვა.

— ამის გამო, „ფეისკონტროლიორმა“ ხომ არ გამოგაგდოთ?

— არა. უბრალოდ, შიშვლებს არავინ უყურებდა, ყველა ჩვენ მოგვჩერებოდა. მათ ფონზე, ველურებს ჩვენ უფრო ვგავდით. ზღვაში შესვლა ისე მინდოდა, რომ ცდუნებას ვერ გავუძელით და სარაფან-„ესპადრელებიანად“ შევცურეთ. წყლიდან ამოსულს უკვე აეროპორტში მაგვიანდებოდა. თვითმფრინავში სველი სარაფნით ავედი. ხავერდის წითელი სავარძელი ჩემი საჯდომის ზომაზე დავასველე...

— მახსოვს, რომ მოგვიყევით — მცირე ზომის საცურაო კოსტიუმი როგორ მოირგეთ... თეა, მოდი, პუტკუნა ქალბატონებს პრაქტიკული რჩევები მიეცით.

— ჩემი აზრით, ჩემნაირმა ზღვაზე საერთოდ არ უნდა გაიხადოს, მაგრამ წყალში ქურქით ვერ შევალ. ცურვა მიყვარს, ვგიჟდები!.. იცი, წყალში კარგად რატომ ვარ? წონას ვერ ვგრძნობ, მიწაზე კი ვგრძნობ. დელფინივით ვცურავ... „კუპალნიკს“ რაც შეეხება, ერთ-ერთ მულტფილმში ბეჰემოთს პატარა, ფუშფუშელა კაბა რომ აცვია, ხომ გახსოვს? ზუსტად ასეთი მაქვს და საცურაო კოსტიუმზე ვიცვამ ხოლმე.

საცურაო კოსტიუმში ფოტოს გადაღებაზე მოდელი — საგია ტყავაშვილი დაგვთანხმდა

— ფერი?

— როცა იხდი, ფერს რაღა მნიშვნელობა აქვს? რამდენიმე წლის წინ, ქობულეთში ვისვენებდი. მეგობარს ვურეკავდი, — ჩამოდი, მაგარ დროს ვატარებ-მეთქი. მიპასუხა: — ვერ ჩამოვალ, წონაში 6 კილოგრამით მოვიმატეო. — შე უპატრონო, მე რომ პლაჟზე გავიხდი, შენ ვინ შემოგხედავს-მეთქი? — ვუთხარი. თან, წი-

სამართალდამცველები პროვოკაციული სამოსის ტარებაში შემჩნეულ ქალბატონებს აკავებდნენ, ტრუსის სიგრძეს უზომავდნენ და სოლიდური თანხით აჯარიმებდნენ...

თელი ბაფთებით გაფორმებული „კუპალნიკი“ მაქვს...

— **კარგი. თქვენს კოლექციაზე საუბარს დავუბრუნდეთ...**

— ყველაფერი — საცურაო კოსტიუმები თუ მასზე გადასაცმელი პერანგები ხელით ნამუშევარი იქნება. კოლექციაში „კუპალნიკი“ ცოტა მაქვს. აქცენტი საზღვაო სამოსზე გავაკეთე — რაც შეიძლება, ზღვაზე ჩაიცვა, რომ კარგად გამოიყურებოდე.

— **და რა შეიძლება, ზღვაზე ჩაიცვა იმისთვის, რომ კარგად გამოიყურებოდე?**

— ზაფხულია, ცხელა და ხალხი მაქსიმალურად იხდის. დღეს ვეღარ მოვიფიქრე, მეტი რა გამეხადა. კიდევ კარგი, რომ კარგი ტანი არ მაქვს, თორემ ალბათ, სულ გახდილი ვივლიდი. „ფეშენ“ ადგილებში შარვლის ჩაცმას „არ ვცნობ“! ეს ჩემი აზრია და თავზე არავის ვახვევ. ზოგს შორტი მოსწონს, ზოგს — ბრიჯი... მე ქალი ლამაზ კაბაში გამოწყობილი მომწონს.

— **საცურაო კოსტიუმზე სამკაულის გაკეთება კარგ ტონად მიიჩნევა?**

— გააჩნია, რამდენს და როგორ გაიკეთებენ. სტილიდან „ამოვარდნილი“ არ უნდა იყოს. პლაჟზე ბრილიანტის კოლიეთი გასვლა არაა ლამაზი. თუ ბუნებრივი ქვებისგან შექმნილ ლამაზ სამკაულს გაიკეთებენ, რატომაც არა? ჩემი საცურაო კოსტიუმები რაღაც დეტალებით გაფორმებული იქნება. არ მინდა, რომ ერთფეროვანი იყოს — უნდა ემჩნეოდეს, რომ დიზაინერის შექმნილია.

წინათ თუ ბევრ კურორტზე ბიკინის ტარება იკრძალებოდა, როგორც იცით, დღეს ეს საზღვაო სამოსი მთელ მსოფლიოში პოპულარულია. მიუხედავად ამისა, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა ისეთი მოდელი გოგონას პოვნა, რომელიც ფოტოკამერის წინ ბიკინიში გამოწყობილი დადგებოდა. საბოლოოდ, თეა ლომიძის საზღვაო სამოსში გამოწყობასა და ფოტოების გადაღებაზე მოდელი და მომავალი მსახიობი — 22 წლის ***ხატია ტყავაშვილი*** *დაგვთანხმდა:*

— ჩემთვის ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც ზღვარს გადავაბიჯე. ზუსტად ისეთი ადამიანი ვარ, როგორიც ფოტოების გადაღებამდე ვიყავი. „კუპალნიკში“ ჩაცმულ ადამიანებს ზღვაზე ყველა ვხედავთ. ვინმე ასე გამოწყობილი ქუჩაში რომ გავიდეს, ე.ი. გიჟია, მაგრამ ჟურნალში დაბეჭდილი ჩემი ფოტოები გამაღიზიანებელი რატომ უნდა იყოს?! მოდელობა ჩემი პროფესიაა (მსახიობობასთან ერთად). არც მიფიქრია, რომ შეიძლებოდა, ჩემი ეს ნაბიჯი უხეში და გამაღიზიანებელი ყოფილიყო. შეთავაზება ჩვეულებრივად მივიღე.

— **ერთ-ერთმა გოგონამ ფოტოგადაღებაზე უარი იმიტომ თქვა, რომ ამის უფლება შეყვარებულმა არ მისცა.**

— მე შეყვარებული არ მყავს.

— **რომ გყავდეს და წინააღმდეგი იყოს?**

— მაშინ ასეთ ნაბიჯს არ გადავდგამდი. თუკი ჩემი გახდა მის თავმოყვარეობას შელახავს, მაშინ ასეთ წინადადებაზე უარს ვიტყვი.

— **რომელი სააგენტოს მოდელი ხარ?**

— ამჟამად — არც ერთის. იმის დრო არ მაქვს, რომ რომელიმე სააგენტოში ვიყო. სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობ, II კურსის სტუდენტი ვარ.

— **საცურაო კოსტიუმებისათვის თეას მიერ შერჩეული ფერები შენთვის კომფორტულია?**

— ყველაზე მეტად ამ ფერის სამოსსა თუ ბიკინიში ვგრძნობ თავს კომფორტულად. ერთ ფერში „დამჯდარი“ ბიკინი მომწონს.

— **საზაფხულო სამოსის შერჩევას დიდ ყურადღებას უთმობ?**

— ზაფხულში ჩემი შარვლები კარადაში „იკეტება“ (*იცინის*). შორტები, კაბები მაცვია, რადგან წელიწადის ამ დროს ჯინსის შარვალში თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ. გრილ სამოსს ვარჩევ, ოღონდ გამომწვევს — არა. ზედმეტი მაკიაჟიც არ მიყვარს, არც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი...

— **საზაფხულო გარდერობი უკვე განაახლე?**

— კი, ზღვისთვის ყველაფერი ახალი შევიძინე: ფეხსაცმელები, კაბები, შორტები, საცურაო კოსტიუმები...

— **საცურაო კოსტიუმებს დიზაინერს უკვეთ?**

— არა, მაღაზიაში ვყიდულობ, რადგან დიზაინერთან ვიზიტებისთვის დრო არ მაქვს. ბევრს დავდივარ, რომ სასურველი ნივთი შევარჩიო. პრეტენზიული ვარ.

— **ბუნებრივი ქვებით გაფორმებული საცურაო კოსტიუმები მოგწონს?**

— ძალიან, მაგრამ რატომღაც არ შემიძენია.

— **სხვათა შორის, თეამ აღნიშნა, — გამხდარმა გოგონებმა ბუნებრივი ქვებით გაფორმებული ბიკინები არ უნდა ჩაიცვან — ზღვაში ჩაიძირებიანო.**

— (*იცინის*) კარგად ვცურავ... ■

* ბუდაპეშტში 2009 წლიდან ტარდება სილამაზის კონკურსი, სადაც პლასტიკური ოპერაციები ფასდება. კონკურსანტები ორ ჯგუფად იყოფიან — 18-დან 30 წლამდე და 30 წლის ზევით. გამარჯვებულს საიუველირო ნაწარმითა და მანქანით აჯილდოებენ. მთავარი პრიზია — ბინა ბუდაპეშტის ცენტრში. კონკურსანტები ასაჩუქრებენ იმ ქირურგებსაც, რომელთა პაციენტებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს.

* კონკურსი — „მისტერ ლამაზი მამაკაცი“ ყოველწლიურად ვენესუელაში იმართება. ჟიურის წევრები მონაწილეებს სპორტულ ტანსაცმელსა და საცურაო ტრუსებში აფასებენ. ვენესუელას სილამაზის კონკურსების დედაქალაქსაც უწოდებენ. აქვე ტარდება „მისის ბარბი“. კონკურსი, სადაც თოჯინები მონაწილეობენ. პატრონები კონკურსანტებს ტანსაცმელს, აქსესუარებსა და სამკაულებს ურჩევენ. თოჯინებს აქვთ სახელები და პროფესიები.

* ტაილანდში სილამაზის კონკურსი სპილოების გადასარჩენად ტარდება და მასში ქვეყნის ყველაზე მსუქანი მანდილოსნები მონაწილეობენ (მონაწილის წონა 90 კგ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს).

* კოლუმბიის შტატში, ყოველწლიურად ყველაზე ლამაზ ბებიას ავლენენ. 60 წელს გადაცილებულმა

არაჩვეულებრივი სილამაზის კონკურსები

მანდილოსნებმა ჟიურის წევრები გარეგნობით, დახვეწილი მანერებითა და ნიჭით უნდა მოხიბლონ.

* ბრაზილიაში პატიმრებს შორის ყველაზე მიმზიდველს არჩევენ. ორგანიზატორები მონაწილეებს კონკურსისთვის რამდენიმე თვის მანძილზე ამზადებენ, რითაც ცდილობენ, მსჯავრდადებულებს ყოფა შეუმსუბუქონ.

ტორების მიზანია, მსუქან ქალებს თავი შეაყვარონ და დაუმტკიცონ, რომ მსუქნებიც ნიჭიერები არიან და თავი დიეტებით არ დაიტანჯონ.

* ანგოლაში, 2008 წელს აფეთქების შემდეგ გადარჩენილი, დასახიჩრებული მანდილოსნებისთვის სილამაზის კონკურსი გაიმართა. ორგანიზატორებს სურდათ, გადარჩენილი მანდილოსნების სიცოცხლე გაეხალისებინათ და მათ შესახებ მსოფლიოს შეეტყო.

* ლამაზი ბოშა ქალის გამოსავლენად, რუმინეთში სილამაზის კონკურსი ტარდება. უპირატესობა ენიჭება იმ კონკურსანტს, რომელიც ბოშურ სიმღერებსა და ცეკვებს ყველაზე კარგად ასრულებს. ■

მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

* ატლანტიკ-სიტისა (აშშ) და ტაილანდში ყველაზე ლამაზი ტრანსვესტიტის გამოსავლენად ყოველწლიურად იმართება სილამაზის კონკურსი.

* ყოველწლიურად, ბავშვთა დაცვის დღეს, 1-ელ ივნისს ჩინეთში ფეხმძიმეთა სილამაზის კონკურსი ეწყობა. 2009 წელს კონკურსში 100-მა მომავლმა დედამ მიიღო მონაწილება.

* ისრაელში, წელს მსუქნებისა და ნიჭიერების კონკურსი უკვე მეთხუთმეტედ ჩატარდა. მონაწილეები 90 კილოზე ნაკლებს არ უნდა იწონიდნენ. ორგანიზა-

ანეკდოტები

***

— დედიკო, მამიკო აივნიდან აპირებს გადახტომას!

— გაუხმა თავი მაგ სულელს! უთხარი, ნუ მაიმუნობს, რქები დავადგი, ფრთები კი არა.

***

ლუდით სათქმელ სადღეგრძელოთა ციკლიდან:

ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ცოლს დასასვენებლად რომ გაუშვებს და ფულს არ გაატანს — ჩავა და თვითონ იშოვისო...

ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ნინოობას გოგო რომ ეყოლება და გრეტას დაარქმევს!..

ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც ბაბუა მეორე მსოფლიო ომში ჰყავს დაღუპული და მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს გულშემატკივრობს!

ეს იმ კაცს გაუმარჯოს, სახლში დედას ნერვებს რომ უწამლავს და სიდედრს კიდევ ვენახსაო.

ეს იმ კაცს გაუმარჯოს, სტუმარს მარანში რომ ჩაიყვანს და ყავას მოუდუღებს.

***

გეოგრაფიის მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— რა იცი პანამის არხზე?

— ჩვენი ტელევიზორი მაგ არხს არ აჩვენებს, მას!

***

ქალის ოცნება ასაკის მატების შესაბამისად:

16 წლის — პრინცი თეთრ ცხენზე.

20 წლის — პრინცი ცხენზე (ფერს მნიშვნელობა არა აქვს).

25 წლის — პრინცი ვირზე.

30 წლის — პრინცი ფეხით მოსიარულე.

35 წლის — პრინცის მეჯინიბე.

40 წლის — ნებისმიერი მეჯინიბე.

***

ხელოსანმა დაზგაზე მუშაობისას ყველა თითი გადაიჭრა. გაიქცა საავადმყოფოში. ექიმი ეკითხება:

— თითები წამოიღე?

— რატომ უნდა წამომეღო?!.

— როგორ თუ რატომ?! თავის ადგილზე მივაკერებდი!.. ჩქარა გაიქეცი, თითები წამოიღე, მანამდე ოპერაციისთვის მოვემზადები!..

ხელოსანი წავიდა. გავიდა 1 საათი, 2, 3 და როგორც იქნა, დაბრუნდა:

— რა ქენი, მოიტანე თითები?

— არა.

— რატომ? ვერ იპოვე?

— პოვნით კი ვიპოვე, მაგრამ ვერ ავკრიბე!..

***

მუცელში ჩანგალგაყრილი კაცი საავადმყოფოში მივიდა:

— ექიმო, მიშველე რამე!

— ვერაფრით დაგეხმარები. მიღების საათები დამთავრებულია.

— იქნებ დამეხმარო!..

— მთელი დღე-ღამის ნამორიგევი ვარ, ფეხზე ვერ ვდგავარ, სახლში უნდა წავიდე...

— ექიმო, მაინც უნდა დამეხმარო!..

ექიმმა გამოაძრო მუცლიდან ჩანგალი და თვალში ჩაარჭო.

— აჰა, წადი ახლა ოკულისტთან, 8 საათამდე მუშაობს.

***

— დედა, მე მართლა დებილი ვარ?

— დებილო! მე მამაშენი ვარ!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის „კანკელი“?

2. ალმასს სპეციალური მბრუნავი ხერხით ჭრიან. რით არის დაფარული ასეთი ხერხის პირი?

3. თავის გადაცემაში მიწვეულ ერთ სტუმარს ვანო ჯავახიშვილი „ეფიცებოდა“, შენს დიდ ბაბუას ვიცნობდი, ცერა სებისკვერაძესო. ვინ სტუმრობდა იმ საღამოს „ღამის შოუს“?

4. დაასახელეთ რუსი მწერალი-სატირიკოსი, რომელიც იმდენად „დაოსტატებულია“ ამერიკისა და ამერიკელების დაცინვაში, რომ ესტრადაზე გამოსულს პირდაპირ დარბაზიდან უყვირის მაყურებელი: „პრა ამერიკუ დავაი! პრა ამერიკუ!“.

5. დაასახელეთ უკრაინელი მომღერალი ქალი, რომელსაც 9 ენაზე ნამღერი 400-მდე სიმღერა აქვს ჩაწერილი.

6. დაასრულეთ ფეხბურთის პორტუგალიელ გულშემატკივართა გამონათქვამი: „სამი რამ მარადიულად იარსებებს ამქვეყნად: კათოლიკური ეკლესია, კომუნისტური პარტია და ...“.

7. რა ჰქონდა ისააკ ნიუტონს საკუთარ ბეჭედში ძვირფასი თვლის ნაცვლად ჩასმული?

8. რა ხნის განმავლობაშია მოკლული ადამიანის სისხლი მეორე ადამიანისთვის გადასასხმელად ვარგისი?

9. დაასახელეთ აფრიკაში მობინადრე ბალახისმჭამელი ცხოველი, რომელიც წყალში დამხრჩვალი ზებრის ან ანტილოპის ხორცზეც არ ამბობს უარს.

10. დაასახელეთ სახელმწიფო, სადაც ბრედ პიტს მას შემდეგ აღარ უშვებენ, რაც მსახიობმა მთავარი როლი შეასრულა ფილმში „შვიდი წელი ტიბეტში“.

11. რა არის „ბარაკეული“?

12. ვისი ნამდვილი სახელი და გვარია ფრედერიკ ბულსარი?

***

კეთილმა მებადურმა ოქროს თევზი დაიჭირა. თევზმა უთხრა, — სამ სურვილს შეგისრულებ და გამიშვიო. კარგიო, — დათანხმდა მებადური. 1 სურვილით ფული ინატრა, მეორე სურვილით — ქალები. დარჩა მესამე სურვილი. იფიქრა, მოდი, სიკეთეს გავაკეთებ და მესამე სურვილით ვინმე უცნობ ადამიანს გავაბედნიერებო. გაიხედა ზღვაში, ხედავს უზარმაზარ გემს და თევზს ეუბნება: — აი, მაგ გემის კაპიტანი, რასაც ნატრულობს, აუსრულეო. კაპიტანი კი შტურვალთან იდგა და ნატრობდა: ოღონდ, ამაღამ შტორმი ნუ იქნება და თუ გინდა, ღუზა გამეთხაროს უკანალშიო.

***

გურულს მატარებელი დაეჯახა და სული გააცხობინა. ცხედარს თვალები დარჩა დაჭყეტილი, ვერაფრით დაახუჭვინეს. პანაშვიდზე მისული მეზობლებიდან ერთმა თავი ვერ შეიკავა:

— შე გაჭირვებულო, მაი თვალები მაშინ დაგეჭყიტა, მატარებელი რომ მოდიოდა!..

***

სვანეთში ჩასულ ტურისტებს ტყეში სეირნობისას დათვი გამოეკიდა. გარბიან ტურისტები წივილ-კივილით, მისდევს დათვი. იქვე მახლობლად, ბუნების წიაღში 4 სვანია გასული საქეიფოდ, მინდორში სუფრა აქვთ გაშლილი და ატარებენ დროს. გამოცვივდნენ ამ დროს ტყიდან გულგახეთქილი ტურისტები და სვანების სუფრას გადაურბინეს. მათ დათვი მოჰყვა ფეხდაფეხ. გაბრაზდნენ სვანები, ამ ტურისტებს სულ გაუვიდათ თავსო და გამოეკიდნენ. დაიჭირეს, მაგრად ურტყეს, ყველანი უგრძნობლად დაყარეს და უკან წამოვიდნენ. დაბრუნების დროს 1 სვანი ეუბნება მეორეს:

— ისე, ის, ქურქი რომ ეცვა, მაგრად გაგვიძალიანდა, არა?!.

***

ბანალური ჭეშმარიტებანი:

თუ მესამე დღეა, რაც მუშაობა გეზარება, მაშინ დღეს ოთხშაბათია.

თუ ქმარი ცოლს მანქანის კარს უღებს, ან მანქანაა ახალი, ან — ცოლი.

თუ მკერდი კარგად ჩანს, სახე ცუდად გამახსოვრდება.

თუ დედა მამის სისულელეებზე იცინის, მაშინ სახლში სტუმრები არიან.

თუ ქალი გატყუებს, ესე იგი, მისთვის სულერთი არ ხარ.

თუ დილით შენ გვერდით ქალი იღვიძებს, რომელიც არსად აპირებს წასვლას, მაშინ ის შენი ცოლია.

თუ ცხენი გეუბნება, — გიჟი ხარო, ის მართალია.

***

არაბულ სკოლაში მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— მუსტაფა, აქლემის რამდენი სახეობა იცი?

— 2, მასწავლებელო. ერთკუზიანი — დრამოდერი და ორკუზიანი — ბაქტრიანი.

— არსებობენ თუ არა აქლემები კუზის გარეშე?

— შესაძლოა... მაგრამ ეს უკვე სიმახინჯედ მიიჩნევა.

***

ერთი დაქალი ეუბნება მეორეს:

— შენ, რა, ეწევი?! როდიდან?

— მას მერე, რაც ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა და საფერფლეში სიგარეტის ახლად ჩამქრალი ნამწვი იპოვა.

გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ხატებით შემკული ჩარჩოებიანი ტიხარი ეკლესიაში, რომელიც საკურთხეველს დანარჩენი დარბაზიდან გამოყოფს.
2. ალმასის მტვრით (ნახევარკარატიანი ალმასის შუაზე გასაჭრელად 4 საათია საჭირო).
3. მომღერალი ნეკა სებისკვერაძე.
4. მიხაილ ზადორნოვი.
5. სოფია როტარუ.
6. კლუბი „ბენფიკა".
7. ჩვეულებრივი მაგნიტი.
8. ექვსი საათის განმავლობაში.
9. ბეჰემოთი.
10. ჩინეთი.
11. ნახევარი წლის ძროხას ბარაკეულს ეძახიან.
12. ფრედი მერკურის.

ჩვენი ფოტო მაღლერეა

ჰოროსკოპი

4 - 10 აგვისტო

ვერძი

გაბუტული მეგობრების შემორიგება მოგიწევთ. საუკეთესო პერიოდია ახალი იდეების განსახორციელებლად. დასვენების დღეები შვილებთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ხარი

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ახლობლების მიმართ. შუა კვირაში მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ.

ტყუპი

კარგია, თუ დაწყებული საქმეების მოგვარებას შეეცდებით. თავი შეიკავეთ მგზავრობისაგან. კვირის ბოლოს მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ.

კირჩხიბი

მოერიდეთ ოჯახის წევრებთან კამათს. კარგია, თუ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრებით. ამ კვირაში ახალი ნაცნობობა და რომანტიკული შეხვედრები გელით.

ლომი

ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ. მთავარია, კოლეგებთან ურთიერთობაში — დიპლომატია, ახლობლების მიმართ კი სითბო და ყურადღება გამოიჩინოთ.

ქალწული

გარშემო მყოფებისთვის ავტორიტეტი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ რჩევისთვის ხშირად მოგმართავენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

სასწორი

სამსახურში კოლეგებთან კამათს მოერიდეთ. მშობლებთან ან შვილებთან ერთად ხანმოკლე მგზავრობა გელით. შესაძლოა, საერთო მეგობრების წრეში ძველ შეყვარებულს შეხვდეთ.

ღრიანცელი

მეგობრების მიმართ აგრესიას ნუ გამოამჟღავნებთ, წყენას გულში ნუ ჩაიდებთ. კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანს თქვენი დახმარება და მხარდაჭერა დასჭირდება.

მშვილდოსანი

პრობლემებს თავიდან აიცილებთ, თუ უცნობებს არ მიენდობით. დრო და ენერგია ახალი იდეების განხორციელებას დაუთმეთ, უქმე დღეები კი ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

თხა

ახალი საქმეები კოლეგებთან ერთად დაასრულეთ. წვეულებები და მხიარულება კარგ განწყობილებას შეგიქმნით. დასვენების დღეებში ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

წყალმანი

საინტერესო მოგზაურობა, ახალი ნაცნობობა და რომანტიკული თავგადასავალი გელით. შესაძლოა, შუა კვირაში ძველ მეგობარს შეხვდეთ, რომელიც სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ.

თევზები

დროა, განაწყენებული ახლობლები შემოირიგოთ და მათთან ერთად დრო მხიარულად გაატაროთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს და შეეცადეთ, შაბათ-კვირას მაინც განმარტოვდეთ.

სიყვარულის ძებნაში მთვარე დაგეხმარებათ

მთვარის გავლენით ადამიანმა შეიძლება, თავისი მეორე ნახევარი იპოვოს და სასიყვარულო ურთიერთობა უფრო საინტერესო გახადოს. მთავარია, იცოდეს რომელ დღეს დაიწყოს აქტიური ქმედება.

მთვარის თვე ოთხი ფაზისგან — ახალი მთვარე, პირველი მეოთხედი, სავსემთვარეობა და მეოთხე მეოთხედი — შედგება. ადამიანმა სასურველია თავისი საქმეები ამ პერიოდებში დაგეგმოს. მაგ., ახალმთვარეობაზე ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. პირველ მეოთხედში ახალი საქმეები წამოიწყეთ. სავსემთვარეობა სასიყვარულო ურთიერთობებსა და რომანტიკულ შეხვედრებს დაუთმეთ. მეოთხე მეოთხედში მეტად დაისვენეთ. ახალი იდეებისა და გეგმების განხორციელებას ნუ დაიწყებთ.

იმისათვის, რომ სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატებასა და ჰარმონიას მიაღწიოთ, მთვარის დღეების მოკლე დახასიათებას გაეცანით:

მთვარის პირველი დღე ძლიერი და ნათელი მომენტია. ჩაუთქვით ის, რაზეც ოცნებობთ და სურვილი აუცილებლად აგისრულდებათ.

მეორე დღეს ინტუიცია მძაფრდება. დააკვირდით გარშემო მყოფებს. იქნებ მათ შორის თქვენი რჩეულიცაა.

მთვარის თვის ერთ-ერთი საუკეთესოა მე-11 დღე. მოზღვავებული ენერგია ნებისმიერ საქმიანობაში გამარჯვებას მოგიტანთ.

ქორწინებისთვის ხელსაყრელია მთვარის მე-17 დღე.

საყვარელ ადამიანს შეხვდით და მომავალზე გაესაუბრეთ მთვარის 21-ე დღეს.

დაბოლოს, სიყვარულის საძებნელად და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასარჩევად ცუდი დღეებია მთვარის მე-9, მე-13, მე-15, მე-19, 23-ე და 26 დღეები. ეცადეთ, ამ დღეებში კარდინალური ცვლილებებისგან თავი შეკავოთ. ■

1. თვე
2. საფეიქრო ბანანი
3. მდინარე საქართველოში
4. ედემი
5. მითი, თქმულება
6. სტატია ვისმე გარდაცვალების შესახებ
7. მაუწყებლობის სახეობა
8. ახალი ვენახი
9. მაღალი და მხარბეჭიანი
10. თვითმკვლელობის წესი იაპონიაში
11. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი
12. ჩამოსაკიდებელი საწოლი
13. დაუკავებელი თანამდებობა
14. რუსი მეიგავე
15. ამერიკის შტატი
16. მწნილი
17. ნაბიჯი ბალეტში
18. გერმანელი ფილოსოფოსი
19. თმის საღებავი
20. დიდ ბრიტანეთის ნაწილი
21. მოყავისფრო მწვანე
22. ერთერთი შეგრძნება
23. ნივრის აცმა
24. ფეტვის ბურახი
25. საზაფხულო საძოვარი
26. მუზეუმი პარიზში
27. სწრაფი გადაადგილება ფეხით
28. „მამელუკის“ ავტორი
29. ცხენის ან აქლემის რძე
30. ფაშისტური ჯვარი
31. რისამე მარაგი
32. იაპონური ჭიდაობა
33. ლატვიის დედაქალაქი
34. ნედლეული
35. მშვიდი გაბმული ლაპარაკი
36. ვულკანური მასა
37. ამერიკის შტატი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. დაღესტანი; 2. ღორი; 3. სევილია; 4. სიონი; 5. ტანკერი; 6. კნუტი; 7. მარიონეტი; 8. ბაზა; 9. ლიმა; 10. ვენა; 11. მორიელი; 12. მირკანი; 13. მატერიკი; 14. სტამბული; 15. რომი; 16. კილო; 17. იერიში; 18. ალიკაპი; 19. კორიდა; 20. ყრუ; 21. კუბი; 22. ირონია; 23. ჩირი; 24. კაკა; 25. დისნეი; 26. დუელი; 27. სურვილი; 28. ნეტარი; 29. სათაფლია; 30. ფრანკი; 31. თხელი; 32. ჟილეტი; 33. ტარანტული; 34. ტრაქეა; 35. კოლორიტი; 36. იმიტაცია.

სურათებზე: დიმა ბილანი; ჟანა ფრისკე.

სპეციალური კროსვორდი



შენიშვნა: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. შავი ფერის ქვა, რომელსაც ავი თვალისაგან დასაცავად ატარებენ; **ზ**. დუდუკის მაგვარი მუსიკალური საკრავი; **ა**. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ს**. იაპონური ნაციონალური ჭიდაობა; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა**. ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **ნ**. სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ე**. კანის ანთებითი დაავადება; **რ**. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ**. ლუარსაბ თათქარიძის მიერ თევზების მეფედ შერაცხილი თევზის ჯიში; **ა**. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **დ**. ნადიროობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა**. ცელქი, მოუსვენარი; **რ**. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ა**. ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა; **ს**. შავიზღვისპირა ქალაქი რუსეთში; **დ**. ზღაპრული ურჩხული; **რ**. გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის ავტორი“; **ო**. კანადის დედაქალაქი; **ს**. ალექსანდრეს მოფერებითი სახელი; **მ**. ვარდობისთვე; **ო**. თურქის მეორენაირი სახელწოდება; **ი**. ფაშიზმის სამშობლო; **წ**. წუთის ერთი მესამოცედი; **ყ**. ილია ჭავჭავაძის მშობლიური ქალაქი; **ე**. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **ნ**. ნაპოლეონის მარშალი; **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ. გუჩი; **ზ**. ზნე; **ა**. არმანდო; **ს**. სეინერი; **თ**. თემიდა; **ა**. ანტანტა; **ნ**. ნირვანა; **ე*. ეკიპაჟი; **რ*. როსინი; **თ*. თემქა; **ა*. არტალა; **დ*. დიეზი; **ა*. აორტა; **რ*. რაისა; **ა*. არჩილი; **ს*. სმეტანა; **დ*. დიმიტრი; **რ*. რეიგანი; **ო*. ოქმი; **ს*. სუეცი; **მ*. მაგმა; **ო*. ოროველა; **ი*. იუბილე; **წ*. წყალი; **ყ*. ყარაული; **ე*. ემისია; **ნ*. ნიაგარა; **თ*. თაობა.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო

იაპონური სენსაციია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული **სუდოკუს პასუხები**

5	3	4	8	1	6	9	7	2
6	9	7	2	5	3	8	4	1
1	8	2	9	7	4	5	6	3
4	7	9	5	3	1	6	2	8
8	1	6	4	9	2	3	5	7
2	5	3	6	8	7	1	9	4
7	4	8	1	6	5	2	3	9
9	2	5	3	4	8	7	1	6
3	6	1	7	2	9	4	8	5

6	7	9	5	3	4	2	1	8
2	3	1	8	9	7	4	5	6
5	4	8	6	1	2	3	7	9
4	8	2	1	5	6	7	9	3
7	6	3	2	8	9	1	4	5
9	1	5	4	7	3	8	6	2
8	9	6	7	2	1	5	3	4
3	5	7	9	4	8	6	2	1
1	2	4	3	6	5	9	8	7

6	4	9	2	3	8	5	7	1
2	1	3	7	5	6	9	4	8
5	8	7	9	1	4	3	6	2
8	7	2	6	9	3	1	5	4
9	5	1	8	4	7	6	2	3
3	6	4	1	2	5	8	9	7
1	3	6	4	7	9	2	8	5
7	2	8	5	6	1	4	3	9
4	9	5	3	8	2	7	1	6

* მარტივი

	2				9			7
3		8			2			9
		7					2	
7			2			3		
		3				8		
		1	9					6
	7					4		
9			7			2		8
6			4				7	

** საშუალო

	1				5		6	
6		4						5
		3		6			1	
		5	4			8		
	3						4	
		9			3	2		
	5			2		1		
9						7		8
	8		6				3	

*** რთული

	2			7		4		
				2		6		
9					8	3		
	5		4				6	
		8	1	6		2		
	9			8			7	
		5	2					3
		7		4				
		9		1			2	

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!
50
წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!
22-დან 29 აგვისტომდე
სერვანტესი
დონ ჯიხოტი
სეჩვანტესი (ტომი II)
5-დან 12 სექტემბრამდე
ოდენრი
მოთხრობები
ო' ჰენრი
წიგნი 18
სერვანტესი
(ტომი I)
8-დან 15 აგვისტომდე
ზაფხულის ზოგნები უყვეოოდ ოკნები!
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი
8 000 მომხმარებელს- მოსწონს ეს
მაჩვენე 180-ვე კომენტარი
ანი ჯორბენაძე– ძალიან მომწონს, თან რა ლამაზი გამოვიდა! მართლა კარგად შევარჩიეთ...
პალიტრა

ფასი 2 ლარი
ჟურნალი მხოლოდ ქალებისთვის
...და ქალი
№ 8
აგვისტო
გამოდის თვის დასაწყისში
ვერომონები
- ინტიმური მიზიდულობის ხაიდუმლო
ლამაზი მაკრდი
ვარჯიშები, რჩევები
აგვისტოს ნომერთან ერთად
„ქალი და ქალაქი“ სკლორისგან
ქენდის ბუშნელი
წაფხული დიდ ქალაქში
CHANEL
ეროტიკული დღეები
- ნუ ჩაიშხამებთ შვებულებას!
ნომრის თემა:
დაისვენეთ, მაგრამ... მოემზადეთ სექტემბრისთვის


ჟურნალი „ისტორიანი“ წარმოგიდგენთ! ტომი VI
ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ტომად
უვსებულია საბჭოთა ცენზურის მიერ ამოღებული მონაკვეთებით
კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
ტომი 6
„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ
შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (წიგნის ფასი 3 ლარი)
უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

CD 1 ფიქრები
CD 2 ფშავი და ფშაველები
CD 3 38 ლექსი
CD 4 პროზა
CD 5 ალუდა ქეთელაური
გოგოთურ და აფშინა
CD 6 გველის - მჭამელი
CD 7 სტუმარ - მასპინძელი
სტუდია „სანო“ და
გოგი ხარაბაძე
წარმოგიდგენთ:
ვაჟა-ფშაველა
150 წელი
ვაჟა-ფშაველა 150
საიუბილეო გამოცემა
მხოლოდ „ბიბლუსის“
წიგნის მაღაზიათა
ქსელში
ფასი: 29 ლარი
www.biblusi.ge
ტელ: 2 307 420

ფოტოკუჩიოზები

ბილაინი®

ბადმოდი ნათელ მნარეზე

ჩაერთე «ბილაინის ბრანდიოზულ გათამაშებაში»

23 სექტემბრამდე და მოიგე

- ორი ახალი ტოიოტა პრადო
- სამი ორკაციანი საგზური ბარსელონაში, კლუბ «ბარსელონას» თამაშზე დასწრებით

მონაწილეობისთვის აკრიფე:

*500#

რეგისტრაცია უფასოა

*მომსახურება «მოგებული ბადარიცხვის» სარგებლობის შემთხვევაში ბილეთი არ გარიცხებათ ბალანსის ერთჯერადად ყოველი 3 ლარით შევსებისას მიიღეს გათამაშების 1 ბილეთს გათამაშება გაიმართება 25 სექტემბერს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში

ნებართვის №19-03/271

06 11 2 20 06 11

www.beeline.ge